ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი
Quarterly Refereed and Reviewed International Scientific Journal

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

2024 / 2

ჟურნალი გამოდის 2024 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ
The magazine has been published four times a year since 2024









საქართველო, თბილისი 2024
GEORGIA, TBILISI 2024

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

მთავარი რედაქტორი: ვალერი მოსიაშვილი
სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: ნინო სამჭკუაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: მედეა ჭელიძე
ტექნიკური რედაქტორი: დიმიტრი მასხარაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

აბრალავა ა. (საქართველო), ალადაშვილი მ. (საქართველო), ანთაძე ლ. (საქართველო), ბერიძე თ. (საქართველო),ბიელსკა ტ. (უკრაინა), ბიენ ტანგ (აშშ),ბურდიაშვილი რ. (საქართველო), გრიგოლაია ნ. (საქართველო), დუდაური თ. (საქართველო),მასხარაშვილი დ. (საქართველო), მოსიაშვილი ვ. (საქართველო), რუსაძე ნ. (საქართველო),სამჭკუაშვილი ნ. (საქართველო), სუჰაილი მ. (ლიეტუვა), ქუთათელაძე რ. (საქართველო), ყურაშვილი გ. (საქართველო), ცაავა გ. (საქართველო), ციმინტია კ. (საქართველო), ჭელიძე მ. (საქართველო), ხოხობაშვილი დ. (აშშ).

Editor-in-Chief: Valeri Mosiashvili
Head of the editorial board: Nino Samchkuashvili
Deputy Editor-in-Chief: Medea Chelidze
Technical Editor: Dimitri Maskharashvili

Editorial Board:

Abralava A. (Georgia), Aladashvili M. (Georgia), Antadze L. (Georgia), Bielska T. (Ukraine), Biyan Tang (USA), Beridze T. (Georgia), Burdiashvili R. (Georgia), Grigolaia N. (Georgia), Dudauri T. (Georgia), Maskharashvili D. (Georgia), Mosiashvili V. (Georgia), Rusadze N. (Georgia), Samchkuashvili N. (Georgia), Sohail M. (Lietuva), Kutateladze R. (Georgia), Kurashvili G. (Georgia), Chelidze M. (Georgia), Tsimintia K. (Georgia), Tsaava G. (Georgia), Khokhobashvili D. (USA).

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.
The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article.

https://doi.org/10.52340/sai
E - ISSN –2449-2779 (Online)
UDC (უაკ) 001+001.895
მ-621

© მეცნიერება და ინოვაცია

https://issmsai.wordpress.com
გამომცემლობა: „მ&ი“
metsnierebainovacia@gmail.com

სარჩევი

რუსუდან ქუთათელაძე, მედეა ჭელიძე, გოჩა აბუთიძე - საბანკო მენეჯმენტის აქტუალური საკითხები 5

ვალერი მოსიაშვილიანი, ანა ბერიაშვილი - ბაზელის კომიტეტის შეთანხმებებისა და ბანკის საკუთარი კაპიტალის მოგებიანობაზე ფინანსური ლევერიჯის მექანიზმის ზემოქმედების თავისებურებები 10

ქეთევან კვიცარიძე, ვალერი მუშკუდიანი - საქართველოს საფინანსო სექტორში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 25

ნინო სამჭკუაშვილი, ნინო გრიგალაშვილი - ფინანსური ბაზრები როგორც ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი წყარო 33

ლია პიტიურიშვილი, ნელი სესაძენინელი, თევდორაშვილი - ტექნოლოგიების გავლენა ძირითადი საშუალებების ეფექტურ გამოყენებაზე 37

თამარი კვინიკაძე - ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოდელები ფინანსური გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე 42

ნინო სიბაშვილი - საქართველოს ეროვნული ბანკის ციფრული „კრიპტოლარის“ პერსპექტივები 49

კობა აბლოთია - დოლარიზაცია საქართველოში და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში 59

ნიკოლოზ დარჩიაშვილი - ლოგისტიკის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე 64

მერაბ გეჯუა - სტარტაპ ბიზნესის ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში 71

ქეთევან შენგელია - ხელოვნური ინტელექტის როლი მომავლის ბიზნეს განათლების სფეროში 82

თამარ მარგიანი - საქართველოს მდგრადი ეკონონიკური განვითარება და გამოწვევები 91

რაისა ხაჩატურიანი - მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიის ჩამოყალიბება 106

ანთაძე ლია - განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის ოჯახები და მათი თანამშრომლობა მოზარდის სწავლის პროცესთან 119

ია აფციაური, მარიამ შიუკაშვილი, ირაკლი მეგრელიშვილი - სასტუმროს მართვის ავტომატიზაცია კლიენტთა მომსახურეობის სფეროში 123

გუგული ყურაშვილი, თამარი ბერიძე, ლიკა ბერიძე - განათლება - აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ინტელექტის განვითარებისთვის 132

სალომე გიორგაძე - ეროვნული იდენტობის ძირითადი მახასიათებლები სხვადასხვა თეორიტიკოსთა შეხედულებებზე დაყრდნობით 138

რეცენზია - მნიშვნელოვანი ნაშრომი ბიზნესის რელიგიურ ასპექტებზე 143

CONTENTS

Rusudan Kutateladze, Medea Chelidze, Gocha Abutidze - Current issues in banking management 5

Valeri Mosiashvili, Ana Beriashvili - Peculiarities of the impact of the Basel Committee agreements and the financial leverage mechanism on the profitability of the bank's own capital ……..... 10

Ketevan Kvitsaridze, Valeri MuSkudiani - Money Laundering and Terrorism Financing Risk Assessment of financial sector of Georgia …… 25

Nino Samchkuashvili, Nino Grigalashvili - Financial markets as an important source of economic development 33

Lia Pitiurishvili, Neli Sesadze, Nineli Tevdorashvili - The impact of technology on the efficient use of fixed assets 37

Tamari Kvinikadze - Monetary and credit policy models in the modern stage of financial globalization 42

Nno Sibashvili - Prospects of the digital "crypto-money" of the National Bank of Georgia 49

Koba Ablotia - Dollarization in Georgia and some post-Soviet countries 59

Nikoloz Darchiashvili – The impact of logistics on the development of the country's economy 64

Merab Gejua - Peculiarities of startup business formation and functioning in Georgia 71

Ketevan Shengelia - The role of artificial intelligence in the future of business education 82

Tamar Margiani - Sustainable economic development and challenges of Georgia 91

Raisa Khachaturian - Formation of the theory of macroeconomic equilibrium 106

Lia Antadze - Families of different socio-economic status and their cooperation with the adolescent's learning process 119

Ia Aptsiauri, Mariam Shiukashvili, Irakli Megrelishvili – Automation of hotel management in the field of customer service 123

Guguli Kurashvili. Tamari Beridze, Lika Beridze - Education is a necessary but insufficient condition for the development of intelligence 132

Salome Giorgadze - The main characteristics of national identity based on the views of different theoreticians …….. 138

Review- An important work on the religious aspects of business 143

საბანკო მენეჯმენტის აქტუალური საკითხები
Current issues in banking management

რუსუდან ქუთათელაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
r.kutateladze@gtu.ge
Rusudan Kutateladze - Georgian Technical University
Professor
r.kutateladze@gtu.ge
მედეა ჭელიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
m.chelidze@gtu.ge
Medea Chelidze Georgian Technical University
Professor
m.chelidze@gtu.ge
გოჩა აბუთიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი
g.abutidze@gtu.ge
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
Gocha Abutidze - Georgian Technical University
Assistant Professor
g.abutidze@gtu.ge

აბსტრაქტი. ნაშრომში თანამედროვე მიდგომებზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია საბანკო მენეჯმენტის აქტუალური საკითხები, დასაბუთებულია მოტანილი დებულებების გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა ბანკის და მისი ქვედანაყოფების ხელმძღვანელების, ასევე პერსონალის მართვის სამსახურის მიერ.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბანკის ქვედანაყოფებს შორის ურთიერთქმედების გაძლიერების, სტრატეგიის შემუშავების, ბანკის საქმიანობის დაგეგმვის და მასში თანამშრომელთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვის, ბანკის ხელმძღვანელის როლის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების, კადრების სწავლების ორგანიზაციის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

საკვანძო სიტყვები: საბანკო მენეჯმენტი, ბანკის სტრატეგია, მმართველობითი ფუნქციები, საქმიანობის სტიმულირება, გუნდი.

Abstract. The article, based on modern approaches, examines and analyzes current issues of banking management, substantiates the feasibility and necessity of using the provisions provided by the managers of the bank and its divisions, as well as the personnel management service.

The work pays special attention to strengthening interaction between the bank's divisions, issues of developing the bank's strategy, planning the bank's activities and involving the maximum number of employees in it, the role of the bank manager, continuous training of bank employees, organizing staff training and other important issues.

Key words: bank management, bank strategy, management functions, activity stimulation, team.

თანამედროვე საბანკო მენეჯმენტი ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომებს ეფუძნება, რომელთა თანახმად ორგანიზაციის გარე გარემო ძლიერ ცვალებადი და მოძრავია, კომპანიის ნებისმიერი თანამშრომელი უპირველესად წარმოადგენს პიროვნებას თავისი მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი მოთხოვნილებებით, ხოლო მართვა – ადამიანის საქმიანობის უაღრესად რთული სფეროა, რომლის სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზეა საჭირო. გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს წარმოდგენები ახლოსაა საბანკო სფეროს

წარმომადგენლების უმრავლესობასთან, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რა მეთოდებია საჭირო პრაქტიკაში მათი გამოყენებისთვის.

მრავალფეროვანი და არაპროგნოზირებადი გარე გარემოს პირობებში გრძელვადიანი გეგმების და სტრატეგიების შემუშავება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან გარემოებები უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ხდება მათი განხორციელება. შესაბამისად, თანამედროვე ბანკის სტრატეგია იმდენად საქმიანობის დეტალურად შემუშავებული პროგრამა არ არის, რამდენადაც მიზნებისა და საშუალებების განზოგადებული კონცეფცია, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებას გარე პირობების შესაბამისად.

ნათელია, რომ ბანკის სტრატეგიის შემუშავება და მასში კორექტივების შეტანა უნდა განახორციელონ იმ პირებმა, რომლებიც კარგად იცნობენ მის შიდა და გარე გარემოს, ასევე საქმიანობის სპეციფიკას. საბოლოოდ, მხოლოდ მთელ პერსონალს ერთიანობაში შეუძლია შექმნას ორგანიზაციის სტრატეგია, რომელიც ცვალებადი რეალობის ადეკვატური იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკის დინამიური სტრატეგიის კოლექტიური შემუშავების მექანიზმის შექმნა ძალიან რთულია, როგორც გამოცდილება აჩვენებს, სავსებით შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ ამას მოჰყვება ნაკლები ფინანსური დანაკარგები, ვიდრე ტრადიციული მეთოდების გამოყენებას. ამგვარი მიდგომის უპირატესობები მდგომარეობს არა მხოლოდ შესამუშავებელი სტრატეგიის უფრო მეტ სიზუსტესა და რეალისტურობაში. თუ სტრატეგია მუშავდება ხელმძღვანელების ან ანალიტიკოსების მიერ, შეიძლება წარმოიშვას თითქმის გადაუჭრელი პრობლება _ მის ღირსებებში სხვა თანამშრომლების დარწმუნება, ვინაიდან ადამიანები ძნელად ითავისებენ ახალ იდეებს, თუ ისინი მათგან არ მოდის. ხოლო თუ ბანკის სტრატეგია პერსონალის საქმიანობის მობილიზების სტიმული არ ხდება, მაშინ ხელმძღვანელს, გარდა მართვის წმინდა მატერიალური სტიმულისა, რჩება მხოლოდ ე.წ. `უარყოფითი~ სტიმულები, რაც დინამიური ბაზრის პირობებში სულ უფრო ნაკლებად მუშაობს. თანამშრომლობა, კოლექტიური ურთიერთქმედება და შემოქმედებითი მიდგომა ხდება ბანკის მართვის ძირითადი ბერკეტი.

მმართველობითი ფუნქციების შესრულებაში პერსონალის მზარდი მნიშვნელობის შეგნებამ ხელმძღვანელის როლის შესახებ ახლებური წარმოდგენა შექმნა: ხელმძღვანელი არა მარტო უნდა მართავდეს, არამედ ქმნიდეს მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ ორგანიზაციის თითოეული წევრი თვითონ ისწრაფვოდეს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის საქმიანობის მართვაში. ხელმძღვანელმა უნდა შექმნას ფსიქოლოგიური, მატერიალური სტიმულების სისტემა, რომელიც თითოეულ მუშაკს გაუღვივებს სურვილს იმოქმედოს ორგანიზაციის ინტერესებში; თანამედროვე ბანკში თანამშრომელთა ფუნქციები ისეთი რთული და ინტელექტუალურია, რომ მათი მართვა

ბრძანებების და განკარგულებების მეშვეობით ნაკლებად ეფექტურია. ამიტომ ხელმძღვანელმა კი არ უნდა მართოს ამ სიტყვის მიღებული მნიშვნელობით, არამედ იყოს ლიდერი, რომელსაც გაჰყვებიან.

ფუნდამენტურ ცნებას, რომლითაც გამსჭვალულია მოქნილი, ადაპტირებადი სტრუქტურების შექმნის და ფუნქციონირების მთელი პროცესი, წარმოადგენს ცნება `გუნდი~. გუნდი ნიშნავს განსაკუთრებული სახით ჩამოყალიბებულ და მართულ ადამიანთა ჯგუფს, თვითორგანიზებადს და გარდაქმნადს, რომელიც რეაგირებს ნებისმიერ ვითარებასა და ამოცანაზე, როგორც ერთიანი მთლიანი ორგანიზმი. გუნდის თითოეულმა წევრმა კარგად იცის გუნდის წინაშე მდგარი საბოლოო მიზანი და უკეთესია, თუ ამ მიზანს გუნდი დამოუკიდებლად განსაზღვრავს; გუნდი მუშაობს როგორც ერთი ოჯახი, გააჩნია ერთობლივი და არა პერსონალური პასუხისმგებლობა; გუნდის თითოეულ წევრს გააჩნია უნივერსალური პროფესიონალური და მმართველობითი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მას საშუალებას აძლევს იმოქმედოს არა მხოლოდ თავისი ინდივიდუალური `ნიშის~ ფარგლებში, არამედ აღიქვას გუნდის სხვა წევრების ქმედებები და მოქნილი ურთიერთქმედება ჰქონდეს მათთან; გუნდის ყოველი წევრი თანაბარი უფლებებით მონაწილეობს როგორც მთლიანად გუნდის საქმიანობის დაგეგმვაში, ისე თავისი პირადი საქმიანობისა და გუნდის თითოეული წევრის საქმიანობის დაგეგმვაში; გუნდის წევრებს შორის როლები, ფუნქციები და ვალდებულებები არ ნაწილდება მკვეთრად, თითოეულს რჩება მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა. დაგეგმვის პროცესში ფუნქციების განაწილება რეგულარულად გადაიხედება; გუნდის წევრებს შორის უნდა არსებობდეს ფსიქოლოგიური თავსებადობა; მართვის ყველა ფუნქციას გუნდი ახორციელებს ერთობლივად. ხელმძღვანელს რჩება მხოლოდ ლიდერობის, კოორდინაციის და გუნდის ფარგლებს გარეთ მისი ინტერესების წარმოჩენის ფუნქცია. სწორედ მსგავსი სახით შექმნილ გუნდს შესწევს ძალა იყოს ერთიანი ორგანიზმი, რომელიც მგძნობიარედ რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებებსა და პრობლემაზე.

საუკეთესო სტიმული, რომელიც თანამშრომლებს უბიძგებს ეფექტიანი მუშაობისაკენ, არის მყისიერი და სამართლიანი რეაქცია მათ ქმედებებზე. როგორც წესი, ერთადერთ ფართოდ გამოყენებად, შედეგის მომტან სტიმულს წარმოადგენს დაწინაურება. თუმცა ეს ზომა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს ყველას მიმართ და ხშირად. საჭიროა სტიმულების სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს როგორც ბანკის, ისე თანამშრომლების მრავალმხრივი ინტერესების ფართო წრეს. არ შეიძლება მათი დაყვანა მხოლოდ მატერიალურ წახალისებამდე: გამოცდილება აჩვენებს მორალურ-ფსიქოლოგიური სტიმულების სწრაფად

მზარდ მნიშვნელობას. ამასთან, არ შეიძლება მატერიალური სტიმულების ქმედითობის უგულებელყოფა, თუ ისინი გამოიყენება დასაბუთებულად.

მორალურ-ფსიქოლოგიური სტიმულირების ხერხების არეალი უაღრესად ფართოა. მაგალითად, ძალზე ეფექტურია `კოლექტიური ეკონომიკური პასუხისმგებლობის იდეა, რომელიც წარმატებით გამოიყენება იაპონურ კორპორაციებში. ქვედანაყოფის კოლექტიური მუშაობის შედეგების მიხედვით პრემიის გაზრდა ან შემცირება მის თანამშრომლებს აიძულებს ადეკვატურად შეაფასონ თითოეული მუშაკის წვლილი და რეაგირება მოახდინონ იმ თანამშრომლებზე, რომელთა მიზეზითაც მოხდა წახალისების ოდენობის შეცვლა. სწორედ ასე წარმოიქმნება კოლექტიური კონტროლის ეფექტი; პრაქტიკა ადასტურებს უარყოფითი ფსიქოლოგიური სტიმულების მოქმედების ხანმოკლეობას და დაბალ ეფექტიანობას, მაგრამ მთლიანად მათზე უარის თქმა მიზანშეწონილი არ არის. უარყოფითი სტიმულების დაბალი შედეგიანობის გათვალისწინებით მათი გამოყენება სასურველია მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ბერკეტი ამოწურულია, მაგრამ შედეგი არ დადგა.

თანამშრომლების ჩაბმა ბანკის რეალური მართვის პროცესში - ეს მიდგომა ყველაზე რთული და ფაქიზია, მაგრამ წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ მმართველობით ინსტრუმენტს: თანამშრომელი იგრძნობს ბანკთან თავის კავშირს, შეიგრძნობს საკუთარ მნიშვნელობას და დაინახავს მის გავლენას მისაღებ გადაწყვეტილებებზე. თუ ეს მიდგომა გამოიყენება სხვა მეთოდებთან ერთობლიობაში, კერძოდ მატერიალურ სტიმულებთან ერთად, იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც მუშაკს უბიძგებს შეცვალოს დაქირავებული მოსამსახურის როლი მესაკუთრის როლით, რაც უზრუნველყოფს ბანკის და მუშაკის ინტერესების დაახლოებასა და თანხვედრას.

ზოგიერთი ზემოხსენებული დებულება მიზანშეწონილია მუდმივად იქნეს გამოყენებული ბანკის და მისი ქვედანაყოფების ხელმძღვანელების, ასევე პერსონალის მართვის სამსახურის მიერ. ჩვენი რეკომენდაციებია: თანამედროვე ბანკის პერსონალის მართვა არ გულისხმობს პერსონალის მხოლოდ ადმინისტრირებას და ბრძანებების გაცემას. აუცილებელია გამოყენებულ იქნეს თანამშრომელთა აქტივობის სტიმულირების მრავალფეროვანი მეთოდები; ბანკის ფუნქციონალური და ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა იყოს მოქნილი გარე გარემოს დინამიური ცვლილებების მიმართ, უნდა შეითავისოს ბაზრის და მთლიანად საზოგადოების ახალი რეალობები, მომხმარებელთა ცვალებადი ინტერესები; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკის ქვედანაყოფებს შორის ურთიერთქმედების გაძლიერებას, რაც ბიზნესის ნებისმიერ სფეროში შეიძლება მივაკუთვნოთ რთულად გადასაჭრელ პრობლემათა რიცხვს. ურთიერთქმედება უნდა ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს შორის, არამედ

თითოეული მუშაკის დონეზეც; აუცილებელია განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს ბანკის საქმიანობის დაგეგმვას. დინამიური ბაზრის პირობებში გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ბანკის შიდა და გარე გარემოს განვითარების კომპლექსურ პროგნოზირებას და მის განზოგადებულ სტრატეგიას და რეგულარულად უნდა გადაიხედოს გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით. სტრატეგიის შემუშავებაში საჭიროა ჩართული იყოს ბანკის თანამშრომელთა მაქსიმალური რაოდენობა, გარე კონსულტანტები, მეცნიერები, დამფუძნებლები და საბანკო პროდუქტების მომხმარებლები; თანამედროვე საბანკო საქმიანობა ხასიათდება სირთულის და დინამიურობის მაღალი ხარისხით, ამიტომ ბანკის თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთ არა მხოლოდ პროფესიონალური ცოდნა და გამოცდილება, არამედ ბანკის საერთო სტრატეგიის შესაბამისი სწრაფი, ეფექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მათი ჩართვით ბანკის მართვის პროცესში, ბანკის სტრატეგიის და გეგმების კოლექტიური შემუშავების პროცესში; ბანკის ხელმძღვანელმა მეტად უნდა აიღოს საკუთარ თავზე ლიდერის ფუნქციები, ანუ თანამშრომლებზე მოახდინოს ზემოქმედება არა მხოლოდ ბრძანებით, არამედ ავტორიტეტით, ცოდნით, კომპეტენტურობით, საქმისადმი ერთგულებით და წესიერებით; საჭიროა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების, სწავლების ორგანიზაცია. სწავლების სისტემა უნდა იყოს მრავალდონიანი, მოიცავდეს ბანკის მთელ პერსონალს ხელმძღვანელობის ჩათვლით. სწავლების ტრადიციული ფორმების გარდა მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შიდასაბანკო სწავლების სხვა ფორმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსიაშვილი, ვ., ჭელიძე, მ., & აბუთიძე, გ. (2020). *საბანკო საქმე. სახელმძღვანელო.* თბილისი: გამომცემლობა „დანი“, 458 გვ.

2. კოვზანაძე, ი., & კონტრიძე, გ. (2022). *თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა.* თბილისი: 704 გვ.

3. Chelidze, M., Khidirbegishvili, N., & Abutidze, G. (2021). Features of Activities of Commercial Banks of Georgia in Modern Conditions. *Reviewed Scientific and Methodical Journal «Problems of Modern Science and Education». N3 (160)*, 16-23.

4. Лаврушин, О. (2009). *Банковский менеджмент.* Москва: Изд-во «КноРус», 560 с.

5. *საქართველოს ეროვნული ბანკი.* (2023, November). Retrieved from https://nbg.gov.ge/

6. *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* (2023, December). Retrieved from https://www.matsne.gov.ge/

ბაზელის კომიტეტის შეთანხმებებისა და ბანკის საკუთარი კაპიტალის მოგებიანობაზე ფინანსური ლევერიჯის მექანიზმის ზემოქმედების თავისებურებები
Peculiarities of the impact of the Basel Committee agreements and the financial leverage mechanism on the profitability of the bank's own capital

ვალერი მოსიაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
vmosiashvili@seu.edu.ge
Valeri Mosiashvili – Georgian National University SEU
Doctor of Economics. Professor
vmosiashvili@seu.edu.ge
ელენე ბარბაქაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
მენეჯმენტის ბაკალავრი
ebarbakadze@seu.edu.ge
Elene Barbakadze - Georgian National University SEU
Bachelor of Management
ebarbakadze@seu.edu.ge

რეზიუმე. აღნიშნულია, რომ ბაზელი I-თან შედარებით, ბაზელი II-ის ძირითადი მოდიფიკაციის მიზეზი გახდა - საკრედიტო რისკის გაანგარიშების სამ ხერხს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. მითითებულია, რომ ბაზელი III შეთანხმებაში მრავალი კარდინალური ნოვაციები იქნა შეტანილი, კერძოდ, ლევერიჯი (Leverage), რომელიც არის: „მოგების ფორმირების მართვის ფინანსური მექანიზმი, დაფუძნებული კაპიტალის ან დანახარჯების ცალკეული სახეობების საჭირო თანაფარდობის უზრუნველყოფაზე“. ხაზგასმულია, რომ ბანკის საკუთარი კაპიტალის მოგებიანობის დონეზე და ფინანსური რისკის დონეზე ფინანსური ლევერიჯის ზემოქმედების მექანიზმის ცოდნა, ბანკის კაპიტალის როგორც ღირებულების, ასევე მისი სტრუქტურის მიზანმიმართულად მართვის შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ბაზელ III შეთანხმებაზე, რამდენადაც კაპიტალის ხარისხისა და საკმარისობისადმი, საჭირო დონის ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის, ახალი საერთაშორისო მოთხოვნილებების რეალიზაციის ჩარჩოებში, საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში ბაზელის კომიტეტის საბუთებში **გათვალისწინებულია** რიგი სიახლეები, რომელიც შესწავლილია ჩვენს მიერ. სტატიაზე მუშაობისას ასევე შევისწავლეთ საკვლევი საკითხის შესწავლის მდგომარეობა საზრვარგარეთის ქვეყნებში, გავავლეთ პარალელები საქართველოსთან და გავაკეთეთ არგუმენტირებული დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალის საკმარისობა, ლიკვიდობა, მინიმალური კაპიტალი, საბანკო რეგულირება, კაპიტალის რენტაბელობა.

Resume. It is noted that compared to Basel I, the reason for the main modification of Basel II was the possibility to choose between three credit risk calculation methods. It is indicated that many cardinal innovations were included in the Basel III agreement, in particular, Leverage, which is: "a financial mechanism for managing the formation of profits, based on ensuring the necessary ratio of certain types of capital or expenses." It is emphasized that knowledge of the mechanism of influence of financial leverage on the level of profitability of the bank's own capital and the level of financial risk provides an opportunity to purposefully manage both the value of the bank's capital and its structure. We paid special attention to the Basel III agreement, as to the quality and sufficiency of capital, to support the necessary level of liquidity, within the framework of the realization of new international needs, in relation to banking supervision, a number of innovations are provided in the documents of the Basel Committee, which were studied by us. While working on the article, we also studied the state of the study of the research issue in the countries of Sarvargareti, drew parallels with Georgia and made reasoned conclusions.

Key words: capital adequacy, liquidity, minimum capital, banking regulation, return on capital.

გლობალური კრიზისის შედეგების დაძლევის, ასევე მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის ამაღლების რეგულირებაში და ზედამხედველობაში ცვლილებები მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, როგორც ამას პროფესორი ი. კოვზანაძე

თავის ნაშრომში აღნიშნავს, რისკები საბანკო სექტორში, მნიშვნელოვანი ხარისხით, საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების (შეთანხმებები ბაზელი I, ბაზელი II და ბაზელი III) საფუძველზე რეგულირდება (1, გვ. 158-167).

კრიზისის დაწყებამდე უმეტეს ქვეყნებში საბანკო რეგულირება ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების პაკეტის საფუძველზე ხორციელდებოდა, რომელიც როგორც ბაზელი II შეთანხმების სახით არის ცნობილი. კერძოდ, რეგულირების ორგანოები „კაპიტალის გაზომვისა და კაპიტალის სტანდარტების საერთაშორისო კონვერგენცია: ახალი მიდგომები“-ს დოკუმენტით ხელმძღვანელობდნენ. ბაზელი II საფუძველში ჩადებულია სამი კომპონენტი: კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნილებები, საზედამხედველო პროცესი და საბაზრო დისციპლინა.

ბაზელი I-თან შედარებით, ბაზელი II-ის ძირითადი მოდიფიკაციის მიზეზი გახდა - საკრედიტო რისკის გაანგარიშების სამ ხერხს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, როგორებიცაა: სტანდარტული მოდგომა (standardized approach – SA) საგარეო რეიტინგული სააგენტოების მონაცემების საფუძველზე; მიდგომები შიდა რეიტინგების საფუძველზე (internal rating-based approach – IRBA), რომელთა ჩარჩოებში ბანკებისათვის საზედამხედველო ორგანოსთან შეთანხმებული საკუთარი შიდა რეიტინგების სისტემის გამოყენება არის ნებადართული; გაუმჯობესებული მიდგომა (A – IRBA). ბაზელი II ახალისებდა IRB მიდგომების გამოყენებას როგორც რისკის შეფასებისადმი უფრო მგრძნობიარეებს, მაგრამ ამავე დროს ბანკის საკრედიტო რეიტინგების სისტემის სერტიპლიცირებას და მისი მეთოდიკის ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებას მოითხოვდა.

ბაზელი II შეთანხმების მოთხოვნილების გამოყენების მსვლელობაში, ჯერ კიდევ კრიზისამდე, აღნიშნული მარეგულირებელი მიდგომის ნაკლოვანებები გამოვლინდა. კერძოდ, მკვლევარბი ბანკებისა და საზედამხედველო ორგანოების მხრიდან შეთანხმების პირველ კომპონენტზე (კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნილეებები) ძალისხმევის ზედმეტ კონცენტრაციას და ორი სხვა კომპონენტისადმი (საზედამხველო პროცესი და საბაზრო დისციპლინა) არასაკარის ყურადღებას აღნიშნავდნენ. არც ისე იშვიათად ბანკები აღნიშნული შეთანხმებით დადგენილი წესების დაცვაზე კონცენტრირდებოდნენ, მაგრამ მართვის მაღალეფექტიანი პრიცესის ჩამოყალიბებისაკენ არ მიისწრაფოდნენ, რომელიც რისკის ადექვატურ შეფასებაზე, ბიზნესის დაგეგმვაზე, ფასწარმოქმნის სტრატეგიაზე იქნებოდა დაფუძნებული.

რეგულირების მოქმედი პრაქტიკის სხვა ნაკლოვანებაც გახდა ის, რომ მსხვილმა ბანკებმა, შიდა მოდელების გამოყენების შესაძლებლობის წყალობით, ფაქტიურად, საკუთარი კაპიტალისადმი კონკურენტული უპირატესობა და დადაბლებული მოთხოვნა მიიღეს, მაშინ

როდესაც საშუალო და მცირე ბანკებმა, რომლებიც გამარტივებულ მიდგომას იყენებდნენ, აღნიშნული კონკურენტული უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლეს.

გარდა ამისა, ბაზელი II სტანდარტებზე გადასვლისას, სხვადასხვა ქვეყნებისათვის კაპიტალის გადაანგარიშების შედეგების ზუსტ შეფასებასთან მიმართებაში სირთულეები წარმოიშვა. ინოვაციური მიდგომების გამოყენებას დაბრკოლებას, განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, დაგროვებული ინფორმაციების არასაკმარისი მოცულობა უქმნიდა. ბანკებისაგან ყველა მარეგულირებელი ორგანოები არ მოითხოვდნენ კაპიტალის საკმარისი მოცულობის და საბანკო რისკების სრული სპექტრის გადაფარვის უზრუნველყოფის ეფექტური შიდა სისტემის შექმნის აუცილებლობას, იმათი ჩათვლით, რომლებიც პირველი კომპონენტის მიერ არ იყო მოცული (კერძოდ, ლიკვიდობის, კონცენტრაციის რისკები),

არ შეიძლება კაპიტალის სტრეს-ტესტირებისადმი ბაზელი II შეთანხმების მიდგომაში ორპირობაც არ იქნეს აღნიშნული. ერთი მხრივ, ბაზელი II სტრეს-ტესტირებას პირველი და მეორე კომპონენტის ჩარჩოებში გულისხმობა, რომლის ჩარჩოებში სტრესულ პირობებს კაპიტალიც უნდა შეესაბამებოდეს. მეორე მხრივ, ბაზელი II შეთანხმების მიდგომების ჩარჩოებში კაპიტალში მოთხოვნილების შეფასების ჰორიზონტი ერთი წლით არის დასაშვები, რასაც თავისი არსით პროციკლურობისაკენ მივყავართ. ბაზელი II საფუძველში ჩადებული კაპიტალის რეგულირების მოდელს ერთდროულად ეკონომიკისა და საბანკო სექტორის მდგრადობისათვის განვითარების მოთხოვნილებები და შესაბამისი პირობების შეექმნა უნდა დაეკმაყოფილებია, რისი მიღწევა, პროციკლური რეგულირების გამოყენებისას, იყო შეუძლებელი.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ბაზელი II შეთანხმების ყველა არებული ნაკლოვანებები ნათლად დაგვანახა, აქტივების ხარისხის შეფასების კრიტერიებიდან და კაპიტალის გაანგარიშებაში რიგი ფინანსური ინსტრუმენტების ჩართვის საეჭვოობიდან დაწყებული, პროციკლური რეგულირების მექანიზმის ნეგატიური ზემოქმედებით დამთავრებული. ბაზელის კომიტეტმა G20 ქვეყნების მთავრობების ხელმძღვანელების გადაწყვეტილების შესაბამისად და ფინანსური სტაბილურობასთან მიმართებაში საბჭოს მონაწილეობით, რეგულირების მოქმედი წესების ცვლილებასთან მიმართებაში რიგი ნაბიჯები გადადგა.

დოკუმენტმა Capital Reguirement Directive 3 (CRD 3) რეგულაციური ბაზის საერთაშორისო დონეზე რეგულირების პროცესს დაუდო დასაწყისი. მასში საბაზრო რისკის გაზომვის კორექტირება იქნა ჩადებული. ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად არა მარტო რისკების VaR შეფასების მეთოდიკა, არამედ აქტიური ბაზრის გარეშე ინსტრუმენტებისათვის, დამატებითი რეზერვის მაჩვენებლის მეშვეობით (incremental risk charge, IRC) რეიტინგის გაზომვის რისკიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

მოგვიანებით Capital Reguirement Directive 3 (CRD 3) დოკუმენტში დამატებითი მარეგულირებელი მოთხოვნილებები იქნა ჩამოყალიბებული, რომლებსაც რიგი წლების განმავლობაში უნდა ყოფილიყო რეალიზებული. ბაზელი III ახალ შეთანხმებაში ადრე გამოყენებული მიდგომები ბავრად იქნა შენარჩუნებული, კერძოდ, წესების რეგულირების სამკომპონენტიანი სტრუქტურა, აქტივებისა და კაპიტალის შეფასებისადმი მიდგომები, კაპიტალის მიხედვით ნორმატივების გაანგარიშებისათვის ბანკების მიერ რისკების შეფასებისათვის საკუთარი მოდელების გამოყენების შესაძლებლობა.

ამასთან ერთად ბაზელი III შეთანხმებაში მრავალი კარდინალური ნოვაციები იქნა შეტანილი, კერძოდ, ლევერიჯი (Leverage, ბერკეტი), რომელიც არის: „მოგების ფორმირების მართვის ფინანსური მექანიზმი, დაფუძნებული კაპიტალის ცალკეული სახეობების ან დანახარჯების ცალკეული სახეობების საჭირო თანაფარდობის უზრუნველყოფაზე. განასხვავებენ ფინანსურ ლევერიჯს (საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონეზე ზემოქმედების მექანიზმი, გამოყენებადი საკუთარი და ნასესხები ფინანსური სახსრების თანაფარდობის ცვლილების ხარჯზე), საოპერაციო ლევერიჯს (მოგების სიდიდეზე და დონეზე ზემოქმედების მექანიზმი, მუდმოვი და ცვალებადი დანახარჯების ცვლილების ხარჯზე) და აქტივების ლევერიჯს (აქტივების ფორმირების ფინანსური მექანიზმი, დაფუძნებული საკუთარი კაპიტალის შესაძლებლობაზე მოიზიდოს მათი დაფინანსებისათვის ნასესხები კაპიტალის სხვადასხვა ფორმები. მის მახასიათებლად გამოდის აქტივების ლევერიჯის კოეფიციენტი, რომელიც აქტივების საერთო მოცულობისა და საკუთარი კაპიტალის საერთო მოცულობის თანაფარდობის მაჩვენებელია)“ (2, გვ. 419-420).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბაზელი III შეთანხმებაში კაპიტალის ხარისხისა და საკმარისობისადმი, საჭირო დონის ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის, ახალი საერთაშორისო მოთხოვნილებების რეალიზაციის ჩარჩოებში, საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში ბაზელის კომიტეტის საბუთებში გათვალისწინებულია:

- მარეგულირებელი კაპიტალის სტრუქტურის გადახედვა, მისი საკვანძო კომპონენტის - საბაზო კაპიტალის (აქციონერული კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგების ჯამური მაჩვენებელი) გამოყოფის გზით;
- საბაზო კაპიტალის საკმარისობისადმი მინიმალურ მოთხოვნილებებზე დამატებითად კაპიტალის ბუფერების ფორმირებისადმი მოთხოვნილების (კაპიტალის დამატებითი ელემენტების, რომლებიც თავისთავად საბაზო კაპიტალთან მიმართებაში მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნილებებისადმი დანამატებს წარმოადგენენ) დადგენა;
- კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლისადმი, რომელიც ბანკების მიერ თავისთავზე აღებადი რისკების დონის გათვალისწინებითაა გაანგარიშებული, დამატებითად მაჩვენებელი

„ლევერიჯის“ შემოღება, რომელიც გაიანგარიშება როგორც კაპიტალის სიდიდის თანაფარდობა აქტივებისა და გარესაბალანსო პოზიციების ერთობლივ სიდიდესთან (ამ უკანასკნელების მიხედვით რისკის დონის გათვალისწინების გარეშე);

- ლიკვიდობის ორი ნორმატივის შემოღება, რომლებიც როგორც ბანკის საქმიანობაში, ასევე ფინანსურ ბაზრებზეც მთლიანობაში ნეგატიური პირობების წარმოშობის შესაძლებლობის გათვალისწინებით განისაზღვრება, როგორებიცაა - მოკლევადიანი ლიკვიდობის მაჩვენებელი (განისაზღვრება როგორც ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა ფულადი სახსრების სუფთა გადიბებასთან უახლესი 30 დღის განმავლობაში, ლიკვიდობასთან საერთოსაბაზრო გამწვავებული - სტრესული სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში), და სუფთა სტაბილური ფონდირების მაჩვენებელი (განისაზღვრება როგორც საკუთრებაში არსებული ფონდირების სტაბილური წყაროების თანაფარდობა ერთი წლით საჭირო ფონდირებასთან, გამომდინარე აქტივების ლიკვიდობის, ბანკის გარესაბალანსო პოზიციებისა და მის მიერ განხორციელებადი ოპერაციების მახასიათებლებიდან).

ბაზელი III ახალი მარეგულირებელი სტანდარტების კაპიტალის და ლიკვიდობის სფეროში დანერგვა გათვალისწინებულია 2011 წლიდან დაიწყოს (დაკვირვების პერიოდი 2018 წელს უნდა დასრულდეს), ხოლო იგი სრულად 2019 წლის 1 იანვარიდან ამოქმედდება. შედეგად საკრედიტო ორგანიზაციები საქმიანობის გრძელვადიან შედეგებზე და ბიზნესის უფრო რაციონალურ გაძღოლაზე, მართვის ეფექტურლი სისტემების აგებაზე და გამოყენებაზე, რისკების მართვის ჩართვით, სულ უფრო და უფრო მზარდი ხარისხით იქნება ორიენტირებული. მითითებული ცვლილებები საბანკო ბიზნესის განვითარების ინტენსიურ მოდელზე გადასვლას საწინდარი იქნება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსური ლევერიჯის (ბერკეტის) საკითხის უფრო დეტალურად განხილვა ჩავთვალეთ მიზანშეწონილად. ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას - საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონის, ფინანსური რისკის დასახული მონაცემებისას, მაქსიმიზაციის საკითხი წარმოადგენს, რომლის რეალიზაცია „ფინანსური ლევერიჯით“ ხორციელდება. ფინანსური ლევერიჯი (ბერკეტი) ნასესხები სახსრების გამოყენების მახასიათებელია, რომელიც საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტის ცვლილებაზე ზემოქმედებს. სხვა სიტყვებით, ფინანსური ლევერიჯი თავისთავად ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც, ჩვენს შემთხვევაში, ბანკის მიერ გამოყენებადი საკუთარი კაპიტალის მოცულობაში ნასესხები სახსრების გამოყენებისას წარმოიშობა, და რომელიც მას (ბანკს) საკუთარ კაპიტალზე დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

მაჩვენებელს, რომელიც ნასესხები სახსრების სხვადასხვა წილის გამოყენებისას, საკუთარ კაპიტალზე დამატებითად გენერირებადი მოგების დონის გამომხატველია, ფინანსური ლევერიჯის ეფექტს (ფლე) უწოდებენ და იგი შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

$$\text{ფლე} = (1 - \text{გნ}_{\text{მგ.გდ}}) \times (\text{მრკ}_{\text{ა}} - \text{პრკრ}) \times (\text{ნკ} / \text{სკ}) ,$$

სადაც: ფლე - ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტია, რომელიც საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტის ნაზარდში აისახება, % ;

გნ$_{\text{მგ.გდ}}$ - განაკვეთი მოგებაზე გადასაზადის, გამოხატული ათეულ წილადში ;

მრკ$_{\text{ა}}$ - მთლიანი რენტაბელობის კოეფიციენტი აქტივების (მთლიანი მოგების შეფარდება აქტივების საშუალო ღირებულებასტან), % ;

პრ.კრ. - პროცენტების საშუალო განაკვეთი კრედიტზე, რომელიც ნასესხები კაპიტალის გამოყენებაზე გადაიხდება, % ;

ნკ - ნასესხები კაპიტალის საშუალო ჯამი ;

სკ - საკუთარი კაპიტალის საშუალი ჯამი .

ფინანსური ლევერიჯის ეფექტის ფორმირების ეფექტი განვიხილოთ შემდეგ მაგალითზე (ცხრ. 1) :

მოყვანილი მონაცემების განხილვის შედეგად შეიძლება დავინახოთ, რომ ბანკი „A“ მიხედვით ფინანსური ლევერიჯის ეფექტი არ გვაქვს, რადგანაც იგი თავის სამეურნეო საქმიანობაში ნასესხებ კაპიტალს არ იყენებს.

ბანკი „B“ მიმართებაში ფინანსური ლევერიჯის ეფექტი ტოლი იქნება:

$$\text{ფლე} = (1 - 0,3) \times (20 - 10) \times 200 / 800 = 1,75\% .$$

ცხრილი 1. ფინანსური ლევერიჯის ეფექტის ფორმირება

(პირ. ფულ. ერთ.)

№	მაჩვენებლები:	ბანკი	ბანკი	ბანკი
რიგ.		“A”	“B”	“C”
1.	მთლიანად გამოყენებული კაპიტალის (აქტივის) საშუალო ჯამი განსახილველ პერიოდში: მათ შორის:	1000	1000	1000
2.	საკუთარი კაპიტალის საშუალო ჯამი	1000	800	500
3.	ნასესხები კაპიტალის საშუალო ჯამი	-	200	500
4.	მთლიანი მოგების ჯამი (კრედიტზე პროცენტების გადახდასთან მიმართებასი ხარჯების გათვალისწინების გარეშე)	200	200	200
5.	აქტივების მთლიანი რენტაბელობის კოეფიციებტი (კრედიტზე პროცენტების გადახდასთან მიმართებაში ხარჯების გათვალისწინების გარეშე)	20	20	20
6.	კრედიტზე პროცენტების საშუალო დონე, %	10	10	10
7.	კრედიტზე პროცენტების ჯამი, რომელიც ნასესხები კაპიტალის გამოყენებაზეა გადახდილი (ჯგ. 3 x ჯგ. 6 / 100)	-	20	50
8.	მთლიანი მოგების ჯამი კრედიტზე პროცენტების გადახდასთან მიმართებაში ხარჯების გათვალისწინებით (ჯგ. 4 - ჯგ. 7)	200	189	150

9.	მოგებაზე გადასახადის განაკვეთი, გამოსახული ათეულ წილადში	0,3	0,3	0.3
10.	მოგებაზე გადასახადის ჯამი (ჯგ. 8 x ჯგ. 9)	60	54	45
11.	სუფთა მოგების ჯამი, ბანკის განკარგულებაში გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი (ჯგ. 8 - ჯგ. 10)	140	126	105
12.	საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი ანუ ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტი, % (ჯგ. 11 x 100 / ჯგ.2)	14,00	15,75	21,00
13.	საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ნაზარდი ნასესხები კაპიტალის გამოყენების გამო, % (ბანკი „**A**“-თან მიმართებაში)	-	1,75	7,00

შესაბამისად ბანკი „C“ მიმართებაში ფინანსური ლევერიჯის ეფექტი ტოლი იქნება:

$$ფლე = (1 – 0,3) \times (20 - 10) \times 500 / 500 = 7,00\% .$$

მოყვანილი გაანგარიშებების შედეგებიდან ჩანს, რომ ბანკის მიერ გამოყენებადი კაპიტალის საერთო ჯამში რამდენად უფრო მაღალია ნასესხები სახსრების ხვედრითი წილი, იმდენად იგი საკუთარ კაპიტალზე უფრო დიდი მოგების დონეს მიიღებს.

ფინანსური ლევერიჯის ეფექტის ზემოთ მოყვანილი ფორმულის განხილვიდან შეიძლება მასში გამოიყოს სამი ძირითადი შემადგენელი:

- ფინანსური ლევერიჯის საგადასახადო კორექტორი ($1 - გნ_{მგ.გდ}$), რომელიც გვიჩვენებს თუ რა ხარისხით ვლინდება ფინანსური ლევერიჯის ეფექტი, მოგების გადასახადით დაბეგვრის სხვადასხვა დონესთან დაკავშირებით.
- ფინანსური ლევერიჯის დიფერენციალი ($მრკ_ა - პრკრ$), რომელიც აქტივების მთლიანი რენტაბელობის კოეფიციენტსა და კრედიტზე პროცენტის საშუალო სიდიდეს შორის სხვაობის მახასიათებელია.
- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (ნკ / სკ), რომელიც ბანკის მიერ გამოყენებადი ნასესხები კაპიტალის ჯამის მახასიათებელია, საკუთარი კაპიტალის ერთეულზე გაანგარიშებით

აღნიშნული შემადგენელების გამოყოფა ბანკის ფინანსური საქმიანობის პროცესში ფინანსური ლევერიჯის ეფექტის მიზნმიმართულად მართვის შესაძლებლობას იძლევა. ამრიგად, უცვლელი დიფერენციალის პირობებში ფინანსური ლევერიჯის ეფექტი როგორც საკუთარ კაპიტალზე მოგების ჯამისა და დონის, ასევე აღნიშნული მოგების დაკარგვის ფინანსური რისკის გაზრდის მთავარ გენერატორს წარმოადგენს.

ბანკის საკუთარი კაპიტალის მოგებიანობის დონეზე და ფინანსური რისკის დონეზე ფინანსური ლევერიჯის ზემოქმედების მექანიზმის ცოდნა, ბანკის კაპიტალის რიგორც ღირებულების, ასევე მისი სტრუქტურის მიზანმიმართულად მართვის შესაძლებლობას იძლევა.

ბანკების უახლესი გამოცდილების გათვალისწინებით ფიმანსური ლევერიჯის (ბერკეტი) სახით ნოვაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, როდესაც აქტივების რისკის ხარისხი მრავალი მიზეზის გამო, არასაკმარისად ადექვატურად ფასდებოდა, ხოლო ზოგჯერ კი შეგნებულადაც მცირდებოდა. ლევერიჯის მაჩვენებელი 2013-2017 წლებში უნდა იქნეს შემოღებული (3).

აღნიშნული მაჩვენებლის დამკვიდრების ირგვლივ საკმაოდ მწვავე დისკუსია გაიმართა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშებისას მაღალრისკიანი აქტივები (როგორც წესი, მაღალი შემოსავლის მომტანები) და დაბალრისკიანები (ნაკლები შემოსავლით) ტოლმნიშვნელოვნად გაითვალისწინებიან, რაც ბანკების პოტენციალურ მოგებას ზღუდავს.

მარეგულირებლების უმეტესობა აღნიშნული მაჩვენებლის რიგორც სავალდებულოს სახით შემოღებას უჭერენ მხარს. აშშ-ში, მაგალითად, ახალი ნორმატივის სავალდებულოების შემადგენლობაში ჩართვას თავაზობენ. ამასთან მინიმალური საკმარისოის კაპიტალის დონე როგორც კაპიტალის საკმარისობის ორი მაჩვენებლიდან (გაანგარიშებული რისკის კოეფიციენტის ან მის გარეშე გათვალისწინებით) უფრო დიდის ოდენობით უნდა განსაზღვრულიყო. იმავე დროს რიგი ევროპული ქვეყნები აღნიშნული კოეფიციენტის მიმართებაში დიდ სიფრთხილეს გამოთქვამენ, და მისი სავალდებულო ხასიათს ეროვნული მარეგულირებლების შეხედულების საფუძველზე დადგენას თავაზობენ.

ბაზელი III ახალ შეთანხმებაში ასევე კაპიტალის შემადგენლობაში რიგი ფინანსური ინსტრუმენტების, კერძოდ, სუბორდინირებული კრედიტების, სადაზღვევო კომპანიებში ბანკების წილების, ბანკებში და საბანკო ჯგუფებში მესამე პირების მინორიტარული წილების ჩართვაზე (ისინი 2013-2022 წლების განმავლობაში კაპიტალიდან თანდათანობით იქნება გატანილი) უარის თქმა იყო შეთავაზებული. გარდა ამისა, პირველი დონის კაპიტალის ჩარჩოებში ძირითადი (რომელიც შედგება ჩვეულებრივი აქციებისაგან) და დამატებითი კაპიტალის (რომელიც ასევე საიმედოობის ძალიან მაღალი ხარისხის მფლობელია) გამოყოფა იყო დადგენილი. მეორე დონის კაპიტალისათვის ქვეკატეგორიებად დაყოფა, პირიქით, გაუქმებული იქნა. შეთანხმებაში ჩადებული კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტების სიდიდისადმი მოთხოვნილებები (დონეების მიხედვით და კაპიტალის ბუფერის გათვალისწინებით) ცხრილი 2-შია მოყვანილი.

ცხრილი 2. კაპიტალის მონიმალური საკმარისობის კოეფიციენტები ბაზელი III შეთანხმებასთან შესაბამისობაში, %-ში[1]

ლევერიჯის კოეფიციენტი:	2013	2014	2015	2016	2017	2018 ჩაირთვება	2019

[1] Basel Committee on Banking Supervision. Basel III phase – in arrangements, www.bis.org

						შეთანხმების განაყოფი 1-ში	
პირველი დონის ძირითადი კაპიტალის საკმარისობა	3,5	4,0	4,5	4,5	4,5	4,5	4,5
კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი				0,625	1,250	1,875	2,500
პირველი დონის ძირითადი კაპიტალის საკმარისობა პლიუს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	3,5	4,0	4,5	5,1	5,8	6,4	7,0
პირველი დონის ძირითადი კაპიტალისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოქვითვა, რომლებიც ადრე კაპიტალის შემადგენლობაში გაითვალისწინებოდა		20	40	60	80	100	100
პირველი დონის კაპიტალის საკმარისობა	4,5	5,5	6,0	6,0	6,0	6,0	6,0
კაპიტალის საკმარისობა	8,0	8,0	8,0	8,0	8,0	8,0	8,0
კაპიტალის საკმარისობა პლიუს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	8,0	8,0	8,0	8,6	9,1	9,9	10,5

ბაზელი III შეთანხმების კიდევ ერთი ნოვაცია გახდა კაპიტალის პროციკლური ბუფერის შემოღება, რომელიც ბანკების საკრედიტო ექსპანსიისას სისტემური რისკის ზრდის შემთხვევაში, კაპიტალის შესაძლო დანაკარგების გადაფარვას მოემსახურება. მისი სიდიდე მერყეობდეს იქნება რისკის ხარისხის მიხედვით შეწონილი აქტივების თანხობრივი სიდიდისაგან 0-დან - 2,5%-მდე ინტერვალში. შეთავაზებულია, რომ კონკრეტული ბანკისათვის ბუფერის მნიშვნელობა განსაზღვრული იქნება როგორც ქვეყნების მიხედვით საშუალოშეწონილი სიდიდე, რომლებშიც იგი საკუთარ საკრედიტო ოპერაციებს ახორციელებს. ეროვნულ დონეზე ბუფერის მნიშვნელობა განსაზღვრული იქნება დამოკიდებულებაში: კერძო და არაფინანსური სექტორისათვის გაცემული კრედიტების მიმდინარე მოცულობა შეფარდებული მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) და აღნიშნულ მაჩვენებელში გრძევადიან ტრენდთან. ბუფერის მნიშვნელობა შეთავაზებულია 0%-ის დონეზე იქნეს დადგენილი, იმ შემთხვევაში თუ გაცემული კრედიტების მოცულობის ნაზარდი მშპ-სადმი გრძელვადიან საშუალო მნიშვნელობასთან მიმართებაში 2%-ზე ნაკლებს შეადგენს, და 2,5%-ის დონეზე, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ნაზარდი 10%-ზე მეტს შეადგენს. ნაზარდის სხვა მნიშვნელობებისათვის ბუფერის სიდიდე ხაზობრივი ინტერპოლაციის საფუძველზე უნდა განისაზღვროს.

ბაზელი III შეთანხმებაში, კაპიტალის საკმარისობის რეგულირებაში ცვლილების გარდა, **სერიოზული ნოვაციები - ლიკვიდობის რისკების რეგულირების ნაწილშიც განხორციელდა**, რომლებზეც ადრე მნიშვნელოვანი ყურადღება არ იყო გამახვილებული. კერძოდ, გათვალისწინებულია ბანკების სტრეს-ტესტირება, ფინანსურ ბაზრებზე სახსრების მოზიდვის შესაძლებლობის არარსებობის სიტუაციის მოდელირება.

შეთანხმება ბაზელი III ასევე **ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის** (Liquidity cover ratio, LCR) ჩამოყალიბაბას ითვალისწინებს, რომელიც გაიანგარიშება როგორც მაღალიკვიდური აქტივების შეფარდება სუფთა ვალდებულებებთან (30 დღემდე დაფარვის ვადით). აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა დადგენილია 2015 წლიდან არა ნაკლები 60%-ის დონეზე, 2016 წლიდან - არა ნაკლები 70%-ის დონეზე, 2017 წლიდან - არა ნაკლები 80%-ის დონეზე, 2018 წლიდან - არა ნაკლები 90%-ის დონეზე, 2019 წლიდან - არა ნაკლები 100%-ის დონეზე (3).

ლიკვიდობის რეგულირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა **სუფთა სტაბილური ფონდირების კოეფიციენტი (**net stable funding ratio, NSFR**),** რომელიც გაიანგარიშება როგორც მიღწევადი სტაბილური დაფინანსების შეფარდება მოთხოვნად სტაბილურ დაფინანსებასთან. შეთანხმებით დადგენილია, რომ აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა 100%-ზე მეტი უნდა იყოს. ამასთან მიღწევადი სტაბილური დაფინანსება განისაზღვრება როგორც წყაროების ნაწილი, რომელიც საკუთარი კაპიტალით და ნასესხები სახსრებით (შეწონილები გარკვეული კოეფიციენტით) არის წარმოდგენილი, მაგალითად, ძირითადი კაპიტალი სუფთა სტაბილური დაფინანსების მაჩვენებლის გაანგარიშებაში ჩაირთვება 100%-იანი კოეფიციენტით, მცირე ბიზნესის სტაბილური დეპოზიტები 1 წლამდე ვადით - 90%-იანი განაკვეთით, არაფინანსური კომპანიების წინაშე ვალდებულებებიერთ წელზე ნაკლები ვადით - 50%-იანი განაკვეთით. მოთხოვნადი სტაბილური დაფინანსება გაიანგარიშება როგორც აქტივების ერთობლივი სიდიდე, ასევე შეწონილი გარკვეული კოეფიციენტით, მაგალითად, ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდები ერთ წლამდე ვადით, უკუ რეპო ხელშეკრულებების მიხედვით გადაცემული ფასიანი ქაღალდების შეწონვის კოეფიციენტი 0%-ის ტოლია; უზრუნველყოფილი ობლიგაციების, არაფინანსური კომპანიების ობლიგაციების (რეიტინგით AA- დან და უფრო მაღალი, 1 წელზე მეტი ვადით) – 50%-ია, საცალო კრედიტებისა და მცირე ბიზნესის კრედიტების (1 წლამდე ვადით) – 85%-ია. სუფთა სტაბილური დაფინანსების მაჩვენებლის მნიშვნელობა 2018 წლიდან არა ნაკლებ 100%-ის დონეზეა დადგენილი.

ბაზელი III შეთანხმების სტანდარტების შესრულებაზე გადასვლით სიტუაცია ქვეყნების მიხედვით არსებითად განსხვავდება. ევრო კავშირის ქვეყნები ბაზელის შეთანხმებების ყველა ცვლილებებს თანმიმდევრულად იყენებდნენ, ამიტომ ისინი ბაზელი II სტანდარტებიდან ბაზელი III სტანდარტებისაკენ მდორედ გადადიან. აშშ ახალი სტანდარტების დანერგვას ფაქტიურად ბაზელი I შეთანხმების ბაზაზე დაიწყებენ. იაპონია, ჰონკონგი, სინგაპური და ავსტრალია მოცემული მიმართულებით მნიშვნელოვნად დაწინაურებულები არიან, ხოლო სიტუაცია აღმოსავლეთ ევროპის, უახლესი აღმოსავლეთის, აფრიკის, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონების ქვეყნებში სიტუაცია ბოლომდე გარკვეული არ არის. ბაზელი III შეთანხმების სტანდარტებზე გადასვლის სხვა პრობლემებიც არსებობს, რომლებზეც მრავალი ექსპერტი

ამახვილებს ყურადღებას. ასე, მაგალითად, კომპანია Moody[1]s Analitics-ის უფროსი დირექტორის პ. შაბანელის მოსაზრების მიხედვით ყალიბდება სიტუაცია, „როდესაც რიგ ქვეყნებში ასევე შეიძლება რეგულირების სხვა მოქმედი სისტემა არსებობდეს, რაც ზოგიერთ შემთხვევებში შეიძლება შიდა ნორმატივების ნაწილის ბაზელი III მოთხოვნილებებით შეცვლას ნიშნავდეს. მაგრამ, შესაძლოა, შიდა და საერთაშორისო ნორმების პარალელური შესრულება გახდეს საჭირო. გლობალური განსხვავებები კიდევ უფრო ართულებენ სიტუაციას, ბანკებს ხომ, შესაძლოა, სხვადასხვა იურისდიქციებში საქმიანობის პირობებში სხვადასხვა ნორმების თავსებადობის განხორციელება მოუწიოთ. ზოგიერთი ბანკები შეიძლება იძულებულები იქნენ ანგარიშგება, მათი ადგილსამყოფელიდან გამომდინარე, ბაზელი II მოთხოვნების შესაბამისად ერთ ქვეყანაში და ბაზელი III მოთხოვნების შესაბამისად მეორეში განახირციელონ“ (4).

ბოლო წლებში საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში ბაზელის კომიტეტი ასევე აქტიურად ახორციელებდა მსოფლიო სისტემურად მნიშვნელოვანი (სისტემაშემქმნელები) ინსტიტუტების (Sifis) ჩამონათვალის შედგენის საკითხს, რომლებიც მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებით მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ.

სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების შერჩევის პრინციპებმა და კრიტერიებმა ბანკებს, ეროვნულ მთავრობებსა და საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებს შორის მწვავე დისკუსიები გამოიწვია. ასე მაგალითად, ბანკები საკუთარი თავის წარმოდგენას მაქსიმალურად თავმდაბალ ჭრილში წარმოდგენისაკენ მიისწრაფიან, რომ Sifis-ში ბოლო ადგილებზე აღმოჩნდნენ ან, რაც კოდევ უფრო უკეთესია, საერთოდ მასში არ მოხვდნენ. „მთელი სამყაროს მარეგულირებლები მოსაზრებაში ერთიანები არიან, რომ გლობალურად მომუშავე სისტემაშემქნელი ინსტიტუტები უფრო ინტენსიურ საბანკო ზედამხედველობას უნდა ექვემდებარებოდნენ“, - განაცხადა გერმანიის ბუნდესბანკის გამგეობის წევრმა ანდრეს დომბრეტმა Handelsblatt - თან საუბარში.

აღნიშნული პრობლემის განხილვის მსვლელობაში ექსპერტების მიერ სისტემაშემქნელი ინსტიტუტების სხვადასხვა კრიტერიები იყო შემოთავაზებული, მაგალითად, ფილიალებისა და შვილობილი ბანკების რაოდენობა, საბირჟო კაპიტალიზაციის სიდიდე, გაცემული კრედიტებისა და საკუთარი აქტივების მოცულობის თანაფარდობა. ფინანსური ინსტიტუტების საერთაშორისო სისტემაშემქმნელი ინსტიტუტების სიაში ჩართვა ბანკების მხრიდან ეროვნულ დონეზეც აღფრთოვანებას არ იწვევს, და როგორც ნიდერლანდებში ტილბერგის უნივერსიტეტიდან ეკონომისტი ხ. ბენინკა აღნიშნავს, ლობისტები სრული ძალისხმევით დაიწყებენ მარეგულირებლების დარწმუნებას, რომ ესა თუ ის ბანკი „ფინანსური სისტემისათვის, იყოს შეიძლება, წარმოადგენდეს იქნება სისტემაშემქმნელს, მაგრამ არავითარ შემთხვევასი გლობალურ დონეზე“. ნამდვილად, მაგალითად, იაპონიის მთავრობამ მიუთითა იმაზე, რომ

რისკების სიდიდე მსოფლიო ფინანსური სისტემისათვის დამოკიდებულია არა უბრალოდ ბანკის სიდიდისაგან, არამედ იმაზე, თუ რამდენად განშტოებულს წარმოადგენს მისი საერთასორისო საქმიანობა, ამიტომ გლობალურ სისტემაშემქმნელ ინსტიტუტებს არა იაპონური, არამედ ამერიკული და ევროპული ბანკები წარმოადგენენ. იაპონოაში 60 ინსტიტუტიდან გლობალური სისტემაშემქმნელი ბანკების საკუთარი სია შეადგინეს, და მასში საწყისი ადგილები Deutsche Bank-ს, Coldman Sachs-ს და JP Morgan Chase-ს მოაკუთვნეს.

საფრანგეთში, გლობალური სისტემაშემქმნელი ბანკების მომავალი სიისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც აღიარებენ, რომ საგანზე ობიექტური შეხედულებიდან გამომდინარე ასეთ ინსტიტუტებად შეიძლება BNP Paribas, და Societe Generale იყოს.

იტალიაში რეალურ კანდიდატებად UniCredit და Intesa Sanpaolo-ს ასახელებენ. „ისინი საკუთარი კაპიტალის სიდიდის მოთხოვნის ზრდისადმი წინასწარ ემზადებიან, ასე რომ თუ ისინი Sifis სიაში მოხვდებიან, მათ პრობლემები არ შეექმნებათ“, - აღნიშნა ერთ-ერთმა იტალიელმა ანალიტიკოსმა Handelsblatt - თან საუბარში. ამასთან ექსპერტმა მიანიშნა, რომ აღნიშნული ბანკები ზოგიერთ საკუთარ „შვილობილებს“ წინდახედულად წინასწარ ასხვისებენ (ყიდიან).

აღნიშნული პრობლემით ესპანელებიც არიან დაინტერესებულები. ესპანეთის ცენტრალური ბანკის Banco Santander და BBVA წარმომადგენლის განმარტებით სისტემაშემქნელთა სიაში მოხვედრის კანდიდატები არიან. გერმანელმა ექსპერტებმა კი მსოფლიო სასტემაშემქმნელ ინსტიტუტებში ერთი კანდიდატი - Deutsche Bank დაასახელეს.

საბანკო თანამეგობრობაში აქტიური დისკუსიის გათვალისწინებით ფინანსურ სტაბილურობასთან მიმართებაში საბჭომ და ბაზელის კომიტეტმა საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში **მაჩვენებლების სისტემა შეიმუშავეს, რომლებიც გლობალურ სისტემურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტებისადმი ბანკების მიკუთვნების შესაძლებლობას** იძლევა. **აღნიშნული მეთოდიკის შესაბამისად გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკის განსასაზღვრავად გამოიყენება 5 კრიტერიუმი** (მაჩვენებლების ჯგუფები), რომლებსაც გაანგარიშებისას ერთნაირი წონითი კოეფიციენტი - 20% აქვთ მინიჭებული, როგორებიცაა: 1) **ბანკის სიდიდე, 2) ბანკის სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების აქტიურობის შეფასება, 3) ბანკში ელემენტების შიდა ურთიერთდაკავშირებულობა, 4) ბანკის სტრუქტურაში ელემენტების ურთიერთ ჩანაცვლებადობა და 5) ბანკის ჩამოყალიბების სირთულე.**

ბანკის სიდიდის კრიტერიუმის გამოკლებით (რომელშიც ერთი მაჩვენებელია), ბაზელის კომიტეტის მიერ დანარჩენ ოთხ ჯგუფში ტოლი წონითი კოეფიციენტიანი რამდენიმე

მაჩვენებელია გათვალისწინებული. მაგალითად, თუ მაჩვენებლების ჯგუფში იგი ორია, მაშინ თითოეულს 10%-იანი წონითი კოეფიციენტი აქვს მიკუთვნებული, თუ ჯგუფში სამი მაჩვენებელია, მაშინ თითოეული წონითი კოეფიციენტი 6,67%-ის ტოლი იქნება.

გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები მარეგულირებლების მიერ ბანკები-კანდიდატებიდან შეირჩევა. ბანკები-კანდიდატების სია, თავის მხრივ, ასევე მატრეგულირებელი ორგანოების მიერ ფორმირდება, გამომდინარე შემდეგი 3 კრიტერიუმიდან: ასეთი საკრედიტო ორგანიზაციები ან უნდა შედიოდნენ 75 მსოფლიო ბანკების რიცხვში ფინანსური წლის ბოლოსათავის გაანგარიშებული ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობის მაჩვენებლის მიხედვით; ან ისინი სისტემურად მნიშნელოვანები უნდა იყვნენ მარეგულირებელი ორგანოების მიერ წარსულში გაანგარიშებების ჯამის მიხედვით; ან ისინი ზედამხედველობის ეროვნული ირგანოების მიერ უნდა იყვნენ შემოთავაზებულები.

2011 წლიდან რეგულალურ საფუძველზე ფინანსური სტაბილურობის მიართებაში საბჭო და საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში ბაზელის კომიტეტი ყოველწლიურად გობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების სიას აქვეყნებენ (ცხრ. 3).

ცხროლი 3. გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების ჩამონათვალი (5 ჯგუფის მიხედვით კლასიფიცირებულები)[2]

ბანკების ჯგუფი (კაპიტალის დამატებითი ბუფერის ფორმირების კოეფიციენტით):	ბანკების დასახელება:
მე-5-ე ჯგუფი (3,5%)	არ არის ჩართული
მე-4-ე ჯგუფი (2,5%)	HSBC JP Morgan Chase
მე-3-ე ჯგუფი (2%)	Barclays BNP Paribas Citgroup Deutsche Bank
მე-2-ე ჯგუფი (1,5%)	bank of America Credit Suisse Goldman Sachs Groupe Credit Agricole Mitsubishi UFJ FG Morgan Stanley Royal Bank of Scotland UBS
პირველი ჯგუფი (1%)	Bank of China Bank of New York Mellon BBVA Groupe BPCE Industrial and Commercial Bank of China Ltd ING Bank Miziho FG Nordea Santander Societe Generale

[2] Basel Committee on Banking Supervision. Basel III phase – in arrangements, www.bis.org

	Standard Chartered sTate Street Sumitomo Mitsui FG Unicredit Group]

მეთოდიკისა და კლასტერული ანალიზის გამოყენების შედეგად გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების 5 ჯგუფი იქნა ჩამოყალიბრბული, მათი კაპიტალის სიდიდისადმი დამატებითი მოთხოვნილებების მაჩვენებლის მნიშვნელობის დასადგენად. ასეთი ბანკების თითოეული ჯგუფისადმი კაპიტალის საკმარისობის მნიშვნელობის ეტაპობრივად გადიდების ნაწილში საერთოებისადმი საკუთარი დამატებითი მოთხოვნილებები იქნება დადგენილი. ბანკების პირველი ჯგუფისათვის ასეთი დამატებითი მოთხოვნილებები იქნება მინიმალური და 1%-ის ტოლი იქნება, მეორე ჯგუფისათვის - უკვე 1,5%, მესამესათვის - 2%, მეოთხესათვის - 2,5%, მეხუთესათვის - 3,5%. კაპიტალისადმი დამატებითი მოთხოვნილებები მხოლოდ ძირითადი საბაზისო კაპიტალით შეიძლება იქნეს შესრულებული (რომელშიც მხოლოდ ჩვეულებრივი აქციები და გაუნაწილებელი მოგება შედის) და იგი კაპიტალის კონსერვაციის როგორც ბუფერის ნაწილის სახით იმოქმედებს.

გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების კაპიტალისადმი დამატებითი მოთხოვნილებები 2014 წლიდან გამოიყენება, მათი მთლიანობაში 2019 წლამდე ეტაპობრივად შემოღებით. გარდა ამისა, აღნიშნული ინსტრუმენტები ასევე რისკების მართვის, მონაცემების აგრეგირებისა და შიდა კონტროლის სისტემების მიმართებაში გაზრდილი მოთხოვნილებების დაცვა იქნება აუცილებელი.

გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების ჩამონათვალის განსაზრვრის მეთოდუკა ეროვნული სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისა და გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი სადაზღვეო კომპანიების იდენტიფიკაციის მეთოდიკის პროექტის გამოვლენის მიმართებაში რეკომენდაციისათვის გახდა საფუძველი.

გარდა ამისა, 2012 წელს ბაზელის ზედამხედველობის მიმართებაში კომიტეტმა ეროვნული სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების საქმიანობის რეგულირების მექანიზმის სახელმძრვანელო პრინციპები დაამუშავა. მათთან შესაბამისობაში ეროვნულ დონეზე რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოებმა სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების შეფასების საკუთარი მეთოდოლოგია უნდა შეიმუშაონ, რომელიც მათი შესაძლო გაკოტრების შედეგებისა და ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების შესაბამისობის გამათვალისწინებელი იქნება.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

- ბაზელი I-თან შედარებით, ბაზელი II-ის ძირითადი მოდიფიკაციის მიზეზი გახდა - საკრედიტო რისკის გაანგარიშების სამ ხერხს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, როგორებიცაა: სტანდარტული მოდგომა (standardized approach – SA); მიდგომები შიდა

რეიტინგების საფუძველზე (internal rating-based approach – IRBA); სრულყოფილი მიდგომა (A-IRBA).

- ბაზელი III შეთანხმებაში მრავალი კარდინალური ნოვაციები იქნა შეტანილი, კერძოდ, ლევერიჯი (Leverage, ბერკეტი), რომელიც არის: „მოგების ფორმირების მართვის ფინანსური მექანიზმი, დაფუძნებული კაპიტალის ცალკეული სახეობების ან დანახარჯების ცალკეული სახეობების საჭირო თანაფარდობის უზრუნველყოფაზე.
- ბანკის საკუთარი კაპიტალის მოგებიანობის დონეზე და ფინანსური რისკის დონეზე ფინანსური ლევერიჯის ზემოქმედების მექანიზმის ცოდნა, ბანკის კაპიტალის რიგორც ღირებულების, ასევე მისი სტრუქტურის მიზანმიმართულად მართვის შესაძლებლობას იძლევა.
- საბანკო თანამეგობრობაში აქტიური დისკუსიის გათვალისწინებით, ფინანსურ სტაბილურობასთან მიმართებაში საბჭომ და ბაზელის კომიტეტმა საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში მაჩვენებლების სისტემა შეიმუშავეს, რომლებიც გლობალურ სისტემურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტებისადმი ბანკების მიკუთვნების შესაძლებლობას იძლევა.
- ბანკების ზედამხედველობასთან მიმართებაში ბაზელის კომიტეტმა 2012 წელს ეროვნული სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების საქმიანობის რეგულირების მექანიზმის სახელმძრვანელო პრინციპები დაამუშავა. მათთან შესაბამისობაში ეროვნულ დონეზე რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოებმა სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების შეფასების საკუთარი მეთოდოლოგია უნდა შეიმუშაონ, რომელიც მათი შესაძლო გაკოტრების შედეგებისა და ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების შესაბამისობის გამათვალისწინებელი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბილისი 2021.
2. ცაავა გ., საბანკო საქმე თბილისი 2024.
3. Ковзанадзе И.К. – Уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития, 2016. – 272 с.
4. Basel Committee on Banking Supervision. Basel III phase – in arrangements, www.bis.org.
5. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640
6. http://eprints.tsu.ge/1457/
7. https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/354249108_2021_CEO_Proceedings_Book_Ready_to_Publish/links/612e579438818c2eaf72d485/2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish.pdf#page=179
8. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287
9. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95
10. https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf
11. http://www.wayscience.com/wp-content/uploads/2022/03/Proceedings-March-1-2-2022-1.pdf

საქართველოს საფინანსო სექტორში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება

Money Laundering and Terrorism Financing Risk Assessment of financial sector of Georgia

ქეთევან კვიცარიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ketevankvitsaridze@gmail.com
Ketevan Kvitsaridze
Doctor of Business Administration
ketevankvitsaridze@gmail.com
ვალერი მუშკუდიანი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
valerimushkudiani@gmail.com
Valeri MuSkudiani
Doctor of Business Administration
Assistant professor of Grigol Robakidze University
valerimushkudiani@gmail.com

აბსტრაქტი. „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ანგარიშვალდებულ პირებს წარმოადგენენ შემდეგი ფინანსური ინსტიტუტები: არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი; არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი; სადაზღვევო ბროკერი, გადაზღვევის ბროკერი; ვალუტის გადამცვლელი პუნქტი; კომერციული ბანკი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; საბროკერო კომპანია; საგადახდო მომსახურების პროვაიდერი; სადაზღვევო ორგანიზაცია; სალიზინგო კომპანია; სესხის გამცემი სუბიექტი; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი; საინვესტიციო ფონდი, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი, მიკრობანკი.

საქართველოს საფინანსო სექტორში დომინირებს საბანკო სექტორი. კომერციული ბანკების აქტივები მოცულობითია, კლიენტებისთვის შეთავაზებული მომსახურება კი მრავალფეროვანი. ამასთან, საბანკო ანგარიშები საქართველოში ფულის გათეთრების ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში კომერციული ბანკების მიერ კლიენტების რისკის შეფასების და მართვის პროცესი ხარვეზებით ხასიათდებოდა. ამასთან, ბენეფიციარ მესაკუთრეთა ვინაობის გადამოწმების პროცესი (განსაკუთრებით, არარეზიდენტ პირებთან მიმართებით) სირთულეებს უკავშირდებოდა. თუმცა აღნიშნულ საკითხებზე სებ-ის მიერ თემატური ინსპექტირებების სისტემატურმა ჩატარებამ, ფულადი ჯარიმების დეტალიზებამ და ზრდამ, ინტენსიურმა კომუნიკაციამ, რისკების გამოვლენის/მართვის და ბენეფიციარ მესაკუთრეთა დადგენა/ვერიფიკაციის სახელმძღვანელოების შემუშავებამ ხელი შეუწყო საბანკო სექტორში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობასთან თავსებადობის დონის ზრდას. საბანკო სექტორის თავსებადობა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობასთან მაღალ დონეზეა.

საკვანძო სიტყვები: საფინანსო სისტემა, ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, რისკების შეფასება.

Abstract. In accordance with the Law of Georgia "On Facilitating the Prevention of Money Laundering and the Financing of Terrorism", the National Bank of Georgia has the authority to supervise the following obliged entities: Non - bank deposit institution - a credit union; Currency exchange office; Commercial bank; Microfinance organisation; Brokerage company; Payment service provider; Loan issuing entity; Securities registrar; Investment fund; Virtual Asset Service Provider (VASP); Micro-bank.

The banking sector dominates the economy of Georgia. The assets of commercial banks are voluminous, and the services offered to their clients are diverse. Herewith, the bank accounts are the main source of money laundering in Georgia. Within the certain period, the commercial banks had a certain deficiencies in client risk assessment and risk management processes. Thus, the process of verification of beneficiary owner was also considered as weakness, especially in relation to non-resident clients. Though systematic thematic onsite inspections, the growth of sanctions, intensive communication, new guidelines on risk identification and identification/verification of beneficiary owner facilitated the growth of compliance level of banking sector in terms of combating money

laundering and terrorism financing. At this point of time the compliance level of banking sector with legislation of anti money laundering and anti terrorism financing is high.

Key words: financing system, money laundering, terrorism financing, Risk Assessment.

022 წელს, ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა სექტორის ადგილზე შემოწმების დროს, იდენტიფიცირებული რისკებისა და საფრთხეების შესაბამისად, აქცენტი გაკეთებულ იქნა შემდეგი საკითხების შესწავლაზე:

კომერციული ბანკების შემთხვევაში:

- კლიენტთა რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესზე, რისკის შეფასებისა და გადაფასების პროცესზე და აქედან გამომდინარე ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე;
- რთული მფლობელობისა და სტრუქტურის მქონე პირების ბენეფიციარი მესაკუთრეების ვერიფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცესზე;
- ოფშორებთან და მაღალი რისკის იურისდიქციასთან დაკავშირებული პირების, მათი მმართველობისა და მფლობელობის სტრუქტურის შესწავლის პროცესზე, აგრეთვე, ამ ზონებთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ ბანკის ცოდნაზე;
- ინტერნეტ ექვაირინგთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და მართვის პროცესის ეფექტიანობაზე;
- ნაღდი ფულის წარმოშობის წყაროს დადგენის პროცესის ანალიზის ეფექტიანობაზე;
- საეჭვო, ფიქციური, უჩვეულო და დანაწევრებული გარიგებებისა და ოპერაციების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობაზე;
- ანგარიშგებების შევსების სიზუსტის შემოწმებაზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულ იქნა შემდეგი საკითხების შესწავლაზე:

- კლიენტთა რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესზე, რისკის შეფასებისა და გადაფასების პროცესზე და აქედან გამომდინარე ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე;
- საერთაშორისო ტრანზაქციების, ოფშორებთან და მაღალი რისკის იურისდიქციასთან დაკავშირებული პირების, მათი მმართველობისა და მფლობელობის სტრუქტურის შესწავლის პროცესზე, აგრეთვე, ამ ზონებთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ ცოდნაზე;
- საეჭვო, ფიქციური, დანაწევრებული და უჩვეულო გარიგებე-ბის/ოპერაციების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობაზე;
- ნაღდი ფულის წარმოშობის წყაროს დადგენის პროცესის ანალიზის ეფექტიანობაზე;
- ანგარიშგებების შევსების სიზუსტის შემოწმებაზე.

2022 წლის განმავლობაში, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის

ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისთვის ეროვნულმა ბანკმა შეამოწმა საფინანსო სექტორის 245 სუბიექტი. აღსანიშნავია, რომ შემოწმებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისთვის ეროვნული ბანკის შესაბამისმა სამსახურმა მოახდინა ზედამხედველობას დაქვემდებარებული 25 წარმომადგენელი დისტანციური ე.წ. followup შემოწმება. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის უწრუნველსაყოფად შემუშავებული საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევისთვის ეროვნულმა ბანკმა საფინანსო ინსტიტუტებს დააკისრა ჯამურად 2 275 400 ლარის ჯარიმა.

ცხრილი 1. ჯარიმების მოცულობა, 2022 წ.

საფინანსო სექტორი	ჯარიმის მოცულობა (ლარი)
კომერციული ბანკი	270 500
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	186 500
სესხის გამცემი სუბიექტი	150 000
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	45 700
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	15 000
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	1 607 700

წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2022.*

ადგილზე შემოწმების შემდეგ დაკისრებული ფულადი სანქციების გარდა, ეროვნულმა ბანკმა საფინანსო სექტორის სხვადასხვა სუბიექტის მიმართად გამოიყენა სხვა მაკორექტირებელი ღონისძიებები. გამოვლენილი სისუსტეებისა და ნაკლოვანებების დაუყოვნებლივი აღმოფხვრის მიზნით საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიმართ გაიცა არაერთი რეკომენდაცია.

ადგილზე შემოწმების შემდეგ დაკისრებული ფულადი სანქციების გარდა, ეროვნულმა ბანკმა საფინანსო სექტორის სხვადასხვა სუბიექტის მიმართად გამოიყენა სხვა მაკორექტირებელი ღონისძიებები. გამოვლენილი სისუსტეებისა და ნაკლოვანებების დაუყოვნებლივი აღმოფხვრის მიზნით საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიმართ გაიცა არაერთი რეკომენდაცია.

თემატური ტრენინგებისა და სემინარების პარალელურად, ეროვნული ბანკის მხრიდან კომუნიკაცია საფინანსო სექტორთან ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. აქტიურად ხდებოდა ონლაინ შეხვედრები სხვადასხვა ინფორმაციის გაცნობისა და გაზიარების მიზნით.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, ანგარიშვალდებული პირებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი

კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ 2022 წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილი შემთხვევების დიდ წილ სხვადასხვა სახის თაღლითობა შეადგენდა, რაც გამოიხატა სხვადასხვა გზებით (კომპიუტერულ სისტემებში ან ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებული შეღწევა, საბანკო ანგარიშის გატეხვა, საბანკო რეკვიზიტების შეცვლა დოკუმენტაციაში, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, მოპარული პლასტიკური ბარათების მონაცემების არაავტორიზებული გამოყენება და ა.შ.)

ცხრილი 2. რეკომენდაციების რაოდენობა, 2022 წ.

საფინანსო სექტორი	რეკომენდაციების რაოდენობა
კომერციული ბანკი	62
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	38
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	15
საბროკერო კომპანიები	16
სესხის გამცემი სუბიექტი	0
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	684

წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2022.*

მოპოვებული თანხების ლეგალიზაციის მცდელობებში, ხოლო დანაშაულებრივი აქტივების გადაადგილებისთვის გამოიყენებოდა ტრადიციული გზები, ძირითადად საბანკო ანგარიშები და ანგარიშებიდან თანხის განაღდება.

2022 წელსაც, წინა წლების მსგავსად, დანაშაულებრივი მიზნებისათვის გვლავ ხდებოდა საქართველოში დაფუძნებული ისეთი იურიდიული პირების გამოყენება, რომელთა დასახელება საზღვარგარეთ მოქმედი მეტნაკლებად ცნობადი საერთაშორისო კომპანიების იდენტურია. მსგავსი მეთოდებით ხდება მსხვერპლი უცხოელი მეწარმეების ყურადღების მოდუნება საერთაშორისო გადარიცხვის შესრულებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი თაღლითობის შემთხვევების რაოდენობა სულ უფრო იკლებს. საანგარიშო წლის განმავლობაში კვლავ გაგრძელდა საქართველოში განთავსებული საბანკო ანგარიშების გამოყენება სატრანზიტო მიზნებისთვის, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების მიერ.

2022 წელს შესაძლო ქოლ-ცენტრების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა საკმაო მოცულობის იყო. მსგავსი კომპანიები იქმნება, ძირითადად საზღვარგარეთ მყოფ პოტენციურ მომხმარებლებთან კონტაქტის დასამყარებლად, რომლებსაც სთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტის შეძენას, ინვესტიციის განხორციელებას, ვალუტების (კრიპტოვალუტების) კურსებზე და ბინარულ ოპციონებზე თამაშს და ა.შ. თაღლითური

მიზნისთვის შექმნილი ქოლ-ცენტრის შემთხვევაში მსხვერპლი ან საერთოდ ვერ იღებს წინასწარ შეთანხმებულ მომსახურებას ან იღებს გაცილებით ბევრად დაბალი ხარისხის სერვისს (ე.წ. „Boiler Room Scam") ან კარგავს იმ თანხას, რომლითაც ე.წ. ინვესტიცია განახორციელა (ე.წ. „Investment Scam").

2022 წ. რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდგომ რუსეთსა და ბელარუსზე სანქციების დაწესებას მათი თავიდან არიდების მცდელობები მოჰყვა. ასეთ შემთხვევებში პრაქტიკულად ერთნაირი მარტივი ტიპოლოგია გამოიყენება. საქართველოში ახლად ან რამდენიმე წლის წინ დაფუძნებული იურიდიული პირის ანგარიშზე უცხოეთიდან ირიცხება თანხა ყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე. ქართული კომპანია ფიგურირებს გამსხვისებლად, ხოლო უცხოური - მყიდველად. კონტრაქტის საგანია სხვადასხვა პროდუქტი, რომელიც სანქციების შედეგად მყიდველის ქვეყანაში აღარ შედის და დეფიციტად იქცა. ქართული კომპანია, თანხის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, ცდილობს გააკეთოს გადარიცხვა უცხოელ შესაბამის მწარმოებელთან. ბუნებრივია, ამ ოპერაციის ჩატარებისათვის გარკვეული გასამრჯელოს ფასად. კომპანიის დამფუძნებელი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს რეზიდენტი, ისე უცხოელიც. მათივე განცხადებით, შეძენილი ტვირთი საქართველოს ტერიტორიაზე როგორც წესი არ შემოდის. მსგავსი ტიპოლოგიის ტრანსაქციების აღმოჩენისთანავე ავპ-ები წყვეტენ საქმიან ურთიერთობას თავიანთ კლიენტებთან.

2022 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 96 საქმე (მათ შორის, 4 საქმე ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევაზე, ხოლო 21 საქმე სხვადასხვა ქვეყნის მიმართ დაწესებული სანქციების შესაძლო გვერდის ავლის მცდელობაზე). 2022 წელს გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 7-ჯერ იქნა გამოყენებული.

2022 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან. ანგარიშვალდებული პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის სისტემატიური ურთიერთგაცვლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ცხრილი 3.

რისკის დონე სექტორების მიხედვით		
სექტორი	ფულის გათეთრების რისკი	ტერორიზმის დაფინანსების რისკი
საფინანსო მომსახურება		
საბანკო სექტორი	საშუალო-მაღალი	საშუალო-დაბალი
საგადახდო მომსახურების პროვაიდერები	საშუალო	საშუალო-დაბალი
მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	საშუალო	დაბალი
ვალუტის გადამცვლელი პუნქტები	საშუალო	დაბალი
საბროკერო კომპანიები	საშუალო-დაბალი	დაბალი
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები	საშუალო-დაბალი	დაბალი
სესხის გამცემი სუბიექტები	საშუალო-დაბალი	დაბალი
სალიზინგო მომსახურება	საშუალო-დაბალი	დაბალი
სადაზღვევო სექტორი	დაბალი	დაბალი
საკრედიტო კავშირები	დაბალი	დაბალი

წყარო: *2. საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში, 2023 წელი.*

კომერციულ ბანკები მნიშვნელოვანი რესურსების ინვესტირებას ახდენენ შესაბამისობის კონტროლის ეფექტიანი სისტემების დასანერგად. ბანკების პასუხისმგებელი თანამშრომლების ცოდნის დონე ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, გამოვლენის და აღკვეთის საკითხებში მაღალია. ამიტომ, ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, საბანკო სექტორში არსებული რისკების მართვა ადეკვატურად ხორციელდება.

კომერციულ ბანკებზე ხორციელდება სრულფასოვანი რისკზე დამყარებული ზედამხედველობა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საბანკო სექტორში ფულის გათეთრების რისკი შეფასდა როგორც საშუალო-მაღალი, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების როგორც საშუალო-დაბალი.

არასაბანკო საფინანსო სექტორის განვითარებას განაპირობებს პროდუქტების და სერვისების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ფართო ქსელი, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, აგრეთვე დაბალი საკომისიოები, მომსახურების სისწრაფე და მიწოდების დისტანციური არხები.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ დიდ ოდენობით ნაღდი ფულის კონვერტაცია ხდება, ხოლო მათი შესაბამისობის კონტროლის სისტემები შედარებით ნაკლებად განვითარებულია. თუმცა, სებ-ის მიერ პუნქტებზე ზედამხედველობა ბოლო წლებში არსებითად გააქტიურდა. ამასთან, პუნქტები არ ახორციელებენ ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციებს და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, პუნქტებთან დაკავშირებული ფულის გათეთრების რისკი შეფასდა როგორც საშუალო, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების რისკი როგორც დაბალი.

ბოლო წლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესაბამისობის კონტროლის სისტემები არსებითად გაუმჯობესდა. სებ-ს მჭიდრო კომუნიკაცია აქვს სექტორთან და ხელს უწყობს ცალკეული ორგანიზაციების მიერ შიდა კონტროლის ეფექტიანი პოლიტიკის და პროცედურების დანერგვას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად მოიცავს რეზიდენტ კლიენტებზე მცირე სესხების გაცემას. კლიენტების გარკვეული რაოდენობა ასევე ახორციელებს საერთაშორისო ფულად გზავნილებს. ბოლო წლებში სექტორში არსებითად გაუმჯობესდა შესაბამისობის კულტურა, რაც განაპირობა სებ-ის მიერ სრულფასოვანი რისკზე დამყარებული ზედამხედველობის განხორციელებამ. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებული ფულის გათეთრების რისკი შეფასდა როგორც საშუალო, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების რისკი როგორც დაბალი.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სექტორი მზარდია. მომსახურების მიწოდება უმეტესად დისტანციური არხებით ხდება. ინტერნეტ გადახდები კი ართულებს ტრანზაქციების გეოგრაფიული არეალის დადგენას. თუმცა, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გამკაცრდა საზედამხედველო მიდგომები, რამაც განაპირობა სექტორის საწყისი რისკების შემცირება და შესაბამისობის კონტროლის სისტემების გაუმჯობესება. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საქმიანობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების რისკი შეფასდა როგორც საშუალო, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების რისკი როგორც საშუალო-დაბალი.

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის მოცულობა მცირეა. სადაზღვევო კომპანიების მიერ საინვესტიციო ხასიათის სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების შეთავაზება დღემდე არ მომხდარა. მათი კლიენტები ძირითადად რეზიდენტი პირები არიან, ხოლო მაღალი რისკის კლიენტების რაოდენობა ძალიან მცირეა. სადაზღვევო სექტორზე ასევე სრულფასოვანი რისკზე დამყარებული ზედამხედველობა ხორციელდება. ფულის გათეთრების მიზნით, სადაზღვევო პროდუქტების გამოყენების ფაქტები არ გამოვლენილა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სადაზღვევო სექტორში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკები შეფასდა როგორც დაბალი.

დასკვნა. მნიშვნელოვანია, რომ საფინანსო ორგანიზაციებს სათანადოდ ჰქონდეთ გაანალიზებული საკუთარი ორგანიზაციის მასშტაბით არსებული ML/TF რისკების შეფასების, მართვისა და კომუნიკაციის ეფექტიანი სისტემის შემუშავებისა და დანერგვის მნიშვნელობა, ვინაიდან სუსტი მმართველობითი მექანიზმების არსებობის პირობებში, პოტენციური ნეგატიური შედეგები საკმაოდ მასშტაბური შეიძლება აღმოჩნდეს ორგანიზაციისთვის და გამოიწვიოს ფინანსური, რეპუტაციული, სამართლებრივი და სხვა ტიპის რისკები, აღნიშნულმა

კი, საბოლოო ჯამში, საფრთხე შეუქმნას ორგანიზაციის გრძელვადიან და სტაბილურ განვითარებას. მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზება და მისი რეალობაზე მორგება.

ეროვნული ბანკის ძალისხმევის შედეგად, ბანკებსა და ძირითად მსხვილ არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში AML/CFT შესაბამისობის ფუნქცია პრიორიტეტულად არის მიჩნეული და მათ აქვთ დახვეწილი AML/CFT შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც მოიცავს სათანადოდ სტრუქტურირებულ შესაბამისობისა და აუდიტის ფუნქციას, ასევე, სასწავლო პროგრამებს.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის ფინანსურ ორგანიზაციებში შიდა მექანიზმებისა და სისტემის FATF-ის რეკომენდაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ეროვნული ბანკი აგრძელებს და მომავალშიც გააგრძელებს აქტიურ მუშაობას რეკომენდაციების შესასრულებლად და საფინანსო სექტორში AML/CFT სტანდარტის შესაბამისობის დონის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, 30 ოქტომბერი 2019 წ.
2. საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში, 2023 წელი.
3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის ანგარიში.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2022.
5. https://nbg.gov.ge/publications/annual-reports
6. https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO_04.05.2022_Annual_Report.pdf
7. https://www.fms.gov.ge/geo/page/monitoring-entities

ფინანსური ბაზრები როგორც ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი წყარო
Financial markets as an important source of economic development

ნინო სამჭკუაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
Nino Samchkuashvili – Georgia National University Seu
Doctor of Economics. Associate Professor
ნინო გრიგალაშვილი - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
Nino Grigalashvili - Sulkhan-Saba Orbelian University
Doctor of Business Administration. Associate Professor

აბსტრაქტი. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საფინანსო სისტემას, რომელიც საშუალებას აძლევს, როგორც მეწარმეების, ასევე სახელმწიფოს, გაანალიზონ და დაგეგმონ, როგორც, კერძოდ, საწარმოს, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ამ ანალიზის პროცესში ნათლად ვლინდება ის მიმართულებები, რომელთა ანალიზიც საშუალებას იძლევა ქვეყნის ეკონომიკის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის. საქართველოს საფინანსო სისტემა და მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი- ფინანსური ბაზრები ჩამოყალიბების სტადიაშია.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ბაზრები, საფინანსო სისტემა, განვითარება

Abstract. For the development of the country's economy, great importance is attached to the financial system, which allows both entrepreneurs and the state to analyze and plan, in particular, the development of the enterprise and the country's economy. In the process of this analysis, the directions are revealed, the analysis of which allows for the development of the country's economy in the right direction. The financial system of Georgia and its main component - financial markets are in the stage of formation.

Keywords: financial markets, financial system, development

საზოგადოდ, ყოველი ფირმა და საწარმო მოქმედებს საფინანსო სისტემის ჩარჩოებში. როცა ფირმა მოახდენს საქონლის ან მომსახურების რეალიზაციას, მაშინ იგი იღებს ან ფულს, ან საფინანსო აქტივს დებიტორული დავალიანების სახით. გარდა ამისა, თავისუფალი კაპიტალი ინვესტირდება საბაზრო ფასიან ქაღალდებში და აღნიშნულ ეტაპზე ხდება უშუალო კონტაქტი საფინანსო ბაზრებთან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების დიდი რაოდენობა იყენებს საფინანსო ბაზრებს სახსრების ინვესტირებისათვის აქტივებში. საბოლოო ანგარიშით, ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასი, საწარმოებისათვის წარმოადგენს მისი მუშაობის წარმატების მაჩვენებელს. სასაქონლო ბაზრები, საწარმოები ერთმანეთთან კონკურენციის დროს განუწყვეტლივ უნდა კონტაქტირებდნენ საფინანსო ბაზრებთან. საფინანსო სისტემა შედგება მთელი რიგი დაწესებულებებისა და ბაზრებისაგან, რომლებიც მომსახურებას უწევენ ფირმებს, მოქალაქეებს და მთავრობას.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ საფინანსო სისტემაში, უნდა განვიხილოთ საფინანსო ბაზრების კლასიფიკაცია. საფინანსო ბაზრების კლასიფიკაცია ეფუძნება ფინანსური ინსტრუმენტებისადმი მიმართვის სხვადასხვა ვადებს. ფულის ბაზარი ჩვაეულებრივ ხასიათდება იმით, რომ ფინანსური აქტივები, რომლითაც მასზე მუშაობენ, მოკლევადიანია, ლიკვიდურია და მას ახასიათებს რისკის დაბალი დონე. ამ ინსტრუმენტების ვაჭრობენ ბაზარზე,

სადაც სახსრების მოძრაობა განისაზღვრება განსაკუთრებული ფასითა და რისკით. ამრიგად, მოკლევადიანი სესხი, რომელიც ეძლევა კომპანიას ბანკის მიერ, არ ითვლება ფულის ბაზრის ინსტრუმენტად. კაპიტალის ბაზარზე ოპერირებენ ინსტრუმენტებით დაფარვის ხანგრძლივი ვადითა და ხშირად მცირე ლიკვიდურობით. დაფარვის საზღვრები, რომლებიც ყოფენ ამ ორი სახის ბაზარს, დგინდება საკმაოდ თავისუფლად (1-დან 5 წლამდე), იმის მიხედვით თუ ვინ ახდენს კლასიფიკაციას.

საკმაოდ რთულ ფულის ბაზარზე ოპერაციებს ახორციელებენ კომერციული ბანკები და ლიდერები, რომლებიც მუშაობენ ფასიან ქაღალდებთან. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების პროცენტული განაკვეთები გამოირჩევიან მნიშვნელოვანი მგრძნობიარობით მოთხოვნისა და წინადადებების განუწყვეტელი ცვლილებების მიმართ. ახალი ინფორმაცია საკმაოდ სწრაფად გადამუშავდება და მის საფუძველზე ხდება ფასის კორექტირება. სახსრების გადარიცხვა გამყიდველიდან მყიდველისათვის ხდება, როგორც წესი, ელექტრონული ქსელების მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს გარიგების სწრაფად გამხორციელება.

ეფექტური ფულის ბაზრები აკმაყოფილებს ქვეყნის ლიკვიდებში მოთხოვნილებას. დიდი რაოდენობის ფასიანი ქაღალდები შესაძლოა სწაფად იქნეს გაცვლილი წინა გარიგების ფასიდან მცირე გადახრით. ექნებათ რა თავის განკარგულებაში ასეთი ლიკვიდები, ფინანსური ორგანიზაციები, კომპანიები და კერძო პირები უფრო ადვილად შესძლებენ თავიანთი აქტივების პორტფელის მართვას და მის დაგეგმვას. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ სახაზინო ვექსილები, მოკლევადიანი კომერციული ვექსილები, გარდამავალი დეპოზიტური სერტიფიკატები. ჩვენ სტატიაში შევეცადეთ განგვეხილა აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები მთლიანად ფინანსური ბაზრების კონტექსტში.

კაპიტალის ბაზრები უფრო ცვალებადია, ვიდერე ფულის ბაზრები, ვინაიდან მათში მოძრავი ფასიანი ქაღალდები, ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება მრავალი მაჩვენებლით. სახაზინო ვექსილები და ობლიგაციების ბაზარი კარგად არის ორგანიზებული, ამიტომ ეს ფასიანი ქაღალდები არიან საკმაოდ ლიკვიდურნი. აშშ-ის ხაზინა წარმოადენს მსოფლიოში ყველაზე დიდ მევალეს, იგი განუწყვეტლივ ახორცელებს გარიგებებს სახსრების მოსაზიდად და არსებული სახსრების რეფინანსირებისათვის. ვინაიდან სახელმწიფო ფასიან ქარალდებზე არგადახდის რისკი ფაქტიურად ნულის ტოლია და ისინი მაღალ ლიკვიდურნი არიან, ამ აქტივების მიხედვით ფასიან ქარალდებზე ხდება ყველაზე მცირე შემოსავლის დარიცხვა, იმ შემოსავლებისა რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. გირაოს ბაზარზე ლიკვიდურობა უფრო დაბალია, ვიდრე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში. კაპიტალის ბაზარის სრულიად სხვა ნაირსახეობას წარმოადგენს მუნიციპალური ფასიანი ქაღლდების ბაზარი. ვინაიდან მუნიციპალური ობლიგაციებიდან შემოსავალი მიიღება შემოსავლის დაბეგვრიდან გამოკლების

გზით, ისინი წარმოადგენენ ინტერესს ძირითადად ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც იხდიან დიდ გადასახადებს და ფირმებისათვის, რომელთა შემოსავლები იბეგრებიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადის მთლიანი განაკვეთით. ამით აიხსნება ის, რომ აღნიშნული სახის ფასიანი ქაღალდების ბაზარი სეგმენტირებულია და მათგან მიღებული შემოსავლები განსხვავდებიან სხვა ინსტრუმენტებით მიღებული შემოსავლებისაგან. მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებზე არგადახდის რისკის ხარისხი სხვადასხვაა და დამოკიდებულია ემიტენტზე.

და ბოლოს, კაპიტალის ბაზრის ბოლო ნაირსახეობას წარმოადგენს კორპორაციული ობლიგაციები. მათგან მიღებული შემოსავლები მთლიანად იბეგრება, ამიტომ მათზე ინტერესს იჩენენ ინვესტორების სხვა კატეგორიები. საზოგადოდ, კორპორაციული ობლუგაციები არასაკმარისად ლიკვიდურნი არიან, ვიდრე სახაზინო და მუნიციპალური ობლიგაციები. ჩვეულებრივი აქციები არის იმის დასაბუთება, რომ თქვენ გეკუთვნით ფირმის ნაწილი და მათზე ფასის ცვლილებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ობლიგაციების ფასის ცვლილებებისაგან. ამრიგად, კაპიტალის ბაზრების მოკლე განხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ მისი ინსტრუმენტები ძალიან განსხვავდება ფულის ბაზრის ფასიანი ქაღალდებისაგან.

ბოლო თხუთმეტი წელი ხასიათდება მნიშვნელოვანი ინოვაციებით ჯერ აშშ-ში, შემდეგ ევროპასა და შორეული აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ამ სიახლეების სია საკმაოდ მნიშვნელოვანია: ობლიგაციები ნულოვანი პროცენტული შემოსავლით, ფულადი ბაზრის პრივილეგირებული აქციები, ოფციონებისა და ფიუჩერსების ბაზრები, კრედიტები გადახდის პროცენტის დადგენილი ჭერით, მულტივალუტური სესხები, გარიგებები სავაჭრო წერტილის ტერმინალში და სხვა. ეს სიახლეები ვრცელდებიან ახალ გაუმჯობესებულ საქონელზე ან პროცესებზე. ინოვაციების წარმოშობა არ ხდება თავისთავად, არამედ აქვს მრავალი მიზეზი, როგორც კონცეპტუალური, ასევე წარმოშობილი გარემო პირობების ცვლილების გამო.

ნებისმიერი ფინანსური სიახლის წარმოშობის მოტივს წარმოადგენს შემოსავალი. ეკონომიკური თვალსაზრისით ნებისმიერი ახალი ფინანსური პროდუქტი ან პროცესი იქნება შემოსავლიანი მხოლოდ მაშინ, როცა იგი ბაზრის ფუნქციონირებას ახდენს უფრო ეფექტიანს ან უნივერსალურს. როგორც ავღნიშნეთ, ფინანსური ბაზრის ამოცანაა- მიემართოს საზოგადეობის დანაზოგი უფრო ეფექტური მიმართულებით. მაგრამ შუამავლობაც მოითხოვს დანახარჯებს. დანახარჯი წარმოადგენს სხვაობას იმ თანხას შორის, რომელსაც იღებს სახსრების ბოლო მფლობელი და რასაც იხდის ბოლო მსესხებელი. ფინანსურ ინოვაციებს შეუძლიათ გახადონ ბაზარი უფრო ეფექტიანი ამ სხვაობის შემცირების თვალთახედვით და ან შეამციროს დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა უხერხულობის აღმოსაფხვრელად. თუ ყოველივე ზემოთ თქმული იქნება მიღწეული, მაშინ შეუამავლობის ღირებულება შემცირდება.

ბაზრის უნივერსალურობა სულ სხვა სახის ცნებაა. უნივერსალურად ითვლება ბაზარი, როცა ინვესტორების მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება განსაზღვრული ლიკვიდური ფასიანი ქაღალდებით. შესაბამისად, არაუნივერსალური ბაზარი- ეს არის რაიმე სახის ინსტრუმენტების არასაკმარისი შეთავაზება ნაწილი ინვესტორებისათვის. თუ ბაზარი არაუნივერსალურია, მაშინ ფირმებსა და საფინანსო ორგანიზაციებს, უნდა გადაუხადონ იმისათვის, რომ მათ შეათავსონ ფასიან ქაღალდებზე წინადადებები ინვესტორების მოთხოვნილებებთან. ასეთი სახით მიიღება ფინანსირების ნაკლები ღირებულება. ინვესტორების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის დაკმაყოფილების მაგალითს წარმოადგენს ობლიგაციების ემისია ნულოვანი საპროცენტო შემოსავლით, რომელიც განხორციელდა აშშ-ში 80-იანი წლების დასაწყისში.

სანამ ბაზრები რჩება შეუვსებელი, კომპანია ან საფინანსო ორგანიზაცია უნდა მართავდეს ინსტრუმენტებს, რომელსაც იგი უშვებს ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გვალია ტ. საპენსიო რეფორმა და კორპორაციული მმართველობა. Forbes. http://forbes.ge/blog/226/- sapensio-reforma-da-korporaciuli-mmarTveloba
2. საქართველოს საფონდო ბირჟის საიტი. http://www.gse.ge/about-gse 5.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/ 6.
4. Marcia Millon Cornett, Anthony Saunders, Financial Markets and Institutions. 2021
5. Stephen Valdez, Philip Molyneux, An introduction of Glocal Financial Markets, 2022

ტექნოლოგიების გავლენა ძირითადი საშუალებების ეფექტურ გამოყენებაზე
The impact of technology on the efficient use of fixed assets

ლია პიტიურიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი
Lia Pitiurishvili - Georgian National University SEU. Professor
ნელი სესაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი
Neli Sesadze - Georgian National University SEU. Professor
ნინელი თევდორაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი
Nineli Tevdorashvili - Georgian National University SEU. Professor

აბსტრაქტი. გასული საუკუნის ბოლოს არსებული წარმოების პროცესიდან ინდუსტრიულ-ინფორმაციულ წარმოებაზე გადასვლისათვის დამახასიათებელია ინფორმაციის დიდი გავლენა, გავრცელება და გამოყენება, ცოდნის ეკონომიკის დანერგვა. ინფორმაციული ტექნოლოგიის აქამდე არნახული წინსვლა დროისა და სივრცის გადალახვის, ძირითადი საშუალებების მაღალი სტანდარტებით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ინფორმაციის გავლენა ძირითადი საშუალებებების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით ფუნქციების სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ. წამყვანი ფუქნცია. დამატებითი ფუნქცია, საშუამავლო ფუნქცია და სტატისტიკური ფუნქცია. კვლავწარმოების პროცესზე ინფორმაციული ფაქტორების გავლენას თავის მხრივ, მოქმედებაში მოჰყავს ფაქტორების მეორე, ტექნოლოგიური ჯგუფი, რაც გამოხატულებას პოულობს ძირითადი საშუალებების სტრუქტურისა და შემადგენლობის ცვლილებაში, ასევე მის ასაკობრივ, ხარისხობრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ხასიათში. ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების შეცვლა უნდა ხდებოდეს ეკოლოგიური ნორმების დაცვითა და გათვალისწინებით, ანუ მას უნდა მოყვეს დადებითი ეკოლოგიური ეფექტი. ტექნიკის ხარისხი და ეფექტიანობა პირველ რიგში, ასოცირებული უნდა იყოს ეკოლოგიასთან ,,მოკლე მოგების" მიღების საწინააღმდეგოდ. ამიტომ, მომავალში წარმოების პროცესში ეკოლოგიური პრიორიტეტის დაყენება მოგების ნორმაზე უფრო მაღლა, ერთ-ერთი მთავარი პრაქტიკული ამოცანა იქნება ძირითადი საშუალებების განახლების სტრატეგიაში. იმ ფაქტორების განხილვიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამედროვე ძირითადი საშუალებების გენეზისსა და კვლავწარმოებაზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯერ ერთი, მათი გავლენა წარმოების საერთო პროცესზე სულ უფრო მზარდია. მეორე - ამ ფაქტორების ზემოქმედებით ფულადი საშუალებები ისე უნდა დაბანდდეს, რომ უზრუნველყოფილი იყოს ძირითადი საშუალებების კვლავწარმოება ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე, ტექნიკისა და ტექნოლოგიის თაობათა ცვლით. მესამე, ძირითადი საშუალების ინოვაციური განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული როგორც ძირითადი საშუალებებში ინვესტირების, ისე მსოფლიო გლობალურ პრობლემასთან.

საკვანძო სიტყვები: ძირითადი საშუალება, ინოვაცია, ეფექტიანობა, კვლავწარმოება, ტექნოლოგია, ეკოლოგია, ინფორმაცია.

Abstract. Process of transformation from existing production at the end of last century to industrial - informational production is characterized by huge influence, use and expanding of information, inculcation of economic knowledge, progress of informational technologies which give great opportunity for main facilities application in high standards. Informational influence according to its efficiency can be classified in the following way: leading function, additional function,brokerage function and statistic function. Influence of informational factors on reproduction process activate another group of factors-technological group which is reflected in changes of the main facilities structure,its age, quality, social and economical character. Physically and morally worn main facilities should be changed with taking into view ecological norms, in other words, it should have positive ecological effects. Quality and efficiency of technology firstly should be associated with opposite of ecological "short income". That"s why, in future, in production process, economical priorities on profit norms will be the main practical task in strategy of main facilities renovation. Discussing all the factors having influence on main facilities reproduction, it should be concluded: first-their influence in the process of production is growing, second-taking into view all factors financial resources should be invested so that it should provide main facilities' reproduction based on new technologies. And the third-innovated development of main facilities is directly connected with investments as well as with the world global problems.

Link words: innovation, efficiency, main facilities, reproduction, technology, ecology, investment

თანამედროვე პირობებში ფირმის (საწარმოს) სამეურნეო საქმიანობა შეიძლება დავახასიათოდ, როგორც ტრადიციულიდან (ინდუსტრიულიდან) ინფორმაციულ, ანუ ინდუსტრიულ-ინფორმაციულ წარმოებაზე გადასვლის პროცესი. ამ პროცესისათვის დამახასიათებელია განათლების მნიშვნელობის სწრაფი ზრდა, ინფორმაციის გასაოცარი გავრცელება და გამოყენება, ცოდნის ეკონომიკის დანერგვა.

ინფორმაციული ტექნოლოგიის აქამდე არნახული წინსვლა დროისა და სივრცის გადალახვის, განვითარების პროცესის მაღალი ეფექტურობით დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა. დღეს შეგვიძლია უსწრაფესად გადავცეთ ეკონომიკური ინფორმაცია დედამიწის ნებისმიერ ადგილას და ასევე მთელი მსოფლიოდან სწრაფად მივიღოთ უახლესი ინფორმაცია. ცხადია, ეს გარემოება დადებითად მოქმედებს ძირითადი საშუალებების გამოყენებასა და ზოგადად, საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე.(4)

ამასთან დაკავშირებით ქვეყნის ეკონომიკაზე ინფორმაციის გავლენის დადგენის ორი მიმართულება არსებობს. პირველის მიხედვით, ინფორმაცია განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ელემენტი, როგორც ერთ-ერთი საკვანძო, უმნიშვნელოვანესი რესურსი. მეორე მიმართულებით კი, ინფორმაცია წარმოადგენს საწარმოო პოტენციალის სხვა ელემენტების არსებით შემადგენელ ნაწილს. სინამდვილეში საწარმოო პოტენციალის ყოველი ელემენტიდან შეგვიძლია გამოვყოთ ინფორმაციული შემადგენელი.

მიკროელექტრონული და კომპიუტერული მრეწველობა, რომლებიც თანამედროვე პირობებში ინფორმაციული სივრცის განვითარების ბაზას შეადგენენ, გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაზე, ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებაზე, საზოგადოების განათლებაზე, მისი დადებითი ცვლილებების მოხდენის მიმართულებით. მსგავსი ანალოგი ისტორიაში არ მოიძებნება. დღეს მრეწველობის ეს დარგები ყველაზე მძლავრი და მეცნიერებატევადია, ხოლო მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ბაზარი თითქმის უკვე ბუნებრივი რესურსების ბაზარს უტოლდება.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ძირითადი საშუალების მწარმოებლურობა სხვა არაფერია, თუ არა მასში განივთებული ინფორმაცია. ინფორმაციის გავლენა ძირითად საშუალებებზე მათი ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით, ფუნქციების სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ. (2)

- წამყვანი ფუქნცია. ინფორმაცია ამ ფუნქციას მაშინ ასრულებს, როცა ის შრომის საგნის სახით გამოდის; შესაბამისად, ამ დროს ის წარმოგვიდგება ასევე შრომის საშუალების სახითაც; ანუ როდესაც ძირითად საშუალებად (შრომის საშუალებად) გვევლინება გამოთვლითი ტექნიკა;

- დამატებითი ფუნქცია. ამ შემთხვევაში ინფორმაცია არ გვევლინება ძირითად პროდუქტად და შრომის საგნად, არამედ წარმოების პროცესში ის გამოდის ან თანმხლებ საქონლად ან

თანმხლებ ელემენტად. მოცემულ შემთხვევაში გამოთვლითი ტექნიკა აღარ გვევლინება ძირითად საშუალებად და მისი როლი გამოიხატება ინფორმაციული შემადგენლის დამუშავებით;

- საშუამავლო ფუნქცია. ამ შემთხვევაში ინფორმაციამ უნდა უზრუნველყოს ძირითად საშუალებასა და ადამიანს შორის ურთიერთკავშირი. ძირითად საშუალებათა ტექნიკური სირთულის ამაღლება ზრდის ასევე მათ ინფორმაციულ ტევადობას, რაც შემდგომში ცვლის ძირითადი საშუალებების სტრუქტურასა და შემადგენლობას. ეს კი, თავის მხრივ, ართულებს შრომის იარაღსა და სამუშაო ძალას შორის ურთიერთობას. ამ შემთხვევაში ინფორმაციის როლი იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად ოპტიმიზირებული სახე მისცეს და გაამარტიოს ადამიანის კონტაქტი ძირითად საშუალებასთან.

- სტატისტიკური ფუნქცია. თანამედროვე პირობებში წარმოების პროსესში რთული ტექნიკის გამოჩენა სერიოზულად მოითხოვს საწარმოში სისტემატური მონიტორინგის ჩატარებას. ეს განსაკუთრებით საჭიროა ტექნიკის თავისდროული და ხარისხიანი განახლებისათვის, მოწყობილობების მუშაობის ოპტიმიზაციის კომპლექსური-მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისათვის;

კვლავწარმოების პროცესზე ინფორმაციული ფაქტორების გავლენას თავის მხრივ, მოქმედებაში მოჰყავს ფაქტორების მეორე, ტექნოლოგიური ჯგუფი, რაც გამოხატულებას პოულობს ძირითადი საშუალებების სტრუქტურისა და შემადგენლობის ცვლილებაში, ასევე მის ასაკობრივ, ხარისხობრივ, სოციალურსა და ეკონომიკურ ხასიათში.(1)

ძირითადი საშუალებების კვლავწარმოებაში ტექნოლოგიური ძვრები განვითარებულ ქვეყნებში დაჩქარებულად ავითარებს ინოვაციურ ეკონომიკას. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვნი ნაწილი მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური პროდუქციით შეივსოს. ამ მიმართულებით მსოფლიო ლიდერია შეერთებული შტატები, რომლის წილადაც მოდის ამ პროდუქციის 48%, იაპონია - 30%, გერმანია - 16%.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მათ შორის, საქართველოში, ეს მაჩვენებელი უაღრესად დაბალია და 1-2% ფარგლებში მერყეობს. (3)

ტექნოლოგიური პროგრესი ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პირობებში ჯერ ერთი, ხორციელდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე, თუნდაც 30-40 წლის წინათ, მეორე, ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე მოქმედებს გაცილებით მეტად და უფრო მნიშვნელოვნად. ამიტომ, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ეკოლოგიური ფაქტორი, რომლის ზემოქმედება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერმა ეკონომიკურმა სისტემამ და ისე დაგეგმოს წარმოების პროცესი, რომ გარემოს რაც შეიძლება, ნაკლები ზიანი მიადგეს.

საზოგადოების განვითარების ინფორმაციული მოდელი, სხვა ყველაფერთან ერთად, ითვალისწინებს მყარი ეკოლოგიური წონასწორობის შექმნასა და დაცვას. ამიტომ, ძირითადი საშუალებების სისტემის შემდგომი ევოლუცია უნდა ეყრდნობოდეს უნარჩენო, ენერგო და მასალადაზოგვით ტექნოლოგიის დანერგვას, რამდენადაც უახლოეს ათწლეულებში ბუნების დაცვა კაცობრიობის გადარჩენის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად გვევლინება.

მეცნიერი-ეკოლოგების კვლევების თანახმად, ბიოსფეროს დანაგვიანების კრიტიკული წერტილი მსოფლიოში უკვე დიდი ხნის წინ გადაილახა. ბუნების დანაგვიანების ნორმა დასაშვებს ათჯერ და მეტჯერ აღემატება. ბუნებრივი კომპლექსის მდგრადობის შესანარჩუნებლად ყოველი ქვეყანა თავისი ეროვნული შემოსავლის ნახევარს მაინც უნდა ხარჯავდეს. ახლა კი ამ მიზნით 5-7%-ზე მეტი არ იხარჯება. ზოგიერთ ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოში კი არც ამდენი.

ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების შეცვლა უნდა ხდებოდეს ეკოლოგიური ნორმების დაცვით, ანუ მას უნდა მოყვებოდეს დადებითი ეკოლოგიური ეფექტი. ამრიგად, ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედება ძირითადი საშუალებების ევოლუციაზე, ჯერ ერთი, უნდა მიმდინარეობდეს ზრდადი ტრაექტორიით, რამდენადაც ბუნების დანაგვიანებასთან დაკავშირებული საკითხები, ცხადია, მომავალში სულ უფრო და უფრო აქტუალური იქნება და მეორეც, ეკოლოგიური შემადგენლის ,,წონა" საწარმოო აპარატის კომპლექსური განახლების მიზნობრივ პროგრამებში გაიზრდება. (2)

საბოლოო ჯამში, პლანეტის მოსახლეობის მოჭარბებული ზრდა და მსოფლიოში ორი ეკოლოგიური პრობლემის - სად მოვიპოვოთ ბუნებრივი რესურსები და როგორ მოვიშოროთ თავიდან მისი გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები. გაღრმავება შეცვლის მოხმარების დონის უზომო ზრდის თანამედროვე ეკონომიკურ პარადიგმას ,,გონივრული მოხმარების" კონცეფციით ან უბრალოდ, გადარჩენითაც კი.

ტექნიკის ხარისხი და ეფექტიანობა პირველ რიგში, ასოცირებული უნდა იყოს მის ეკოლოგიურობასთან ,,მოკლე მოგების" მიღების საწინააღმდეგოდ. ამიტომ, მომავალში წარმოების პროცესში ეკოლოგიური პრიორიტეტის დაყენება მოგების ნორმაზე უფრო მაღლა, ერთ-ერთი მთავარი პრაქტიკული ამოცანა იქნება ძირითადი საშუალებების (ფონდის) განახლების სტრატეგიაში.

იმ უმთავრესი ფაქტორების განხილვა, რომლებიც განსაზღვრავენ ძირითადი საშუალებების თანამედროვე გენეზისს, პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენენ ფაქტორთა კიდევ ერთ ჯგუფზე - კერძოდ, სოციალურ ფაქტორებზე. ძირითადი საშუალებების კვლავწარმოება, რომელიც ხორციელდება იმ ტექნიკის ბაზაზე, რომელიც ფლობს არამხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ხარისხსაც, და პასუხობს სამუშაო ძალის წარმოდგენას ნორმალურ შრომაზე,

უზრუნველყოფს მათი შრომითი შესაძლებლობების ყველაზე დიდ რეალიზაციას და, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება შრომის შედეგებზე.

საწარმოს ფუნქციონირების სტრატეგიის შემუშავებისას, რათა თავიდან ავიცილოთ ძირითადი საშუალებების განახლების უარყოფითი შედეგები, აუცილებელია დაიგეგმოს ტექნიკის სოციალური დაძველების ტემპები და სოციალური შედეგები. (4)

ძირითადი საშუალებების სოციალური ხასიათის მოძრაობა ყველაზე ნათლად განისაზღვრება ორი მიმართულებით: საკუთრების ცვლილება და საწარმოს ტიპოლოგიური ცვლილება მასში დასაქმებულთა აზრით და სამეურნეო ბრუნვის მოცულობით. რაც შეეხება საკუთრების ცვლილებას, აქ ძირითად ხაზს წარმოადგენს ის, თუ ქვეყანაში საკუთრების რა ფორმა არის უფრო დომინანტური.

ძირითადი საშუალებების განახლების პრაქტიკა სოციალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად, ხშირად იმის მიზეზი ხდება, რომ პოტენციალური ეკონომიკური ეფექტი სრულად ვერ რეალიზდება: წარმოიშვება ,,ვიწრო ადგილები", შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შრომითი რესურსების ტექნიკით უკმაყოფილებას, იზრდება კადრების დენადობა, ადგილი აქვს შეცდომებს მუშაობის დროს, ქვეითდება შემოქმედებითობის დონე, ინიციატივა და ა.შ. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, იწვევს გრძელვადიანი მოგების შემცირებას, რომელსაც მეწარმე იღებს ,,მოკლე" მოგების მსხვერპლად გაღებით.

ფაქტორების იმ ძირითადი ჯგუფის განხილვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამედროვე ძირითადი საშუალებების გენეზისსა და კვლავწარმოებაზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯერ ერთი, ეს ფაქტორები ურთიერთზემოქმედებენ და შემდგომში მათი გავლენა წარმოების საერთო პროცესზე სულ უფრო ურთიერთზემოქმედი იქნება. მეორე: იმისათვის, რომ ამ ფაქტორების ზემოქმედება ეკონომიკასა და საზოგადოებაზე დადებითი და ეფექტიანი იყოს, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს მათ პრაქტიკულ რეალიზაციას ინოვაციური მიმართულებით, რომელიც გულისხმობს სახსრების ისეთ დაბანდებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ძირითადი საშუალებების კვლავწარმოება ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე, ტექნიკისა და ტექნოლოგიის თაობათა ცვლით. მესამე, ძირითადი საშუალების ინოვაციური განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული როგორც ძირითადი საშუალებებში ინვესტირების, ისე მსოფლიო გლობალურ პრობლემასთან.

ბიბლიოგრაფია

1. კვატაშიძე ნ. ხორავა ა. გოგრიჭიანი ზ. - ფინანსური ანგარიშგება, თბ 2017
2. ჭილაძე ი. - ფინანსური ანალიზი, თბ. 2011
3. https://www.ifrsbox.com/
4. http://b2p.ge/10-inovazia-romlebic-samyaros-amoatrialeben-2020-wlistvis/

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოდელები ფინანსური გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე

Monetary and credit policy models in the modern stage of financial globalization

თამარი კვინიკაძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
საბანკო საქმის მაგისტრი
kvinikadzetako@mail.ru
Tamari Kvinikadze
Georgian National University SEU
Master of Banking
kvinikadzetako@mail.ru

რეზიუმე. როგორც არსებული კვლევების ანალიზმა აჩვენა, ფულისა და კრედიტის თეორია საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვითარდებოდა. ფულად-საკრედიტო სფეროს ანალიზის პირველი ოფიციალური თეორიული ვერსია ფულის კლასიკური თეორია გახდა, რომლის ძირითადი დებულებები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში სალამანკის სკოლის წარმომადგენლების შრომებშია შეტანილი და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დ. იუმას ნაშრომებში იქნა განვითარებული. ფულისა და კრედიტის შესწავლისას, ეკონომიკური აზრის განვითარების პროცესი თვით ფულად-საკრედიტო სისტემის ცვლილებას უკავშირდებოდა და იძულებული იყო უკვე შეცვლილი კვლევის ობიექტზე მოეხდინა რეაგირება. შეიძლება დავასახელოთ ფულად-საკრედიტო სფეროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ძვრა: ცენტრალური ბანკების შექმნა, როგორც მარეგულირებელი ორგანო, სასაქონლოდან დეკრეტირებულ ფულზე გადასვლა და სხვები. განვითარების მიუხედავად, ფულისა და კრედიტის თეორიის მთელი რიგი დებულებანი, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების XVII- XIX საუკუნეში მცხოვრებ კლასიკოსებს ეკუთვნის, ჯერ კიდევ აქტიურად გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფულად-საკრედიტო სისტემებისთვის.

საკვანძ სიტყვები: საკრედიტო სისტემა, მონეტარული პოლიტიკა, ფინანსური გლობალიზაცია, კაპიტალი, ვალუტა.

Resume. As the analysis of existing studies showed, the theory of money and credit was developed for a long time. The first official theoretical version of the analysis of the monetary and credit sphere became the classical theory of money, the main provisions of which were included in the works of representatives of the Salamanca school in the 16th century, and in the second half of the 18th century D. It was developed in the works of Yuma. During the study of money and credit, the process of development of economic thought was related to the change of the monetary and credit system itself, and it was forced to respond to the already changed object of research. We can name several important changes in the monetary and credit sphere: the creation of central banks as a regulatory body, the transition from commodity money to fictitious money, and others. Despite the development, a number of provisions of the theory of money and credit, which belong to the classics of economic science living in the 17th-19th centuries, are still actively used in the conditions of the market economy, for monetary and credit systems.

Key words: credit system, monetary policy, financial globalization, capital, currency.

ეკონომიკურ სისტემაში მომხდარი ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილება მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გახდა. ამ სახელმძღვანელოს დასაწყისში ჩვენ ვისაუბრეთ, განგვეხილა, თუ რა ცვლილებები შეაქვს გლობალიზაციას ეროვნული ფულად-საკრედიტო სფეროს ფუნქციონირებში, როგორ მოქმედებს ცენტრალური ბანკის საქმიანობაზე რეგულირებასთან დაკავშირებით და რამდენადაა ეს ცვლილებები ასახული ეკონომიკური აზრის სხვადასხვა სკოლისთვის დამახასიათებელ თეორიულ კვლევებში.

ფინანსური გლობალიზაციის მრავალი განმარტება არსებობს. იაპონელი მეცნიერები კ. ოკინა (K. Okina), მ. შირაკავა (M. Shirakawa) და შ შირასტუკა (S. Shiratsuka), განასხვავებენ ცნებებს

„გლობალიზაციას“ და „ინტერნაციონალიზაციას“ და აღნიშნავენ, რომ ტერმინი „ინტერნაციონალიზაცია“ მათი აზრით, განსაზღვრავს სიტუაციას, როდესაც მსოფლიო მასშტაბით, საგარეო ეკონომიკური გარიგებების მოცულობები იზრდება, ხოლო „გლობალიზაცია“ ნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც თითოეული ეროვნული ეკონომიკა, (მის ფინანსური ბაზრის ჩართვით) ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნისაკენ მიისწრაფის. მ. გუდმუნდსონი (M. Gudmundsson) საუბრობს არა ერთიანი, არამედ ინტეგრირებული ფინანსური ბაზრის შესახებ (ტერმინს „ფინანსური ინტეგრაცია“ იყენებს, როგორც ფინანსური გლობალიზაციის სინონიმს). მთლიანად ინტეგრირებული ბაზარი, მისი ინტერპრეტაციით, არის ისეთი ბაზარი, რომელზეც ეკონომიკური აგენტები წესების ერთიან ნაკრებს იყენებენ, ბაზრისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა გააჩნიათ და როგორც თანასწორნი, ისე განიხილებიან. გუდმუნდსონი ამბობს, რომ ფინანსური ინტეგრაციისას ერთიანი ფასის კანონი მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ განმარტებაში შეფარვით მოჩანს ინტეგრირებული ბაზრის ერთიანი რეგულირება (ერთიანი წესების შესახებსაუბრიდან გამომდინარე), რომელიც პრაქტიკაში შეიძლება მხოლოდ შორეულ მომავალში იქნას მიღწეული.რაც შეეხება ერთიანი ფასის კანონს, მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე აქტივების ფასების დაახლოვების მიუხედავად, მკვლევარები მასთან დაკავშირებულ რისკებს მაინც არც განიხილავენ, ვინაიდან, ფინანსური გლობალიზაცია ეროვნული პოლიტიკური სისტემებისა და ეკონომიკის ეროვნული რეგულირების გაუქმებას არ ითვალისწინებს.

ფინანსური გლობალიზაცია მსოფლიო ფინანსური ბაზრების მეშვეობით კაპიტალის გადინების მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება. მაგალითად, მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის საშუალო დღიური მოცულობა 1992 წელს არსებული 820 მლრდი დოლარიდან 2007 წელს 13210 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების საერთო მოცულობა კი 1994 წლის ბოლოს არსებული 2441 მლრდ დოლარიდან 2008 წლის ბოლოსათვის 22030 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა კაპიტალის ტრანსეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების ლიბერალიზაცია. თეორიაში ამის შედეგი კაპიტალის სრული მობილობაა, რომელიც ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთების გათანაბრებას იწვევს. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში კაპიტალზე ტრანსეროვნულ ოპერაციებთან დაკავშირებული შეზღუდვების თანდათანობითი მოხსნა 1960-90-იან წლებში ხდებოდა. ეს, პერიოდულად წარმოქმნილი კრიზისების გამო, ზოგჯერ შექცევად ხასიათს ატარებდა. მათ შორის კი ყველაზე მნიშვენლოვანი ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის დაშლა გახდა 1970-იანი წლების დასაწყისში. მაგალითად, ევროპის ქვეყნებიდან გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან დაკავშირებული

ყველაზე მეტი შეზღუდვა 1970-იანი წლების ბოლოსათვის მოხსნეს, ხოლო ევროპის რომანულმა ქვეყნებმა (საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია) კი - 1980-იანი წლების განმავლობაში. ამასთან, კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების ლიბერალიზაციამ ევროპული ინტეგრაციის პროცესს, კერძოდ კი, 1990-იან წლებში საერთო ბაზრის ჩამოყალიბების აუცილებლობას შეუწყო ხელი, რომელიც, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრ-ქვეყნებს შორის კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას ითვალისწინებდა.

თუმცა, კაპიტალის ტრანსეროვნულ მოძრაობაზე ფორმალური შეზღუდვების მოხსნის მიუხედავად, შენარჩუნებულია ბარიერები, რომლებიც კაპიტალის ეროვნულ ბაზრებს აღირებენ და კაპიტალის ერთიანი მსოფლიო ბაზრის საბოლოო ჩამოყალიბების შესახებ საუბრის შესაძლებლობას არ იძლევიან. ამას მოწმობს ორი, ე. წ, „გლობალიზაციის გამოცანა“: „საშინაო გადანაცვლების“ (home-bias) ეფექტისა და „ფელდსტაინ-ხორიოკის პარადოქსის“ არსებობა.

„საშინაო გადანაცვლების“ ეფექტი უკავშირდება განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები ინვესტორების პორტფელებში კაპიტალის შიდა, აქტივების მხარეს გადანაცვლების ტენდენციას. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ ეფექტს ასე განმარტავენ: ესაა მკვეთრი ბარიერი საერთაშორისო ინვესტორებისათვის; დაზღვევა; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ქცევა. თუმცა „საშინაო გადანაცვლების“ „გამოცანა“ ლიტერატურაში საკმაოდ ადრეულ პერიოდშიც იყო აღწერილი და მისი მოქმედება დღესაც არის შენაჩუნებული. ბ. ქსო (B. Xo), რ. შტულცი (R. Stulz) და ფ. უორნოკი (F. Warnock) „ საშინაო გადანაცვლების“ ეფექტის მდგრადობის მიზეზად კომპანიების მნიშვნელოვან წილის ინსაიდერების მიერ ფლობას ასახელებენ. მათი აზრით, „საშინაო გადანაცვლება“ უნდა იქნას შეფასებული არა პორტფელური ინვესტორების ოპტიმალური შერჩევის მოდელის მეშვეობით (აღნიშნული მოდელით შეფასება რეალურისგან შორსაა), არამედ ოპტიმალური ინსაიდერული საკუთრების თეორიის მეშვეობით (აღნიშნული საკუთრების ფაქტიური დონე „საშინაო გადანაცვლების“ ზღვრის დამდგენი იქნება).

„ფელდსტაინ-ხორიოკის პარადოქსი“ ითვალისწინებს, რომ მსოფლიო ფინანსური ბაზრების სრული ინტეგრაციისას, შეიძლება, დანაზოგები ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე იქნას განთავსებული აქტივების შეთავაზებული შემოსავლიანობიდან გამომდინარე. მაგრამ, ასეთ დროს, არ უნდა არსებობდეს ერთი ქვეყნის შიგნით ეროვნულ დანაზოგებსა და ეროვნულ ინვესტიციებს შორის კორელაციები. თუმცა, მ. ფელდსტაინისა და ჩ. ხორიოკის ნაშრომიდან „შიდა დანაზოგები და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები“ ვიგებთ (ნაშრომი გამოიცა 1980 წელს, ანუ პერიოდში, როდესაც ფინანსური ბაზრების მთლიანი ინტეგრაციის შესახებ საუბრის გამართვა რეალურად ნაადრევი იყო), რომ პრაქტიკაში მსგავსი კორელაცია შეიმჩნევა და თან საკმაოდ მაღალი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროიდან განვითარებულ ქვეყნებს შორის

კაპიტალის მობილობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, შიდა დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის კორელაცია მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირდა.

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი თავმჯდომარე ა. გრინსპენი ფინანსური გლობალიზაციის პროცესის დამამთავრებელ სტადიას ასე ახასიათებს: ფინანსურ რისკებს მთლიანად საკუთარ თავზე ისინი აიღებენ, ვისაც რიკის მადა შედარებით მაღალი აქვს; დანაზოგების შენახვა ეროვნული ბაზრებზე თანდათანობით მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ხოლო ეროვნულ ბაზრებს შორის არბიტრაჟის შესაძლებლობა გაქრება. მიუხედავად ამისა, იგი ადასტურებს ისეთი ფაქტორების არსებობას, რომლებიც ფინანსური გლობალიზაციის განვითარებას ამუხრუჭებენ, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

თუ ვივარაუდებთ, რომ ფინანსურ გლობალიზაციას კაპიტალის სრული მობილობისაკენ

მივყავართ, მაშინ, ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებული წარმოდგენის შესაბამისად (მანდელ-ფლემინგის მოდელის ზომიერი გათვალისწინებით), „ფულის ხელისუფალნი“ აღმოჩნდებიან არჩევანის წინაშე: ან უნდა განახორციელონ დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მაგრამ მოუწევთ სავალუტო კურსის რეგულირებაზე თქვან უარი, ანდა ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმი გამოიყენონ, დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ამ დებულებას იცნობენ ე.წ. „შეუძლებელი სამების“ („impossible trinity“) სახელწოდებით: ეკონომიკაში შეუძლებელია ერთდროულად არსებობდეს - ფიქსირებული სავალუტო კურსი, კაპიტალის სრული მობილობა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც შიდა მიზნებზე იქნება ორიენტირებული. მაგრამ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკისათვის ფინანსური გლობალიზაციის თანამდევი გამოწვევები მხოლოდ ამ სამი არჩევანით როდია შეზღუდული. შესაძლებლობები განხილულია მრავალი მეცნიერის ნაშრომში, განსაკუთრებით მასში, რომელიც ეკონომიკური აზრის ორთოდოქსულ მიმართულებას არ განეკუთვნება. წინამდებარე სახელმძღვანელო ითვალისწინებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე ფინანსური გლობალიზაციით განპირობებული ახალი გამოწვევების თვალსაჩინო ზემოქმედების სხვადასხვა თეორიული მიდგომის მაქსიმალურად ფართო სპექტრის გაანალიზებას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოდელები ღია ეკონომიკისათვის. ღია ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებისათვის უკვე ტრადიციული გახდა მანდელ-ფლემინგის მოდელის გამოყენება, რომელიც, თავისი არსით, ღია ეკონომიკისათვის ნეოკლასიკური სინთეზის LS-LM მოდელის გაფართოებულ ვერსიას წარმოადგენს და იგი პრაქტიკულად მაკროეკონომიკასთან მიმართებაში ყველა სახელმძღვანელოშია განხილული. აღნიშნულ მოდელში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობა სავალუტო კურსის არჩეულ რეჟიმზეა დამოკიდებული.

მოდელის ერთ-ერთ საკვანძო მოცემულობას მცირე, ღია ეკონომიკის შესახებ წინაპირობა წარმოადგენს, რომლისათვის პროცენტის შიდა განაკვეთი ემთხვევა მსოფლიო განაკვეთს. ასევე, დაშვებულია, ქვეყნებს შორის კაპიტალის სრული მობილობის შესახებ კიდევ ერთი წინაპირობა: სწორედ კაპიტალის ნაკადები, რომლებიც პროცენტის შიდა განაკვეთის ცვლილების კვალდაკვალ ქვეყანაში შემოედინებიან, ან ქვეყნიდან გაედინებიან, ზემოხსნებული საპროცენტო განაკვეთების ტოლობის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული წინაპირობების დაშვებით მოდელი იძლევა ცნობილი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ სავალუტო კურსის მცურავი რეჟიმის დროს ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეფექტურია (რეალურ ეროვნულ შემოსავალზე ზემოქმედების გათვალისწინებით), საბიუჯეტო-საგადასახადო ან საგარეო-სავაჭრო პოლიტიკისაგან განსხვავებით, მაშინ, როცა ფიქსირებული სავალუტო კურსის დროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მთლიანად არაეფექტურია, ხოლო შემოსავლის დონეზე მხოლოდ საბიუჯეტო-საგადასახადო და საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა ახდენს გავლენას. და ვინაიდან, ეკონომიკაზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედების მექანიზმი, უმთავრესად, სავალუტო კურსზე ამ პოლიტიკის გავლენითაა განპირობებული, საპროცენტო განაკვეთზე ზემოქმედება შეუძლებელი ხდება, რადგან მას უკვე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები განსაზღვრავენ.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმის მოდელში

ეფექტური მხოლოდ დევალვაციის ან რევალვაციის დროს შეიძლება გახდეს. მაგრამ აღნიშნული ეფექტი იქნება დროებითი, რადგან შემდგომში ქვეყნებს შორის ფასების დონეთა გათანაბრებას განაპირობებს, ხოლო ფიქსირებული კურსის ხშირი გადახედვა ფულის მართვის პოლიტიკისადმი ნდობის დასუსტებას გამოწვევს.

მანდელ-ფლემინგის თეორიის თვალსაჩინო გამონაკლისს დიდი ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნის მოდელი წარმოადგენს, რომელმაც თავად შეიძლება მოახდინოს გავლენა მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე. ასეთი ეკონომიკის კლასიკურ მაგალითს ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა გამოშვებაზე დახურულსა და მცირე ღია ეკონომიკის შემთხვევებს შორის შუალედური აღმოჩნდება.

მანდელ-ფლემინგის თეორია არ ითვალისწინებს, ასევე, თავისუფალ, მცურავ და ფიქსირებულ სავალუტო კურსებს შორის მოქცეული რეჟიმების ფართო სპექტრს. მაგალითად: მართვადი მცურავი სავალუტო კურსის სახეს, ე. წ. „რბილ ბმას“ (რომელსაც მიეკუთვნება „მცოცავი ბმა“, ჰორიზონტალური და დახრილი საზღვრების მქონე სავალუტო დერეფანი და სხვ). „რბილი ბმის“ გამოყენების შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ავტონომიურობა შეზღუდულია, ფიქსირებულ სავალუტო კურსთან შედარებით.

ცალკე საკითხია, თუ როგორ განისაზღვრება მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი. თეორიულად იგი შეიძლება ქვეყნების ჯგუფების, მათი ცენტრალური ბანკების, ან მსოფლიო სავალუტო სისტემის უმსხვილესი ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე იქნას დადგენილი. ნათელია, რომ თანამედროვე რეალობა მეორე ვარიანტით არის განსაზღვრული.

სიღრმისეულად, ფულად-საკრედიტო რეგულირების გავლენა, ღია ეკონომიკის პირობებში, საგადახდო ბალანსის მონეტარულ ჭრილში გაანალიზებით შეისწავლება. მისი განვითარება ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, დამოუკიდებელი მიმართულების მიხედვით მოხდა: რ. კანისა, ჯ. კეინსის (თუმცა, საგადახდო ბალანსის მულტიპლიკატორზე მონეტარული ფაქტორების გავლენის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ჟ. პოლაკმა შეასრულა) და გ. ჯონსონის (ხაზგასმულია ანტიკეინსიანური და მონეტარული მიდგომა) მიერ აღნიშნული მიმართულებების გაგრძელებით. საინტერესოა, რომ კეინსიანური მოდელი ვითარდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევით დეპატამენტში, ხოლო გ. ჯონსონის კვლევები ჩიკაგოს უნივერსიტეტში ხორციელდებოდა. მასში, შედარებით მოგვიანებით, გამოქვეყნებული ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი რ. მანდელმაც შეიტანა (1960-იანი წლების შუა პერიოდიდან).

სავალუტო კურსის სხვადასხვა რეჟიმისას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესაძლებლობების შესახებ განხილვისას, მ. დევერესი (M. Devereux) და ჩ. ენგელი (C. Engel) საკმაოდ მოულოდნელ დასკვნებამდე მივიდნენ. მ. ოსტფელდისა (M. Ostfeld) და კ. როგოფის (K. Rogoff) ნაშრომის საფუძველზე. მათ ორი ქვეყნისა და ხისტი ფასების საერთო წონასწორობის სტოხასტიკური, ოპტიმიზაციური მოდელი შეიმუშავეს. კრიტერიუმის სახით, მომხმარებლებლების კეთილდღეობა გამოიყენეს და ოპტიმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრეს. მოდელის შედეგი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ვალუტაში დადგინდებოდა ფასები. ერთერთ ვარიანტში - ფასები დგინდებოდა მწარმოებლის ვალუტაში (producer-currency pricing, PCP). შედეგად, სავალუტო კურსის ცვლილებისას, იმპორტირებადი საქონლის ფასები იმავე სიდიდეზე იცვლებოდა. მაგრამ მათ შეიმუშავეს მეორე ვარიანტიც (ავტორების მოსაზრებებით, იგი უფრო მეტად შეესაბამებოდა ემპირიულ მონაცემებს), სადაც: ფასები დგინდებოდა მომხმარებლების ვალუტაში (local-currency pricing, lCP). მ. დევერეს და ჩ. ენგელის ნაშრომის საბოლოო დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ფასების მომხმარებლის ვალუტაში დადგენის შემთხვევაში ოპტიმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რეალურ შოკებზე საპასუხოდ, ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმთან სრულად თანხვედრია. აღნიშნული დასკვნა ერთობ საყურადღებოა, ვინაიდან ის, ფაქტიურად უარყოფს მანდელ-ფლემინგის მოდელის დასკვნებს.

მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ ცვალებად პირობებზე, რომლებიც ქვეყნებს შორის კაპიტალის მობილობის ზრდასთან არის დაკავშირებული, მონეტარიზმმაც მოახდინა გავლენა. ხოლო მასთან დაკავშირებულმა მიმართულებამ „გლობალური მონეტარიზმის“ სახელწოდება მიიღო. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ მოკლევადიან პერიოდში, მცურავი სავალუტო კურსის პირობებში, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამოუკიდებლობის დონე რეალურად იზრდება, მაგრამ, აქვე, ეკონომიკურ აქტივობაზე ცენტრალური ბანკის ზემოქმედების შესაძლებლობას ზღუდავს, მოკლევადიანი კაპიტალის ნაკადების მობილობის სწრაფი ზრდა. როდესაც ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთს ამცირებს, აღნიშნული კაპიტალი, უფრო მაღალი შემოსავლიანობის ძიებაში, ტოვებს ქვეყანას და ამით ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. გრძელვადიან პერიოდში ქვეყნიდან კაპიტალის გადინება, რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილებით არის გამოწვეული, შეიძლება სავალუტო კურსის ვარდნის მიზეზი გახდეს. შედეგად, ერთი მხრივ, მოხდება ექსპორტის სტიმულირება, ხოლო მეორე მხრივ - ინფლაციის დაჩქარება. მათ შორის, იმპორტირებად საქონელზე ფასების ზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, რეალური და ნომინალური ცვლადების ურთიერთდამოუკიდებლობით, მოკლევადიან პერსპექტივაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაეფექტიანობის შესახებ კლასიკური დიხოტომიის თეზისთან დაბრუნება ხდება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

მოსიასვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020.

1. ცაავა გ. და სხვა. ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი თბილისი ამომცემლობა „დანი“ 2018.
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=553 [გადამოწმებული 14.04.2024].
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=656[გადამოწმებული 14.04.2024].
4. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/kanonebi/2021/organuli_kanoni_140521.pdf [გადამოწმებული 20.04.2024].
5. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_kanonebi/kombank_13_01.pdf [გადამოწმებული 20.03.2024].
6. www.sabanko.com [გადამოწმებული 20.03.2024].

საქართველოს ეროვნული ბანკის ციფრული „კრიპტოლარის“ პერსპექტივები
Prospects of the digital "crypto-money" of the National Bank of Georgia

ნინო სიბაშვილი
საბანკო საქმის მაგისტრი
sibashvilinino1@gmail.com
Nno Sibashvili
Master of Banking
sibashvilinino1@gmail.com

რეზიუმე. ნაშრომში მითითებულია, საქართველოს ფულად ერთეულს „ლარს“ საკმაოდ რთული და საინტერესო ისტორია გააჩნია და რომ ციფრული ლარის გამოშვებაზე მსჯელობა უშუალოდ ლარის ქაღალდური ერთეულიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებადი და სახელმწიფოს აქტივებით უზრუნველყოფილ „ახალ ფულად ერთეულზე - ციფრულ კრიპტოლარზე“ გადასვლის სახით მიმდინარეობს. ქვეყანაში ეროვნული ფულადი ერთეულის მიმოქცევაში გაშვება მკაცრად უნდა იქნას გაკონტროლებული ეროვნული ბანკის მიერ და ზომიერად გაუკონტროლობამ, მისი ჭარბად მიმოქცევა და გაუფასურება გამოიწვია. „ახალი ეროვნული ციფრული კრიპტოლარის“ გამოშვება თავისდროულად მიგვაჩნია, თუმცა ქვეყანაში აუცილებლად უნდა იქნას განმტკიცებული მონეტარული და ფისკალური პოლიტის მარეგულირებელი სახელისუფლებო სტრუქტურა. ჩამოყალიბებულია რიგი აქტუალური საკითხები, რომლებიც ქვეყანაში კონვერტირებადი ეროვნული ფულადი ერთეულის განმტკიცების საწინდარი გახდება.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ვალუტა, ეროვნული ვალუტა, ელექტრონული ფული, ფულადი ტრანსაქცია, კრიპტოვალუტა.

Resume. The paper indicates that the Georgian monetary unit "Lari" has a rather complex and interesting history and that the discussion on the issue of digital Lari is taking place directly from the paper unit of Lari, to the "new monetary unit - digital cryptolar" issued by the National Bank of Georgia and secured by state assets. The circulation of the national monetary unit in the country should be strictly controlled by the National Bank, and moderate lack of control led to its excessive circulation and devaluation. We consider the release of the "New National Digital Cryptocurrency" to be timely, however, the governmental structure regulating monetary and fiscal policy must be strengthened in the country. A number of current issues have been formulated, which will become the basis for the strengthening of the national convertible monetary unit in the country.

Keywords: digital currency, national currency, electronic money, monetary transaction, cryptocurrency.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი ერთადერთი მუზეუმია საქართველოში, სადაც სისტემატურადაა გამოფენილი საქართველოში ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში მოჭრილი და მიმოქცეული ფულის ნიშნები: კოლხური თეთრი, ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, რომის რესპუბლიკისა და იმპერიის ფულის ნიშნები, პართიული მონეტები, სასანური და ქართულ-სასანური დრაქმები, არაბული და ქართულ-არაბული დირჰემები, ბიზანტიის იმეროს ნომისმები, გაერთიანებული საქართველოს მეფეთა მიერ (ბაგრატ III-ის, ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარ მეფის, ლაშა-გიორგი iV-ის, რუსუდანის, დავით VI ნარინის, დავით VII ულუს, დემეტრე II თადადებულის, დავით VIII-ის, ვახტანგ III-ისა და გიორგი V ბრწყინვალის) მოჭრილი საფასეები, საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში მოჭრილი და მიმქცევადი მონეტები - ტრაპიზონული ასპრები, XIV-XV საუკუნეების ქართული მონეტები, XVI-XVIII საუკუნეების განმავლობაში ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი საფასეები, XVII-XVIII საუკუნეებში თბილისში მოჭრილი საქალაქო მონეტები,

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი მრავალი სახეობის ქართული ფული, სეფიანთა და აფშართა დროის ირანული მონეტები - ოსმანური საფასეები, ევროპული დუკატები და ტალერები, 1804-1834 წლებში თბილისში მოჭრილი ქართულ-რუსული ფული, რუსეთის იმპერიის დროინდელი ბანკნოტები და მანეთები, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ 1918-1921 წლებში გამოშვებული ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის - ბონები, აგრეთვე 1921-1924 წლებში საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ გამოშვებული საქართველოსი და ამიერკავკასიის ფედერაციის - ბონები, ასევე 1921- 1991 წლებში გამოშვებული საბჭოთა კავშირის ფულადი ნიშანი - რუბლი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1991 წლის 2 აგვისტოს მიღებული იქნა ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რომლითაც მას ქვეყანაში ფულის ნიშნების დამზადებისა და მიმოქცევაში გაშვების ორგანიზების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა. აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად დაიწყო ეროვნული ვალუტის შექმნისათვის მუშაობა და ამ პროცესში ჩართული იყვნენ ქართველი მხატვარ-დიზაინერები - ელგუჯა ამაშუკელი, გია ბუღაძე, მამუკა გონგაძე, ნოდარ და ბაჩანა მალაზონიები.

ეროვნული ვალუტის სახელთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი ხანი მიმდინარეობდა განხილვები, მოიაზრებოდა სხვადასხვა სახელი: „მანეთი“, „ქართული მანეთი“, „მარჩილი“, „ქართი“, „რვალი“ და „ლარი“, ხოლო ხურდა ფულის სახელწოდებად კი განიხილებოდა სახელწოდებები: „ეგრი“, „კოლხა“, „თეთრა“, „კერმა“ და „თეთრი“.

აქვე უნდა იქნას აღნიშნული, რომ სიტყვა „ლარი“ - ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს - სიმდიდრეს, განძს, ხოლო „თეთრი“ - შუა საუკუნეში გამოყენებული ქართული სამონეტო ტერმინია.

ცნობილია, რომ 1995 წლის 2 ოქტომბერიდან საქართველოში გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებად გამოცხადდა საქართველოს ახალი ეროვნული ვალუტა - „ლ ა რ ი“. მიმოქცევაში იქნა გამოშვებული ახალი ფულადი ბანკნოტები: 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალით, მონეტები ანუ „თ ე თ რ ი“ კი: 1, 2, 5, 10, 20 და 50 ნომინალით.

როგორ შეიქმნა ლარი და რა გზა გამოიარა დღემდე? აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესოა საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ფულის ბრუნვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტის როლანდ სპანდერაშვილს სტატია: „ლარი 26 წლისაა“.

ცნობილია, რომ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. დროებითი ფულადი ერთეულამდე - კუპონამდე, ანუ 1993 წლის 5 აპრილამდე საქართველო საბჭოთა ანუ რუსული რუბლით სარგებლობდა. აღნიშნულ ფულს მხოლოდ რუსეთი ბეჭდავდა და რუსეთმა ბოროტად ისარგებლა ამ გარემოებით (ახალი ფულადი მასის მიწოდების შეჩერების

შესაძლებლობით) და უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც. ქვეყანაში შეიქმნა ფულის დეფიციტი და შესაბამისად უამრავი პრობლემები.

მცდელობა N 1: საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით შეიქმნა სახელმწიფო კომისია სახელმწიფო სიმბოლოკისა და ეროვნული ვალუტის შექმნასთან დაკავშირებით. კომისიაში მუშაობდნენ: მამუკა გონგაძე, ელგუჯა ამაშუკელი, გია ბუღაძე და სხვები.

კომისიამ საყოველთაოდ გამოაცხადა საკითხი თუ რა უნდა დარქმეოდა ახალ ქართულ ფულს?

- ჟურნალში „სახალხო განათლება“ ჯერ კიდევ სტუდენტი ნიკო ჯავახიშვილი (შემდგომში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) ემხრობოდა პირველი რესპუბლიკის დროინდელ სახელწოდებას - ფულადი ბანკნოტა - „მარჩილი“, თავაზობდა ასევე სახელწოდება - „ქართი“ (როგორც ფრანგული „ფრანკი“, ლატვიური „ლატი“, ლიტვური „ლიტი“ და ავღანური „ავღანი“). ხურდა ფულისათვის (მონეტებისათვის) სახელწოდებად კი მიიჩნევდა „კერმა“ ან „რვალი“ (დავით აღმაშენებელის მეფობის დროინდელი მონეტა).
- „ქართის“ მომხრე იყო ვინმე გენადი გეგეჭკორი ბათუმიდან, ხურდა ფულისათვის კი ასახელებდა ვერსიებს - „ეგრი“ (ეგრისი) ან „კოლხა“ (კოლხეთი).
- მასწავლებელი თამარ ჩადუნელი ქვიშხეთიდან თავაზობდა ბანკნოტა „ქართული მანეთი“ დავარქვათო, ხოლო კაპიკს კი „ივერია“ ან პირიქით.
- ვინმე გ. გვილავა მარტვილის რაიონიდან თავაზობდა ბანკნოტის დასახელებად „განძი“ - განძეულობას, ძვირფასეულობას ძველქართულად „ლარი“ ერქვა, კაპიკს კი - „მარჩილი“ (გაზეთი „ერი“, 1991 წ. 24 იანვარი).
- ქართული ფულადი ერთეულის სახელად - „ლარი“ 1991 წელს შემოთავაზებული აქვს აკადემიკოს ვასილი ჩანტლაძეს.

საბოლოო არჩევანი რომ ბანკნოტის დასახელება „ლარზე“ შეჩერდა, ამაში გადამწყვეტი აღმოჩნდა საქარელოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელზეც გავლენა ენათმეცნიერ ლევან ღვინჯილიას მოუხდენია.

საკითხთან თუ რა გამოესახათ ქართულ ფულზე? სახელმწიფო კომისიაზე გამოვლინდა შემდეგი სამი მიმართულება: 1. მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები; 2. პოლიტიკური მოღვაწეები; 3. ქართული მითები.

საქართველოს მთავრობა 1991 წლიდან შეხვედრებს მართავდა მსოფლიოში ცნობილი ფულის მბეჭდავ კომპანიებთან, მათ შორის ინგლისურ De La Rue და Harrison & Sons Limited-თან.

თუმცა ცნობილა, რომ 1991 წლის ბოლოს საქართველოში სამოქალაქო ომი გაჩაღდა და 1992 წლის 6 იანვარს ზ. გამსახურდიას მთავრობის დამხობით დასრულდა. ამდენად საქართველოს ახალი ფულადი ერთეულის ჩამოყალიბების საკითხი დროებით შეფერხდა.

მცდელობა N 2: 1992 წლიდან საქართველოში კვლავ შეიქმნა ახალი სახელმწიფო კომისია საქართველოს პრემიერ მინისტრის თენგიზ ზიგუას მოადგელის ირაკლი სურგულაძის თავმჯდომარეობით და 1992 წლის 13 მარტს კომისიამ წარმოადგინა ქართული ფულის ესკიზები და სახელის ვერსიები. აზრი ორად გაიყო: ერთი მხარის მოსაზრება იყო ფულადი ბანკნოტების დასახელება „ქართული მანეთი“, ხოლო ხურდა ფულისათვის (მონეტებისათვის) კი „თეთრი“. მეორე მხარე მოსაზრებით ახალი ფულის ბანკნოტების სახელწოდებად „თეთრი“, ხურდა ფულს (მონეტებს) კი „კერმა“ უნდა დარქმეოდა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართული ფულის დაბეჭდის საქმე მნიშვნელოვნად დააჩქარა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა. მან ქართული მხარე დააკავშირა ფრანგული ფულის მბეჭდავი ფირმა „Charles Oberth0r“ თანამშრომელ ქართველ ემიგრანტ გ. გედევანიშვილთან, რომელსაც ქართული ფულის ბეჭდვის საქმეში სათანადო დახმარება აღმოუჩენია.

საცდელი „ქართული მანეთის“ ბანკნოტების ნიმუშების დაბეჭდვის მიზნით 1992 წლის მაისში საფრანგეთში გაემგზავრნენ მხატვრ-დიზაინერები ნოდარ და ბაჩანა მალაზონიები. საფრანგეთიდან ჩამოტანილი დაბეჭდილი ბანკნოტების ნიმუშები სამხატვრო საბჭომ მოიწონა, თუმცა ამასობაში ფულადი ბანკნოტის ახალი სახელწოდება წარმოიშვა „ლარი“, რომელიც 1992 წლის 7 აგვისტოს დამტკიცდა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად ერთ კვირაში 1992 წლის 14 აგვისტოს ქართულ-აფხაზური ომი დაიწყო და საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა 1993 წლის 5 აპრილს ნაჩქარევად დამოუმზადებლად მიმოქცევაში დროებითი ფულადი ერთეული „კუპონი“ შემოეღო.

პარალელურად 1994 – 1995 წლებში ახალი ფულადი ბანკნოტას დიზაინი საბოლოოდ იქნა ჩამოყალიბული და 1995 წლის 25 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის კომპლექსური სამუშაოების შედეგად, საჭირო მოცულობის დაბეჭდილი საქართველოს ეროვნული ბანკის საცავებში იქნა ჩამოტანილი და 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებად ახალი ფულადი ბანკნოტა „ლარი“ იქნა გამოცხადებული და ქვეყნის მიმოქცევაში გაშვებული.

ქართული ფული დღეს: დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაშია: 5, 10, 20, 50, 100 (შესაბამისად ივანე ჯავახიშვილის, აკაკი წერეთელის, ილია ჭავჭავაძის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის გამოსახულების დიზაინის) და 200 ლარის

ნომინალის ბანკნოტები (200 ლარი 2007 წელს დაემატა). საწყისი ემისიის 1 და 2 ლარიანი ბანკნოტები 2006 წელს მონეტებმა ჩაანაცვლა და მიმოქცევაშია ასევე: 5, 10, 20 და 50 თეთრის ნომინალის მონეტები.

1995 წლიდან ლარის დიზაინში მხოლოდ უმნიშვნელო ტექნიკური ცვლილებები შევიდა. 2016 წელს კი სრულად განახლდა 20, 50 და 100 ლარის ბანკნოტები, მომდევნო წლებში კი 5 და 10 ლარის ბანკნოტებიც. 2014 წელს ლარის ელექტრონული სიმბოლოც დამტკიცდა. ციფრული ეპოქა ვალუტასაც ციფრულს ითხოვს და ამიტომ ქვეყნის წინაშე კიდევ ერთი ამბიციური პროექტი ჩამოყალიბდა - ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) სახით, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება განხილვა

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავის ვებ გვერდზე 2021 წლის 29 აპრილს (ელექტრონული მისამართი: innovationoffice@nbg.gov.ge) სიახლის სახით გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ეროვნული ბანკის ციფრული ლარის პროექტზე თანამშრომლობისათვის იწვევს ფინტექ კომპანიას“. მასში აღნიშულია: საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატი ფინანსებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ცენტრალური ბანკის ფულის განვითარების და ლარის ციფრული ვერსიის შექმნის აუცილებლობა გამოკვეთა, რათა ის უკეთ მოერგოს ციფრულ ეკონომიკას და გაზარდოს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისათვის, საგადახდო სისტემის ეფექტიანობისა და ფინანსური ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) გამოშვებას განიხილავს, იგი ცენტრაულური ბანკის ვალდებულებაა და მას გადახდის საშუალების სტატუსი ექნება.

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტას (CBDC) გააჩნია პოტენციალი მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ინოვაციურ ბიზნესს მოდელებს, რასაც ასევე დიდი გავლენა ექნება საზოგადოების კეთილდღეობაზე. მისი გამოშვებით შესაძლებელი იქნება გაიზარდოს ფინანსური შუამავლობის ეფექტიანობა, დაჩქარდეს ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა, ხელი შეუწყოს ფინანსურ ჩართულობას. ასევე შესაძლებელია გაიზარდოს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა და ხელი შეუწყოს ლარიზაციის პროცესს.

ეროვნული ბანკის ციფრული ვალუტა შესაძლოა მნიშვნელოვანი ინდტრუმენტი გახდეს ფინანსური ეკოსისტემისათვის და საკმაოდ დიდი გავლენა იქონიოს კერძო ინოვაციების და ახალი ფინანსური ტექნოლოგიების შქმნაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართულობა ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების, ინტერფეისის დიზაინის, მომხმარებელთა

მართვის, ახალი ციფრული ინოვაციური ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის შექმნის, რეგულაციებთან თავისუფლების და მონაცემთა მართვაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1995 წლის 1 ოქტომბრიდან, გაუფასურებული კუპონის სანაცვლოდ, გამოშვებული იქნა "ახალი ეროვნული ფულადი ერთეული - ლარი", რომელიც ერთადერთ საგადახდო საშუალებად გამოცხადდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, და თუ იგი თავიდან საკმაოდ მყარ კურსს ინარჩუნებდა (1 დოლარი = 1,3 ლარს), დღეს მისი კურსი უკვე (1 დოლარი = 3,00 ლარს) საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია.

აღნისნულთან დაკავშირებით, საკმაოდ საყურადღებოდ გვესახება საქართველოს ეროვნული ვალუტის - ლარის განმტკიცების ნებისმიერი პრობლემატიკის მიმოხილვა, ამდენად აღნიშნულთან დაკავსირებით ევროკავშირის ბლოკჩეინისა და ხელოვნური ინტელექტის მრჩეველის და მკვლევარის ლევან ბოკაშვილის თვალსაზრისი საკმაოდ აქტუალურს წარმოადგენს. აღნიშნულია, რომ ბოლო ორი-ორწლინახევრის განმავლობაში ბევრი ქვეყნის ეროვნული ბაკკები და ასევე საერთაშორისო ბანკები უკვე აქტიურად მუშაობენ ციფრული ვალუტების საკითხზე (მალტა, ლუქსემბურგი, ლიხტენშტაინი, სამხრეთ კორეა, ჩინეთი და სხვა). საქართველო ერთ-ერთი ის ბოლო ქვეყანაა, რიმელსაც ჯერ-ჯეროობით არ აქვს გადაწყვეტილი ეროვნული ბანკის მიერ კრიპტოვალარის გამოშვება და იგი სებ-ის ერთ-ერთი მოტივაციაცაა ციფრული ვალუტის გამოშვების თაობაზე.

ციფრული ვალუტის გამოშვების კიდევ ერთი მოტივსორი ის არის, რომ თუ მას სწორად გამოუშვებენ, ეკონომიკის ბევრი სექტორისათვის ეს ფასების სტაბილურობას მოუტანს. სამომხმარებლო ფასები კატასტროფულად იზრდება, ეროვნული ვალუტის - ლარის დევალვაცია გრძელდება, ქვეყანა მნიშვნელოვან-წილად დამოკიდებულია იმპორტზე, ხოლო რეალური ეკონომიკური საფუძველი ამ პროცესების შესაჩერებლად არ არსებობს. ამიტომ სტაბილური ციფრული ვალუტა ჩვენთვის შესაძლოა იყოს ამ რთული ვითარებიდან ყველაზე ეფექტური გამოსავალი.

ბოლო ერთი წელიწადია, რაც კრიპტოვალუტამ (ბიტკოინი, ეთერუმი და სხვა) შძლო სახელმწიფოების ხელში კონცენტრირებული ფინანსური რესურსების დეცენტრალიზაცია.მაგალითად, თუ დღეს სახელმწიფოს ფინანსური ძალაუფლება კონცენტრირებულია მის ეროვნულ ბანკში და ის ადგენს თამაშის წესებს, კრიპტოვალუტის სწრაფმა განვითარებამ ის მოიტანა, რომ სახელმწიფო კარგავს გავლენას ამ სფეროზე. შსაბამისად, ეს პროცესი რაღაცნაირად რომ შეაჩეროს და ფინანსური მართვის საფუძვლები დაიბრუნოს, ბევრი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს (ქვეყნის აქტივებით უზრუნველყოფილი) ციფრული ვალუტის გამოშევება. სხვათა შორის, პატარა ქვეყნებმა ეს უფრო ადრეც, ხუთი-ექვსი წლის წინ დაიწყეს, რადგან ნაციონალურ კრიპტოვალუტებში დიდი საინვესტიციო პოტენციალი

დაინახეს. ქვეყნებს, რომლებსაც კონკრეტული უპირატესობები და დამატებითი ეკონომიკური სიძლიერე არ ჰქონდათ, საკუთარი ციფრული ვალუტის შექმნამ საინვესტიციო მიმზიდველობა შესძინა. ამის მაგალითია მალტა, რომელმაცნაციონალური ციფრული ვალუტის კანონმდებლობის მიღებიდანექვს თვეში 1,8 მილიარდი დოპარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიიღო.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი და ავიღოთ ელექტრონული გადახდების სისტემა. ნებისმიერი გადახდა, რომელსაც დღეს მომხმარებლები ახორციელებენ, მიბმულია საკომისიო მომსახურებასთან. ყველაფერი, რასაც ვიხდით, იქნება კომუნალური გადასახადები, ჯარიმები, სხვადასხვა სერვისის საფასური და სხვა, დაკავშირებულია საკომისიოსთან, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში 0,50-დან 1,50 ლარამდე მერყეობს. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით 600 – 700 მილიონი ლარი ყოველწლიურად მოსახლეობის ჯიბიდან ამოდის და მიდის მომსახურე ბანკებში. ციფრული ვალუტა საშუალებას იძლევა პირდაპირ გადაიხადო შუამავლის, ანუ ბანკის გარეშე. მაგალითად, თითოეული მოსახლეობისათვის შესაძლრბლობის არსებობისას პირდაპირ ელექტროენერგიის მომწოდებელ კომპანიას გადაუხადოს გადასახადი ციფრული ლარი ბანკის გარეშე, ნიშნავს, რომ აღნიშნული გამოათავისუფლებს 6-- - 700 მილიონს და მოსახლეობაში დარჩება, რაც სამომხმარებლო ბახრისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი გახდება.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უნაღდო ანგარიშსწორება და ციფრული კრიპტოვალუტა სხვადასხვა რამეა. უნაღდო ანგარიშსწორებას ჩვენ ახლაც ვიყენებთ, როცა, მაგალითად, ონლაინგადახდებით ვსარგებლობთ. ის, რაც განაცხადა ეროვნულმა ბანკმა, არის კრპტოლარი, რომელიც დამყარებულია ბლოკჩეინ-ტექნოლოგიაზე, სმარტკონტრაქტებზე და შესაბამის პარამეტრებზე, რომლებსაც ეროვნული ბანკი განსაზღვრავს და აკონტროლებს.

ტექნოლოგიურად ამ ვალუტის შექმნა პრობლემა არ არის და არც რთული პროცესია, მთავარია მისი ლიკვიდურობა როგორი იქნება და მოსახლეობისათვის რამდენად კომფორტული იქნება. თუ ციფრული ლარი არ იქნება გადახდის საშუალება ყველგან, მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული ელექტრონულ გადახდებში მაინც. საინტერესოა ასევე, რით იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს ციფრული ვალუტა? შესაძლოა მისი უზრუნველყოფა მოხდეს სახელმწიფო აქტივებით (თუმცა დღეს ლარი, და ნებისმიერი სხვა ქვეყნების ვალუტები ხომ ქვეყნის აქტივებითაა უზრუნველყოფილები), მაგალითად, სახელმწიფოს ხელში არსებული მიწებით. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს ეკონომიკას, მისი ახალი ციფრული ვალუტა აღარ იყოს მიბმული დოლარზე ან ევროზე, საქართველოს სახელმწიფო აქტივით იყოს უზრუნველყოფილი, ან სხვა აქტივით, სახელმწიფო მოიფიქრებს. სწორედ ასე უნდა გაკეთდეს, თუ არ გვინდა ჩვენი ციფრული ვალუტა სადმე, რომელიმე კომპიუტერულ ფაილში დაილექოს და ვერაფერში გამოვიყენოთ.

საინტერესოა, როგორ მოხდება კრიპტოლარის ღირებულების განსზღვრა? ერთი კრიპტოლარი ერთი რეალური ლარის ტოლფასი იქნება? და თუ არც დოლარსა და არც ევროზე იქნება მიბმული, როგორ განისაზღვრება მისი გაცვლითი კურსი, როგორ დაადგენენ კონკრეტულ დროში კონკრეტულ ფასს?

ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტები ე.წ. სტაბილური კოინებია. ხოლო, მაგალითად, ისეთი კრიპტოვალუტები, როგორიც არის ბიტკოინი, ეთერიუმი და სხვა, არ არის სტაბილური ვალუტები, რადგან არ არიან რაიმე აქტივით გამყარებული და მათი ლიკვიდობა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება. ციფრული ვალუტები კი, რომელსაც ეროვნული ბანკები უშვებენ, სტაბილურია, რაც ნიშნავს, რომ მიბმულია კონკრეტულ უზრუნველყოფის ერთეულზე. ასეთი კრიპტოვალუტის უპირატესობა რეალურ ფინანსურ ინსტრუმენტებთან ის არის, რომ არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ეკონომიკურ ეფექტზე.

თუ ლარი უფასურდება, კრიპტოვალუტა არ უფასურდება. კრიპტოვალუტა შესაძლოა ძალიან ფლუქტუაციურია, ცვალებადია,მაგრამ საერთო ჯამში ის ვერ უფასურდება იმაზე ნაკლებად, ვიდრე მისი პირველადი ფასია, მაშინ როცა ლარი, მაგალითად, შესაძლოა კუპონს დაემსგავსოს და მის პირველად ნომინაციას ჩამოსცილდეს.

ამიტომ ეს უპირატესობა არსებობს (თუმცა რის ხარჯზე ჯერ-ჯერობით მაინც გაიგებარია, რამდენადავ ლარიც და კროპტოლარის დღეს ქვეყნის აქტივებით იქნება უზრუნველყოფილი) და ახლა მთავარია გავიგოთ თუ რით იქნება კრიპტოლარი უზრუნველყოფილი. მხოლოდ ელექტრონული გადახდის საშუალებაც რომ იყოს, ესეც კარგია, რადგან, სულ მცირე, იმ თაანხებს დავზოგავთ, რისი გადახდაც საკომისიოს შემთხვევაში გვიწევს და რომელიც დღეს ბანკის საფულეში მიდის (თუმცა, ჩვენი მოსაზრებით, მხოლოდ ამისათვის ახალი ციფრული ლარის გამოშვება არ უნდა იყოს აუცილებელი, რამდენადაც კომუნალური საკომისიოების გაუქმება ეროვნული ბანკის დადგენილებითაც არის შესაძლებელი).

კრიპტოლარის შემოღება და გადახდის მექანიზმად მისი გამოყენება რეალურ ლარს დაეხმარება თუ შესაძლოა კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი მის გაუფასურებას?

აღნიშნულთან დაკავშირებით მითითებულია, რომ მომდევნო წლებში ლარი, ფაქტობრივად, ფარატინა ქაღალდი იქნება, რასაც სწორედ ეს ციფრული ლარი და კრიპტოვალუტები უზრუნველყოფ (თუმცა მოსაზრება ბოლომდე არ არის არგუმენტირებული, რამდენადაც ლარი და კრიპტოლარიც ქვეყნის აქტივებით იქნება უზრუნველყოფილი და ამდელად ლარი რატომ გახდება ფარატინა ქაღალდი გაუგებარია).

კრიპტოვალუტას წლის ბოლომდე ყველა წვეყანა შემოიღებს. „ვიზა“ და „მასტერქარდი“ გადავიდნენ უკვე კრიპტოვალუტაზე. რევოლუცია მიმდინარეობს ფაქტობრივად მსოფლიო ეკონომიკაში და იმისათვის, რომ ჩვენი კრიპტოლარიც არ დარჩეს ისეთ არამოთხოვნად

ვალუტად საერთაშორისო ბაზრებზე, როგორც დღეს ლარია, ამას მუშაობა სჭირდება. თუ იგი ბევრ სექტორში იქნება გამოყენებული, განსაკუთრებით სტაბილურ სექტორებში, როგორიცაა, მაგალითად, მონოპოლიური სექტორები, ენერგეტიკა, სახელმწიფო სერვისები და ა.შ., მას ლიკვიდობა აუცილებლად ექნება და ორ-სამ წელიწადში ხალხი კრიპტოლარს უფრო გამოიყენებს, ვიდრე ჩვეულებრივ ლარს.

რამდენიმე წელიწადში ქაღალდის ფული უსარგებლო გახდება. უპირველესად კი სუსტი ვალუტები, როგორიც, მაგალითად, ჩვენი ეროვნული ლარია. მნიშვნელოვანია რა რაოდენობის კრიპტოლარის გამოშვებას განსაზღვრავს ეროვნული ბანკი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამას დამატებითი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება დასჭირდება.

ეროვნული ბანკის კრიპტოვალუტა იმითაც არის განსხვავებული სხვა კრიპტოებისაგან, რომ ეროვნული ბანკის ხელშია თუ რამდენს გამოუშვებს. მაგალითად, ჩინეთმა, 2 მილიარდი ერთეული კრიპტოვალუტა გამოუშვა და თავიდან 100-100 ათასი ცალი დაურიგა შანხაის მოსახლეობას, რათა ლიკვიდობა გაჩენილიყო. ჩვენმა ეროვნულმა ბანკმა მსგავსი რან უნდა გააკეთოს. მან უნდა შექმნას ბაზა, რათა ამ ვალუტამ მოძრაობა დაიწყოს, მოსახლეობას გაუჩინოს შესაძლებლობა და ინტერესი, რომ კრიპტოლარით აწარმოონ გადახდები. ამ პროცესში ეროვნული ბანკი ყველა შემთხვევაში მარეგულირებლად დარჩება. მთელი გლობალური საგადახდო სისტემები კრიპტოვალუტაზე გადადის, შესაბამისად, გამონაკლისი ვერც საქართველო იქნება.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნის გათება:

1. აღნიშნულია, რომ ციფრული ლარის გამოშვებაზე მსჯელობა უშუალოდ ლარის ქაღალდური ერთეულიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებადი და სახელმწიფოს აქტივებით უზრუნველყოფილ „ახალ ფულად ერთეულზე - ციფრულ კრიპტოლარზე“ გადასვლად არის მიჩნეული.

2. მითითებულია, რომ „ახალი ეროვნული ციფრული კრიპტოლარის“ გამოშვებაზე ფიქრი თავისდროულად მიგვაჩნია, თუმცა ქვეყანაში აუცილებლად უნდა იქნას განმტკიცებული მონეტარული და ფისკალური პოლიტის მარეგულირებელი სახელისუფლებო სტრუქტურა, რომელიც განახორციელებს საქართველოს მთავრობაში (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებთან ერთად), მეოთხე - „ფულადი ხელისუფლების“ უფლებამოსილებებს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაზე და სრულყოფაზე;

3. შეთავაზებულია, რომ უნდა იქნას სრულყოფილი „ქვეყანაში საჭირო ფულადი მასის გაანგარიშების“ ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ირვინგ ფიშერის ფორმულა [M = (Q x P) / V] , რომელიც ერთიარუსიანი საბანკო სისტემის მოქმედების პერიოდისათვის იყო დადგენილი და

დღეს ორიარისიანი საბანკო სისტემის არსებობის პირობებში, კომერციული ბანკების (ასევე სხვა არასაბანკო-საფინანსო დაწესებულების) მიერ თითოეული კრედიტის გაცემისას, მათ მიერაც ახალი უნაღდო ფულადი მასის გამოშვებაც ხორციელდება და მიმოქცევაში საკმაოდ ჭარბი ფულადი მასა მიმოიქცევა;

4. ჩამოყალიბებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებლობას წარმოადგენს საბანკო და ნებისმიერ სხვა ბიზნესზე ერთდროულად მოქმედი რისკების ურთიერთზემოქმედების ფენომების გამოვლენა და მსგავსად წლიური ინფლაციის ტემპის გაანგარიშების (თუ თვიური ინფლაცია არის 9%, მაშინ წლიური ინფლაცია 9 x 12 = 108-ის ტოლი კი არა, არამედ 182%-ია) და თვიური გადასახდელი საკრედიტო პროცენტის კვარტალურზე გადაანგარიშების (თუ გადასახდელი თვიური საკრედიტო პროცენტი 2% ტოლია, კვარტალური იქნება არა 2 x 3 = 6%, არამედ 8,2%-ია) ფორმულების მსგავსად, რისკების ურთიერთზემოქმედების ფაქტორის გამათვალისწინებელი რეალური რისკის სიდიდის გაანგარიშების ფორმულის ჩამოყალიბა, რაც დღეს მოქმედი ნორმატივების, სულ მცირე, 35%-ით გამკაცრებას და ბანკის უსაფრთხოების განმტკიცებას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სპანდერაშვილი რ. - „ლარი 26 წლისაა“. - საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ფულის ბრუნვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი. - თბილისი, 2021 წ.

2. ბოძაშვილი ლ. - ციფრული ლარი - რას მოგვიტანს ეროვნული ბანკის კრიპტოვალუტა. - თბილისი, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 3 – 9 მაისი, 2021. - გვ. 26.

3. www.innovationoffice@nbg.gov.ge [გადამოწმებულია 04.03.2024].

4. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640 [გადამოწმებულია 04.03.2024].

5. http://eprints.tsu.ge/1457/ [გადამოწმებულია 04.03.2024].

6. https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139 [გადამოწმებულია 04.03.2024].

7. https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/view/2089 [გადამოწმებულია 04.03.2024].

დოლარიზაცია საქართველოში და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში
Dollarization in Georgia and some post-Soviet countries

კობა აბლოთია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
ablotiakoba11@gtu.ge
Koba Ablotia - Georgian Technical University
assistant professor
ablotiakoba11@gtu.ge

რეზიუმე. სტატიაში გაანალიზებულია დოლარიზაციის პრობლემები საქართველოში და ზოგიერთ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში; რა მოცემულობაა ამ კუთხით; საუბარია თუ რა ნაბიჯები იდგმება ამა თუ იმ ქვეყანაში დედოლარიზაცის მისაღწევად, რამდენად ეფექტიანია ისინი. საბოლოოდ,დედოლარიზაცია არ ნიშნავს „ბრძოლას“ დოლართან. ის მიიღწევა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებით (7-8%), ინფლაციის თარგეთირებით, ფულის მასის კონტროლით, მთავრობის მიზანმიმართული, სწორი და ქმედითი ჩარევით ეკონომიკაში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, დოლარიზაცია, დედოლარიზაცია, ინვალუტიზაცია, ინვესტიცია, ვალუტა,თარგეთირება.

Resume. The article analyzes the problems of dollarization in Georgia and some post-Soviet countries; It is about what steps are being taken in particular countries to achieve de-dollarization, or how effective these measures are. After all, de-dollarization does not mean a "fight" with the dollar. It is achieved by the stable development of the country's economy (7-8%), inflation targeting, control of the money supply, targeted, correct and effective intervention of the government in the economy.

Keywords: Globalization, dollarization, de-dollarization, invaluation, investment, currency, targeting.

შესავალი. გლობალიზაციის პირობებში სავალუტო-საფინანსო მექანიზმები იძენენ განსაკუთრებულ როლს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, რაც მათი ინტერნაციონალური ხასიათიდან გამომდინარეობს. უცხოური ვალუტები დომინირებენ არა მარტო საერთაშორისო, არამედ უამრავი ქვეყნის შიდა ბაზარზეც ანგარიშსწორებებში. აშშ დოლარის გამოყენებას როგორც საგადახდელო საშუალებას და განსაკუთრებით, როგორც დაგროვების საშუალებას საქართველოც, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები ვერსად გაექცა.

ძირითადი ტექსტი: დოლარიზაცია ესაა ფაქტი, რომლის დროსაც ქვეყნის მოქალაქეები და ეკონომიკური აგენტები უცხოურ ვალუტას/ვალუტებს ბევრად უფრო მაღალ ნდობას უცხადებენ ვიდრე ეროვნულ ვალუტას. მიზეზი რომელმაც ეს ფაქტი წარმოშვა საკუთარი ეკონომიკის არასათანადო განვითარებაა, უფრო სწორედ ეკონომიკური განვითარების დინამიკაც კი არასათანდოა. საქართველოსნაირი ქვეყნები ესწრაფვიან საკუთარი ეკონომიკის განვითარებას, რაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე შეუძლებელია; რისკების მინიმიზებიდან გამომდინარე ინვესტორი შემოდის სტაბილური უცხოური ვალუტით, ინვესტიციის „მიმღები“ უშვებს უცხო სტაბილური ვალუტის შემოსვლას. ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა მიზეზია დოლარიზაციისა, ჩვეულებრივ ინვესტიციების დიდი ნაწილი აშშ დოლარებში(ან ევროში) შემოდის, რადგან ის ყველაზე სტაბილური ფულია, ბოლო ორასი წლის მანძილზე, მაგ.: სსფ-ის სტატისტიკით მსოფლიო სავალუტო რეზერვების 59%-მდე აშშ დოლარზე მოდის,

საქმიანი გარიგებების უდიდესი ნაწილიც მისი მონაწილეობით ხდება - მას საყოველთაო აღიარება აქვს.

მსოფლიოში არსებობენ ქვეყნები, სადაც აშშ დოლარს შიდა მიმოქცევაში იყენებენ ოფიციალურად, ესენია კუნძულოვანი სახელმწიფოები, პლუს ოთხი დიდი სახელმწიფო, რომლებმაც უარი თქვეს საკუთარ ფულზე, ძირითადად ქრონიკული ინფლაციის გამო: პანამამ-1903წ-დან; ეკვადორმა-2000წ-დან; სალვადორმა-2004წ-დან; ზიმბაბვემ-2009წ-დან; 1939 წლიდან ლიტერატურაში აღნიშნულს ეწოდება სრულად/ოფიციალურად დოლარიზებული ზონა; ამასთან არსებობენ სხვა ზონებიც-ფრანკის ზონა; ევრო ზონა; ფუნტ-სტერლინგის ზონა, რუპიის ზონა, რენდის ზონა...

სრულ დოლარიზაციას აქვს თავისი უპირატესობები: 1) რისკების მინიმიზაცია ანუ დევალვაციის პრობლემა მოხსნილია; 2) ხდება ოპერაციების საფასურის დაწევა და ყალიბდება დოლარული ფასების გარანტირებული სტაბილურობა; 3) იქმნება სასურველი კლიმატი უცხოური ინვესტიციებისთვის.

სრული დოლარიზაციის მინუსებია: 1) ერთ-ერთი ეროვნული სიმბოლოს დაკარგვა; 2) მთავრობა კარგავს ემიტენტის როლს შესაბამისი მოგებით; 3) მთავრობა ვერ ახორციელებს დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას.

არსებობს ასევე ე.წ. ნახევრად ოფიციალური/ოფიციალურად ნახევარდოლარიზებული, საქართველოსნაირი ქვეყნები - ოფიციალურად სხვა ვალუტა მიმოქცევაში არაა, მაგრამ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ იქონიონ ანგარიში უცხოურ ვალუტაში, მოახდინონ ანგარიშსწორება და ა.შ.

ქვეყნის დოლარიზების(ინვალუტიზაციის) კრიტერიუმის განმსაზღვრელია ბანკებში არსებული დეპოზიტების მაჩვენებელი, ანუ დანაზოგების განთავსების მაჩვენებელი ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის, ასევე მაჩვენებელია, თუ უცხოური ეკონომიკური აგენტები რომელ ვალუტას ანიჭებენ პრიორიტეტს, ექსპორტ-იმპორტის ჭრილში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, დეპოზიტების 30%-ზე მეტი თუ უცხოურ ვალუტაშია, ქვეყანა ითვლება მაღალ დოლარიზებულად, ასეთებია თურქეთი, პერუ, ურუგვაი და სხვა. დოლარიზაციის მაჩვენებელი მეზობელ ქვეყნებში შემდეგნაირია: რუსეთი-2021წელი 18%-ზე მეტი, თუმცა მათი ექსპერტების შეფასებით შესაძლოა ბევრად მეტიც იყოს, უკრაინა- 2021 წელი- 35%, ბელორუსია-2021წელი – 62% (2017 წლის იანვრისთვის 76,3%), ყაზახეთი-2023 წლისთვის 30%, სომხეთი-2022 წლისთვის 51%, აზერბაიჯანი-2022 წლისთვის 45%, საქართველოშიც 2021 წლისთვის 60%-ზე მეტი. აღსანიშნავია, რომ 5-6 წლის წინ ეს

მაჩვენებლები, 70%-ზე მეტი იყო, თითქმის ყველა ჩამოთვლილ ქვეყანაში, თუმცა შეინიშნება გარკვეული წინსვლა; თვალშსაცემია ყაზახეთის მაგალითი, სადაც 2023წლის თებერვლისათვის გასულ წელთან შედარებით დოლარიზაციამ დაიწია 8,4%-ით და გახდა 30%. ამის მიზეზი იყო სახელმწიფო პროგრამა, რომელიც იცავს ანაბრებს ეროვნული ვალუტით, რაც ითვალისწინებს კომპენსაციის დარიცხვას(პრემიას) ფიზიკური პირების დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში, ბიუჯეტის ხარჯზე; ცენტრალური ბანკი კი ყველაფერს აკეთებს, რომ ინფლაცია მიზნობრივ არეალში ამყოფოს.

უკრაინაში, მიუხედავად 2014წლის მოვლენებისა 2021 წლისთვის დოლარიზაცია მხოლოდ 35%-ია, ამის მიზეზი ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის თარგეთი, გრივნის მოქნილი კურსწარმოქმნა, შესაბამისი კრედიტის გაიაფება და ზოგადად ეკონომიკის კრიზისისადმი მოწყვლადობის შემცირება გახდა, თუმცა მოგვიანებით საომარი მოქმედებების დაწყებამ, მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა.

ასევე საინტერესოა უზბეკეთის მაგალითი, იქ დოლარიზაციის მაჩვენებელი 2021წ-42%-ზე მეტი იყო, 2022წ - 37,5%, ხოლო 2023 წლისათვის 30%-მდე ჩამოვიდა. მათ ეს დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში მაღალი პროცენტების დაწესებით მიაღწიეს.

ცხრილი 1

წლები	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
დეპოზიტების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი)	71, 2%	65, 3%	63, 1%	64, 0 %	61, 4%	60, 0 %	56, 1%
სესხების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი)	65, 4 %	57, 1%	57, 1 %	55, 4%	55, 7%	50, 8 %	45, 0 %

წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოში, მიუხედავად 2016წლიდან სებ-ის მიერ ლარიზაციის პოლიტიკის გატარებისა, ნაკლებად წარმატებულია, თუმცა ცხრილში ვხედავთ, რომ სესხების დეპოზიტებში თითქმის 50%-იან ზღვარს მივუახლოვდით. მსოფლიო ბანკის მიხედვით დოლარიზაცია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მათი აზრით პრობლემაა მსესხებლის დაუზღვეველი საკრედიტო რისკი. მაღალი დოლარიზაცია თავის მხრივ ლარში სესხებზე მაღალ განაკვეთს იწვევს. სებ-ის მიხედვით 2021 წლის აპრილიდან, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების თანადროულად გაიზარდა საიპოთეკო სესხების ზრდა უცხოურ ვალუტაში და

მათი/მსესხებელთა/ უმეტესი ნაწილი არაჰეჯირებულია, შესაბამისად მოწყვლადია, რაც საფრთხეს უქმნის სისტემური რისკების დაგროვებას, რაც თავის მხრივ უძრავი ქონების ბაზრის მდგრადობას საფრთხეს უქმნის, ამიტომ იპოთეკურ სესხებზე უცხოურ ვალუტაში ვადები 15-დან 10 წლამდე ჩამოიწია, რაც მოწყვლადობას შეამსუბუქებს და მსესხებლისათვის სტრესის შთანთქმას სესხების დაგრძელვადიანების შესაძლებლობით გაზრდის. ყოველივე ეს დედოლარიზაციას შეუწყობს ხელს - აცხადებს სებ-ის პრეზიდენტი, თუმცა სესხის დაგრძელვადიანობას გადამხდელისთვის არ მოაქვს მისი გაიაფება, პირიქით ის შეიძლება უფრო გაძვირდეს საბოლოოდ, შესაბამისად სებ-ის „ზრუნვა“ მსესხებლის სტრესზე აშკარად „სიახლეა“.

დედოლარიზაცია ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის შედეგია, ხოლო დამატებითი რეგულაციები კი მხოლოდ ხელშემწყობი მომენტებია.

ყველა ქვეყანა ესწრაფვის დედოლარიზაციას. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა რუსმა ეკონომისტმა - ლივშიცმა 1998 წელის საფინანსო კრიზისის დროს. რუსეთის მთავრობამ „ბრძოლა“ გამოუცხადა დოლარს, რაც ნიშნავს უარის თქმას გარიგებებში დოლარის მომსახურებაზე. ისისნი ცდილობდნენ ამ საქმეში აეყოლიებინათ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ირანი და ა.შ. დედოლარიზაცია უნდა მოხდეს, მაგრამ უნდა განვასხვავოთ „ბრძოლა“ დოლართან და სწრაფვა ეროვნული ვალუტის განმტკიცებისაკენ ეკონომიკური განვითარების გზით. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნეს ლარიზაციის ხელშეწყობი ათპუნქტიანი გეგმა 2016წელს. ეს რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ის მხოლოდ „ხელშემწყობია“ და არა მთავარი. დედოლრიზაციის კარგი მაგალითებია ისრაელი-1990 წელს 28%-დან 2000 წელს 10%-მდე ჩამოვიდა, ჩილეში იმავე პერიოდისათვის დოლარიზაციამ 19%-დან 9%-მდე ჩამოიწია, იგივე მოხდა ინდონეზიაში... ამ ქვეყნებში დოლარს ბრძოლა კი არ გამოუცხადეს, არამედ მთავრობებმა იმუშავეს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე, ინფლაციის თარგეთირებაზე, პლუს ადმინისტრაციული ღონისძიებები(ის რაზეც საქართველოში ძირითადი აქცენტია გაკეთებული). შედეგად მიღწეულ იქნა ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, შესაბამისად, დედოლარიზაციაც. ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები 8%-ზე მეტი იყო ყოველწლიურად, უწყვეტად არანაკლებ ათი წლის მანძილზე.

საქართველოში დოლარიზაციის 10-15%-მდე შესამცირებლად (განვითარებულ ქვეყნებში 5-7%-ია) საჭიროა ინფლაციის თარგეთირება, სებ-ის მიერ ფულის მასის გონივრული კონტროლი, ბიუჯეტის ხარჯვა გრაფიკის მიხედვით(რაც პრობლემა იყო 2013-2019წწ) და რაც ყველაზე მთავარია - მთავრობის სწორი, მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკა. ბოლო ათწლეული ჩვენი ეკონომიკა 2-5%-ით იზრდება, სადაც არ ითვლება კოვიდ პერიოდი და პოსტკოვიდ პერიოდი, ასევე მხედველობაში არ მიიღება 2022წლის ე.წ. „ორნიშნა“ ციფრიანი ეკონომიკური

ზრდა, რაც რუსეთ-უკრაინის ომში საქართველოს არასწორი პოზიციონირებითაა პროვოცირებული. სასურველია ჯანსაღი, მინიმუმ 8-10%-იანი ეკონომიკური ზრდის ტემპები მინიმუმ, ათი წლის მანძილზე უწყვეტად (ისრაელ - ჩილის ანალოგიით), რისთვისაც საჭიროა ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს შექმნა ინვესტიციების მოსაზიდად, რაც ნიშნავს ქვეყანაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივი კომპონენტების გაუმჯობესებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან უცხოელი შემოდის უცხოური ვალუტით, მერე ხდება მისი კონვერტაცია, რაც იწვევს ლარზე მოთხოვნის ზრდას, შესაბამისად გამყარებას და მის სტაბილიზაციას, რაც დედოლარიზაციის საწინდარი და საწყისია.

დასკვნა. უცხოური ვალუტა „საფრთხობელა“ არაა, პირიქით, ჩვენ მისი იმედი უნდა გვქონდეს-„დოლარიზაცია მიიღწევა ზედოლარიზაციით“, ანუ რაც მეტი უცხოური ვალუტა შემოვა და ინექცირებულ იქნება ეკონომიკაში, მით უფრო მეტი მოთხოვნა იქნება ლარზე, რაც მას უფრო მყარს და სტაბილურს გახდის, შესაბამისად, მისადმი ნდობაც ამაღლდება ანუ ადგილი ექნება „ბუნებრივი“ დედოლარიზაციის ფაქტს. ერთი სიტყვით, თუ მთავრობა და ეროვნული ბანკი შეთანაწყობილად განხორციელებენ სწორ ეკონომიკურ და ფულად პოლიტიკას - მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები და მივიღებთ სასურველ შედეგს. კიდევ ერთხელ, დედოლარიზაცია მიიღწევა ზედოლარიზაციით(მძლავრი ინვისტიციებით), სხვა ყველაფერი მეორე ხარისხოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1) კაკულია მ.-- დოლარიზაცია საქართველოში, მასშტაბები, ფაქტორები, ეკ. ინსტიტუტი, თბილისი 2000 წელი.

2) პაპავა ვლ.-- საქართველოს ეკონომიკა 2015 წელი.

3) საქართველოს ეროვნული ბანკი, https://nbg.gov.ge/statistics/international-rating

4) Берг Э. боренштеин Э.-- полная долларизация преимущество и недостатки-МВФ, Вашингтон 2000 год

5) Oomes N.F. –many demand and inflation in dollarization economies. The case of Russia 2003 vol 33, N3

ლოგისტიკის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე
The impact of logistics on the development of the country's economy

ნიკოლოზ დარჩიაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
n.darchiashvili@seu.edu.ge
Nikoloz Darchiashvili – Georgian National University SEU
Doctor of Business Administration. Assistant Professor,
n.darchiashvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი. საქართველო მთავარი ლოგისტიკური ქვეყანაა რომელიც მართავს კავკასიის რეგიონს, რადგან ის არის ერთადერთი ქვეყანა რომელიც აკავშირებს სხვა ქვეყნებს შავ ზღვასთან , ჩვენ ქვეყანას გააჩნია უდიდესი საზღვაო პოტენციალი რომელიც ნელნელა უფრო და უფრო იხვეწება , გარდა საზღვაო პოტენციალისა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მეზობელ ქვეყნებთან დადებითი დამოკიდებულებაც , აზერბაიჯანთან, სომხეთთან და თურქეთთან ჩვენ გაგვაჩნია საკმაოდ დიდი ლოგისტიკური ქსელი. საქართველო შესაძლებელს ხდის ტვირთის გადაადგილებას აზერბაიჯანიდან თურქეთში (ქვეყნების პოლიტიკური კონფლიქტის გამო ეს ორი ქვეყანა ვერ ახერხებს იმპორტ-ექსპორტს), ეს ყველაფერი კი შესაძლებელი ხდება იმით რომ საქართველოს კარგი ურთიერთობა აქვს ორივე ქვეყანასთან .

ლოგისტიკა საქართველოში წლების განმავლობაში სტაბილურად ვითარდებოდა და იხვეწებოდა. საქართველოს მთავრობამ გააცნობიერა ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა და აქტიურად ახორციელებდა ინვესტიციებს მის განვითარებაში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და ქვეყნის, როგორც რეგიონული სავაჭრო ცენტრის პოზიციის გასაძლიერებლად.

საკვანძო სიტყვები: ლოგისტიკა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, განვითარება

Abstract. Georgia is the main logistics country that manages the Caucasus region because it is the only country that connects other countries with the Black Sea, our country has the greatest maritime potential, which is slowly improving more and more. We have a large logistics network. Georgia makes it possible to move goods from Azerbaijan to Turkey (due to the political conflict between the countries, these two countries cannot import-export), and all this is possible because Georgia has good relations with both countries.

Logistics in Georgia has been steadily developing and improving over the years. The Government of Georgia recognized the importance of logistics infrastructure and actively invested in its development to promote economic growth and strengthen the country's position as a regional trade center.

Keywords: logistics, economy, infrastructure, development

შესავალი. ლოგისტიკა არის საქონლის ეფექტური ტრანსპორტირებისა და შენახვის დაგეგმვისა და შესრულების პროცესი წარმოშობის წერტილიდან მოხმარების წერტილამდე. ლოჯისტიკის მიზანია მომხმარებელთა მოთხოვნების დროულად და ეკონომიურად დაკმაყოფილება.

თავდაპირველად, ლოგისტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხედრო პერსონალის, აღჭურვილობისა და საქონლის გადაადგილებაში. მიუხედავად იმისა, რომ ლოგისტიკა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს სამხედრო სფეროში, ტერმინი დღეს უფრო ხშირად გამოიყენება მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში კომერციული საქონლის გადაადგილების კონტექსტში.

ბევრი კომპანია სპეციალიზირებულია ლოჯისტიკაში, მომსახურებას უწევს მწარმოებლებს, საცალო მოვაჭრეებს და სხვა ინდუსტრიებს, რომლებსაც საქონლის ტრანსპორტირების დიდი საჭიროება აქვთ. ზოგი ფლობს ინფრასტრუქტურის სრულ სპექტრს, რეაქტიული თვითმფრინავებიდან სატვირთო მანქანებამდე, საწყობებსა და პროგრამულ

უზრუნველყოფას, ზოგი კი სპეციალიზირებულია ერთ ან ორ ნაწილად. FedEx, UPS და DHL ლოგისტიკის ცნობილი პროვაიდერები არიან.

საქართველომ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში. განახლდა საგზაო ქსელი და ძირითადი მაგისტრალები აკავშირებს დედაქალაქ თბილისს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონთან. სარკინიგზო სისტემამ განიცადა მოდერნიზაციის მცდელობები, გააუმჯობესა კავშირი მეზობელ ქვეყნებთან. გარდა ამისა, ქვეყანას აქვს საერთაშორისო აეროპორტები და საზღვაო პორტები, რაც ხელს უწყობს საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტირებას. საქართველო წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს ევროპასა და აზიას შორის, რაც მისმა მდებარეობამ განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობისთვის. ქვეყანამ გაატარა საბაჟო რეფორმები, ელექტრონული განბაჟების სისტემები და გამარტივებული სავაჭრო პროცედურები საქონლის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების გასაადვილებლად.

საქართველომ ასევე გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები რამდენიმე ქვეყანასთან, გააფართოვა სავაჭრო შესაძლებლობები და მოიზიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საქართველოში სულ რამოდენიმე წელია დაიწყო ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება , მათ შორის საწყობები, სადისტრიბუციო ცენტრები და თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, რათა ხელი შეუწყოს საქონლის ეფექტური გადაადგილებასა და შენახვას. ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტები შავ ზღვაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობაში. გარდა ამისა, საქართველომ დააარსა თავისუფალი ზონები და ინდუსტრიული პარკები, რომლებიც სტიმულს და ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს ლოჯისტიკასა და წარმოებაში ჩართულ ბიზნესებს.

ლოგისტიკური სექტორი საქართველოში გაიზარდა და განვითარდა. მრავალი ლოჯისტიკური კომპანია გთავაზობთ სხვადასხვა სახის მომსახურებას, როგორიცაა ტვირთის გადაზიდვა, განბაჟება, ტრანსპორტირება, საწყობი და დისტრიბუცია. ეს კომპანიები უზრუნველყოფენ საშინაო და საერთაშორისო ვაჭრობის მხარდაჭერას, ეხმარებიან ბიზნესებს ეფექტურად მართონ თავიანთი მიწოდების ჯაჭვები.

ძირითადი ტექსტი. როგორც უკვე ვახსენეთ ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის ერთერთი მამოძრავებელი ძალაა . ჩვენს ქვეყანაში იმპორტ-ექსპორტის განვითარებას ძალიან დაეხმარა სანქციები რომელიც რუსეთს დაუწესდა უკრაინასთან ომის დაწყების შემდეგ.

სწორედ იმის გამო რომ საქართველოს აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ჩვენი ქვეყანა არის კავკასიის მთავარი ლოგისტიკური ჰაბი , საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ლოგისტიკას საკმაოდ დიდი როლი საქართველოს მთლიანი შიდა პროსუქტის 12 პროცენტს სწორედ ლოგისტიკა შეადგენს, ამ სექტორის განვითარება კი პირდაპირ

ნიშნავს საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიო ლოგისტიკურ ქსელში . ლოგისტიკა ბაზრების კონკურენტუნარიანობის მთავარი განსმსაზღვრელი ასპექტია.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვით საქართველოს უჩნდება უდიდესი პოტენციალი რომ იქცეს კავკასიის და აზისს ლოგისტიკურ ცენტრად (ჰაბად).

გარდა ამისა ლოგისტიკის განვითარება დაგვეხმარება სხვადასხვა დარგების განვითარებაშიც , ერთერთი მნიშვნელოვანი დარგი საქართველოში არის სოფლის მეურნეობა რასაც საკმაოდ დიდი მომავალი აქვს თუ სწორად ვმართავთ . თუმცა აგრო სფეროს განვითარებაც დიდწილად დამოკიდებულია ლოგისტიკაზე , საქართველოს არ გაგვაჩნია ის მანქანა დანადგარები , არც ვიტამინები რომელიც სჭირდება კონკრეტულ მცენარეებს იმისთვის რომ ჯანსაღი პროდუქტი მოგვაწოდოს. სწორედ ამიტომ ლოგისტიკა ჯაჭვურადაა დაკავშირებული ყველა მთავარ სფეროსთან.

2003 წელს მას შემდეგ რაც საქართველოში ვარდების რევულუცია მოხდა შესაბამისად გაიზარდა ეკონომიკური მაჩვენებელიც თუმცა მალევე რუსეთ საქართველოს ომმა და მსოფლიო კრიზისმა ეს მაჩვენებელი ბევრად დასწია , საქართველოს დიდი დრო დასჭირდა იმისთვის რომ ეს მაჩვენებელი დაებრუნებინა და საბოლოოდ შეძლო კიდეც , 2013 წელამდე რუსეთი არ იღებდა საქართველოს არცერთ ნაწარმს თუმცა საბოლოოდ მაინც გაგრძელდა რუსეთში ქართული პროდუქტის ექსპორტი რაც იმ დროისთვის დიდი შვება იყო ქართული ეკონომიკისთის.

ცხრილი 3.1. 2018 წლიდან დღემდე საქართველოში იმპორტირტ-ექსპორტი

	2018	2019	2020	2021	2022*	2023* წლის იანვარი-მაისი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	12 741.1	13 317.9	11 398.3	14 342.4	19 184.9	8 362.6
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	3 379.7	3 798.4	3 344.5	4 242.7	5 592.8	2 502.9
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	9 361.4	9 519.5	8 053.8	10 099.8	13 592.1	5 859.7
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 981.7	-5 721.1	-4 709.4	-5 857.1	-7 993.3	-3 356.8
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	2 224.1	2 323.8	2 409.1	3 127.1	3 704.2	1 232.4

წყარო : https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba

საქართველოს მისი ტერიტორიული ადგილმდებარეობის გამო, ევროპასა და შუა - აზიას შორის, ასევე ირანსა და რუსეთს შორის, ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა უახლოეს მომავალში შექმნას საერთაშორისო ლოგისტიკური ჰაბი . ამასთან საქართველო თავაზობს უცხოურ კომპანიებს მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ბიზნეს შესაძლებლობებს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული ტრანსპორტის და ლოგისტიკის ბიზნეს საქმიანობის მიერ და უფროდაუფრო მეტი აუთვისებელი პოტენციალი იჩენს თავს.

საქართველო ლოგისტიკური გზებით თანამშრომლობს კავკასიის ქვეყნებთან, რადგან ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური დავა თურქეთთან სომხეთთან და აზებაიჯანთან

საქართველოს შეუძლია განახორციელოს ყველაზე მოკლე და უსაფრთხო მარშრუტი კასპიის ზღვის გავლით ბაქოს მიმართულებით ან თუნდაც ევროპისკენ თურქეთის გავლით , ამასთან ერთად შესაძლებლობა გვავქს საზღვაო გზით პირდაპირ ევროპაში მოვხვდეთ . (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური , 2023)

ტრანსპორტი და ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის სულ უფრო მზარდი სექტორი ხდება. 2021 წლის განმავლობაში ამ საქმიანობით დაკავებული კომპანიების ჯამური შემოსავალი 7 მილიარდ ლარს აღწევდა, რაც წინა წელთან შედარებით 1.2 მილიარდი ლარით მეტია.

ოფიციალური მონაცემებით, ეს სფერო ქვეყანაში 62 ათასზე მეტ ადამიანს ასაქმებდა, მათი ჯამური ანაზღაურება კი 1 მილიარდ ლარს აღემატებოდა.

კომპანიებს შორის, რომლებიც სატრანსპორტო სერვისების მიწოდებით არიან დაკავებული, უმსხვილესი „საქართველოს რკინიგზაა", რომლის შემოსავალიც 2021 წელს 548 მილიონ ლარამდე გაიზარდა. რამდენიმეწლიანი ზარალის შემდეგ კი 2021 წელს რკინიგზა 53 მილიონი ლარის წმინდა მოგებაზე გავიდა. რკინიგზა მთლიანობაში 12 ათასზე მეტ ადამიანს ასაქმებს.

ლოგისტიკის სფეროში მეორე უმსხვილესი მოთამაშეა ფოთის პორტის ოპერატორი APM Terminals-ი, რომლის შემოსავალიც 2021 წელს – 187 მილიონ ლარს, წმინდა მოგება კი 83 მილიონ ლარს აჭარბებდა.

უმსხვილესი ქართული ლოგისტიკური კომპანიაა Pace ჯგუფი, რომელიც ფოთის პორტის რამდენიმე ნავმისადგომს მართავს. კომპანია ძირითადად ცენტრალური აზიიდან მომავალ სატრანზიტო ტვირთებს უწევს მომსახურებას. ფინანსური ანგარიშის თანახმად, 2021 წელს Pace ჯგუფის შემოსავალი 116 მილიონ ლარს აღწევდა.

კიდევ ერთი მსხვილი კომპანია, რომელიც ლოგისტიკური სერვისების მიწოდებით არის დაკავებული, საერთაშორისო საკონტეინერო ხაზი MSC-ია, რომელსაც 2021 წელს საქართველოში 86 მილიონი ლარის შემოსავალი ჰქონდა. , ეს კომპანია ძირითადად არის საზღვაო

გადაზიდვებით დაკავებული , ბოლო წლების განმავლობაში რაც საზღვაო გზით ტრანსპორტირების რაუდენობა გაიზარდა MSC ის კომპანიის შემოსავლებიც გაორმაგდა.

დიაგრამა 3.2



წყარო : https://forbes.ge/saqarthveloshi-moqmedi-logistikuri-kompaniebis-shemosavlebi/

მოცემულმა გრაფიკმა გვაჩვენა 2011-2021 წლის პერიოდში ლოგისტიკის განვითარება ქვეყანაში , შესაბამისად ეს განვითარება ასახულია წლიურ ბრუნვაში , როგორც ვხედავთ 2021 წელს 2011 წელთან შედარებით 100% ით არის გაზრდილი წლიური ბრუნვა (საქართველოში მოქმედი ლოგისტიკური კომპანიები , 2023)

დასკვნა. საქართველოში ლოგისტიკის გაუმჯობესება მოითხოვს საკმაოდ ბევრ ასპექტს, რომელიც ეხება მიწოდების ჯაჭვს. იმისთვის რომ საქართველო ჩამოყალიბდეს ლოგისტიკურ ჰაბად აუცილებელია შემდეგი დეტალების გაუმჯობესება :

პირველი და აუცილებელი დეტალია - ინფრასტრუქტურის განვითარება , რომელიც მოიცავს გზების, რკინიგზის, პორტებისა და აეროპორტების რესტავრაცია .

არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენს ქვეყანაში , ახალ ტექნოლოგიებში იგულისხმება მაგალითად GPS ების დამონტაჟება მანქანებზე, რაც გამოიწვევს ტვირთის უფრო მარტივად და დროულად ტრანსპორტირებას.

ნებისმიერ ბიზნეს სტრუქტურას სჭირდება გამოცდილი მუშახელი , აუცილებელია ჩვენმა ქვეყანამ დაიწყოს ლოგისტიკური სფეროს განვითარება , თავდაპირველად ქვეყანას მოუწევს ინვესტიცია ჩადოს სხვადასხვა სახის ტრენინგებსა თუ პროგრამებში, მაგრამ ეს დანახარჯი ბევრად გაიზრდება როდესაც კვალიფიციური კადრების რაოდენობა გაიზრდება .

ამ სტრატეგიების განხორციელება მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას საჯარო და კერძო სექტორებს შორის, ინვესტიციებს ტექნოლოგიასა და ინფრასტრუქტურაში და ლოჯისტიკური შესაძლებლობების გაზრდის გრძელვადიან ვალდებულებას.

თუ გვსურს რომ ეს სექტორი საქართველოში იმდენად განვითარებული იყოს როგორც ევროპაშია აუცილებელია რომ გადამზიდ კომპანიებს მოვუხსნათ ზედმეტი ვალდებულებები .

სახელმწიფომ უნდა შეძლოს რომ ბაზრის კონკურენციას ხელი შეუწყოს რაც ჩემი აზრით შესაძლებელია თუ კონკრეტულ კანონს მივიღებთ იმის შესახებ რომ სატრანსპორტოებს მოვუხსნათ ვალდებულებები.

სწორედ იმიტომ რომ ბიზნესის გაუმჯობესებისთვის აუცილებელიც კი არის რომ ბიზნესი იყოს თავისუფალ კონკურენციაში , სწორედ ამიტომ აქვთ ევროკავშირში ძალიან კარგად აწყობილი ეს სექტორი რომ სახელმწიფო ზედმეტად არ ერევა ბიზნესში და საშუალებას აძლევს ამ სფეროს თავისუფალ ბაზარში იმუშაოს.

რადგან სახელმწიფო დღემდე ნაწილობრივ ერევა ამ კონკრეტულ ბიზნესში განვითარებისკენ ნელნელა მივდივართ , ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი თუნდაც მეზობელი ქვეყნების ურთიერთობიდან გამომდინარე რომ ვიმსჯელოთ , მათთვის ყველაზე მარტივი სატრანზიტო გზა ჩვენს ქვეყანაზე გადის . ეს მიმართულება რომ ვაქციოთ ჩვენ მთავარ მიმართულებად როგორც ლოგისტიკა ასევე ეკონომიკაც განვითარდება .

გამომდინარე იქიდან რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან მცირე ბაზარი გვაქვს , როგორც წესი ამხელა მოთხოვნა არ უნდა იყოს ლოგისტიკურ ჯაჭვზე თუმცა ისევ და ისევ ჩვენი ტერიტორიული მდებარეობა ძალიან ბევრ საშუალებას გვაძლევს იმისთვის რომ მეტად განვითარებულები და ეკონომიკურად მყარები ვიყოთ . სახელმწიფო ასევე უნდა დაგვეხმაროს იმაში რომ შევძლოთ უცხოელი პარტნიორების მოძიებაც.

იმისთვის რომ ნებისმიერი სფერო განვავითაროთ აუცილებელია რისკი , აუცილებელია დავუპირისპირდეთ დიდ ბარიერებს , სხვა შემთხვევაში მოხდება ის რომ ეს სფერო დარჩება განუვითარებელი , ახლა გვეყმარება ის ადგილმდებარეობა სადაც ვართ თუმცა ამ საუკუნეში აუცილებელია სიახლეებს ფეხი ავუწყოთ სწორედ იმიტომ რომ გავხდეთ ბევრად საინტერესო და რაც მთავარია საჭირონი სხვა ქვეყნებისთვის.

საქართველოს მისი ტერიტორიული ადგილმდებარეობის გამო, ევროპასა და შუა - აზიას შორის, ასევე ირანსა და რუსეთს შორის, ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა უახლოეს მომავალში

შექმნას საერთაშორისო ლოგისტიკური ჰაბი . ამასთან საქართველო თავაზობს უცხოურ კომპანიებს მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ბიზნეს შესაძლებლობებს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული ტრანსპორტის და ლოგისტიკის ბიზნეს საქმიანობის მიერ და უფროდაუფრო მეტი აუთვისებელი პოტენციალი იჩენს თავს.

საქართველო ლოგისტიკური გზებით თანამშრომლობს კავკასიის ქვეყნებთან, რადგან ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური დავა თურქეთთან სომხეთთან და აზებაიჯანთან

საქართველოს შეუძლია განახორციელოს ყველაზე მოკლე და უსაფრთხო მარშრუტი კასპიის ზღვის გავლით ბაქოს მიმართულებით ან თუნდაც ევროპისკენ თურქეთის გავლით , ამასთან ერთად შესაძლებლობა გვავქს საზღვაო გზით პირდაპირ ევროპაში მოვხვდეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლოჯისტიკა საქართველოში. (n.d.). Retrieved from FSM LogisticsFS Mackenzie International Group: https://fsmlogistics.com/ge/logistics/

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო . (2023). Retrieved from ცენტრალური აპარატი:

https://www.economy.ge/?page=departments&dep=8

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური . (2024, აპრილი). Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

4. საქართველოში მოქმედი ლოგისტიკური კომპანიები . (2024, აპრილი). Retrieved from FORBES : https://forbes.ge/saqarthveloshi-moqmedi-logistikuri-kompaniebis-shemosavlebi/

5. შემოსავლების სამსახური . (2022). Retrieved from გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზი): https://old.rs.ge/4785

სტარტაპ ბიზნესის ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში
Peculiarities of startup business formation and functioning in Georgia

მერაბ გეჯუა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
merabigejua@yahoo.com
Merab Gejua - Sokhumi State University
Doctor of Economics. Associate Professor
merabigejua@yahoo.com

აბსტრაქტი. სამეცნიერო სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, შესწავლილია ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სტარტაპ ბიზნესის ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში.

წარმოდგენილია ქართული სტარტაპ ბიზნესის სახელმწიფო მხარდამჭერი ორგანიზაციების სხვადასხვა პროგრამები და მიმართულებები. ასევე განხილულია სტარტაპ ბიზნესის დაფინანსების მექანიზმები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გამოიყენოს ქართულმა ბიზნეს სექტორმა, რათა გახდეს წარმატებული.

საკვანძო სიტყვები: სტარტაპი, სტარტაპ ბიზნესი, ფინანსური სერვისი, ღრუბელოვანი ტექნოლოგიები, ვენჩერული ფონდები, ქრაუდფანდინგი.

Abstract. In the scientific article, based on the latest literary sources and factual materials, such an important issue of economic theory and practice as the peculiarities of the formation and functioning of startup business in Georgia is studied.

Various programs and directions of state supporting organizations of Georgian start-up business are presented. Startup business financing mechanisms are also discussed and recommendations are developed that should be used by the Georgian business sector in order to become successful.

Keywords: Startup, Startup Business, Financial Service, Cloud Technologies, Venture Funds, Crowdfunding.

შესავალი: თანამედროვე პირობებში საქართველოში კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირება. ამასთან დაკავშირებით, ბიზნესის წამოწყებისა და განვითარებისათვის ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამ თვალსაზრისით, არსებითი რეფორმები იქნა გატარებული ქვეყნაში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის. კერძოდ, 2022 წლის აგვისტოდან ამოქმედდა განახლებული კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელშიც შევიდა 21 ცვლილება და ამან დაარეგულირა ბევრი ისეთი ბუნდოვანი ინტერპრეტაცია, რომელიც ხშირად გაუგებრობებს იწვევდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსში, რომელიც ქვეყანაში არეგულირებს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებას. არსებითი ცვლილებები შეეხო ქვეყანაში მცირე მეწარმის და მცირე ბიზნესის სტატუსის განახლებას, დაწესდა საგადასახადო შეღავათები მცირე მეწარმეობის განვითარების კუთხით, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის.

სახელმწიფო დღეისთვის დიდ ყურადღებას უთმობს დამწყები ბიზნესის განვითარებას. ამ მიზნით საქართველოში 2014 წლის თებერვალში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“, საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში, ხოლო 2014 წლის 5 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის #1-1/66 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ „საქართ-ველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ დებულება.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მისიაა საქართველოში ინო-ვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის აუცილებელი საჭირო ეკოსისტემების ფორმირება, ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, სტარტაპებში ინოვაციური სისტემების გამოყენების სტიმულირების ხელშეწყობა ეკონომიკის ცალკეულ დარგებში და თანამედროვე ტექნოლოგიური პროდუქტებისა და მომსახურების ექსპორტისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული სტარტაპ ბიზნესის ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებათა კვლევა მეტად საჭირბოროტო და სადღეისოა.

კვლევის შედეგები: ჩატარებული კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ საქართველოში 2014-2022 წლებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ჯამური ბენეფიციარების რაოდენობამ 56000-ს გადააჭარბა, რეგიონებში ამ ციფრმა 4556 ბენეფიციარი შეადგინა. რვა რაუნდში დაფუძნდა 155 სტარტაპი, რომელთაგან თითოეულმა საქმის წამოწყებისათვის მიიღო 150 000 ლარიანი გრანტი, ხოლო 482-მა სტარტაპმა საქმის წამოწყებისათვის მიიღო მცირე გრანტი. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 2023 წლის მეცხრე რაუნდში გამოვლინდა 20 სტარტაპი, რომელთაგან თითოეულმა მიიღო 150 000 ლარიანი გრანტები [1]. მათ მიეკუთვნება:

- SMART APP - სტარტაპი, რომელიც ღრუბელოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს ეფექტურობის მიღწევაში[3];
- MARLIN - ტექნოლოგიური სტარტაპი, რომელიც შექმნილია მომწოდებლებსა და მყიდველებს შორის შეკვეთების მართვის პროცესის გასამარტივებლად და გასაიაფებლად[4];
- FORMA HEALTHY - ჯანსაღი ცხოვრების გამარტივება და წონის კლების პროცესის თავგადასავლად ქცევა[5];
- Stori AI - ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვებ-აპლიკაცია, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესის მფლობელებს და ოპერატორებს, მარკეტოლოგებს და „კოპირაიტერებს“, სტუდენტებსა და მასწავლებლებს, წამებში შექმნან უნაკლო და კრეატიული ციფრული მასალა, როგორც ტექსტი, ასევე ვიზუალი[6];

[3] https://youtu.be/xvDdnO5CGEE
[4] https://youtu.be/ppGjawbPh2A
[5] https://youtu.be/hsFUGFhaIpM
[6] https://youtu.be/wYxeot3kej8

- AWORK - დასაქმების პირველი ქართული აპლიკაცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სამუშაოს მაძიებლებსა და კომპანიებს (კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა ბიზნეს პროფილის მეშვეობით ციფრულად მართონ HR პროცესები, ხოლო მომხმარებლებს შეუძლიათ მარტივად მოძებნონ ვაკანსიები და პლატფორმიდან გაუსვლელად გააგზავნონ აპლიკაციები)[7];
- ORDERO – B2B „მარქეთფლეისი“ ჯანდაცვის სექტორში, რომელიც ამარტივებს კლინიკებისა და საავადმყოფოების ურთიერთობას მომწოდებლებთან[8];
- eCONSUL - სტარტაპის მიზანია, შეიქმნას სივრცე, რომელიც დაეხმარება მოგზაურს მისი პერსონალური ინფორმაციის შევსებაში, შენახვასა და მართვაში. ამით გაამარტივოს წინასამოგზაურო პროცესი და მოახდინოს სავიზო აპლიკაციების შევსების ავტომატიზაცია[9];
- COLIS - სტარტაპის მიზანია Web3 ქროსჩეინ CRM-ის შექმნა, რომელიც დაეხმარება სხვადასხვა დეცენტრალიზირებულ აპლიკაციებს (Dapps) საკუთარ მომხმარებლებთან ინტერაქციასა და მათ ანალიზში[10];
- RANKO - პროექტის მიზანია ეკოსისტემის შექმნა, რომელიც წვდომას შეუქმნის დაბალშემოსავლიან მოსახლეობასა და მცირე ბიზნესის მეპატრონეებს ხელმისაწვდომ ფინანსებზე, ასევე დაეხმარება ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ციფრული ინფრასტრუქტურის შექმნასა და მომსახურების გაუმჯობესებაში[11];
- MEDIK - სამედიცინო ეკოსისტემა, სადაც პაციენტები დაჯავშნიან და მართავენ ექიმთან ვიზიტებს, მათ შორის პირად ან ვიდეო ვიზიტებს, მიიღებენ ყველა სამედიცინო ინფორმაციას, როგორიცაა ანალიზების პასუხები, რადიოლოგიის შედეგები და რეცეპტები, შეიძენენ გამოწერილ მედიკამენტებს ციფრულ აფთიაქში და გაუგზავნიან საჭირო ინფორმაციას სადაზღვევო კომპანიას ხარჯების ასანაზღაურებლად[12];
- SPOT'S MODULAR FARM - Spot მიზნად ისახავს HORECA-ს მაღაზიების ფართო სპექტრს და სხვა კერძო სექტორებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ერთის მხრივ, კომპანია გაყიდის სრულად აწყობილ სპოტებს ექსპორტზე კლიენტებზე, რომლებსაც სურთ მათი დამოუკიდებლად ოპერირება. მეორე მხრივ, დაინსტალირდეს Spots-ს პარტნიორ HORECA-ებთან საქართველოში, მაგრამ შენარჩუნდეს ამ ფერმების მფლობელობა[13];
- UPWAY - არაფორმალური კურსების ყველაზე დიდი და სანდო „მარკეტფლეისი“, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ მოიძიონ, შეადარონ და შეიძინონ ლოკალური კურსები, ხოლო

[7] https://youtu.be/rTuj-1s4b7M
[8] https://youtu.be/wIIqug1u0o4
[9] https://youtu.be/46JGqm68wFU
[10] https://youtu.be/F8th3cnuLFM
[11] https://youtu.be/Li9yPfj7Rs0
[12] https://youtu.be/Tyz58qWZqZY
[13] https://youtu.be/fff6Ng3Pbyo

კურსის პროვაიდერებს შეუძლიათ განათავსონ და მართონ კურსზე ინფორმაცია, მიიღონ რეგისტრაციები და გაყიდონ კურსები[14].

- PROXYMETA LABS - CIS-სა და Asia-ის რეგიონში web3 პროექტების ინკუბაცი-ის უზრუნველყოფა, დახმარება იდეების ჩამოყალიბებაში, პროექტის დაგეგმვაში, მარკეტინგული გეგმის შემუშავებაში, ფინანსურ საკითხებში და ა.შ.[15];
- FlexUp - სტარტაპი აკავშირებს სტუდენტებს სტუმართმოყვარეობის ბიზნესთან მოკლე ყოველდღიური მორიგეობით, ათავისუფლებს ზეწოლას ძირითადი გუნდებისგან და აძლიერებს მომხმარებელთა მომსახურების საუკეთესო ეპოქას[16];
- OMOI - AI-ზე დაფუძნებული UX კვლევის MVP-ს გარდაქმნა პროდუქტად და გლობალურ ბაზარზე გასვლა[17];
- LAWFORMER - იურისტების მიდგომის შეცვლა ყოველდღიური სამუშაო პროცესების მიმართ[18];
- CALEN AI - სტარტაპის მიზანია, დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესებს მომხმარებლებთან კომუნკაციების მოწესრიგებაში, დაგეგმვასა და ავტომატიზაციაში ტექნოლოგიების შესწავლის გარეშე[19];
- Mens.ge - პროექტის მიზანია, განავითაროს მამაკაცების ტელემედიცინის ინოვაციური პლატფორმა[20];
- BETTER ENERGY SOLUTION - პროექტის მიზანია, არსებული კერძო კომპანიებისთვის განახლებადი ენერგიის წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ბიუჯეტური და მოსახერხებელი სერვისის მიწოდებით, რომელიც დაეხმარება კომპანიებს ხარჯების შემცირებაში და ასევე ხელს შეუწყობს სუფთა ენერგიის წყაროების გამოყენებას ქვეყანაში[21];
- CARUSELL - ავტომობილების ყიდვისა და გაყიდვის მოქნილი პლატფორმა[22].

ყოველივე ზემოთაღნიშნული ნათლად მოწმობს იმაზე, რომ სააგენტოს მიზანია, საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროექტების და მომსახურების მატარებელი სტარტაპების ხელშეწყობა და მათი საქმიანობის სტიმულირება.

საქართველოში დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის #206 დადგენილებით დამტკიცდა დამწყები

[14] https://youtu.be/M7hbwenrX3w
[15] https://youtu.be/2DvuelMcsAE
[16] https://youtu.be/lD6XjMG25vc
[17] https://youtu.be/J0zNfOXDKoY
[18] https://youtu.be/nCAz0vdMi3U
[19] https://youtu.be/jdPyt3UYGAk
[20] https://youtu.be/Sne1d3ItLp8
[21] https://youtu.be/MmtHpMS6NBw
[22] https://youtu.be/sWA9fMZGCvQ

ბიზნესის (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამა. აღნიშნული პროგრამა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა და წარმოადგენს ეკონომიკური რეფორმის შემადგენელ ნაწილს, „სტარტაპ საქარ-თველო“ პროგრამის მომზადება-ფორმირებაში აქტიურად იყო ჩაბმული სს „საპარ-ტნიორო ფონდი“ და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო[23].

პროექტის თანადაფინანსების რაოდენობა მერყეობს 15 000 ლარიდან 100 000 ლარამდე. განმცხადებლის თანამონაწილეობა შეადგენს პროექტის მთლიანი ღირებულების 10%-ს. უზრუნველყოფის სახით პროექტის ავტორს არ მოეთხოვება რაიმე სახის პირადი ქონება, უზრუნველყოფას წარმოადგენს მხოლოდ სტარტაპ კომპანიის აქტივები. „სტარტაპ საქართველოს“ პროექტების დაფინანსების საერთო ბიუჯეტია 2 000 000 ლარი, აქედან: 100 000 ლარით ფინანსდება სააგენტოს ბიუ-ჯეტიდან, ხოლო 100 000 ლარით ფინანსდება საპარტნიორო ფონდის ბიუჯეტიდან. მაღალტექნოლოგიურ სტარტაპებს აფინანსებს ვენჩერული ინვესტიციები სი-ლიკონ ველიდან [2].

სტარტაპების განვითარებას ქვეყანაში ხელს უწყობს მთავრობის ინიციატი-ვით 2014 წელს დაფუძნებული პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია ქვეყანაში ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა, ახალი დამწყები საწარმოების შექმნა და ბიზნესის საექსპორტო პოტენციალის გადიდების ხელშეწყობა. პროგრამის სამიზნე სტრატეგიებია: ენერგეტიკა; უძრავი ქონება; წარმოება; ლოჯისტიკა; აგროსექტორი და საკვების გადამუშავება [3].

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტარტაპებისათვის პარტნიორად გვევლინება სახელმწიფო. კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელია სტარტაპისათვის ინფრასტრუქტურის გადაცემის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეწარმეებზე გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებით. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

⇒ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი ორიენტირებულია ბიზნესის გან-ვითარების დონესა და დაფინანსების საჭიროებაზე. პროგრამა გამიზნულია „სტარტაპებისთვის“ და არსებული ბიზნესის გაფართოებისთვის;

⇒ სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში“ მეწარმეებს ეხმარება რეგიონებში სასტუმრო ბიზნესის განვითარებაში, ტურისტების მოზიდვასა და რეგიონების ეკონომიკის გამოცოცხლებაში.

[23] საყურადღებოა, რომ „სტარტაპ საქართველო“ აფინანსებს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია ბიზნეს იდეა. ბიზნეს იდეა უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული და საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველი.

⇒ კინოინდუსტრიის განვითარების კომპონენტი, რომელიც ანაზღაურებს გადაღებებზე გაწეული კვალიფიციური ხარჯების 20-25 %-ს. კომპონენტი ხორციელდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით;

⇒ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტი ხელს უწყობს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით. პროგრამა გამიზნულია როგორც „სტარტაპებისთვის“, ისე არსებული ბიზნესის გაფართოებისთვის.

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში 2023 წლისათვის მხარდაჭერილია 6212 პროექტი, ჯამური ინვესტიციით 61 მლნ ლარით. სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ 2023 წელს მიკროგრანტების პროგრამის ფარგლებში 1400 ბენეფიციარი ჰყავს ანუ სახელმწიფოს მხარდაჭერით დაფინანსდა ახალი ბიზნესი, რომლის ჯამური მოცულობა 38, 5 მლნ ლარია [4].

სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ დაემატა ახალი კომპონენტი „ბიზნეს უნივერსალი“, რომლის მიზანია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება, ახალი სტარტაპების შექმნა და ამოქმედება. ამ პროგრამის ფარგლებში სააგენტო ახორციელებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას სესხის სრული ვადით, რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 5 %-ის ოდენობით.

საქართველოში სტარტაპების ბიზნეს მოდელების ფორმირება-განვითარების საქმეში გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯია 2016 წლის ივნისში „ინოვაციების შესახებ“ კანონის მიღება. ამ კანონის მიღებით სახელმწიფოს მხრიდან მოხდა ინოვაციების პრიორიტეტულობის აღიარება და მან ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს უფლება მისცა, გასცეს გრანტები მეწარმე სუბიექტებზე ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად, რაც ამ კანონის მიღებამდე აკრძალუ-ლი იყო საქართველოს კანონით „გრანტების შესახებ“.

აღნიშნული კანონის ამოქმედებით ინტელექტუალური საკუთრების მფლობელები ხდებიან ის ფიზიკური თუ იურიდიული პირები (კვლევითი ცენტრები, უნივერსიტეტები, შპს-ები და ა.შ.), სადაც გაჩნდა გამოგონება[24]. საქართველოში ამ კანონის ამოქმედება ერთგვარი წახალისების მექანიზმია, საუკეთესო მეცნიერებისა და იდეების მოსაზიდად.

საქართველოს მთავრობას ქვეყანაში სტარტაპების განვითარების ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადასადგმელი ვენჩერული ფონდების შექმნის წასახალისებლად

[24] ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული რეგულაცია აშშ-ში მიღებული იქნა Bayh-Dole აქტით, რამაც არსებითი როლი ითამაშა ინოვაციების დაფინანსებაში კერძო ფინანსების მოზიდვის საქმეში. ამ კანონის საფუძველზე განისაზღვრა სტარტაპებში ინოვაციების გამოყენებით ის მინიმალური გარანტირებული წილი, რომელიც გამომგონებელმა პირადად უნდა მიიღოს.

სამართლებრივი ბაზის შექმნისათვის და ამ მიზნით ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა ქართველ ინვესტორებს ჰქონდეთ პლატფორმები ინოვაციური იდეების და სტარტაპების დასაფინანსებლად.

საქართველოში სტარტაპების დაფინანსების საკითხში საკანონმდებლო ბაზის დამუშავებას მოითხოვს სახალხო დაფინანსების მექანიზმის ე.წ. ქრაუდფან-დინგის სრულყოფილი ამოქმედება, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს ქვეყანაში მოქმედი ფასიანი ქაღალდების კანონის ფუნდამენტურად გადახედვას. ამ კუთხით მსოფლიოში მოიძებნება აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება, დაფუძნებული კანონმდებლობაზე. ამ კუთხით სამომავლოდ გა-დასადგმელია სერიოზული ნაბიჯები, რათა სტარტაპებს საქართველოშიც აქტიუ-რად შეეძლოთ კერძო ინვესტიციების მოზიდვა [5].

სტარტაპ ბიზნესების საქმიანობის ოპტიმიზაციის მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში „ბიზნეს-ინკუბატორების“ ქსელის განვითარება. ამ მიზნით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 28 დეკემბრის #135 დადგენილებით დაფუძნებულია დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს-ინკუბატორი, ასევე, 2015 წლის ნოემბრიდან ბიზნეს-ინკუბატორი ამუშავდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ქვეყნის ამ ორ წამყვან უნივერსიტეტში ამუშავებულმა ბიზნეს-ინკუბატორებმა (Fab – Lab) სტუდენტებს და ახალგაზრდა ინოვაციური იდეების მატარებელ სპეციალისტებს ახალი პროდუქციისა და მომსახურების შექმნის საშუალება მისცა[25] [6].

სტარტაპ ეკოსისტემამ საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკური განვითარების გრძელი გზა განვლო და დღეისათვის კვლავ ვითარდება, რომელიც თანამედროვე მსოფლიო გლობალურ ბაზარს ინოვაციურ პროექტებსა და სერვისებს სთავაზობს. ჩვენი კვლევის მიზნებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე საქართველოში მოქმედი ინოვაციური სტარტაპები, რომელთა შორისაც შეიძლება დასახელდეს:

სტარტაპი WiFisher 2015 წელს დაფუძნდა და მისი ინოვაციური ბიზნეს იდეა უსადენო ინტერნეტს უკავშირდება. ახალბედა სტარტაპს ამჟამად 6 პროექტი გააჩნია, რომელთაგან ერთ-ერთი Presicion-ია, რომელიც ერთეულ მომხმარებლებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი ანალიტიკური მონაცემების შეგროვებას ახორციელებს. Presicion-მა დიდი მოცულობის მონაცემების გადამუშავების ღრუბლოვანი პლატფორმა შექმნა და მოწყობილობებს კომბინაციით კიდევ 4 ახალი პროდუქტი დაამატა. აღნიშნული სტარტაპის პროდუქცია დღეს საქართველოს ბაზარზე ლიდერია.

[25] უნივერსიტეტების ბაზაზე შექმნილი ბიზნეს-ინკუბატორები ეხმარებიან დამწყებ მეწარმეებს ინვესტორების მოძიებაში.

სტარტაპი Influence Georgia საქართველოს ბაზარზე 2019 წლიდან არის წარმოდგენილი. იგი ახორციელებს სარეკლამო კამპანიებს Instagram, Facebook, Youtube, Tiktok და სხვა სოციალურ მედია არხებზე, რომლის საშუალებითაც პრო-დუქტებსა და პროექტებს სოციალური მედიის ტოპ ინფლუენსერებთან დაკავშირების საშუალება ეძლევათ. სტარტაპი აქტიურად თანამშრომლობს ისეთ პარტ-ნიორებთან როგორიც არის კოკა-კოლა, სამსუნგი, მაკდონალდსი. აღნიშნულმა ქართულმა სტარტაპმა საერთო ჯამში მოიპოვა 14 00 000 ლარის დაფინანსება.

სტარტაპი Spy Recipe წარმოადგენს ინოვაციურ ბიზნეს მოდელს, რომელიც ჩართულია პროდუქციის შეფუთვის ახალი სტილის დამკვიდრებაში. იგი ქმნის პროდუქტს მომხმარებელთა ქცევის შესაბამისად. ამ სტარტაპმა წარმოშვა ისეთი ინოვაციური ბიზნესი, როგორიცაა „რეცეპტების მუზეუმი“, იგი სამომავლოდ ამ იდეის გაციფრულებას და „ფრანჩაიზინგის“ ევროპაში გაყიდვის გეგმავს.

სტარტაპი VRey Immersive საქართველოს ბაზარზე 2014 წლიდან გამოჩნდა და მისი მთავარი მიზანი ტურისტული ადგილების შესახებ VR გამოცდილების შექმნა იყო. სტარტაპმა შექმნა ვირტუალური რეალობის პლატფორმა, რომლის საშუალებითაც მოგზაურობებს საშუალება ეძლევათ სასურველი ტურისტული ადგილების ვირტუალური დათვალიერებისა. სტარტაპმა ვირტუალური რეალობის გამოყენებით შექმნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების VR სტენდები შშმ პირებისათვის და VR სტენდები და ვირტუალური რეალობის გამოცდილება შესთავაზა ავიაგადამყვანი კომპანიების მგზავრებს.

სტარტაპმა Elven Technologies-მა შექმნა მეხანძრის ცეცხლგაუმტარი უნიფორმის იდეა, რომელიც 30 წუთის განმავლობაში მაღალ ტემპერატურას უძლებს. აღნიშნული უნიფორმა მსუბუქი და მოსახერხებელია მეხანძრეთა რუტინული შრომის პირობებისათვის. სტარტაპი ელვენი აქტიურად მუშაობს კოსმოსური ხომალდის პერსონალის უნიფორმის (სკაფანდრის) შესაქმნელად.

სტარტაპი AReal არის პლატფორმა, რომლის საშუალებითაც კულტურულ და სამუზეუმო ლოკაციებზე ადამიანებს ციფრული გაიდით სარგებლობა შეუძლიათ. აღნიშნული სტარტაპი საქართველოს სამუზეუმო გაერთიანებების ერთ-ერთი პარტნიორია. იგი აქტიურად ოპერირებს ქვეყნის რეგიონულ ბაზარზე.

სტარტაპმა Plug and Pay თიბისი ბანკისათვის საკუთარი ონლაინ-გადახდის პლაგინი შექმნა. ამის შედეგად გაჩნდა სერვისის ფასიანი ვერსია, რომელსაც პროფესიონალთა გუნდი ემსახურება. დღეისათვის Plug and Play-ის გამოყენება შესაძლებელია პროგრამირების ცოდნის გარეშე და იგი მარტივად ინტეგრირდება Wordpress+Woocomerce ძრავთან, რომელსაც ელექტრონული კომერციის საიტებისათვის იყენებენ. მარტივი ინსტრუქციის გამოყენებით მისით პრაქტიკაში სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. Plug and Pay ფუნქციური მრავალფეროვნებით

ხასიათდება. ამიტომ აღნიშნული პლაგინების განვითარება აქტიურად მიმდინარეობს და ყოველი განახლების შემდეგ მას ახალი ახალი ფუნქციური შესაძლებლობაც ემატება [7].

აღნიშნული ქართული სტარტაპები დღეისათვის აქტიურად საქმიანობენ საქართველოს ბაზარზე და ეს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცნენ.

სტარტაპების ბიზნეს მოდელების ფორმირებისა და განვითარების პროცესში თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გახდა ინოვაციურ ტექნოლოგიებში ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა. საქართველოში 2022 წელს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კოორდინირებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა ქალთა გადამზადების პროექტი „500 ქალი ტექნოლოგიებში“. პროგრამა ით-ვალისწინებს frantend და backend დეველოპმენტის, ციფრული მარკეტინგის, გრაფიკული დიზაინის სწავლებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე 2023 წლის პირველ ნახევარში ქალბატონების მესამე ნაკადის სწავლება წარიმართა [8].

საქართველოში ინოვაციების განვითარებას და დამწყები ბიზნესის ხელშეწ-ყობას ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების კონცეფციის მე-9 მიზანი „მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციის და ინოვაციების ხელშეწყობა“. აქედან გამომდინარე, სტარტაპ ინოვაციების განვითარების უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოშიც.

საქართველოს მთავრობას „ნაციონალიზებული“ აქვს გაეროს მდგრადი განვითარების მე-9 მიზანი 5 ქვეამოცანად და მთავრობა აქტიურად მუშაობს ისეთი კონკრეტული პროგრამების და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე, როგორიცაა: ინოვაციური „სტარტაპების“ სტიმულირება და მუშახელის გადამზადება, ინოვაციებისა და სტარტაპ პროექტების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, მა-ღალმთიან რეგიონებში სათემო ინტერნეტიზაციის პროექტების ხელმისაწვდომო-ბა, საქართველოს გავლით ევროპაზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრან-ზიტო ჰაბის ჩამოყალიბება და სხვ.

ადგილობრივ ტექნოლოგიებს, კვლევებსა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რამდენიმე სახელმწიფო უწყების მხარდაჭერით შემუშავებულია „ინოვაციების სტრატეგია 2025“, კანონი „ინოვაციების შესახებ“ და სახელ-მწიფო პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ გამომგონებლებსა და ინოვაციური იდეების მქონე ადამიანებს აძლევს საშუალებას, განახორციელონ საკუთარი პროექტები, ხოლო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ითვალისწინებს მე-წარმეთა ტექნიკურ დახმარებას მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საჭიროებაზე, რაც არსებითად დადებითად აისახა დამწყები მეწარმეობის განვითარებაზე.

საქართველოში სტარტაპების ბიზნეს მოდელების ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებათა გაცნობის შედეგად ნათელი ხდება მთელი რიგი საფრთხეები, რომელიც თან ახლავს სტარტაპ ბიზნესის განვითარებას. ამ საფრთხეებიდან შესაძლებელია, გამოვკვეთოთ: (1) ფინანსური რესურსების ამოწურვა; (2) სტარტაპის განმახორციელებელი გუნდის ფორმირებაში პრობლემები; (3) სტარტაპ იდეების აღქმის სირთულე.

ეს სამი პრობლემა საკმაოდ სერიოზულია საქართველოში სტარტაპების ფორმირება-განვითარების საქმეში. სტარტაპის საქმიანობას ყოველთვის ახლავს ქაოსი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ორი ქაოსი, კერძოდ, ქაოსი, რომელიც ქმნის და ქაოსი, რომელიც ანგრევს. სტარტაპების მმართველ გუნდს ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ეს უკანასკნელი და გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ სტარტაპის მენეჯმენტის სისტემა არეულია, პროდუქტი - გაურკვეველი და სტარტაპის ღირებულებები დაკარგული.

სტარტაპებში აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით აუცილებელია დროულად და იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები: (1) სტარტაპის მმართველ გუნდში როლების გადანაწილება; (2) ფორმირება სტარტაპის პროდუქტზე და მომსახურებაზე; (3) ღირებულებების თანმიმდევრული აღქმა.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, სტარტაპის გუნდის წევრთა შესაძლებლობებთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს მათ ინტერესებს და გუნდის თითოეული წევრი სტარტაპის ფორმირების პირველი ეტაპიდანვე აქტიურად უნდა ითვისებდეს მენეჯერის როლის ფუნქციებს. აღნიშნული ქმედების განუხორციელებლობის შემთხვევაში ნებისმიერი უვნებელი სტარტაპ გადაწყვეტილება შეიძლება იქცეს პრობლემად. სტარტაპმა ბაზარზე საკუთარი თავი უნდა დაიმკვიდროს ერთი კონკრეტული მიმართულებით, ხშირად სერვისების გაფართოებას ზიანი მოაქვს როგორც კონკურენტების, ისე მომხმარებლების თვალში. ამიტომ სტარტაპი ყოველთვის ფოკუსირებული უნდა იყოს მის მთავარ იდეაზე, რომლის გადაჭრასაც იგი ისახავს მიზნად. დამწყები სტარტაპების პატარა გუნდში ღირებულებების გატარება თავიდან მარტივია, ხოლო რაც უფრო იზრდება გუნდი, მით უფრო რთულდება ღირებულებების გატარება. ამიტომ სტარტაპ-კომპანიამ ყოველთვის უნდა იზრუნოს საკუთარი კულტურის შექმნაზე და მის საქმიანობაში გატარებაზე.

დასკვნა: საქართველოში სტარტაპების ბიზნეს მოდელების ფორმირება-განვითარების მდგომარეობის გაანალიზების შედეგად ნათელი გახდა, რომ სტარტაპების, როგორც დამწყები ბიზნესის, განვითარების მიზნით სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს როგორც საკანონმდებლო, ისე ტექნოლოგიურ სფეროებში რეფორმებს, რომლის შედეგებმაც შესაძლებელი გახდა თანამედროვე მსოფლიო სტარტაპ ბაზარზე ქართული სტარტაპების მიერ აღიარების მოპოვება. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და საინვესტიციო მიმზიდველობის

ფორმირების პროცესში სტარტაპები უფრო აქტიურად ერთვებიან და საქმიანობას აგრძელებენ მსოფლიოში აღიარებული ბრენდების გვერდით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერაძე დ. ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე სტარტაპები: https://forbes.ge/qhvelaze-maghali-ghirebulebis-mqone-startapebi/
2. გეთიაშვილი მ. სტარტაპები საქართველოში: https://naec.ge/uploads/postData/Jurnal/N13/11.pdf
3. ევროპის ტოპ 10 სტარტაპ ჰაბის მიმოხილვა: https://medialab.ge/news/evropis-top-10-startap-habis-mimokhilva
4. ვანიშვილი ნ. წარმატებული ქართული AI სტარტაპები: https://dev.ge/news/tsarmatebuli-kartuli-ai-startapebi-1676372197
5. Vanishvili, M. & Shanava, Z. (2024). An important work on the religious aspeqts of business. *Scientific Collection «InterConf+», 41(185),* 172-178. Retrieved from https://archive.interconf.center/index.php/2709-4685/issue/view/19-20.01.2024/195
6. Vanishvili, M. & Katsadze, I. (2023). Challenges and prospects of fintech startups in Georgia. *Scientific Collection «InterConf»,(141), 21-27.* 8-19. Retrieved from https://archive.interconf.center/index.php/conference-proceeding/issue/view/6-8.02.2023/151
7. თეთრაძე მ. ნოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაფინანსებული სტარტაპები 2018-2023 წწ.: https://askgov.ge/ka/request/inovaciebis_da_teknologiebis_saa_2
8. პაპალაშვილი ს. ქართული კომპანიები და სტარტაპები Web Summit 2023-ზე: https://forbes.ge/qarthuli-kompaniebi-da-startapebi-web-summit-2023-ze/

ხელოვნური ინტელექტის როლი მომავლის ბიზნეს განათლების სფეროში
The role of artificial intelligence in the future of business education

ქეთევან შენგელია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Shengeliaqetevan11@gtu.ge
Ketevan Shengelia - Georgian Technical University
Associate Professor
Shengeliaqetevan11@gtu.ge

რეზიუმე. ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიური მიღწევები, ასევე მისი მნიშვნელობა ბიზნესის და მართვის სფეროში, კვლევა ეხება აგრეთვე მომავლის ბიზნეს განათლების საჭიროებებს.

მრავალფეროვანია განმარტებები ხელოვნური ინტელექტის შესახებ. ნაშრომში განხილული გვაქვს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის OECD-ს, ევროპის საბჭოს, ევროკომისიის მაღალი რანგის ექსპერტთა ჯგუფის განმარტებები და ასევე ჩვენეული განმარტება.

ჩვენ განვსაზღვრავთ ხელოვნურ ინტელექტს, როგორც გამოსაყენებელ სისტემებს გარე მონაცემების შესასწავლად და კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ამ სისტემებს შეუძლიათ ისწავლონ როგორ შეასრულონ დავალებები დამოუკიდებლად, მიაღწიონ თითქმის ზეადამიანურ შესრულებას საქმიანობის ფართო სპექტრში. უბრალოდ საჭიროა თაღლითობის გამოვლენის სფეროების გამოკვლევა, რისკების და გამოწვევების გათვალისწინება.

ხელოვნურ ინტელექტს აქვს უდიდესი პოტენციალი, გარდაქმნას ეკონომიკა, განავითაროს ახალი ინდუსტრიები და ბიზნეს მოდელები, გაზარდოს პროდუქტიულობა, ცხოვრების დონე. მისი მეშვეობით შესაძლებელია რუტინული სამუშაოების ავტომატიზირება, რაც გამოათავისუფლებს დროს კრეატიულ ამოცანებზე ფოკუსირებისთვის.

შესაბამისად, ბიზნეს განათლებამ უნდა გაზარდოს თავისი როლი სტუდენტების მომზადებაში, რათა გაუმკლავდნენ ამ მზარდი მნიშვნელობის პრობლემას. ამ მიზნით, საჭიროა ბიზნეს პროგრამების ფოკუსირება სტუდენტის ცოდნის განვითარებაზე იმ ინსტრუმენტებისა და ტექნიკის შესახებ, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე ბიზნეს გარემოში. საბოლოო მიზანი არის განვითარდეს ლიდერის უნარი გამოიყენოს ეს ინსტრუმენტები და ტექნიკა ბიზნესის პრობლემებისა და შესაძლებლობების კრიტიკულად გასაანალიზებლად, რომ მიიღოს დამაჯერებელი რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები ორგანიზაციის შედეგების გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ბიზნეს განათლება, ჰიპერკონკურენტული გარემო.

Resume. The paper aims to showcase the technological advancements in artificial intelligence and highlight its significance in the realms of business and management. Additionally, the research addresses the anticipated requirements of business education in the future.

In the paper, various definitions of artificial intelligence have been examined, including those provided by high-ranking expert groups such as the Organization for Economic Cooperation and Development (OECD), the Council of Europe, and the European Commission. Additionally, we have formulated our own definition.

We define artificial intelligence as systems capable of exploring external data to achieve specific goals. These systems have the capacity to learn and autonomously perform tasks, reaching near-superhuman performance across a broad spectrum of activities. In your research, focusing on areas such as fraud detection will allow you to consider both the risks and opportunities associated with AI.

Artificial intelligence holds immense potential to reshape the economy, foster the emergence of new industries and business models, enhance productivity, and elevate the overall standard of living. By automating routine tasks, it liberates time, allowing individuals to concentrate on more creative endeavors.

As the significance of addressing these emerging challenges grows, business education must play an increasingly vital role in preparing students. Consequently, business programs should concentrate on enhancing students' understanding of the tools and techniques prevalent in the modern business environment. The ultimate objective is to cultivate leadership skills, empowering students to employ these tools and techniques for critical analysis of business challenges and opportunities. This, in turn, equips them to make compelling recommendations and decisions, ultimately enhancing organizational performance.

Keywords: Artificial Intellect, Business Education, Hypercompetitive Environment.

შესავალი. თანამედროვე პოლიტიკოსები და მკვლევარები სულ უფრო ხშირად საუბრობენ ხელოვნური ინტელექტზე(AI) და მასთან დაკავშირებულ კაცობრიობის მომავალზე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მეცნიერები თუ საჯარო პოლიტიკის წარმომადგენლები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიით. ჩვენ შევისწავლეთ უცხოელი მეცნიერების კვლევები ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თნმედროვე ბრიტანელი და ამერიკელი მეცნიერების : Alshare, K., & Sewailem, M. F., Brown, B., Chui, M., & Manyika, Bughin, J., Seong, J., Bunch, K. J. Cappelli, P., Cardenas-Navia, I., & Fitzgerald, Chamorro-Premuzic, T., & Frankiewiez, B., Clayton, P. R., & Clopton, J., Fleming, M., და სხვათა კვლევები.

ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიური მიღწევები, ასევე მისი მნიშვნელობა ბიზნესის და მართვის სფეროში, კვლევა ეხება აგრეთვე მომავლის ბიზნეს განათლების საჭიროებებს.

მრავალფეროვანია განმარტებები ხელოვნური ინტელექტის შესახებ. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის **OECD-ს განმარტებით,** ხელოვნური ინტელექტი (AI) არის „მანქანურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემა, რომელსაც შეუძლია ადამიანის მიერ განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით, შეიმუშაოს პროგნოზები და რეკომენდაციები, ან მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს რეალურ ან ვირტუალურ გარემოზე.

ევროპის საბჭოს განმარტებით, ხელოვნური ინტელექტი (AI) არის მეცნიერებების, თეორიების, ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომლის მიზანია ადამიანის კოგნიტური უნარების რეპროდუცირება მანქანის მიერ. არსებული განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტი ნიშნავს ადამიანის მიერ გასაკეთებელი რთული ინტელექტუალური დავალებების მანქანისთვის დელეგირებას.

ევროკომისიის მაღალი რანგის ექსპერტთა ჯგუფის განმარტებით ხელოვნური ინტელექტი ახასიათებს ისეთ სისტემებს, რომლებიც გარემოს ანალიზით, ავლენს ინტელექტუალურ ქცევას და დამოკიდებულების გარკვეული დონით ახორციელებს ქმედებებს, კონკრეტული მიზნების მისაღწევად.“ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, www.idfi.ge)

ჩვენ განვსაზღვრავთ ხელოვნურ ინტელექტს, როგორც გამოსაყენებელ სისტემებს გარე მონაცემების შესასწავლად და კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ამ სისტემებს შეუძლიათ ისწავლონ როგორ შეასრულონ დავალებები დამოუკიდებლად, მიაღწიონ თითქმის ზეადამიანურ შესრულებას საქმიანობის ფართო სპექტრში. უბრალოდ საჭიროა თაღლითობის გამოვლენის სფეროების გამოკვლევა, რისკების და გმოწვევების გათვლისწინება.

„ხელოვნური ინტელექტის განვითარებას ლიმიტი არ გააჩნია“, წერს ილონ მასკი. კაცობრიობამ უკვე შექმნა აქამდე დაუჯერებელი ტექნოლოგიები: მიაღწია ადამიანის ხელოვნურ განაყოფიერებას; წამიერ დაკავშირებას არა მარტო დედამიწის სხვადასხვა ადგილთან, არამედ თვით კოსმოსთან; შეუდგა უჯრედებიდან არა მარტო დაავადებების გამომწვევების, არამედ სიბერის გენომის ამოღებას, რაც მუდმივ ახალგაზრდობას გვპირდება და ა.შ. ამ მოვლენებმა თითქოს ბუნების კანონზომიერებაც შეცვალა, მაგრამ არ შეცვლილა ერთი რამ: ბუნებრივი წინააღმდეგობის არსებობის პროცესები.

დღეისათვის, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტის ცნებას. ასევე, არ არსებობს გამყოფი ზღვარი ხელოვნურ ინტელექტსა და სხვა ტიპის ალგორითმებს შორის. არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის შემცველი პროგრამული სერვისების გამოყენების მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა, თუმცა ქვეყნის კონსტიტუცია ადგენს მნიშვნელოვან ნორმატიულ მოთხოვნებს, რომლებიც გავლენას ახდენს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე.

ხელოვნურ ინტელექტს აქვს უდიდესი პოტენციალი, გარდაქმნას ეკონომიკა, განავითაროს ახალი ინდუსტრიები და ბიზნეს მოდელები, გაზარდოს პროდუქტიულობა, ცხოვრების დონე. მისი მეშვეობით შესაძლებელია რუტინული ამოცანების ავტომატიზირება, რაც გამოათავისუფლებს დროს კრეატიულ ამოცანებზე ფოკუსირებისთვის. AI-ს სწრაფი განვითარება ცხადყოფს, რომ კაცობრიობის მომავალი სწორედ მასზე იქნება დამოკიდებული.

AI-ს აქვს პოტენციალი შექმნას ინოვაციები. დიდი მოცულობის მონაცემების გაანალიზებით, მას-ს შეუძლია აღმოაჩინოს, რაც ადამიანებმა ვერ შეამჩნიეს, ჩამოაყალიბოს ახალი იდეები. მაგალითად, ფარმაცევტულ სფეროში ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია წამლების ახალი სახეობების იდენტიფიცირება, მეტეოროლოგიის სფეროში ამინდის პროგნოზის სიზუსტე, ხელი შეუწყოს ხელოვნების დონის წინსვლას და მრავალი სხვა. გამოსახულების ამოცნობის ხელსაწყოები აჯობებენ ექიმებს კანის კიბოს ფორმების გამოვლენაში. იურიდიულ პროფესიაში, ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა, რომლებსაც შეუძლიათ მილიონობით დოკუმენტის სკანირება და ინტერპრეტაცია, შეამცირებს საქმის წარმოებაში ადვოკატთა რაოდენობას.

ცხადია, მომავალში გაიზრდება საერთაშორისო კონკურენცია. ქვეყნებს, რომლებსაც ხელეწიფებათ განავითარონ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია, ექნებათ კონკურენტული უპირატესობა მრავალ სფეროში. აშშ და ჩინეთი ამჟამად ორი ლიდერია ხელოვნური ინტელექტის სრულყოფაში. ამერიკის შეერთებულ შტატებს უპირატესობა აქვს კვლევისა და განვითარების თვალსაზრისით, ხოლო ჩინეთი ათვისების მხრივ ლიდერობს. ასევე დიდი ბრიტანეთი და კანადა დიდ ინვესტიციებს ახორციელებენ AI-ში და, შესაძლოა მომავალში უფრო კონკურენტუნარიანები გახდებიან.

მაკკინსის გლობალური ინსტიტუტი (McKinsey Global Institute) აცხადებს, რომ 2030 წლისთვის ფირმების დაახლოებით 70% გადავა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენებაზე. კვლევის მიხედვით, ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება დამატებით მოიტანოს 13 ტრილიონი აშშ $-ის ოდენობის ღირებულება 2030 წლისთვის, რაც გაზრდის გლობალურ პროდუქტს ყოველწლიურად დაახლოებით 1,2%-ით. ეს ძირითადად მომდინარეობს ადამიანის შრომის ავტომატიზაციით ჩანაცვლებით და პროდუქტებისა და სერვისების ინოვაციურობით. McKinsey Global Institute -ის პროგნოზები ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტი, გამოიწვევს გარკვეულ შოკს შრომის ბაზრებზე და გაზრდის მის სამართავად საჭირო ხარჯებს; მოხდება სტრუქტურული ცვლილებები შრომის ბაზრებზე. რობოტებით ჩანაცვლდება სამუშაო ძალა, რომელიც ასრულებს რუტინულ, განმეორებით დავალებებს. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაშიც რობოტები სრულად ვერ ჩაანაცვლებენ დასაქმებულებს, რადგანაც მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები საჭირო არიან ხელოვნური ინტელექტის რეგულირებისთვის, მართვისა და კონტროლისთვის, მოხდება სამსახურების სტრუქტურული ცვლილებები, რამაც შეიძლება გააძლიეროს შემოსავლებში არსებული უთანასწორობა და გაამძაფროს სოციალური დაძაბულობა.

სამუშაო ადგილების შემცირების პარალელურად, AI-ს აქვს პოტენციალი შექმნას ახალი სამუშაო ადგილები (133 მილიონამდე) ისეთ სფეროებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის განვითარება, კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა ანალიზი. თუმცა ზოგიერთი ინდუსტრია და რეგიონი შეიძლება უფრო მეტად დაზარალდეს, რაც გამოიწვევს გეოგრაფიულ და სექტორულ უთანასწორობას.

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის სისტემები წარმატებით ინერგება კერძო სექტორში. მაგალითად, ვერიფიკაციის სისტემები, დოკუმენტების ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემები, კომუნიკაციის პროგრამები და მრავალი სხვა საშუალებები.

პროვოკაციული კითხვა თანამედროვე ბიზნეს განათლებასთან დაკავშირებით: არის თუ არა ბიზნეს სკოლები აქტუალური? უფრო კონკრეტულად, სასწავლო გეგმა ამზადებს კურსდამთავრებულებს იმ უნარ-ჩვევებით, რომლებიც საჭიროა წარმატებული კონტრიბუტორებისთვის?

ბიზნეს სკოლები, როგორც ჩანს, აქტუალური რჩება. სტუდენტი ირიცხება პროგრამაში, ირჩევს კონცენტრაციის სფეროს ან სფეროებს, მოსწონთ, სწავლობენ აკადემიური ექსპერტებისგან და იწყებენ მუშაობას და აქვთ მომავლისთვის მზადყოფნა. დასაქმება არის მთავარი მოტივატორი, თუ რატომ ირჩევენ სწავლას.

თუმცა, არსებობს გარკვეული შეუსაბამობა სასურველ სამუშაოებს, საჭირო უნარებს და ფაქტობრივ სამუშაო ადგილებს შორის. ეს შეუსაბამობა მომავალში უფრო გააზრებული იქნება.

შესაბამისად, ბიზნეს სკოლებმა უნდა განსაზღვრონ თავიანთი როლი სტუდენტების მომზადებაში, რათა გაუმკლავდნენ ამ მზარდი მნიშვნელობის პრობლემას.

შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი ერთ-ერთი პირველია ინტერდისციპლინურ პროფესიებს შორის. ბიზნეს სკოლები ტრადიციულად ორიენტირებულია მომავლის ლიდერებზე, მენეჯერებზე, მეწარმეებზე. ბიზნეს სკოლები ასწავლიან სტუდენტებს, რომ მხოლოდ ის ბიზნესი გადარჩება, რომელიც ნერგავს ინოვაციებს, ფეხს უწყობს სწრაფად განვითარებად ბიზნეს საჭიროებებს.

გლობალური ბიზნეს საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ბიზნეს განათლებას სჭირდება მუდმივად შეაფასოს ძლიერი მხარეები და მათი შესაბამისი პროგრამების სუსტი მხარეები. საჭირო ხდება დისციპლინებისადმი უფრო კომპლექსური მიდგომის გამოყენება.[7]

კითხვა, რომელიც უნდა დაისვას არის ის, თუ რა როლი უნდა იკისროს ბიზნეს განათლებამ უნივერსიტეტებში. რა მნიშვნელობა აქვს განათლებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების მომზადებაზე, რომ გახდნენ მენეჯერები თუ ინოვატორები? ვცდილობთ გავარკვიოთ რა გავლენა აქვს ხელოვნურ ინტელექტს ბიზნესის და მენეჯმენტის განათლებაში. რა როლი აქვს ბიზნეს განათლებას სტუდენტების მომზადებაში ამ ახალი სამუშაოების დასაკავებლად და განვითარებისთვის? ხელოვნური ინტელექტისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებიდან ბევრი გამოიწვევს ამჟამინდელი სამუშაოების და მუშაკების გადაადგილებას. შედეგად, ტრადიციული ბიზნეს სკოლის სასწავლო პროგრამა უნდა განვითარდეს, რათა სტუდენტებს მიაწოდოს საჭირო უნარები სწრაფად ცვალებადი განვითარებისთვის. [6]

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საჭიროებს უფრო ძლიერი უნარების მქონე მუშაკებს და ორიენტაციას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეთიკა, ლიდერობა, ემოციური ინტელექტი და ცვლილებების მართვა. ხაზგასმით აღვნიშნოთ, ბიზნეს სკოლებს უფრო მეტად სჭირდებათ განვითარება და ინტელექტუალური უნარების მომწიფება, გამჭრიახობა და სხვა ადამიანური უნარები, როგორიცაა კრეატიულობა, გონივრული განსჯა და ეფექტური კომუნიკაცია, სულ უფრო ღირებული და მოთხოვნადი ხდება. ეს ეს არ არის ახალი უნარები. პირიქით, მათ აქვთ და უნდა იყვნენ ნებისმიერი ძლიერი ბიზნეს განათლების ნაწილი. [8]

კორპორატიულ გარემოში ხელოვნური ინტელექტის შესწავლა უკვე იწყებს ზემოქმედებას კომპანიის ყველა ელემენტზე. შედეგად ხდება ინდუსტრიების ფუნდამენტური ტრანსფორმაცია. ეს განსაკუთრებით ეხება მომსახურების ინდუსტრიებს. ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები უკვე გამოიყენება ადამიანური რესურსების მენეჯმენტში, რათა დაეხმაროს კანდიდატების რეზიუმეების სკრინინგსა და შერჩევაში. ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მეტად გამოიყენება მარკეტინგისა და გაყიდვების სფეროში, რათა უკეთესი იყოს მიზნობრივი და

პერსონალიზებული კომუნიკაცია. AI შეიძლება გამოყენებულ იქნას ათასობით ფსიქოტიპის იდენტიფიცირებისთვის და შეტყობინებების შესაქმნელად მიმღებების სპეციფიკურ პრეფერენციებზე. ფინანსურმა ტექნოლოგიებმა (ფინტექ) რევოლუცია მოახდინა აქტივების მართვის მთელ სფეროში. საცალო ვაჭრობის სექტორში AI გამოიყენება ინვენტარის მართვისთვის. ამის მაგალითი არის Amazon და მისი წინასწარი გადაზიდვის პატენტი, რომელსაც შეუძლია წინასწარ განსაზღვროს რა უნდა გაუგზავნოს მომხმარებელს მანამ, სანამ ისინი შეუკვეთავენ მას.[6]

ამგვარად, AI სულ უფრო მეტად მოქმედებს ბიზნესის ბევრ სფეროზე, როგორიცაა; ადამიანური რესურსები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მარკეტინგი და ფინანსები. შესაბამისად, ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ უნარი შეაგროვონ სათანადო ინფორმაცია, გააანალიზონ ბიზნესის პრობლემა ლოგიკური მსჯელობის გამოყენებით და შემდეგ შეძლონ შესაბამისი პრობლემის გადაჭრა რეალურ ბიზნეს სამყაროში. AI სულ უფრო და უფრო ხდება ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ამ პროცესში. მოცემული ფაქტორების ერთობლიობამ გამოიწვია სიტუაციის გამწვავება. მათ შორისაა, მათემატიკური კომპეტენციის დაბალი დონე, წიგნიერების შეუფასებლობა, შეუსაბამობა სწავლებას, კვლევასა და პრაქტიკულ შესაბამისობას შორის. ეს ბოლო პუნქტი განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერების, სტატისტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში. როგორც დეილ კარნეგი ამბობდა, ცხოვრება ბუმერანგია-რასაც გასცემთ, იმას მიიღებთ.

ჰიპერკონკურენტული გარემო, რომელშიც დღეს ბიზნესი მუშაობს, რადიკალურად განსხვავდება წინა ათწლეულებისგან. ეს ცვლილება მოითხოვს ხელახლა შეფასებას, თუ როგორ და რა ცოდნას მისცემს ბიზნეს განათლება ახლგზრდებს. დერეგულაცია, გლობალიზაცია და ინტერნეტი - ეს ფაქტორები ქმნიან ჰიპერკონკურენტულ გარემოს, სადაც კომპანიები ზოგადად აწარმოებენ მსგავს პროდუქტებს და აქვთ წვდომა მსგავს ტექნოლოგიებზე. შედეგად, კონკურენტული უპირატესობა უფრო კონცენტრირებულია იმაზე, თუ როგორ განასხვავებენ კომპანიები თავიანთ ბიზნეს პროცესებს.

მონაცემთა აფეთქებამ გამოიწვია ის, რომ კომპანიები ცდილობენ დაიქირაონ ადამიანები, რომლებსაც ესმით, როგორ მართონ დიდი მონაცემთა ნაკრები მათი გადაწყვეტილების მიღების საჭიროებების მხარდასაჭერად. დასაქმების ბაზარზე მოთხოვნა გაიზარდა ამ უნარების მქონე პირებზე.

სულ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა განავითარონ გაგება სად, როდის და როგორ გამოვიყენოთ მონაცემთა ანალიტიკის ინსტრუმენტები. მონაცემთა დამუშავებისთვის უზარმაზარი საჭიროებაა სტუდენტები ფლობდნენ ისეთ კომპეტენციებს, როგორიც მონაცემთა

ანალიტიკა. ეს საჭიროება ვრცელდება ყველა მიმართულებაზე, მათ შორის ბუღალტერია, მეწარმეობა, ფინანსები, მენეჯმენტი და მარკეტინგი. [6]

ხელოვნური ინტელექტის სწრაფად გაფართოების სფერო ერთდროულად რამდენიმე პრობლემას აგვარებს. იგი ითვალისწინებს სიმკაცრის სტანდარტების დახვეწილ ანალიზს ბიზნესის ფაკულტეტებისთვის, პრაქტიკული პრობლემების განხილვისას. ეს ხელს უწყობს ბიზნეს პროცესებზე ფოკუსირებას, რომლებიც თავისი ბუნებით მულტიდისციპლინურია. ბიზნეს პროცესებზე აქცენტი ძალზე მიზანშეწონილია იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის ერთ-ერთი სფერო, რომელიც საშუალებას იძლევა კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად.

მაკკინსის გლობალური ინსტიტუტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ შეერთებულ შტატებს შეექმნება დეფიციტი ღრმა ანალიტიკური უნარების მქონე ადამიანებისა, 140,000-დან 190,000-მდე ადამიანი წელიწადში. კვალიფიციურმა ლიდერებმა იციან როგორ გააანალიზონ მონაცემები და მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილებები. ეს ფაქტორები ემსახურება ტრენერის, ახსნა-განმმარტებლის და მხარდამჭერის უნარების განვითარების კრიტიკულ საჭიროებას.[8]

სულ უფრო და უფრო იზრდება პროფესიონალების მკვეთრი დეფიციტი, რომლებსაც აქვთ ცოდნის სიღრმე, რომელიც საჭიროა ამ სამი დიდი ასპექტის მართვისთვის: განვითარებადი გარემო; მონაცემთა მოცულობა, სიჩქარე, რომლითაც მონაცემები იცვლება და გროვდება, და მრავალფეროვნება.

აქამდე საქართველოში ვერსად ნახავდით საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც AI და მასთან დაკავშირებული საგნების კომპლექსურად შესწავლა შეიძლებოდა. ეს გამოწვევა დაინახა საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა SEU-მ და შეიმუშავა ორი საბაკალავრო, ერთიც სამაგისტრო პროგრამა: მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამა, ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა და მონაცემთა მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა. ახალ პროგრამებს აკრედიტაცია 2023 წლის 11 აპრილს მიენიჭა და SEU-მ სტუდენტთა პირველ ნაკადი 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მიიღო. SEU ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით მხოლოდ საბაკალავრო პროგრამას არ ჯერდება და 2024 წლისთვის სამაგისტრო პროგრამის დამატებასაც გეგმავს.

ისიც უნდა ითქვს, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითრებას თნ ახლავს რისკები და გამოწვევები. რეალური ფაქტები და მასალები შეიძლება ფეიკისგან ვერც განვასხვავოთ. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ სამხედრო პროგრამებში, განსაკუთრებით ადამიანის სათანადო ზედამხედველობის გარეშე, შეიძლება გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შედეგები და ესკალაცია. ცხდია, მსოფლიომ ამ მიმართულებით სათანადო რეგულაციები უნდა შემოიღოს.

დასკვნა. ორგანიზაციები, როგორც წესი, იზომორფულები არიან და თავიანთი ქცევისა და ქმედებების მოდელირებას ახდენენ კონკურენტულ გარემოში. ეს ქცევა უნდა გავრცელდეს

აკადემიურ გარემოზეც. იმისათვის, რომ ბიზნეს განათლება დარჩეს აქტუალური, მათ უნდა განჭვრიტონ ევოლუცია ბიზნეს გარემოში და მოამზადონ სტუდენტები სწრაფად განვითარებად ბიზნეს სამყაროში წარმატებულად შესვლისთვის და დღევანდელი და ხვალინდელი ცვლილებებისათვის.

ხელოვნური ინტელექტის სამყაროში წარმატების მისაღწევად, სტუდენტებმა უნდა მიიღონ ცვლილებები ბიზნეს სკოლის სასწავლო გეგმაში. ეს ე.წ ციფრული აბორიგენები digital natives **ტექნოლოგიას ყოველდღიურობის ბუნებრივ გაგრძელებად თვლიან.** სტუდენტები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ტრადიციული ინსტრუმენტებისა და მიდგომების განხილვით. მათ უნდა გაიცნონ და დაიწყონ AI-თან დაკავშირებული ინსტრუმენტებისა და ტექნიკის დაუფლება. ორგანიზაციის ლიდერებმა განავითარონ და დახვეწონ უნარები და გამოიყენონ სხვადასხვა სისტემებისა და ტექნოლოგიების შედეგები ინფორმირებული და გამჭრიახი გადაწყვეტილებებისათვის.

ჩვენი კვლევის გათვალისწინებით, ბიზნეს სკოლებს შეიძლება დასჭირდეს დაბრუნება "კლასიკურ" განათლებასთან. ეს გულისხმობს კრიტიკული აზროვნების და ანალიტიკური უნარების განვითარებას. ის, რაც უნდა ისწავლოს სტუდენტმა, არის უფრო მეტი ლოგიკური აზროვნება და პრობლემის გადაჭრა, ვიდრე კონკრეტული ბიზნეს დისციპლინის სფეროები. ამ მიზნით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ AI მოიცავს გამოყენებული ინსტრუმენტებს და არა პროცესს.

ამ მიზნით, ბიზნეს განათლების როლი არის სტუდენტებში ძირითადი და ფუნდამენტური უნარების განვითარება. ამის მისაღწევად საჭიროა ბიზნეს პროგრამების ფოკუსირება მოსწავლის სამუშაო ცოდნის განვითარებაზე იმ ინსტრუმენტებისა და ტექნიკის შესახებ, რომლებიც გამოიყენება ბიზნეს გარემოში. საბოლოო მიზანი არის განვითარდეს ლიდერის უნარი გამოიყენოს ეს ინსტრუმენტები და ტექნიკა ბიზნესის პრობლემებისა და შესაძლებლობების კრიტიკულად გასაანალიზებლად, რომ მიიღოს დამაჯერებელი რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

ბიზნეს სკოლებმა უნდა განაგრძონ განვითარება და სტუდენტების კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური უნარების დახვეწა. შეუძლებელია უარი ვთქვათ ამ უნარებზე, რადგან მათ გარეშე ხელოვნური ინტელექტი მალე გახდება ნამდვილი ადამიანის ინტელექტის წარმომადგენელი. AI-ს, ყოველ შემთხვევაში მისი განვითარების ამ ეტაპზე არ გააჩნია ადამიანის ინტელექტის იდენტური.

სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რომ სტუდენტებმა შეიძინონ 21-ე საუკუნის უნარები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის გაგება, რაც მათ საშუალებას აძლევს მოახდინონ ადაპტირება სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოსთან. უმეტესწილად, პედაგოგები და

დამსაქმებლები თანახმა ვართ, რომ ეს უნარები აუცილებელია და გამოიყენება სტუდენტის საგანმანათლებლო და პროფესიულ ცხოვრებაში. ხელოვნური ინტელექტისა და 21-ე საუკუნის სხვა უნარ-ჩვევების ჩანერგვა ბიზნეს განათლებაში აუცილებელი ხდება. ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ფლობენ ამ უნარებსა და კომპეტენციებს ექნებათ ბევრად მეტი შანსი წარმატების მისაღწევად დღევანდელ კონკურენტულ სამყაროში.[2]

საჭიროა ბიზნეს განათლება ფოკუსირებული იყოს სტუდენტების **კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარებაზე.** ეს არის უნარ-ჩვევების ყველაზე დიდი ნაკრები. ყოველივე ამის შემდეგ, ნებისმიერი ბიზნეს სკოლის ყველაზე ზუსტი საზომია როგორი გაყიდვადი და მოთხოვნადია მათი კურსდამთავრებულები. თანამედროვე ბიზნესები სულ უფრო ხშირად ეძებენ სპეციალისტებს, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის გაანალიზება დისციპლინური ცოდნის საფუძველზე. მათ შორისაა IBM, Toyota, General Electric და Microsoft, რომლებმაც შეცვალეს მათი მენეჯმენტის განვითარების ფოკუსირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Marc Sollosy , Marjorie McInerney, 2022, Artificial intelligence and business education: What should be taught. Marshall University, Lewis College of Business, Brad D. Smith Schools of Business, One John Marshall Drive, Huntington, WV, 25755, United States.

2. Alshare, K., & Sewailem, M. F. (2018). A gap analysis of business students' skills in the 21st Century: A case study of Qatar. Academy of Educational Leadership Journal, 22(1), 1–22.

3. Brown, B., Chui, M., & Manyika, J. (2011). Are you ready for the era of 'big data. McKinsey Quarterly, 4(1), 24–35.

4. Bughin, J., Seong, J., Manyika, J., Chui, M., & Joshi, R. (2018). Notes from the AI frontier: Modeling the impact of AI on the world economy (Vol. 4). McKinsey Global Institute.

5. Bunch, K. J. (2020). State of undergraduate business education: A perfect storm or climate change? The Academy of Management Learning and Education, 19(1), 81–98.

6. Cardenas-Navia, I., & Fitzgerald, B. K. (2015). The broad application of data science and analytics: Essential tools for the liberal arts graduate. Change: The Magazine of Higher Learning, 47(4), 25–32.

7. Clayton, P. R., & Clopton, J. (2019). Business curriculum redesign: Integrating data analytics. The Journal of Education for Business, 94(1), 57–63.

8. Fleming, M. (2020). AI is changing work—and leaders need to adapt. Harvard Business Review. https://Hbr.Org/2020/03/Ai-is-Changing-Work-and-Leaders-Needto-Adapt.

საქართველოს მდგრადი ეკონონიკური განვითარება და გამოწვევები
Sustainable economic development and challenges of Georgia

თამარ მარგიანი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი. ასისტენტ პროფესორი
Tamar Margiani - Caucasus International University
Doctor of Business Administration. Assistant professor

აბსტრაქტი. საქართველოს ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანას გლობალიზაცია უქმნის კონკურენციის უაღრესად ხელშემწყობ, ამასთან რთულ პირობებს. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანად მიიჩნევა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური დინამიზი არა მარტო ჩვენ აქტივობებზეა დამოკიდებული, არამედ მასში მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები უშუალო გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკის ფუნქციონირება განვითარებაზე. ძალდატანებით, შეზღუდული ურთიერთობების, ქვეყნების საომარ, გლობალიზაციის კონკურენციის უაღრესად ხელშემწყობ, ამასთანავე რთულ პირობებში, აგფლაციისა და სურსათზე მსოფლიო კრიზისის, ფასების მაკრატელის ფონზე, უაღრესად აქტუალურია ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

საკითხები, რომლებიც კვლავ იწვევს საეთაშორისო დებატებს აქტუალობას არ კარგავს: თავისუფალი ვაჭრობა თუ პროტექციონიზმი? როგორი უნდა იყოს ქვეყნის ვაჭრობის პოლიტიკა და უნდა გამოიყენონ თუ არა სატარიფო და არასატარიფო ბარიერები კონკურენციისაგან თავის დასაცავად? რა არის ინტეგრაციულ დაჯგუფებაში ქვეყნების ჩართვის მამოძრავებელი ძალა და მოტივი? როგორ დავძლიოთ სიღარიბე და ა.შ ამ საკითხებს განიხილავს ყველა ქვეყანა, ვისაც უნდა, რომ მისი მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა იყოს მომავალზე ორიენტირებული და ხვალ უკეთესად იცხოვროს ვიდრე დღეს. ეკონომიკური აქტივობის ასეთი მიდგომები მნიშვნელოვანია და აფხიზლებს ეკონომიკაზე პასუხისმგებელ პოლიტიკოსებს.

საკვანძო სიტყვები: აგფლაცი, გლობალიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესი, სიღარიბის დაძლევა, თავისუფალი ვაჭრობა, ეკოლოგიური წონასწორობა, ლიკვიდური ხაფანგი.

Abstract. For Georgia, as well as for all other countries, globalization creates conditions that are highly conducive to competition, but at the same time difficult. In such a situation, it is considered important to support small and medium-sized businesses. The economic dynamism of our country depends not only on our activities, but international organizations of the world actively participate in it

Current processes in the world have a direct impact on the functioning of the international economy and development. In the context of coercive, limited relations, warring countries, highly promoting competition of globalization, and at the same time in difficult conditions, in the background of deflation and world food crisis, price scissors, it is extremely urgent to promote business development.

The issues that still cause international debates do not lose their relevance: free trade or protectionism? What should the country's trade policy be and should tariff and non-tariff barriers be used to protect against competition? What is the driving force and motive for the inclusion of countries in the integration grouping? How to overcome poverty, etc. These issues are discussed by all countries who want their current economic situation to be future-oriented and to live better tomorrow than today. Such approaches to economic activity are important and alert the politicians responsible for the economy.

Key words: deflation, globalization, small and medium business, poverty alleviation, free trade, ecological balance, liquid trap.

შესავალი. საქართველოში საყოველთაო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი ჯერ კიდევ 1956 წლიდან დაიწყო, როდესაც სსრკ-ის ხელისუფლება იძულებული გახდა ქვეყანაში განვითარების ტემპების შემცირების საწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემა შეემუშავებინა და ,,შეფარდებითი ეკონომიკური გამოცალკევებულობის პრინციპიდან“ ,,ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის“ კონცეფციაზე გადასულყო. შესაბამისად

საქართველომ დაკარგა თვითკმარობა და აღმოჩნდა თავს მოხვეულ საწარმოო ბაზის მატარებელ ქვეყნის პოზიციაში. ცხადია ძველის კვდომის და ახლის დაბადების პროცესი, უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლიდა და არც ჩაუვლია, მძიმე აღმოჩნდა წარსულის

მემკვიდრეობა. მსოფლიო იზოლაცია, პოსტკომუნისტურ ქვეყნებს დღესაც ტვირთად აწევს გეგმიური ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ ინიცირებული დაფინანსების სტიმულირების და შეზღუდვების კვალი. დროის აჩქარებულ საუკუნეში ახალ აზროვნებას დაწევა უჭირს.

უალტერნატივოა გლობალიზაცია, რომელიც გარდაუვალი და თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთი შესაძლებელი ფორმაა. მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა პრობლემებით. ამ პრობლემების დასაძლევადმსოფლიოს თითქმის ყველა ნაწილში შეიქმნა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტეგრაციული დაჯგუფებები. მსგავს დაჯგუფებაში ქვეყნის ჩართვის მამოძრავებელი ძალა და მოტივი განსხვავებულია, მაგრამ იკვეთება საერთო ნიშნები, რომელითაც შეიძლება გამოაშკარავდეს მოცემული პროცესების განვითარების შესაძლებელი პერსპექტივები.

საქართველო გაეროს წევრად მიღების დღიდან აქტიურად მოღვაწეობს თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში. მას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ასამდე სახელმწიფოსთან, სახელმწიფოთა პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ბლოკებთან, მეზობელ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ჩვენი მთავრობა ორიენტირებულია გლობალურ კანონზომიერებათა შეცნობაზე და ეკონომიკის გაძღოლის ევროპულ სისტემაზე, რასაც 2023 წლის 14 დეკემრის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მოწმობს. ეს ხელს შეუწყობს, საქართველო აქტიურად ჩაებას გლობალური პროცესების მართვის არეალში, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მსგავსად, გააფართოოს საერთაშორისო ვაჭრობა, ტრანსეროვნული კორპორაციები, ბანკები და შესთავაზოს მსოფლიოს საკუთარი შესაძლებლობები.

1. **საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემები**

საქართველოს ეკონომიკა დგას გზაგასაყართან, როდესაც ვალდებული ვხდებით გავიაზროთ ჩვენი განვითარების ეკონომიკური ტენდენციები და ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკური ზრდის საკუთარი, სხვადასხვა თეორიების დოგმატური გააზრების ზეგავლენისაგან თავისუფალი, კონცეფცია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ რამდენიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემას.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში რეფორმატორთა დილეტანტიზმმა და მოუფიქრებელმა გადაწყვეტილებებმა, გაუმართლებელი დასკვნების ჯაჭვი გამოიწვია, და ქვეყანა სერიოზულ შეცდომებამდე მიიყვანა:

- ეკონომიკის რეგულირების ფორმები და მეთოდები არ შეესაბამებოდა საბაზრო მოთხოვნებს.
- რეფორმების განხორციელების არასწორმა გზამ და სამანეთო ზონაში დარჩენამ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ჩაახშო, ხოლო გარდამავალმა ვალუტის კუპონის გაუმართლებელმა საბიუჯეტო ემისიამ მისი გაუფასურება და ჰიპერინფლაცია გამოიწვია.
- არასწორი საშინაო პოტიკის ფარგლებში- სახემწიფოს მარეგულირებელ ორგანოებში გაიზარდა კორუფციის დონე, ბიზნესის რეკეტები, გამწვავდა კრიმინოგენური სიტუაცია, წარმოიშვა საფინანსო, საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი და ა.შ.
- სოფლის მეურნეობის პრობლემების უგულვებელყოფამ გამოიწვია წარმოების დონის მკვეთრი ვარდნა, გაჩანაგდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გამწვავა სოციალური პრობლემები. ქვეყანა სპეციალიზაციის ბუნებრივ - ,,ნეკროეკონომიკის“ გზაზე აღმოჩნდა. აგროსექტორმა ძირითადად ფუნქციონირება ნატურალური მეურნეობის ფორმით დაიწყო. სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელია, დამუშავებულ ფართობზე მოსავლიანობა უკიდურესად მცირეა.
- მძიმე აღმოჩნდა მცირემიწიანი ქვეყნისთვის სოფლის მეურნეობაში, საბაზრო ეკონომიკური რეფორმირების დროს, დაშვებული პრივატიზაციის შეცდომების შედეგები, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა დაქუცმაცებასა და მსხვილ საწარმოთა ლიკვიდაციაში გამოიხატებოდა.
- ის ფაქტი, რომ რუსეთი 2008 წელს კვლავ შემოიჭრა და აგრძელებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციას, რომლებიც ერთად შეადგენენ საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20 პროცენტს. გარდა ტერიტორიული დაკარგვისა, ეკონომიკური თვალსაზრისით ზრდა შენელდა და ინვესტიციებმაც იკლო, ლარის კურსმა ვარდნა დაიწყო, შეიკვეცა კრედიტების მოცულობა, გაკოტრების პირას მივიდა სამშენებლო ბიზნესი, დაზარალდა საკურორტო მეურნეობა და ა.შ.
- შემოსალების უთანაბრობის ზრდა, რასაც საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობა მოჰყვა.

საქართველო თავისი არსებობის მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე აღმოჩნდა.

დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიღარიბის დაძლევის მთავარი პირობა არსებობს: მოსახლეობის დასაქმება და დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობის

(შედეგიანობის, ნაყოფიერების) ზრდა. ამისათვის საჭიროა რიგი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ჩვენი ქვეყანა, 2023 წლის ,,ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით“- 68.7 ქულით ,,ზომიერად თავისუფალი“ ეკონომიკით, საქართველოს 35-ეა მსოფლიოში და ევროპის რეგიონს შორის 21-ეა. შესაბამისად დგას მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ სისტემაში ჩვენი ინტეგრაციის დაჩქარების საკითხი, არამედ ამ ინტეგრაციისათვის მზადების პრობლემაც. ეს კი მეტად რთული და მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანაა. ევროკავშირში შესვლა არ ნიშნავს ავტომატურად არსებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. ჩვენც ვალდებული ვართ თანდათან გადავიდეთ ეკონომიკის გაძღოლის ევროპულ პრინციპებზე.

თუ ჩვენ, ორიენტირებული ვიქნებით ეკონომიკის გაძღოლის ევროპულ სისტემაზე, დავინახავთ, რომ ჩვენი მსხვილი საწარმოები არსებითად ჩართულები არიან შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და ასრულებენ რეგიონალური მნიშვნელობის მსხვილი საბაზრო სუბიექტების როლს. მათი მნიშვნელობა, რათქმაუნდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითია, მაგრამ მათ საკუთარი ტექნოლოგიური შეზღუდულობისა და მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული ადგილიდან გამომდინარე არ ძალუძთ მთლიანად გადაწყვიტონ დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პრობლემები. ეს ობიექტური რეალობა გასაგებია ევროპისთვისაც და ევროკავშირის მოქმედი ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა, სიღარიბის დაძლევისა და დასაქმების დონის ამაღლების საქმეში, მიმართულია არა მხოლოდ მსხვილი საწარმოებისაკენ, არამედ გამორჩეულად საშუალო და მცირე მეწარმეობისადმი.

საქართველოს ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანას გლობალიზაცია უქმნის კონკურენციის უაღრესად ხელშემწყობ, ამასთან რთულ პირობებს. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოში სულ 400 მილიონი მცირე საწარმოა, აქედან ევროკავშირის სივრცეში ითვლიან 24 მილიონზე მეტ საშუალო და მცირე საწარმოს, ანუ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა 99,8 პროცენტს. აღნიშნულ საწარმოებში დასაქმებულია 84 მილიონ ადამიანზე მეტი (დასაქმებულთა 64.4 პრცენტი). ევროპულ ქარტიაში აღნიშნულია, რომ „მცირე საწარმოები უნდა განვიხილოთ, როგორც ინოვაციების, დასაქმების, სოციალური და ადგილობრივი ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალა ევროპაში“.

თუ მცირე ექსკურსს გავაკეთებთ ამერიკის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიაში დავინახავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ 1953 წელს შეიქმნა მცირე მეწარმეობის (ბიზნესის) ფედერალური სააგენტო (SBA), ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მიმართული პოლიტიკა ტარდება დიდი ხნით ადრე. დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო

ომის პერიოდში ამგვარი პოლიტიკის აუცილებლობა გახდა ცხადი. შეიძლება ითქვას რომ ამერიკის პოლიტიკა მცირე ბიზნესის სფეროში არის ქვეყნისათვის მნიშანელოვანი და ემყარება უაღრესად დიდ გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს აშშ-ს მშპ-ს 44 პროცენტი და ახალი სამუშაო ადგილების 64 პროცენტი ამ ტიპის საწარმოებში იქმნებოდა.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი გამოცდილებაც. ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინანდელ საქართველოში მცირე ბიზნესის რამდენიმე მაგალითი გვაქვს. რეალური ინოვაციის მაგალითია ქართულ მეღვინეობაში ყიფიანის მიერ სამი ჯიშის (საფერავი 4, მუჯურეთული 34 და ალექსანდროული 58 პროცენტი) ყურძნისაგან ახალი ღვინის დამზადება, რომელიც დღეს „ხვანჭკარის“ სახელით არის ცნობილი. ასევე თბილისში მდებარე „კავკასიის კუსტართა კომიტეტმა“ შეიმუშავა თუშური წინდების წარმოების კოოპერაციული სისტემა, მისი რეალიზაციის მრავალფეროვანი ფორმებით. ეს კოოპერაცია ეგრეთ წოდებული საოჯახო კოოპერაციის ფორმას წარმოადგენდა. შემდეგში ცნობილი მხატვრის იული სტრაუმეს ძალისხმევით შემუშავებული იქნა ამ წინდა-პაჭიჭების დიზაინი, რომელსაც საფუძვლად დაედო გელათის მონასტერში შემორჩენილი ჩუქურთმისა და ფრესკული მოხატულობის ფრაგმენტები, აგრეთვე ყარაბაღისა და ვანის ტბის ნიკო მარის ექსპედიციის მიერ მიკვლეული არქეოლოგიური გათხრებში ნაპოვნი მხატვრული ფორმები.

ამ კომიტეტისა და ისევ ი. სტრაუმეს ძალისხმევით აღსდგა ქართული მეხალიჩეობა, მის მიერ შესრულებულმა კედლის ხალიჩამ 1904 წელს პარიზის გამოფენაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

საქართველოში, გამომდინარე მისი ეკონომიკური რესურსული მრავალფეროვნების და სამუშაო ძალის ისტორიულად ჩამოყალიბებულ უნარ-ჩვევებიდან, პრიორიტეტულად მიიჩნევა, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა უპირატესად სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების სფეროში. ამ პრობლემის აქტუალიზაცია ხდება სისტემატიურად და განსაკუთრებით თვალსაჩინოა აგფლაციისა (აგფლაცია არის აგრარულ პროდუქციაზე ფასების ზრდა. ეს პროცესი თავიდან დაუკავშირეს ნავთობის ფასების ზრდას, მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ მას საკუთარი საფუძველიც გააჩნია.) და სურსათზე მსოფლიო კრიზისის პირობებში.

აგფლაციის პროცესი უკვე კარგახანია მსოფლიოში მიმდინარეობს. 2007 წლიდან შეიმჩნევა ხორბლის, სიმინდის და ბრინჯის ფასების მკვეთრი ზრდა, რასაც ეკონომისტები ძირითადად ენერგომატარებლებზე ფასების ზრდას უკავშირებდნენ და რამდენადმე დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ, მაგრამ ენერგო რესურსებზე ფასების სტაბილიზაციამ და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში ფასების საგრძნობმა შემცირებამ ვერ შეაჩერა სურსათზე ფასების თანდათანობითი, ზრდა. სიტუაციას ამძიმებს ის ფაქტი, რომ მსოფლიო ინფლაცია განსაკუთრებით გამწვავდა 2022 წელს, რაც იწვევს საპროცენტო განაკვეთების ზრდას,

რაც თავის მხრივ ამცირებს წვდომას საფინანსო რესურსებთან. ენერგეტიკაზე და ნედლეულზე გაზრდილი ფასები დამატებით ზეწოლას ახდენს საწარმოებზე. გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეულმა მთავრობების ფინანსური დახმარების შეწყვეტა- შემცირების ტენდენციამ, შეამცირა მდგრადობის შესაძლებლობები და მყიფე გახადა ბიზნესის უმეტესი ნაწილი. განსაკუთრებით ეს ეხება სამოარ ქვეყნების (რუსეთ-უკრაინის ომი) მეზობლად მყოფ ქვეყნებს.

2023 წელს. წლიურმა ინფლაციამ 8,1% შეადგინა. ინფლაციაში სურსათის წილის ზრდა განპირობებული იყო ამ ჯგუფის პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდით რაც, თავის მხრივ მომხდარ ბუნებრივ და არაბუნებრივ კატაკლიზმებსა და ცუდი მოსავლიანობის გამო საერთაშორისო ბაზარზე სურსათის მკვეთრი გაძვირებას უკავშირდება, ამასთან აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლა სუსტია. ეს დასტურდება ქართულ სამომხმარებლო ბაზრითაც. კერძოდ, 2023 წლის თებერვლის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელის მიხედვით ფასები მომატებულია - ბოსტნეულზე და ბაღჩეულზე (10.2 პროცენტით); მინერალურ და წყაროს წყალზე, უალკოჰოლო სასმელებზე და ნატურალური წვენებზე (2.8 პროცენტით); ხილზე და ყურძენზე (2.2 პროცენტით); ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე (1.5 პროცენტით).

2022 წელს საქართველოში მოიხნა 215,7 ათასი ჰექტარი მიწა, მაშინ როდესაც 1999 წელს იხვნებოდა 600 ათასი, 1989 წელს 840 ათასი, ხოლო 1951 წელს კი რეკორდული 1100 ათასი. ეს ფაქტი მრავლის მეტყველია, იგი უპირველეს ყოვლისა გამოხატავს საზოგადოების დამოკიდებულებას საკუთარი სიმდიდრის _ მიწისადმი. მიწა მოვლილია, მაშინ თუ, იგი იხვნება და აგროკულტურის მიღწეულ დონეზე მუშავდება. საქართველოში კი დღეისათვის მილიონ ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან მუშავდება მხოლოდ მისი მეოთხედი და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანა განიცდის სურსათის დიდ უკმარისობას და საზღვარგარეთიდან შემოაქვს იგი. პრობლემა იმითაც ღრმავდება, რომ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების საკითხი უკავშირდება სურსათის უვნებლობის საკითხსაც, სადაც შექმნილი სიტუაცია, რბილად რომ ვთქვათ, არ არის სანიმუშო.

2022 წლის მონაცემებით ირკვევა, რომ სულ დაითესა ხორბალი 55.3 ათასი ჰექტარზე და მთლიანმა მოსავალმა შეადგინა 156,8 ათასი ტონა. ე.ი. ჰექტარზე 1.425 ტონა. სოფლის მეურნეობის დაკრედიტება 2022წელს მთლიანი კრედიტის მხოლო 2.24% უკავია. მოტანილი ციფრები მეტყველებენ, რომ საქართველოში აგრარულ პოლიტიკაში ყველაფერი წესრიგში არ არის.

ეს გრემოება გვკარნახობს, რომ ჩვენი დამოკიდებულება აგრარული კრიზისისადმი უნდა ემყარებოდეს: 1. გღზელვადიან ფუნდამენტებით მსოფლიო ტენდენციებს; 2. საქართველოში სოფლის მეურნეობის შესაძლებლობების შემზღუდავი საბაზრო ძალების ლოკალიზაციის

ბაზაზე მყისიერი, მიმდინარე შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. ამ პრობლემატიკის სწორი გააზრებით შესაძლებელია პოზიტიური შედეგების შედარებით მოკლე პერიოდში მიღწევა.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობა განიხილება, როგორც პრიორიტეტული დარგი. ამ სფეროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები ჯერადობით იზრდება. ახლა საქმე ისაა, თუ როგორ და რა კონკრეტულ დარგებში გამოვიყენებთ ამ რესურსს. რას მოგვცემს ეს საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარებისათვის. აგრარული კრიზისები, როგორც წესი ხანგრძლივ ვადიანია, რადგანაც უკავშირდება მრავალწლიან მცენარეთა და მეცხოველეობის განახლების ბუნებრივ ციკლს. გარდა ამისა, აგრარული სექტორში მიმდინარე კვლევები გვესაჭიროება ამ სფეროში სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის, რათა სოფლის მეურნეობა კვლავ იქცეს საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად.

2. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები

ასეთ ვითარებაში აუცილებელია სახელმწიფოებრივ დონეზე შემუშავდეს ღონისძიებათა ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გარე და შიდა გამოწვევების გათვალისწინებით ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, რომელიც სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული, დასაქმებას, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, საკადრო პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, აგფლაციის პროცესის დაძლევას, სოფლად არსებული მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას (პირველ რიგში, სიღარიბის დაძლევას) და სხვას. ამ მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოსათვის თანამედროვე ეკონომიკის გამოწვევების მუდმივი შეხსენება :

1. თავისუფალ ვაჭრობის კონცეფცია- ადამ სმითიდან მოყოლებული მსოფლიოს ყველა ეკონომისტი იცავს თავისუფალ ვაჭრობის კონცეფციას, როგორც იდეალს რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ვაჭრობის პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ამის დაცვის მიზეზი არც ისე მარტვია, როგორც იდეა, რადგან ხშირია ეკონომიკის გაძღოლის განსხვავებული მექანიზმების გამოყენება.

1995 წლიდან საქართველოს მთავრობა ყურადღებას აქცევს ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფო შეზღუდვების შემცირებას, ცდილობს შეინარჩუნოს ღია ბაზრის პოლიტიკა დაბალი საგადასახადო განაკვეთები, რათა განხორციელდეს ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური ზრდა სიღარიბის დასაძლევად და ეკონომიკური კურსის ასამაღლებლად, შექმნას ხელსაყრელი საინვესტიციო და სამეწარმეო კლიმატი, რასაც .,,ბიზნესის კეთების სიმარტივით“ დაკავებული მე-7 ადგილი მოწმობს.

საბაზრო ეკონომიკის მოქნილ, ქმედით, ღია სისტემას შეუძლია მიიღოს თავის წიაღში ახალი ელემენტები, მაგრამ მთავარია მისი სახეცვლილება არ მოხდეს და პოლიტიკურად გავლენიან სექტორებში შემოსავლის გადანაწილების მექანიზმად არ გადაიქცეს.

2. ინტელექტუალური საკუთრების ქვეყანათაშორის ნაკადები- საერთო პროგრესი ზრდის ადამიანის კეთილდღეობას და ყალიბდება პოლუსები სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. ჩქარდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა და ადამიანისეული უპირველესად, ინტელექტუალური რესურსების საერთაშორისო გადაადგილება, რომელიც დიდი მასშტაბით მიმდინარეობს. ღია ეკონომიკის პირობებში, შრომითი რესურსების ემიგრაცია, ადამიანისეულ კაპიტალზე გაწეული დახარჯების დანაკარგს იწვევს, და პირიქით, ის ქვეყნები, რომლებიც ,,უცხო ადამიანისეულ კაპიტალს'' იღებენ,დამატებით წყაროს შეძენითა და ოპერატიული ათვისებით, იმარჯვებენ ზრდიან კონკურენტუნარიანობის ფაქტორებს და მოგებას.

მსოფლიოში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პირობაა ჰუმანური განვითარების კონცეფცია-რომლის მიზანია ეკონომიკური ზრდისა და ადამიანის წინსვლას შორის კავშირის ჩვენება. მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება და რეალიზაცია, საწარმოების და ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირების გარემოს შექმნა. მაგალითად აშშ დიდ ყურადღებას უთმობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და ამ მიზნით ახდენს მნიშვნელოვანი კაპიტალური რესურსების ინვესტირებას. შედეგად აშშ-ში ადამიანური კაპიტალის და შრომის საშუალებებში მატერიალიზებულ კაპიტალის უკეთესი თანაფარდობა ყალიბდება. მეცნიერთა, ინჟინერ ტექნიკოსთა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დიდი რესურსი, არის მაღალტექნოლოგიური.

ამ მხრივ უდიდეს ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მსოფლიო მოწინავე ქვეყნებში ,,ადამიანის განვითარების ინდექსით" საქართველოს მსოფლიოს ქვეყანათა შორის 63 ადგილს იკავებს და მისი ინდექსი 0.802 რაც განვითარების ძალიან მაღალი დონეს შეესაბამება. მიუხედავად ამისა ემიგრანთა უმრავლესობა შრომისუნარიან ასაკში (15-64 წლის ასკობრივი ჯგუფი) მყოფია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემებით კვლავ მაღალია - 125 269კაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კაპიტალით გაჯერებული ქვეყანა არ არის, მასზე უფრო მაღლა დგას დასამუშავებელი მიწა (განსაკუთრებით ნაყოფიერი ან სასარგებლო წიაღისეულის შემცველი) და ძალიან მაღალი განვითარების მქონე ადამიანური რესურსი, საქართველოს ინტეგრაციული კავშირები კი საშუალებას გვაძლევს მოვამზადოთ და აღვჭურვოთ სამეცნიერო ტექნიკური კადრები მაღალკვალიფიციური განათლებით, რათა მივაღწიოთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

3. გაურკვევლობით სავსე ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გარემოს ფონზე მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მსოფლიო ბაზარზე ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ქვეყნის კონკურენტულ გარემოს და პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. აშშ-ს, ევროკავშირის ქვეყნების, იაპონიის და სხვა ქვეყნების სამეურნეო სივრცეში სახელმწიფო ჩარევის ფაქტების მიუხედავად, არცერთ მათგანს უარი არ უთქვამს კონკურენციაზე და საკუთარი კონკურენტული გარემოსადმი ხელშეწყობაზე. შესაძლებელია გატარებული ღონისძიება

საერთაშორისო ეკონომისტების უმრავლესობის სამ სტანდარტულ არგუმენტს- თავისუფალი ვაჭრობის გადახრიდან პირობითად გაზომილი დანახარჯები დიდია; არსებობს თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებული სხვა სარგებელი, რაც პროტექციონისტული პოლიტიკის დანახარჯებს ემატება; თავისუფალი ვაჭრობიდან სერიოზული გადახრის განხორციელების ნებისმიერი მცდელობა პოლიტიკური პროცესებით ჩაიშლება- ეწინააღმდეგება, მაგრამ ქვეყანას აქვს საკუთარი პრიორიტეტი და მას ვერ გადაუხვევს.

4. მიუხედვად იმისა რომ საქართველო რეგიონში წინ მიიწევს და ,,გლობალური ინოვაციების ინდექსის“ მაჩვენებელით, 29.9 ქულა და 65 ადგილი უკავია, 2023 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით ინვესტიციები 1388. 2 მილიონ აშშ დოლარს შედგენს და სამწუხაროდ არ ხდება ინვესტირება (კაპიტალური დანახარჯები) სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკოსტრუქტორო სამუშაოებში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის საწარმოებლად. ასევე მიზერულია, დამამუშავებელ მრეწველობაზე 8% და ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე 2.5% გაწეული ინვესტიციები. არადა კანადის, შვედეთის, ნორვეგიისა და სხვათა მაგალითები მოწმობს, რომ ქვეყნის განვითარების ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში სრულყოფას საჭიროებს სწავლა-განათლების, გადამამუშავებელი მრეწველობის, დაბერებული მოსახლეობითვის ღირესული ცხოვრების პირობების შექმნის საკითხები.

5. საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოება და მსოფლიო ბაზარზე მხარდაჭერა, ქვეყანაში პოპულარული (ძირითადი) სასურსათო პროდუქტების იმპორტის ოპტიმალური მინიმიზაცია. ამისათვის საჭიროა განვთავისუფლდეთ სურსათზე, მის უსაფრთხოებასა და საკმარისობაზე ძველი სტერეოტიპებისაგან. გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ ჩვენ ქვეყანას აქვს საკმარისი ძალა საკუთარი სურსათით დაიკმაყოფილოს თავი არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. შეიქმნება ნამეტი პროდუქცია მემცენარეობასა და მეცხოველეობის დარგებში. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოში სიღარიბესთან ბრძოლის პროცესში და ამ სექტორს გააჩნია შესაძლებლობები გახდეს ქვეყნის ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური დარგი; დასაქმდეს დიდი რაოდენობით მოსახლეობა და შეიქმნას ცხოვრების უკეთესი პირობები. ამას გავავალდებულებს ჩვენი აგრარული ისტორია. აუცილებელია გამოვავლინოთ აგრარული

სექტორის პრიორიტეტები, რომლებიც მოითხოვს გადაუდებელ პოლიტიკურ მხარდაჭერას შემდგომი განვითარებისათვის და მოგვცემს შესაძლებლობას შევქმნათ მაღალტექნოლოგიური მიმართულებები.

6. დიდ ყურადღებას იმსახურებს ეკოლოგიური წონასწორობის პრობლემა. ტექნოლოგიათა გაბატონების ერა ჯერ კიდევ ლეიბნიცის შეხედულებებში ისახება, რომელსაც ადამ სმიტის, მაიკლ პორტერის და სხვათა თეორიები მოსდევს. ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენები რეალურად ქმნიდნენ უალტერნატივო საფუძვლებს, მაგრამ იწვევდნენ ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრობლემებს. 1800-იანი წლების დასაწყისიდან იწყება მწვანეთა მოძრაობა და ინდუსტრიული რევოლუცია მას შემდეგ, რაც ტყეები გაქრა უგუნური ხის ბარონების ცულის ქვეშ, ქვანახშირი გახდა ენერგიის პოპულარული წყარო და გამოიწვია ჰაერის საშინელი დაბინძურება ლონდონში, ფილადელფიასა და პარიზში.

მწვანე მოძრაობა ზრდა 1960-იან და 1970-იან წლებში განპირობებული იყო გარემოს ადგილობრივი და გლობალური დეგრადაციით. იგი არის მრავალფეროვანი მოძრაობა, რომელიც ზრუნავს გარემოს დაცვაზე. მისი წევრობი არიან: მეცნიერები, პოლიტიკური აქტივისტები, მდიდარი და ღარიბი პირები ყველა ქვეყანაში და მრავალი განსხვავებული რელიგიური ფილოსოფიის მქონე ადამიანები. მათ შესძლეს რომ მთელ მსოფლიოში პოლიტიკოსთა და ადვოკატთა ყურადღება მიექციათ ეკოლოგიურ პრობლემებზე. 1980-იანი წლებიდან გლობალური კლიმატის ცვლილება მწვანე მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. სხვა გამოწვევები მოიცავს ორგანულ სოფლის მეურნეობას, დაბინძურებას, მრავალფუნქციური განუვითარებელი ლანდშაფტებისა და ველური ადგილების შენარჩუნებას, გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვას, ნათესებისა და პირუტყვის გენმოდიფიცირების საკითხებ და ბირთვული ენერგიის გამოყენების პრობლემებს.

გარემოს დაცვის სურვილით გაერთიანებული, მაგრამ განსხვავებული ფილოსოფიითა და სტრატეგიით, მწვანე მოძრაობის სხვადასხვა ფრაქციამ მოახერხა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, მოიპოვა მნიშვნელოვანი იურიდიული გამარჯვება და გავლენა მოახდინა მთავრობის პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ევროპაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მწვანე რევოლუციამ იხსნა კაცობრიობა შიმშილისაგან. სწორედ ნომან ბორლოუგმა უჩვენა მსოფლიოს, რომ მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ურთიერთობას შეუძლია კაცობრიობის პრობლემების გადაჭრა და მას 1970 წლის 21 ოქტომბერს მიანიჭეს ნობელის მშვიდობის პრემია შემდეგი ფორმულირებით: „საკვების პრობლემის მოგვარებაში და განსაკუთრებით მწვანე რევოლუციის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის“.

გლობალური მწვანე ზრდის ინსტიტუტი (GGGI) დაარსდა იმ რწმენით, რომ ეკონომიკური ზრდა და გარემოს მდგრადობა არ არის მხოლოდ მიზნები; მათი ინტეგრაცია აუცილებელია კაცობრიობის მომავლისთვის. GGGI მუშაობს პარტნიორებთან საჯარო და კერძო სექტორში განვითარებად ქვეყნებში მთელს მსოფლიოში, რათა მწვანე ეკონომიკა, ეკონომიკური დაგეგმვის ცენტრში დააყენოს.

GGGI მხარს უჭერს განვითარებად და განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ შეიმუშაონ მწვანე ზრდის მკაცრი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები. GGGI ახორციელებს კვლევას მწვანე ეკონომიკის ზრდის თეორიისა და პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტებზე და ხელს უწყობს კერძო სექტორის ექსპერტიზისა და რესურსების ჩართვას მწვანე ზრდის სტრატეგიების განხორციელებაში.

გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი (GGEI) ზომავს 160 ქვეყნის მწვანე ეკონომიკის მაჩვენებელს 18 ინდიკატორის მიხედვით. GGEI განისაზღვრება ოთხი ძირითადი განზომილებით: კლიმატის ცვლილება და სოციალური თანასწორობა, სექტორის დეკარბონიზაცია, ბაზრები და ESG ინვესტიციები და გარემოს ჯანმრთელობა. გაზომვის მიდგომა ითვალისწინებს ორ მოსაზრებას: პროგრესი თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით 2005 წლიდან დღემდე და მანძილი თითოეული ქვეყნის ამჟამინდელ შესრულებასა და გლობალური მდგრადობის მიზნების მისაღწევ საჭიროებებს შორის.

2023 წლის გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსის (GGEI) მიხედვით, საქართველო შუალედურ პოზიციას იკავებს მსოფლიოს ქვეყნებს შორის. მეორე მხრივ, გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსის (EPI) მიხედვით, საქართველოს 180 ქვეყანას შორის მსოფლიოში მხოლოდ 103 ადგილზეა. არადა EPI-ის ინდექსი ახასიათებს 11 უმნიშვნელოვანეს კატეგორიას როგორებიცაა: ჰაერის ხარისხი, სანიტარული და სასმელი წყალი, მძიმე ლითონები, ნარჩენების მართვა, ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი გარემო, ეკოსისტემური მომსახურება, მეთევზეობა, მჟავური წვიმა, სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები და კლიმატის ცვლილება. გამოდის, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ცვლილებაა განსახორციელებელი ჯანმრთელი გარემოს, ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობისა და კლიმატის ცვლილების გასაუმჯობესებლად.

დღეს საქართველოში არსებობს უზარმაზარი პოტენციალი მწვანე ეკონომიკის მიმართულებით არა მარტო ენერგეტიკის, მწვანე ტრანსპორტის, ტურიზმის მიმართულებით, არამედ სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით.

დასკვნა. ეკოლოგიურ-სოციალური საბაზრო ეკონომიკისათვის ზნეობრივი საფუძვლების გააზრება და მისი სამეურნეო-პოლიტიკურ ინსტრუმენტად ქცევა გარკვეულ ძალისხმევებს გულისხმობს. მაშინ, როდესაც საბაზრო ეკონომიკა მზადაა აღიქვას ეკოლოგიური პროცესები,

როგორც ბუნებრივი, არახელსაყრელი მოვლენები და შეიმუშაოს მისი ლოკალიზაციის ან ნეიტრალიზაციის საბაზრო მექანიზმები. ზემოთ განხილილი ანალიზი ცხადყოფს, რომ:

- აგროსამრეწველო საწარმოთა კერძო მფლობელობაში გადასვლამ, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. ამის მიზეზია თანდათან ჩამოყალიბებული ისეთი ფინანსური გარემო, რომელიც ცნობილია ლიკვიდურობის ხაფანგის სახელით.

მართალია, ლიკვიდურობის ხაფანგს მონეტარისტები (მილტონ ფრიდმენი და სხ.) მნიშვნელობას არ ანიჭებენ და მიიჩნევენ, რომ მას გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის ზრდაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია, მაგრამ როგორც კეინსი იტყოდა „გრძელვადიან პერიოდში ყველანი მოვკვდებით“, ანუ გამოსავალი საძებნელია ახლა და აქ. ლიკვიდურობის ხაფანგს ეძახიან ისეთ სამეურნეო სიტუაციას, როდესაც, მაღალი ინფლაციური გარემოს გამო, მოსახლეობის დანაზოგების ბანკებში თავმოყრა გართულებულია და საბანკო დეპოზიტები ვერ იქცევიან საინვესტიციო რესურსად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღევანდელი მოთხოვნების გადავადების შედეგად წარმოქმნილი დანაზოგები არ მიემართება ეკონომიკის ზრდისაკენ, დღევანდელობა ვერ უზრუნველყოფს სამომავლო წინვლას. ფულმა დაკარგა შესაძლებლობა, იყოს, მიმდინარე პერიოდის მომავალთან კავშირის საშუალება.

- სამეურნეო წარმოების არსებული პოტენციალი მნიშვნელოვანწილად ჯერ კიდევ გამოუყენებელია და არსებულ შედეგებს ბევრად აღემატება.

- სოფლის მეურნეობა იმართება იმპროვიზირებულად, რეალური სექტორიდან მომავალი იმპულსების მეშვეობით, რომლებიც, დრო და დრო, ხდება ქვეყნის ხელისუფლების მსჯელობის საგანი. ყოველივე ზემოთქმულს თავისი მიზეზები გააჩნია, მაგრამ დღეისათვის, ეს ფაქტიური მდგომარეობა განსაზღვრავს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციებს. შესაბამისად მსოფლიო გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატური ცვლილებების, საერთაშორისო მასშტაბის სასურსათო და ფინანსური კრიზისის პირობებში მარტო დარჩენილი ქართველი ფერმერი, საკუთარ ერთ ჰექტარზე ნაკლებ მიწის ფართობზე ვეღარ არის, ქვეყანაში, პროგრესისა და კეთილდღეობის შემოქმედი.

- წარმოების არეალის გაზრდისათვის საჭიროა განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების და განათლების უზრუნველყოფა.

- აუცილებელი ხდება, სოფლის მეურნეობის სტრატეგიული მნიშვნელობისა და განვითარების ცენტრალური მიმართულებების განსაზღვრაც და საქართველოს ბუნებრივი გარემოსა და ეროვნული ტრადიციების ადექვატური მექანიზმების შემუშავებაც.

ამისათვის კი აუცილებელია მთლიან ეკონომიკაში მოვახდინოთ აგრარული პოლიტიკის ფორმირება ეკოლოგიური პრობლემატიკის გათვალისწინებით, კერძოდ:

-.ვინაიდან სოფლის მეურნეობის სექტორი სულ უფრო ტექნოლოგიურად და ცოდნით ინტენსიური ხდება, აუცილებელია სოფლის მეურნეობის სექტორისთვის სამეცნიერო ლაბორატორიების შექმნა როგორც თავად საწარმოებში, ასევე სამეცნიერო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებში.

- სოფლის მეურნეობის სექტორში იმპორტის ჩანაცვლებისთვის აუცილებელია, დავადგინოთ ცალკეული სოფლებისათვის მცენარეთა გავრცელების საუკეთესო არეალი, მეცხოველეობის ორგანიზების უმჯობესი ბუნებრივი პირობები და მათი გათვალისწინებით მოვახდინოთ სასოფლო წარმოების სწორი სპეციალიზაცია და ფერმერული მეურნეობის რაციონალური ზომების ფორმირება სპეციალური სტრუქტურების (სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროები) დახმარებით, რათა შევძლოთ სახელმწიფოს მიერ დაცული სქემების შემოღება და სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურების განსზღვრა.

- უნდა გამოვავლინოთ სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული შესაძლებლობები და ჩამოვაყალიბოთ პრიორიტეტთა სისტემა, მოვახდინოთ მაღალტექნოლოგიური დარგების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება მაღალმწარმოებლური აგრიკულტურული სახეობების დასამკვიდრებლად.

- ახალი სამეცნიერო განვითარების სტიმულირებისთვის საჭიროა შეიქმნას მექანიზმები უნივერსიტეტებში და სამეცნიერო ორგანიზაციებში სამეცნიერო კვლევების ფინანსური მხარდაჭერისთვის.

- აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების პროფესიული გადამზადება.

_ აგროინდუსტრიული დარგის განვითარება და მისი ადაპტირება შექმნილ სიტუაციასთან, მოითხოვს ინფრასტრუქტურის განვითარებას წარმოების, მოსავლის შემდგომი და გადამუშავების (რომელიც განვითარების ადრეულ საფეხურზეა) სფეროში.

- აუცილებელია ყურადღება მიექცეს საკრედიტო რეურსების გაიაფებას და დაკრედიტების მობილური მექნიზმის ჩამოყალიბებას.

- სოფლის მეურნეობაში დაზღვევის ეფექტური განვითარება, სრულიად წარმატებით წყვეტს დაკრედიტების პროცესში სასესხო უზრუნველყოფის მაღალი ლიკვიდობის პრობლემებს, რაც სოფლის მეურნეობის წარმოების დარეგულირების არანაკლებ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

- მწვანე ეკონომიკური სტრატეგია აუცილებელია, დაფუძნებული იყოს აგრარული სფეროს პრიორიტეტულ განვითარებაზე. მწვანე ზრდის ინიციატივა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და

კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საშუალებით ხელს შეუწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას ასევე სიღარიბესთან ბრძოლას. გაზრდის სოფლად დასაქმებას, პროდუქციის წარმოებას და სოფლად მოსახლეობის შემოსავალს.

- აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომელიც აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას ორგანულ საკვებ პროდუქტებზე.

საქართველოში სოფლის მეურნეობის კრიზისი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის კერძო, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგია. მისი დაძლევა ისტორიული აუცილებლობა და ჩვენი თაობის ღირსების საკითხია.

რაც მეტია გლობალიზაცია მით მეტი დაინტერესებული მხარეა და უფრო დიდია საჭიროება ქვეყნის განვითარების მკაფიო სტრატეგიის არსებობის. მათ შორის მნიშვნელოვანია იმპორტის ჩანაცვლების, საქონელი და მომსახურების სრულყოფის გამოწვევები, რომელიც გაზრდის დამატებულ ღირებულებას, ქვეყნის ბიუჯეტს და მოსახლეობას უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილებით. რა თქმა უნდა, აუცილებელია ადექვატური ფისკალური, ადმინისტრაციული და მარეგულირებელი პირობები ბიზნესისთვის, რათა გადაიჭრას არსებული პრობლემები და მოხდეს საწარმოების კონსოლიდაცია და მოდერნიზაცია, ასევე კონკურენტუნარიანობისა და კაპიტალის ზრდა.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ თუ ჩვენ რეკომენდაციებს გამოიყენებენ უკეთეს შედეგებთან გვექნება საქმე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლადიმერ პაპავა, გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე. თბილისი 2010. გვ.89
2. www.heritage.org- Georgia's economic freedom Index 2023
3. Книга Гинеса. М., 2001
4. **Alexander G.**, Tvalchrelidze and Labbate G. Human development report, Georgia 2000. United Nations Development Programme, Tbilisi 2000, 3 p.
5. WWW. Lusazhou.com- Small Business Statistics: The Ultimate List in 2024
6. www. single-market-economy.ec.europa.eu- Annual Report on European SMEs 2022/2023
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ინფლაცია საქართველოში 2023 თებერვალი
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2023
9. www. Mepa.gov.ge – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ანგარიში 2022
10. www. countryeconomy.com - Georgia - Human Development Index – HDI
11. Soumitra Dutta, Bruno Lanvin, Lorena Rivera León and Sacha Wunsch-Vincent Editors Global Innovation Index 2023 Innovation in the face of uncertainty 16th Edition
12. www.geostat.ge- პირდაპირი და უცხოური ინვესტიციები
13. www.greenfinanceplatform.org- Global Green Growth Institute
14. www. greengrowthindex.gggi.org- Green Growth Index: Scores and ranks
15. www. epi.yale.edu/epi-results- Inveronmental Performance Index

მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიის ჩამოყალიბება
Formation of the theory of macroeconomic equilibrium

რაისა ხაჩატურიანი - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
khachaturyan51@mail.ru

Raisa Khachaturian - LEPL **Samtskhe-Javakheti State University,**
Doctor of Economics, Associate Professor
khachaturyan51@mail.ru

ანოტაცია. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი ეროვნულ ეკონომიკაში მაკროეკონომიკური წონასწორობის შექმნა და შენარჩუნებაა, რადგან წონასწორულ ეკონომიკას შეუძლია უზრუნველყოს რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენება და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. ასეთ პირობებში აქტუალური ხდება მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე არსებული შეხედულებების გადახედვა და მისი დამყარების თავისებურებების განხილვა, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმები და ინსტრუმენტები.

სტატია ეძღვნება ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში ცნობილი მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიების ევოლუციურ ჭრილში განხილვას, შესწავლას და გაანალიზებას. გაშუქებულია ისეთი მეცნიერების და ეკონომისტების მოსაზრებები და შეხედულებები, როგორიცაა: სმითი, სეი, მარქსი, ვიზერი, მენგერი, ჰაიეკი, ვალრასი, ვალდი, ლინდალი, კეინზი, ლეონტიევი, ფრიდმენი, ლუკასი, ოუკენი და სხვა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კონცეფციები და დებულებები სისტემატიზებულია თანამედროვე თვალთახედვის პოზიციიდან და გამოვლენილია მოცემული სფეროს მთავარ მიმართულებებს შორის განსხვავებული ნიშან-თვისებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ორ მთავარ - კლასიკურ და კეინზიანურ - მიმართულებას შორის სხვაობაზე. აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება ამ თეორიებში წონასწორობის პრობლემის გადაწყვეტის მიწოდების და მოთხოვნის პოზიციებში, შესაბამისად, მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ მიდგომებშია, ხოლო ერთად-ერთი გამაერთიანებელი - ბაზრის სტატუსის აღიარებაა.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია მოსაზრებები, რომელიც უკავშირდება კლასიკურ, მონეტარისტულ და კეინზიანურ მოდელებს. ხაზგასმულია, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობის კონცეფციის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები საფუძვლიან შეუსაბამობებს ქმნიან ეკონომიკის რეგულირებაში. აღნიშნულია, რომ ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ქვეყნების წინაშე დღევანდელ პირობებში, როდესაც იცვლება მსოფლიო წესრიგის ფუძემდებლური პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკური წონასწორობა, კლასიკური თეორია, კეინზიანელობა

Abstract. The main goal of state economic policy is to create and maintain a macroeconomic balance in the national economy, since a balanced economy is able to ensure the most efficient use of resources and maximum satisfaction of social needs. In such conditions, it becomes relevant to consider existing views on the macroeconomic balance and discuss the features of its establishment, on the basis of which mechanisms and instruments of economic policy are formed.

The article is devoted to the discussion, study and analysis of theories of macroeconomic equilibrium known in the history of economic teachings from an evolutionary point of view. The opinions and views of such scientists and economists as: Smith, Say, Marx, Wieser, Menger, Hayek, Walras, Wald, Lindahl, Keynes, Leontief, Friedman, Lucas, Okun and others are covered.

The concepts and provisions of economic science from a modern point of view are systematized, various characteristics between the main directions of this field are identified. Particular attention is focused on the difference between the two main directions of modern economic theory - classical and Keynesian. It is noted that the important difference between these theories lies in the positions of demand and supply for solving the equilibrium problem, respectively, in the microeconomic and macroeconomic approaches, and the only unifying factor is the recognition of the status of the market.

The final part summarizes the considerations associated with the classical, monetarist and Keynesian models. It is emphasized that theoretical and methodological problems of the concept of macroeconomic equilibrium

create fundamental contradictions in the regulation of the economy. It is noted that this issue is especially acute for countries in today's conditions, when the fundamental principles of the world order are changing.
Key words: economic theory, macroeconomic equilibrium, classical theory, Keynesianism.

შესავალი. ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობის საკითხებს ყოველთვის სათანადო ყურადღება ექცეოდა. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა ითვლება მყარად განვითარებად ეკონომიკად, თუკი მიიღწევა ბალანსი ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ წონასწორული მდგომარეობის პრობლემის შესწავლას ცნობილი მეცნიერების, ეკონომისტების და ფილოსოფოსების ნაშრომებში წამყვანი ადგილი უკავია. მათში გადმოცემულია საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ფუნდამენტალური დახასიათება, ეკონომიკური მოვლენები და პროცესები გაშუქებულია მაკროეკონომიკის პოზიციებიდან, ხოლო ერთობლივი მოთხოვნის და მიწოდების ურთიერთქმედების მექანიზმი წარმოდგენილია განსაზღვრული ფასების დონის და წარმოების მოცულობის ფარგლებში. ეკონომიკის აგებულებაზე ელემენტარული წარმოდგენის უკან სინამდვილეში იმალება კომპლექსური წარმონაქმნი, რომელიც გულმოდგინე მიდგომას და შესწავლას მოითხოვს და შინაარსობრივად ეკონომიკური მეცნიერების საკვანძო ამოცანას წარმოადგენს.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია მისი ძირითადი კონცეფციების გამოყენებასთან, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეკონომიკური თეორიის საბაზო კონცეფციებიდან განსაკუთრებით **აქტუალურია** მაკროეკონომიკური წონასწორობა. გასული საუკუნის ბოლოს გლობალური იდეოლოგიური დაპირისპირების გაქრობამ შექმნა ნაყოფიერი ნიადაგი საერთო წანამძღვრების დამყარებისა და ისეთი მაკროეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ანალოგიურად იფუნქციონირებდა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული განვითარების დონით და სოციალურ-ეკონომიკური წესრიგით. ამასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა არსებული დებულებების და მტკიცებულებების სისტემატიზირება, რაც ნებისმიერი ეკონომიკური თეორიისათვის სასარგებლო იქნებოდა.

წინამდებარე ნაშრომის **მიზანია** მრავალსახოვნებით მდიდარი ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან საუკეთესო თეორიული შედეგების ამორჩევა და თანამედროვე მსჯელობის პოზიციებიდან მათი ახალი ინტერპრეტაციისადმი დაქვემდებარება. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა **ამოცანები**:

- ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სკოლის და მიმართულების მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიის საკვანძო დებულებების ქრონოლოგიური მიმოხილვა;

- მაკროეკონომიკური წონასწორობის კონცეფციის თანამედროვე მდგომარეობის გამოკვლევა და მაკროეკონომიკის ძირითად მიმართულებებს შორის თეორიული განსხვავების მიზეზების გამოვლინება.

ნაშრომში გამოყენებულია შემეცნების საერთო სამეცნიერო **მეთოდები**, როგორიცაა: სისტემური მიდგომა, მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი, ისტორიული და ლოგიკური მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი.

ძირითადი ნაწილი. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების, როგორც ცოდნის დამოუკიდებელი დარგის, ჩამოყალიბება 1776 წელს ადამ სმითის წიგნის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ გამოსვლასთანაა დაკავშირებული, თუმცა ამ პროცესის საბოლოო ფორმირება ერთი საუკუნის შემდეგ დასრულდა. ბაზრის მთლიანობითი თეორიის ამოსავალ დებულებებად მიჩნეულია თვითდაინტერესება, ე.ი. ნებისმიერი მეურნის მიერ თავისი საქმიანობისგან მაქსიმალური მატერიალური სარგებლით დაინტერესება, და თავისუფალი კონკურენცია, ანუ „უხილავი ხელის“ - საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებადი მექანიზმის მოქმედება. სწორედ ეს ორი პოსტულატი გახდა ეკონომიკური თეორიის საფუძველი და მათ საბაზრო მექანიზმის მამოძრავებელი ძალების შინაარსი თეორიულად განსაზღვრეს. ამ თეორიის თანახმად, წარმოება ჩნდება მოთხოვნის აღმოცენების შედეგად, რომელიც დაწყებით სტადიაში მიწოდებას სჭარბობს. ამ პირობებში ფასები წარმოების დანახარჯებზე მეტი აღმოჩნდება და მოგება საშუალო ნორმას გადააჭარბებს. ამიტომ ბაზრის სუბიექტები, რომლებიც საკუთარი შემოსავლის მაქსიმიზაციისკენ მიისწრაფვიან, რესურსებს უფრო მომგებიან წარმოებებში აბანდებენ. თავისუფალი კონკურენციის არსებობა უზრუნველყოფს ბაზრის ყველა მონაწილესათვის ინფორმაციის მისაწვდომობის პირობების თანასწორობას და რესურსების დაუბრკოლებელი გადადინების შესაძლებლობას. დამატებითი ინვესტიციებით გამოწვეული წარმოების მასშტაბების ზრდა იწვევს მიწოდების ზრდას, ფასების შემცირებას და, ამის შედეგად დაბანდებული საშუალებების უკუგების დაცემას. ამასთან წარმოების ხარჯების შემცირების ტენდენციის მიუხედავად, მოგება კლებას განიცდის, რომელიც საბოლოო ჯამში საშუალო დონემდე მცირდება. წარმოქმნილ წონასწორობაში მიწოდება უტოლდება მოთხოვნას, ხოლო ფასები – დანახარჯებს. საერთო ეკონომიკური წონასწორობის ფორმირების მექანიზმი დაფუძნებულია ასევე დაშვებაზე, რომელიც დაბანდებული სახსრების ყოველი დამატებითი ერთეულისაგან შემოსავლის თანმიმდევრულ შემცირებას გულისხმობს. ესაა ე.წ. „გაჯერების“ პოსტულატი, ე.ი. შესაბამისი დოვლათის ყოველი თანმიმდევრული ერთეულის გამოყენებისგან შედეგების შემცირების ფენომენი. მისი გამოვლინების კერძო შემთხვევად მიიჩნევა კლებადი მწარმოებლურობის კანონი, რომლის აღიარებით დასრულდა ეკონომიკური თეორიის ფორმირების საწყისი ეტაპი (გრინბერგ... 1997: 78).

შემდგომ, შექმნილი აქსიომატიკის საფუძველზე დაიწყო საბაზრო მექანიზმის ქმედების უშუალო შედეგების ინტენსიური თეორიული შესწავლა. ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ცენტრალური მიმართულება გახდა თვით წონასწორობის პირობები და აგრეთვე გამოყენებული რესურსების და მიღებული შემოსავლების განაწილება. ამასთან დაკავშირებით ინტერესს წარმოადგენს კლასიკურ თეორიაში მსჯელობა სეის კანონის ირგვლივ, რომლის მიხედვით, თვით საქონლის წარმოების პროცესი ქმნის შემოსავალს, რაც ზუსტად უდრის წარმოებული საქონლის ღირებულებას. ამის შედეგად მიწოდება ავტომატურად წარმოშობს საკუთარ მოთხოვნას. აღნიშნული განმარტება 1800 წელს ჩამოაყალიბა ფრანგმა ეკონომისტმა ჟან ბატისტ სეიმ (სტოლერიუ, 1974: 56).

სეის კანონის არსი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ბარტერული გაცვლის მაგალითზე. როდესაც ფერმერი აწარმოებს ხორბალს და სთავაზობს მას როგორც ყიდვის ობიექტს, ის გამოხატავს მოთხოვნას სხვა საქონელზე. თუ დაუშვებთ, რომ ყველა საქონელმწარმოებელი ეკონომიკაში ამნაირად იქცევა, მაშინ მოთხოვნის სიდიდე უნდა იყოს ისეთივე, როგორც მიწოდების. პროდუქციის ნებისმიერი საერთო მოცულობის წარმოებიდან მიღებული და შემდგომ დახარჯული შემოსავალი სავსებით საკმარისი უნდა იყოს ადეკვატური საერთო მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის (მაკკონელ... 1996: 195). მაგრამ, შეიძლება შემოსავლის გარკვეული ნაწილი დაიზოგოს, ამიტომ ეს ნაწილი მოთხოვნაში ასახვას არ პოვებს. დანაზოგები იწვევენ შემოსავლების და ხარჯების ნაკადებში გადინებას და, შესაბამისად, არღვევენ სეის კანონის ეფექტიან მოქმედებას.

მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკური ანალიზის თეორიის განვითარებაში შეიტანა კარლ მარქსმა (1818-1883), რომელმაც კვლავწარმოების თეორიის ძირითადი დებულებები ჩამოაყალიბა. მოცემული თეორია მის მიერ გადმოცემულ იქნა XIX საუკუნის 70-იან წლებში „კაპიტალი“-ს მეორე ტომში განყოფილებაში გაფართოებული კვლავწარმოების შესახებ (მარქსი, 1988: 556).

მარქსის მიერ შემუშავებული მარტივი კვლავწარმოების სქემა, რომლის დროსაც წარმოების პროცესი უცვლელი მასშტაბით განახლდება, სტატიკური წონასწორობის პირობებს წარმოადგენს. თავის მხრივ, გაფართოებული კვლავწარმოების სქემა, რომლის დროსაც საწარმოო პროცესი ზრდადი მასშტაბით განახლდება, დინამიკური წონასწორობის მაგალითად გვევლინება. მარქსის თანახმად, ე.წ. ზედმეტი ღირებულებისადმი გამოდევნება და კონკურენცია კაპიტალისტებს არა მარტივი, არამედ გაფართოებული კვლავწარმოების განხორციელებისკენ უბიძგებს. კვლავწარმოების მარქსისტული სქემების შემუშავება და ანალიზი, რომლებიც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ორ ქვედანაყოფს შორის პროპორციულობის

შენარჩუნებას ითვალისწინებდა, მაკროეკონომიკურ კონტექსტში ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებათა ახსნის მცდელობას წარმოადგენდა.

მაკროეკონომიკური ანალიზის თეორიის განვითარების შემდგომი ეტაპი მარჟინალიზმის იდეების ჩასახვაა. ზღვრული სარგებლიანობის აღმოჩენა (ფ. ვიზერი, კ. მენგერი, ე. ბემ-ბავერკი) ეკონომიკური თეორიის განვითარების ახალი ეტაპის დაწყების ბიძგი გახდა. კლასიკოსების ანალოგიურად, ეკონომისტი-სუბიექტივისტები ძირითად ყურადღებას ამახვილებდნენ კონკურენტული წონასწორობის პრობლემებსა და ფასების ფორმირებაზე. შრომითი ღირებულების მარქსისტული თეორიის საწინააღმდეგოდ, სუბიექტური ფასეულობის თეორიის საფუძველზე ისინი საქონლის ღირებულების სიდიდის განსაზღვრისათვის იყენებდნენ ზღვრული სარგებლიანობის მარჟინალისტურ კონცეფციას. ამასთან დაკავშირებით, ავსტრო-ამერიკელი ეკონომისტი ფ. ა. ჰაიეკი თავის ბოლო ნაშრომში წერდა: „საგნის ანუ მოქმედების სარგებლიანობა, რომელიც ჩვეულებრივ განსაზღვრავს მის უნარიანობას დააკმაყოფილოს ადამიანის სურვილი, სხვადასხვა ინდივიდებისათვის არაერთნაირია - ეს მსჯელობა ამჟამად თავისთავად იმდენად ცხადია, რომ ძნელია იმისი გაგება, თუ საერთოდ ოდესმე სერიოზულ მეცნიერებს როგორ შეეძლოთ სარგებლიანობის, როგორც მატერიალური ობიექტების, საყოველთაო და გაზომვად თვისებადაც კი წარმოედგინათ“. ის აღიარებდა, რომ „...ზღვრული სარგებლიანობის თეორია ნამდვილად ხსნის, რით განისაზღვრება მოთხოვნა და მიწოდება“(ჰაიეკი, 1992: 170). ამრიგად, მეოთხე პოსტულატის სახით მარჟინალისტური ინტერპრეტაციის აღმოცენება, ე.ი. ფასების საფუძვლად თვით დოვლათის ზღვრული სარგებლიანობის აღიარების ფაქტი, ეკონომიკური წონასწორობის თეორიის პირველ არსებით მოდიფიკაციას წარმოადგენდა.

საბაზრო წონასწორობის სპეციალურ თეორიას საფუძველი XIX საუკუნის ბოლოს ავსტრიელმა ეკონომისტმა ლეონ ვალრასმა (1834-1910) ჩაუყარა, რომელმაც შექმნა საერთო კონკურენტული წონასწორობის მოდელი ცვალებადი საბაზრო ფასების სისტემის პირობებში. მის ნაშრომში, რომელიც 1874 წ. ლოზანაში გამოიცა, წონასწორობაზე, როგორც საბაზრო ეკონომიკაში სპეციფიკურ სიტუაციაზე, სადაც თვითეულ საქონელზე მოთხოვნა და მიწოდება დაბალანსებული აღმოჩნდება, წარმოდგენილია მათემატიკური ფორმულირება (ვალრასი, 1874: 286). ამასთან ამ ცნების სხვადასხვა სიტყვიერი ფორმულირების პოვნა შეიძლება მის რიგ წინამორბედებთან, რომლებმაც შეიმუშავეს წარმოდგენა ეკონომიკაზე როგორც მონაწილეთა გარკვეულ გაერთიანებაზე, რომლებიც საკუთარ ინტერესებს იცავენ. ჯერ კიდევ ადამ სმითი თვლიდა, რომ ამ გაერთიანების არსებობის ძირითადი ფორმა წინააღმდეგობრივი ინტერესების ძალთა წონასწორობაა. მან საკუთარი წარმოდგენები ჩამოაყალიბა „უხილავ ხელზე“ პოსტულატის სახით, რომელიც საქონელმწარმოებლებს აიძულებს ისე იმოქმედონ, რომ

მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ემთხვეოდეს, თანაც მთელი ეკონომიკური სისტემა რაღაც ოპტიმალური სახით ფუნქციონირებდეს. წონასწორობა ვალრასის მიხედვით, შეიძლება გავიგოთ როგორც სმითის პოსტულატის გარკვეული მათემატიკური ფორმალიზაცია. უფრო მეტიც, მისი მსჯელობები შეიცავდა მოსაზრებებს მარტივი საქონლური წარმოების ეფექტიანობაზე, რომელიც შემდგომში პარეტოს ოპტიმალურობის კონცეფციის სახით გაფორმდა (ფიშერი... 1999: 176).

ვინაიდან ვალრასი არ იყო პროფესიონალი მათემატიკოსი, იგი არ სვამდა საკითხს მის მიერ შემოთავაზებული განტოლებების სისტემის (რომელიც მოთხოვნა-მიწოდების დამთხვევის პირობებს გამოხატავდა) გადაწყვეტის არსებობაზე. ეს ამოცანა მოგვიანებით დასმული და წარმატებით გადაწყვეტილ იქნა ვალდის მიერ, რომელმაც ეკონომიკური მოდელის აგრეგირებული ვარიანტი განიხილა (ვალდი, 1951: 368). აღნიშნული ვარიანტი წარმოდგენილი იყო ჭარბი მოთხოვნის ფუნქციის სახით, რომელიც თავისი შინაარსით რიგი დადებითი თვისებებით ხასიათდება.

ვალრასის მიერ გამოყენებული დოვლათის მათემატიკური ცნება არ ასახავდა ყველა იმ ფენომენს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ეკონომიკის მონაწილეების საქმიანობის რეალურად არსებულ პროდუქტებთან. ამიტომ, ე. ლინდალმა 1919 წელს შემოიტანა საზოგადოებრივი დოვლათის (საქონლის) მათემატიკური ცნება, ხოლო ამის საფუძველზე, აგენტების ინდივიდუალური ფასების აპარატის გამოყენებით - წონასწორობის ცნება. შემდგომში, ლინდალის წარმოდგენები შერეული ტიპის მოდელის აგებით დაგვირგვინდა, რომელშიც წარმოდგენილია როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი დოვლათი. შესაბამისად განისაზღვრება წონასწორობის ცნებაც (ლინდალი, 1919: 158).

მაკროეკონომიკურმა ანალიზმა თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე შეითვისა ყველა საბაზრო ფასის მოქნილობაზე დამყარებულ, იდეალურად ფუნქციონირებად სისტემას და შერეული ეკონომიკის რეალურ სამყაროს შორის კონტრასტი. ეკონომიკური ისტორია საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა წარმოების მეორადი სოციალური ორიენტაციის პირობებში, ე.ი. იმ პირობებში, როცა ერთობლივი პროდუქციის მოცულობას და სტრუქტურას განსაზღვრავდა შიდა საწარმოო ფაქტორები და პრობლემები. ასეთი სიტუაციის ობიექტური შედეგი იყო ერთობლივი მოთხოვნის სიდიდის ერთობლივი მიწოდების მოცულობაზე გადაჭარბება. ეკონომიკის სოციალური ორგანიზაციის ასპექტში დასახელებული შეუსაბამისობის შედეგი მწარმოებლის მომხმარებელზე დიქტატი აღმოჩნდა.

სოციალური და საბაზრო მახასიათებლების კონცეპტუალური სხვაობა ასახულია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ორ მთავარ მიმართულებას - ნეოკლასიკურსა და კეინზიანელობას - შორის. ნეოკლასიკური თეორიის პოზიციიდან „არასაბაზრო“ ადაპტირდება

„საბაზროსთან“ და ემსახურება მას, მაშინ როდესაც კეინზიანელების მიხედვით, პირიქით, საბაზრო სექტორის სოციალურ სისტემაში „ჩაშენება“ და დაქვემდებარება ხორციელდება. მიუხედავად ამისა, ამ ორ მიმართულებას გამაერთიანებელი რამ გააჩნია - ბაზრის როგორც სტაბილურად ეფექტიანი ეკონომიკის ფუნდამენტური საფუძველის სტატუსის აღიარება.

ყველა ეკონომიკური თეორია კეინზამდე პრაქტიკულად იქედან გამომდინარეობდა, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობის ნებისმიერი დარღვევა წმინდა დროებით მოვლენას წარმოადგენს. ითვლებოდა, რომ წონასწორობისგან ყოველი გადახრა ავტომატურად იმავე „უხილავი ხელის“ მოქმედების საშუალებით აღიკვეთება, თვით უწონასწორობაში კი მოცემულია მისი თვითდაძლევის ენერგია. ამრიგად, დაწყებული კლასიკოსებიდან, „უწონასწორობა“ განმარტებული იყო როგორც ეკონომიკის სპეციფიკური მდგომარეობა, რომლის დროსაც სისტემა დროის ნებისმიერ მომენტში მიისწრაფვის მისთვის შესაძლო წონასწორობის ერთადერთი წერტილისაკენ.

ეკონომიკურ ისტორიაში ცნობილია ასევე კრიზისების პერიოდები, რომლის დროსაც საბაზრო მექანიზმები არამყარი, ხოლო ეკონომიკური აგენტების ქცევა ნაკლებად პროგნოზირებადი ხდებოდა. ასე, მაგალითად, ჭარბწარმოების კრიზისების აღმოცენებას ბევრი ეკონომისტი ეკონომიკის ტექნოლოგიურ სტრუქტურაში ჩამოყალიბებული საბაზრო ურთიერთობების შეუსაბამობით ხსნის. სინამდვილეში კრიზისიდან გამოსვლას ჩვეულებრივ თან ახლავს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება, რომლებიც საბაზრო მექანიზმების სტრუქტურას ახასიათებენ.

კეინზის აღმოჩენა მაკროეკონომიკური თეორიის ევოლუციაში მორიგი ეტაპის დასაწყისი გახდა. მტკიცება იმისა, რომ სახელმწიფომ სტაბილიზაციის პოლიტიკა უნდა გაატაროს, რათა ეკონომიკური კრიზისების წარმოშობა თავიდან აიცილოს ან მათ განვითარებას ხელი შეუშალოს, იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რომ მის იდეებს ყველგან „კეინზიანურ რევოლუციას“ უწოდებდნენ. რევოლუცია იმაში მდგომარეობდა, რომ კეინზამდე ეკონომიკური პროცესების ანალიზის მიკროეკონომიკური მიდგომა დომინირებდა. ანალიზის ცენტრში თავისუფალი კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებადი ცალკეული ფირმა და დანახარჯთა მინიმიზაციის პრობლემა, მოგების, როგორც კაპიტალის დაგროვების წყაროს, მაქსიმიზაცია იყო. კეინზმა მიკროეკონომიკურ მეთოდს დაუპირისპირა მაკროეკონომიკური, ე.ი. მსხვილ ეკონომიკურ სიდიდეებს - ეროვნულ შემოსავალს, დანაზოგებს, ინვესტიციებს, მოხმარებას შორის დამოკიდებულებების და პროპორციების გამოკვლევა, ხოლო მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევისათვის ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას თავაზობდა.

კლასიკური თეორიის საწინააღმდეგოდ, კეინზმა მეთოდოლოგიური მიდგომის შემდეგი ძირითადი დებულებები გამოჰყო: მაღალგანვითარებული კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრებისეული მნიშვნელოვანი პრობლემები აუცილებელია გადაწყდეს არა რესურსების (მათი იშვიათობის, ფასეულობის გათვალისწინებით, მათი უფრო ეფექტიანი შეთანაწყობით პროდუქციის მაქსიმუმის მიღების თვალსაზრისით და ა.შ.) მიწოდების შესწავლის პოზიციიდან, არამედ მოთხოვნის პოზიციიდან, რომელიც ამ რესურსების რეალიზაციას უზრუნველყოფს. გააკრიტიკა რა სეის კანონი, რომლის მიხედვითაც მიწოდება ქმნის საკუთარ მოთხოვნას, კეინზი აღნიშნავდა, რომ წონასწორობის პრობლემა უნდა გადაწყდეს „ეფექტიანი მოთხოვნის“ პოზიციიდან, რომელიც გამოხატავს წონასწორობას მოხმარებასა და წარმოებას, შემოსავალსა და დასაქმებას შორის (კეინზი, 1999: 25). „ეფექტიანი მოთხოვნის“ ტერმინის შემოღება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის სტიმულს იძლეოდა, რამაც შესაძლებელი გახადა იმის ახსნა, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკური სისტემა მთლიანობაში, როგორ მოძრაობს წარმოებული, განაწილებული და მოხმარებული ღირებულების ნაკადები. ეკონომიკის რეგულირების ძირითად ინსტრუმენტებად ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა მიიჩნეოდა. კეინზის მიხედვით, ფულად-საკრედიტო რეგულირების შესაძლებლობა მისი პროცენტის თეორიიდან გამომდინარეობდა. მიიჩნევდა რა პროცენტს ძირითად პარამეტრად, ის თვლიდა, რომ სახელმწიფო ჩარევის დახმარებით ფულად ბაზარზე გრძელვადიან ასპექტში საპროცენტო განაკვეთის რეგულირება შეიძლება.

კეინზიანელობის წარმოშობის და განვითარების პარალელურად ეკონომიკურ თეორიაში ევოლუცია განიცადა ე.წ. საერთო წონასწორობის მოდელმა, რომელიც ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის რთულ ურთიერთკავშირებს ავლენდა. ამიტომ, ეკონომიკურ თეორიაში ახალი თაობების (ნეოკლასიკურის და ნეოკეინზიანურის) იდეების შესწავლაზე გადასვლამდე, მოკლედ განვიხილოთ დარგთაშორისი კავშირების ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, რომელსაც პროდუქტის წარმოების და განაწილების ბალანსი ეწოდება. ეს დარგთაშორისი ბალანსი წარმოადგენს ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს წრფივ განტოლებათა სისტემის სახით. იგი ახასიათებს ერთ დარგში პროდუქციის გამოშვებასა და რესურსების მიმწოდებლებათ წარმოებაში ჩართული ყველა დარგის პროდუქციის ხარჯვას შორის კავშირებს (რაიზბერგი... 1997: 188).

დარგთაშორისი ბალანსის აგების თეორიული საფუძველი კვლავწარმოების მარქსისტული თეორია გახდა. საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის იდეა და აგების ძირითადი მეთოდოლოგიური დებულებები საბჭოთა კავშირში ჩაისახა, სადაც 1923-24 წწ. შედგენილი იყო პირველი, ე.წ. სსრკ-ს სახალხო მეურნეობის ბალანსი. შემდგომ, იმავე საუკუნის 30-იან წლებში, დარგთაშორისი კავშირების ანალიზის მეთოდი

სახელწოდებით „დანახარჯები-გამოშვება“ გამოყენებულ იქნა ამერიკელი ეკონომისტის ვასილი ლეონტიევის მიერ. დანახარჯების და შედეგების ანალიზის მეცნიერული გადმოცემა საერთო წონასწორობის მოდელის სახით კი ლეონტიევის მიერ წარმოდგენილ იქნა მხოლოდ 1951 წელს (ლეონტიევი, 1951: 15).

რაც შეეხება კეინზიანურ იდეებს, ისინი ომის შემდგომ წლებშიც პოპულარობას ინარჩუნებდნენ, თუმცა 70-იან წლებში ეკონომიკური ცხოვრების სურათი მკვეთრად შეიცვალა. სტრუქტურულმა და ციკლურმა კრიზისებმა, განსაკუთრებით 1974-1975 წწ. კრიზისმა, და ინფლაციამ, რომელიც თანდათან ქრონიკულ ხასიათს იღებდა, გამოიწვია ადრინდელი ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისი (ხაჩატურიანი, 2022: 110). ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკა სტაგფლაციას შეეჯახა. კეინზიანური თეორიის მიმდევრები ვერ პოულობდნენ მაკროეკონომიკური ბერკეტების გამოყენების რაიმენაირ საშუალებას, რომელიც ეკონომიკას სტაბილურ მდგომარეობაში დააბრუნებდა.

ეკონომიკურ თეორიაში გამოჩნდა ახალი მიმდინარეობები, რომლებიც კრიზისული სიტუაციის ახსნის მცდელობისას, პირველ რიგში აკრიტიკებენ კეინზიანელობის მთავარ იდეას – საბაზრო ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობას. იწყება ე.წ. „კონტრრევოლუციის“ ეტაპი, რომელშიც წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა თეორეტიკოსებმა მილტონ ფრიდმენის მეთაურობით. კეინზიანელობის საწინააღმდეგოდ წამოყენებული ალტერნატიული დოქტრინა – მონეტარიზმი – საფუძველში სმითის თეორიას ეყრდნობა და საბაზრო ეკონომიკას თვითრეგულირებად ეკონომიკად მიიჩნევს. მონეტარისტების გაცხადებით, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას არ განაპირობებს.

70-იან წლებში რობერტ ლუკასის მეთაურობით ჩამოყალიბებული ახალი ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია კეინზიანურ იდეებზე მონეტარისტულ კონტრშეტევას აძლიერებს. აღნიშნული თეორია დაუპირისპირდა ეკონომიკურ თეორიებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის სარგებლიანობას აღიარებს. საკუთარი პოზიციების მართებულობის დამტკიცებისათვის ამ თეორიის მომხრეებმა რაციონალური მოლოდინის კონცეფცია წამოაყენეს. ამ კონცეფციის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ფირმები და მუშები საკუთარ მოლოდინს მომავალ ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით რაციონალურად აყალიბებენ, სახელმწიფო პოლიტიკის კორექტირებას გაცილებით დაბალი ეფექტი ექნება კეინზიანურ მოდელში წარმოქმნილ ეფექტთან შედარებით (საქსი...1999: 35). რაციონალური მოლოდინის დროს წონასწორობაზე საკითხი მუდმივი გაწონასწორების ასპექტში განიხილება. სხვა სიტყვებით, ნეოკლასიკოსები თვლიან, რომ ბაზრები მუდამ წონასწორობაში იმყოფება. საკუთარ კონცეფციას ისინი ხსნიან ფასებისა და ხელფასის აუცილებელი

კორექტირებით ფირმების და მუშების მიერ მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორების მიზნით. ამრიგად, ნეოკლასიკური სკოლის თანახმად ფასების მოქნილობას აქვს ადგილი.

80-იან წლებში მაკროეკონომიკური ანალიზის მკვლევართა ნეოკეინზიანელების ახალი თაობა გამოჩნდა. ნეოკლასიკური თეორიის საწინააღმდეგოდ, ეს სკოლა არ თვლის, რომ ბაზრები მუდმივ წონასწორობაშია, და ცდილობს ახსნას საბაზრო მექანიზმის შეფერხების მიზეზები. ნეოკეინზიანელები აღნიშნავენ, რომ, რამდენადაც ინდივიდები საკუთარ ინტერესებს იცავენ, ინფორმაციის პრობლემები და ფასთა ცვლილებების დანახარჯები იწვევენ ფასების სიხისტეს და ამის შედეგად გამოშვების და დასაქმების მოცულობებში მაკროეკონომიკური რყევების შესაძლებლობებს ქმნიან (დორნბუში... 1997: 18).

ფასწარმოქმნის პროცესებთან დაკავშირებით ამერიკელი ეკონომისტი, არტურ ოუკენი, წერდა: „...ფასების და ხელფასის ურთიერთქმედება - ... რგოლია, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ მყარი ინფლაციის ანალიზისას. მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დარღვევაზე ფასების და ხელფასის რეაგირების შენელება აძლიერებს მოთხოვნისა და დასაქმების რყევას. იმის გამო, რომ ფასები არ ასრულებს თავის მთავარ ფუნქციას - წონასწორობის აღდგენას, მათ ნაცვლად ამას წარმოების რყევები აკეთებს“ (ოუკენი,1981: 4).

ეკონომიკის განვითარების ფულად ასპექტს რაც შეეხება, კეინზიანელების და მონეტარისტების პოზიციები აქაც შორდება ერთმანეთს. მონეტარისტებმა აღიარეს კაპიტალისტური ეკონომიკის ციკლური რყევების გარდუვალობა, მაგრამ მათ მიზეზს ცენტრალური ბანკების არა მტკიცე ფულად პოლიტიკაში ხედავენ, რომელიც კეინზიანელობის შესაბამისად ეკონომიკის სტაბილიზაციაზეა მიმართული. მისი შედეგი ფულადი მიწოდების და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ციკლური რყევებია. კეინზიანელები კი ეკონომიკური არასტაბილურობის მიზეზებს ფულადი მოთხოვნის ფორმირების თავისებურებებით, მისი არაპროგნოზირებადობით ხსნიან. ისინი მიიჩნევენ, რომ ფულადი მოთხოვნის მოცულობა დამოკიდებულია აქტივების პორტფელის მუდმივი ცვლილებებისაგან, სუბიექტური შეფასებისგან, რომლებიც იცვლება სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, დაწყებული სახელმწიფო პოლიტიკისგან და დამთავრებული განუსაზღვრელობითა და ინფორმაციის არასრულყოფილებით. ამრიგად, კეინზიანურ თეორიაზე ყველა თანამედროვე დისკუსია მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან და საშუალებებთან არის დაკავშირებული (ხაჩატურიანი, 2009: 62).

კონსერვატიული აზროვნების ეკონომისტებთან ერთად კეინზიანელები იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ საბიუჯეტო დეფიციტების და სახელმწიფო ხარჯების ზრდის საშიშროება და აგრეთვე ეკონომიკურ ზრდაზე საბიუჯეტო დეფიციტის ნეგატიური ზემოქმედება. ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ „სანამ ეკონომიკა სუსტია, ფედერალური დეფიციტით გამოწვეული

მოთხოვნა, შეიძლება იყოს ძალის წყარო, მაგრამ, როცა ეკონომიკა მიიწევს მაღალი დასაქმებისკენ, სახელმწიფო დეფიციტი სერიოზულ პრობლემად გადაიქცევა. სახელმწიფო სესხები გადაქაჩავს კერძო დანაზოგებს, საქმეს ჩამოაცილებს კრედიტებს, რომლებიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო შენობა-ნაგებობებში, საცხოვრებელი ფართობების მშენებლობაში, ხანგრძლივი მოხმარების საგნებში ანუ მატერიალურ მარაგებში ინვესტიციებისთვის. ფედერალური ბიუჯეტის დიდი დეფიციტების პირდაპირი შედეგია – ეკონომიკა მაღალი დონის მოხმარებით და დაბალი ინვესტიციებით, ზრდის შენელებული ტემპებით და მყარი საგარეო სავაჭრო დეფიციტით“ (ოსადჩაია, 1996: 16-17). აქედან გამომდინარეობს თანამედროვე კეინზიანელების აქცენტის გადატანა საბიუჯეტო პოლიტიკიდან აქტიურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე.

რაც შეეხება კეინზიანური და ნეოკლასიკური სინთეზის კონცეფციის საკითხს, იგი წარმოადგენს მაკროეკონომიკური წონასწორობის ტრადიციული ვალრასისეული ჩანაფიქრის ერთგვარი ადაპტაციის მცდელობას რევოლუციური კეინზიანური იდეების მიმდინარეობასთან. IS-LM მოდელმა, რომელიც 1937 წელს ჯონ ჰიკსმა შეიმუშავა, ხოლო შემდგომ მისი ანალიზი ელვინ ჰანსენმა გააღრმავა, კეინზიანური და ნეოკლასიკური იდეების დაახლოების დასაწყისს ჩაუყარა საფუძველი (ბლანშარი, 2010: 129). ხოლო ნეოკეინზიანელობაში, რომელმაც განვითარება მოიპოვა რობერტ კლაუერის და აქსელ ლეიონჰუფვუდის შრომებში, მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე კეინზიანური ხედვის დაბრუნება აისახა (seinst.ru/page735).

მაშასადამე, თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორია მოიცავს ორ ალტერნატიულ შეხედულებას მაკროწონასწორობაზე - ნეოკლასიკურს (ვალრასისეულს) და კეინზიანურს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის ორ საწინააღმდეგო ხედვას წარმოადგენენ. პირველი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკას როგორც ჰარმონიულ სისტემას, რომელიც ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის შედეგების ოპტიმიზაციისაკენ მიისწრაფვის. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სუბიექტი მოახდენს საკუთარი მაქსიმალური ჩანაფიქრების რეალიზებას. მეორე ვარაუდობს, რომ საბაზრო ეკონომიკაში ოპტიმიზაციის პროცესი შეზღუდულია არა მხოლოდ საკუთარი საწარმოო შესაძლებლობებით, არამედ ეკონომიკური სუბიექტების გეგმების ფუნდამენტალური შეუსაბამობით. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მდგრადი მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური სუბიექტების უმრავლესობის გეგმების ურთიერთშეზღუდვის შედეგად, რომელიც ოპტიმალური გადაწყვეტილებების ძიებაზე უარის თქმას გულისხმობს.

დასკვნა. ჩატარებული კვლევის შედეგად, შეიძლება ვთქვათ შემდეგი: კლასიკური მოდელები და მათი ინტერპრეტაციები მეტწილად საბაზრო ურთიერთობათა სფეროს მოიცავს

და ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის წონასწორობის პრინციპებს ეყრდნობა. მონეტარისტული მეთოდები გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვას და მისი ფუნქციების მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე ყურადღების გამახვილებას, ხოლო კეინზიანური მეთოდები - ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს აქტიური როლის უზრუნველყოფას.

მაკროეკონომიკური წონასწორობის კონცეფციის გამოყენების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები მაკრორეგულირების სფეროში ფუნდამენტალურ თეორიულ და პრაქტიკულ შეუსაბამობებს წარმოშობენ. ამ პრობლემების გათვიცნობიერებამ და ეფექტიანმა გადაჭრამ შეიძლება გააძლიეროს მაკროეკონომიკური თეორიის არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული ფუნქციაც, რაც მის პრაქტიკულ რეკომენდაციებს უფრო მეტი, სიღრმისეული თეორიული დასაბუთების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, მაკროეკონომიკური წონასწორობის კონცეფციის თეორიული და მეთოდოლოგიური პოტენციალი მის კეინზიანურ ვარიანტში ხსნის ახალ პერსპექტივებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მაკროეკონომიკური რეგულირების როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი ხასიათის პრობლემების გადაწყვეტისათვის.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიის ევოლუციის გამოკვლევა, რომელიც გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტების შემოქმედებით მემკვიდრეობას წარმოადგენს, მით უფრო აქტუალურია ჩვენ დროში, როდესაც იცვლება მსოფლიო წესრიგის არქიტექტურა და გეოპოლიტიკური ვითარება. თანამედროვე გლობალური ტრანსფორმაციების პოლიტიკური და ეკონომიკური რეგულირების პრობლემა ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში. მიმდინარე პროცესები და ეკონომიკური ბალანსის დარღვევა ახალ სამყაროში ხასიათდება არაპროგნოზირებადობით, უწონასწორობით, გაცვლითი კურსის რყევებით, განვითარების ალბათური ხასიათით. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკური თეორიის არსებობის 250-წლიანი პრაქტიკით დაგროვილი ყველაზე ფასეული იდეების აღება და დღევანდელი ტურბულენტური ვითარების სპეციფიკურ პირობებთან მათი ადაპტირება, გამოყენება საზოგადოების კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბლანშარი, ო. (2010). *მაკროეკონომიკა,* მე-5 გამოცემა, თბილისი, 874 გვ.

2. ხაჩატურიანი, რ. (2009). *საერთო ეკონომიკური წონასწორობა გარდამავალ პერიოდში.* თბილისი, „ბასიანი“, 214 გვ.

3. ხაჩატურიანი, რ. (2022). *მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები: მიზეზები, საერთო ნიშნები და განსხვავებები.* ჟ.: „ეკონომიკა, ბიზნესი, მართვა“, 4 (2022), გვ. 104-120

4. Гринберг Р., Рубинштейн А. (1997). Социальная экономика: введение в новую аксиоматику. ж.: „*Российский экономический журнал“,* №1, გვ. 77-89

5. Дорнбуш Р., Фишер С. (1997). *Макроэкономика*, Москва, 784 გვ.

6. Кейнс Дж.М. (1999). *Общая теория занятости, процента и денег,* Москва, 352 გვ.

7. Макконнел К.Р., Брю С.Л. (1996). *Экономикс, т.I,* Москва, 399 გვ.

8. Маркс К. (1988). *Капитал. Критика политической экономии*, *т.2, кн.2*, Москва, 654 გვ.

9. Осадчая И. (1996). Кейнсианство сегодня, ж.: *МЭиМО*, № 8, გვ. 6-18

10. Райзберг Б.А., Лозовский Л.Ш., Стародубцева Е.Б. (1997). *Современный экономический словарь,* Москва, 494 გვ.

11. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. (1999). *Макроэкономика.Глобальный подход*, Москва, 848 გვ.

12. Столерю Л. (1974). *Равновесие и экономический рост,* Москва, 472 გვ.

13. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. (1999). *Экономика,* Москва, 864 გვ.

14. Хайек Ф.А. (1992). *Пагубная самонадеянность. Ошибки социализма*, Москва, 304 გვ.

15. Leontief W. (1951). *Input-Output Economics,* Scientific American, p. 15-21.

16. Lindall E. (1919). *Die Berechtigkeit der Besteuerund*, Lund, s.158-173.

17. Okun A.(1981). *Prices and Quantities. Macroeconomic Analysis*, Washington, p.4

18. Wald A. (1951). On some systems of equations of mathematical economics. – *Econometrica*, 19, p. 368-403.

19. Walras L. (1874). *Elements d' Economic Politique Pure*, Lausanne, p. 286

20. seinst.ru/page735

განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის ოჯახები და მათი თანამშრომლობა მოზარდის სწავლის პროცესთან

Families of different socio-economic status and their cooperation with the adolescent's learning process

ანთაძე ლია - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
სოციალური მეცნიერებების დოქტორი
l.antadze@seu.edu.ge
Lia Antadze - Georgian National University SEU.
Doctor of Social Sciences.
l.antadze@seu.edu.ge

ანოტაცია. მშობლები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის აღზრდაში და წარმატების მიღწევაში. მშობელთა ჩართლობა აღნიშნავს, პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევების და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც ოჯახში, ისე სკოლაში. ნებისმიერი მოზარდი თავისი ქცევებიდან გამომდინარე არის ინდივიდუალური და სჭირდება შესაბამისი ხელშემწყობი გარემო.

აღნიშნული თემა მიზნად ისახავს იკვლიოს მშობლებს, სკოლებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის დინამიკა, ოჯახებში განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კონტექსტში.

სტატიაში წარმოდგენილია მშობლების ჩართულობის გავლენა მოზარდების საგანმანათლებლო განვითარებაზე, ოჯახების მრავალფეროვანი სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით.

კვლევა მიზნად ისახავს მშობლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობით მცდელობებთან დაკავშირებული გამოწვევებისა და სარგებელის იდენტიფიცირება, რაც ნათელს ჰფენს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების როლს ამ ურთიერთქმედების ჩამოყალიბებაში.

სტატიაში წარმოდგენილი ლიტერატურის, რაოდნობრივ/თვისებრივი კვლევის მტკიცებულებებისა და ყოვლისმომცველ ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკურ ფენაში მშობლის სკოლასთან და შვილთან თანამშრომლობის მოდელის დანახვა.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლე, მშობელი, მასწავლები, თანამშრომლობა

Annotation. Parents play an important role in raising a child and achieving success. Parental involvement means taking responsibility for improving student achievement and learning, both at home and at school. Any teenager is individual based on his/her behavior and needs an appropriate supportive environment.

This topic aims to explore the dynamics of cooperation between parents, schools and teachers, in the context of different socio-economic conditions in families.

The article presents the impact of parental involvement on the educational development of adolescents, taking into account the diverse socio-economic backgrounds of families.

The study aims to identify the challenges and benefits associated with collaborative efforts between parents and educational institutions, shedding light on the role of socioeconomic factors in shaping these interactions.

Based on the literature, quantitative/qualitative research evidence and comprehensive analysis presented in the article, it is possible to see the pattern of cooperation of parent with school and child in different socio-economic strata.

Key words: student, parent, teachers, cooperation.

განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის ოჯახების თანამშრომლობა სკოლასთან და მოზარდებთან. ქართველი ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძე ამბობს, ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი, აღმზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩაუღმავდა ბავშვის ბუნებას. წინააღმდეგობები ჩნდება მაშინ, როდესაც აღმზრდელი ყურადღებას არ აქცევს აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოზარდის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მშობლის ჩართულობის და აღზრდის ნებისმიერი სტილი, თავისებურ გავლენას ახდენს მოზარდის ქცევასა თუ მიღწევაზე. მშობელს შეუძლია დაეხმაროს შვილს გახდეს პიროვნება, რომელსაც ექნება

სიმამაცე და თანაგრძნობის უნარი.[26]

ინგლისელი მოაზროვნე, ჯონ ლოკი ამბობს - „ყველა ახალშობილი ერთნაირია, ხოლო პიროვნების ჩამოყალიბება, სოციალური გარემოცვის, პირველ რიგში სწავლა-აღზრდის ნაყოფია“. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აკისრია გარე სამყაროს ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში, როდესაც ფსიქიკა მოქნილია და კიდევ უფრო მეტად ექვემდებარება უფროსების გავლენას. ლოკის აზრით ცნობიერება შედგება იდეებისგან. მიბაძვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კარგ მაგალითს, გარდაუვალია, რომ ბავშვი თავის მშობლებს მიბაძავს და თუ კარგი ქცევის წახალისება მოხდება, ეს კიდევ უფრო გაამტკიცებს არსებულ ქცევას.[27]

ქართველი ავტორის, იზოლდა ბუხულეიშვილის სახელმძღვანელოში, საოჯახო აღზრდის აქტუალური პრობლემები და ძირითადი სტრატეგიები, გამოყენებულია ლ. გორდონის და ე. კლოპოვას კვლევა, მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, დასაქმებული მშობლები ბავშვებთან ერთად სახლში დაახლოებით 1,8 საათს ატარებენ (ძილის გამოკლებით), რასაც ფსიქოლოგების ნაწილი უარყოფით შეფასებას აძლევენ, ხოლო ნაწილიც, შვილებთან გატარებული დროის ხანგრძლივობაზე მეტად დროის ხარისხიანობას ასახელებენ. [28]

თითოეული ბავშვი სხვადასხვანაირად იქცევა მშობელთან ურთიერთობის დროს, მკლევრები ამბობენ, რომ მშობლის ქცევა და ბავშვის ტემპერამენტი ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. ტემპერამენტული სხვაობების ფონზე მკლევრებმა გამოყვეს მშობლის მიერ გამოყენებული ორი აღზრდის სტილი: *მომთხოვნი/არაგულისხმიერი და გულისხმიერი* მშობლები. მომთხოვნში მოიაზრება მშობლის სურვილი, ბავშვი ემორჩილება საზოგადოების ნორმებს. გულისხმიერში, კი ბავშვის ინდივიდუალობის აღიარება ხდება და ყველა შესაძლებლობების გათვალისწინება.[29]

მშობელთა წარმატებული ჩართულობა შეიძლება განისაზღვროს, არამხოლოდ მშობლის სკოლაში აქტიური, რეგურალური მონაწილეობით, არამედ შინ, სახლში, როდესაც მშობელი შვილებთან ერთად კითხულობს დავალებას და ეხმარება პრობლემების მოგვარებაში.[30]

აღნიშნულიდან გამომდინარე თემის მიზანია :

დავადგინოთ როგორია მაღალი/საშუალო და დაბალი/სირარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახების ჩართულობის სიხშირე მასწავლებლებთან და მათი ჩართულობა მოზარდის სასწავლო პროცესში. შესაბამისად მეთოდოლოგია ითვალისწინებს შედარებით ანალიზსს, მაღალი/საშულო შემოსავლების მქონე და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების

[26] ადლერი ა. ბავშვის აღზრდა. თბ; 2014. გვ. 185-194
[27] იმედაძე ი. ფსიქოლოგიის ისტორია ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. თბ; 2014. გვ. 344
[28] ბუხულეიშვილი ი. საოჯახო აღზრდის აქტუალური პრობლემები და ძირითადი სრატეგიები. თბ; 2012. გვ. 73
[29] გერიგი რ, ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ;2009. გვ. 434
[30] მშობელთა ჩართულობა, რეკომენდაციები, თბ;2015. გვ. 9

მშობლებს შორის, კვლევის შედეგები მოცემულია ორ განსხვავებულ ჭრილში და გრაფიკულ ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია შედარებითი ნარატივი.

სეგმენტი 1. (დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მშობლები) შემდგომში

სეგმენტი 2. (მაღალი/საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახების მშობლები) შემდგომში.

აღვნიშნავთ, რომ გრაფიკულ ანგარიშში მონაცემები ასახულია პროცენტულად.

ჩვენ ჩავატარეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა:

თვისებრივი კვლევის დროს გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ, კერძოდ მშობლებთან და მასწავლებლებთან. რესპოდენტების შერჩევა მოხდა არაალბათური მეთოდით, მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე.

ხოლო, რაოდენობრივი კვლევის დროს გამოყენებულ იქნა ონლაინ დაუსწრებელი ანკეტირება.

კვლევის შედეგები გვაძლევს დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, სკოლასთან თანამშრომლობის კუთხით, სოციალური სტატუსიდან გამომდინარე საშუალო/მაღალი შემოსავლების მქონე მშობლებს ნაკლები კომუნიკაცია და ჩართულობა აქვთ პედაგოგებთან, მაგრამ შვილები მაინც მაღალი მიღწევებით გამოირჩევიან, *ამ კატეგორიის მშობლები სხვა გზებით არიან ჩართულები შვილის სწავლის პროცესში, კერძოდ ხშირად ესაუბრებიან მოზარდებს, ჰყავთ რეპეტიტორები, დაჰყავთ სხვადასხვა განმავითარებელ/შემოქმედებით სასწავლებლებში,* რაც ჯამში დადებითად აისახება სწავლის შედეგებზე.

თვისებრივი კვლევის მიგენებების მსგავსად, რაოდენობრივ კვლევაშიც *სოციალურად დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები უფრო ხშირად დადიან სკოლაში და უფრო მეტად ეხმიანებიან პედაგოგებს, რადგან ონლაინ გვერდების გარდა, მათთვის კომფორტულია სკოლაში ადგილზე მისვლა .*

დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახები მეტად სტუმრობენ და თანამშრომლობენ სკოლებთან პედაგოგებთან, რაც ძირითადად კონტროლით შემოიფარგლება, ხოლო საშუალო - მაღალი შემოსავლების ოჯახები მათ ჩაურთველობას და ნაკლებ თანაშრომლობას ფინანსური საშუალებებით აკომპენსირებენ, შესაბამისად მათი ჩაურთველობა სკოლასთან და შვილებთან არ აისახება მოზარდის მიღწევებზე ნეგატიურად, რასაც კიდევ ერთხელ გავყავართ იმ დასკვნაზე რომ მოზარდის მიღწევებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

შეჯამება. კვლევამ აჩვენა, რომ საშუალო/მაღალი ოჯახებს ხშირად აქვთ უფრო მეტი წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე, როგორიცაა წიგნები, ტექნოლოგია და კლასგარეშე აქტივობები, რაც ხელს უწყობს სახლში უფრო გამდიდრებულ სასწავლო გარემოს.

დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ოჯახებს ექმნებათ გამოწვევები ამ რესურსების

მიწოდებისას, რამაც გავლენას ახდენს მოზარდის აკადემიურ მოსწრებაზე და სკოლაში ჩართულობაზე. საშუალო/მაღალი შემოსავლების ოჯახებს ხშირად აქვთ უმაღლესი განათლების მოლოდინები თავიანთი მოზარდების მიმართ, რაც უზრუნველყოფს აკადემიური მოსწრების მხარდაჭერას.

აღმოჩნდა, რომ საშუალო/მაღალი შემოსავლების ოჯახების მშობლები რეგულარულად ვერ უკავშირდებიან მასწავლებლებს, ვერ ესწრებიან მშობელთა კონფერენციებს, მაგრამ ამ ყველაფერს აკომპენსირებენ სხვა დამატებებითი საშუალებებით.

სასკოლო პოლიტიკა (მასწავლებლების პასუხებიდან) მიზნად ისახავს გადალახოს ბარიერები მაღალი და დაბალი შემოსავლების ოჯახებს შორის, ცდილობს წვლილი შეიტანოს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესაქმნელად, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობისა.

და ბოლოს, სტატია ხაზს უსვამს მშობლებს, სკოლებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მნიშვნელობას მოზარდების ჰოლისტიკური განვითარებისთვის. დასკვნები ცხადყოფს, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესში მშობლების ჩართულობის ბუნებასა და მასშტაბზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევები არსებობს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფენის მქონე ოჯახებში, ამ უთანასწორობის აღიარება და მათი მოგვარება აუცილებელია თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის. სასურველია ოჯახებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ძლიერი პარტნიორობის დამყარება, მოზარდების აკადემიური წარმატებისა და საერთო კეთილდღეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე ლ. მშობელთა ჩართულობა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე, თბ; 2023.
2. ადლერი ა. ბავშვის აღზრდა. თბ; 2014. გვ. 185-194
3. ბუხულეიშვილი ი. საოჯახო აღზრდის აქტუალური პრობლემები და ძირითადი სრატეგიები. თბ; 2012.
4. გერიგი რ, ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ; 2009.
5. იმედაძე ი. ფსიქოლოგიის ისტორია ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. თბ; 2014. გვ. 344
6. ისაკაძე თ. გზამკლევი მშობლებისთვის. თბ; 2010. გვ.45.
7. მშობელთა ჩართულობა, რეკომენდაციები, თბ; 2015. გვ. 9.

სასტუმროს მართვის ავტომატიზაცია კლიენტთა მომსახურეობის სფეროში
Automation of hotel management in the field of customer service

ია აფციაური - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
iaafciauri5@gmail.com
Ia Aptsiauri – Georgian Technical University
Assistant-professor
iaafciauri5@gmail.com
მარიამ შიუკაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
shiukashvilim777@gmail.com
Mariam Shiukashvili- Georgian Technical University
Assistant-professor
shiukashvilim777@gmail.com
ირაკლი მეგრელიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სტუდენტი
megrelishvili.i@gtu.ge
Irakli Megrelishvili – Georgiam Technical University
student
megrelishvili.i@gtu.ge

რეზიუმე. თანამედროვე ტექნოლოგიები ელვისებური ტემპებით ვითარდება. ბოლო ათწლეულში სასტუმრო ბიზნესის განვითარებასა და დახვეწაში დიდი წვლილი მიუძღვის სწორედ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. დღეს აპლიკაციები ისეთი მნიშვნელოვანი გახდა, რომ მათ ბიზნესის გარდაქმნაც კი შეუძლიათ. ისინი წვდომას აუმჯობესებენ, მონაცემთა შენახვის ხელსაყრელ ვარიანტებს გვთავაზობენ და ოპერაციების გამარტივებასაც უწყობენ ხელს.

დღესდღეისობით მსოფლიოს მაშსტაბით უამრავი სასტუმროს მართვის მრავალფუნქციური პროგრამები და სისტემები არსებობს, რომლებიც მრავალფეროვან მომსახურეობას სთავაზობენ კლიენტებს მცირე დროისა და ზედმეტი დანახარჯების გარეშე. საქართველოშიც სასტუმრო ინდუსტრია დღითიდღე ვითარდება. შექმნილია მრავალი თანამედროვე, მრავალფუნქციური სასტუმროს მართვის აპლიკაცია და სისტემები კლიენტთან მომსახურების სფეროში.

სტატიაში მოცემულია სასტუმროს მომსახურეობის აპლიკაციის დამუშავების ტექნოლოგია Python ენის ბაზაზე. აპლიკაციის უპირატესობაა, რომ მისი კოდი მარტივია და მოქნილი.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ტექნოლოგიები, სასტუმროს ბიზნესი, აპლიკაციები, სასტუმროს მართვის სისტემები, პროგრამები, Python ენა.

Summary. Modern technologies is developing at a fast pace. In the last decade, computer technologies have made a great contribution to the development and refinement of the hotel business. Today applications such important that it can even makes the business transformation too. They can improve access data and offer favorable data storage options. They also help simplify operations.

Nowadays, there are many multifunctional hotel management programs and systems around the world, which offer a variety of services to customers in little time and without extra costs. The hotel industry in Georgia is also developing day by day. Created many modern, multi-functional hotel management applications and systems in the field of customer service.

The paper presents the hotel service application processing technology based on the Python language. The advantage of the application is that its code is simple and flexible. Thus, its modernization and connection to other systems do not cause problems due to the versatility of the Python language.

Keywords: Modern technologies, hotel management system, hotel industry, applications and systems, Python language.

შესავალი. თანამედროვე ტექნოლოგიები საოცარი ტემპით ვითარდება. ბოლო ათწლეულში სასტუმრო ბიზნესის განვითარებასა და დახვეწაში დიდი წვლილი მიუძღვის სწორედ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. მათი აქტიურად გამოყენების პირობებში, სულ უფრო მეტი

მომხმარებელი სარგებლობს ონლაინ სერვისებითა და გადახდებით. ონლაინ დისტრიბუცია სასტუმროებისათვის გაყიდვების ყველაზე პრაქტიკულ და სანდო წყაროს წარმოადგენს.

დღეს ელექტრონული კომერციის ბაზარი ელვის სისწრაფით ვითარდება, იქმნება ახალი კომპანიები, მათ შორის სტარტაპები, რის შედეგადაც ბაზარზე კონკურენციამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია. აქედან გამომდინარე, ყველა კომპანიისთვის გახდა აუცილებელი, რომ ჩაერთონ ინტერნეტში და სწრაფად მიაწვდინონ ხმა უფრო და უფრო მეტ მომხმარებელს.

ეს გარდამავალი ეტაპი სასტუმროების ინდუსტრიისა და დასვენების პროვაიდერი ბიზნესებისთვის, შესაძლოა რთული აღმოჩნდეს, თუმცა, რეალურად, ტექნოლოგია ხარჯების დაზოგვისა და მოგების ზრდის შესანიშნავი საშუალებაა, ამიტომ, სასტუმროების მენეჯერებმა და მეპატრონეებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა ის ახალი, ტექნოლოგიური ტრენდები, რასაც თანამედროვე სამყარო სთავაზობს მათ.

აპლიკაციები და მათი როლი სასტუმროს ინდუსტრიაში

დღეს აპლიკაციები ისეთი მნიშვნელოვანი გახდა, რომ მათ ბიზნესის გარდაქმნაც კი შეუძლიათ. ისინი წვდომას აუმჯობესებენ, მონაცემთა შენახვის ხელსაყრელ ვარიანტებს გვთავაზობენ და ოპერაციების გამარტივებასაც უწყობენ ხელს. ბიზნესისთვის აპლიკაციები უფრო სწრაფი გზაა ფართო აუდიტორიასთან დასაკავშირებლად. თუმცა მათ შესაქმნელად საუკეთესო პლატფორმის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არც თუ ისე მარტივია. მსოფლიო ბაზარზე იქმნება ახალ-ახალი პროგრამები და სისიტემები ბიზნესის ყველა სფეროში, მათ შორის სასტუმროს ბიზნესში.



დიაგ. 1. სასტუმროს მართვის ავტომატიზაციის უპირატესობები

თუ ადრე, წლების განმავლობასი უწევდათ სასტუმროს მენეჯერებს და მომსახურე პერსონალს სხვადასხვა პროგრამებსა თუ ცხრილების რედაქტორში მუშაობა, დღეს სასტუმროს ავტომატიზაციის პროცესში, ეს გაცილებით მარტივი პროცესია. ბევრი ფუნქციის შესრულება შესაძლებელია პერსონალის მონაწილეობის გარეშე. ახალი სტუმრების მიღება და რეგისტრაცია ეტაპობრივ რეჟიმში. სწრაფი მიღება და გასტუმრება. ხოლო თუ სტუმარი ადგილზე მისვლის გარეშე, ონლაინ რეჟიმში დაჯავშნის ნომერს, მაშინ აპლიკაცია ყველა მონაცემით თავად გამოჩნდება სისტემაში.

ბაზარზე არსებული სასტუმროს მართვის პროგრამები და სისტემების ანალიზი

დღესდღეისობით მსოფლიოს მაშსტაბით უამრავი სასტუმროს მართვის მრავალფუნქციური პროგრამები და სისტემები არსებობს, რომლებიც მრავალფეროვან მომსახურეობას სთავაზობენ კლიენტებს მცირე დროისა და ზედმეტი დანახარჯების გარეშე.



დიაგ. 2. გლობალური სასტუმროს მართვის პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარი 2020-2027 წ.

სასტუმროების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის ბაზრის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, რომელსაც ვიღებთ მსოფლიოში ცნობილი ანალიტიკური ფირმა Data Bridge Market Research-ის ცნობით, აპლიკაციებზე დაფუძნებული ვერსიების მზარდი მიღება, ბიზნესის

ოპტიმიზაციასა და მომხმარებელთა შენარჩუნებაზე უფრო მეტი აქცენტი, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, სავარაუდოდ, გამოიწვევს სასტუმროს მართვის პროგრამული უზრუნველყოფის ბაზრის ზრდას 2027 წლამდე გლობალური თვალსაზრისით. აღნიშნული ანგარიში რომელიც მოიცავს 2020-2027 წლებს, ითვალისწინებს ახალ, ბოლოდროინდელ განვითარებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს: ვაჭრობის რეგულაციებს, იმპორტის, ექსპორტის ანალიზს, წარმოების ანალიზს, ღირებულებათა ჯაჭვის ოპტიმიზაციას, ბაზრის წილს, შიდა და ლოკალიზებული ბაზრის მოთამაშეების გავლენას, აანალიზებს შესაძლებლობებს წარმოქმნილი შემოსავლების ჯიბეების თვალსაზრისით, ბაზრის ცვლილებებს. რეგულაციები, ბაზრის ზრდის სტრატეგიული ანალიზი, ბაზრის ზომა, განაცხადები, პროდუქტის დამტკიცება, პროდუქტის გაშვება, გეოგრაფიული გაფართოებები, ტექნოლოგიური ინოვაციები ბაზარზე.

საქართველოშიც, ისევე როგორც, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სასტუმრო ინდუსტრია დღითი დღე ვითარდება. ბიზნესის ამ სფეროში მზარდმა კონკურენციამ განაპირობა ის, რომ შეიქმნა მრავალი თანამედროვე, მრავალფუნქციური სასტუმროს მართვის პროგრამები და სისტემები.

სასტუმროს მართვის მრავალფუნქციური პროგრამა FINA დღეს საქართველოში სასტუმროებს სთავაზობს ყოველდღიური მართვის ფუნქციებს. იგი აერთიანებს:

- ✓ მიმღების, ოთახების რეზერვაციის ფუნქციას,
- ✓ დალაგების და ინციდენტების მართვას,
- ✓ საკონფერენციო დარბაზების მართვას,
- ✓ კაფე-რესტორანს,
- ✓ საწყობსა და ბუღალტრულ აღრიცხვას.

გამარტივებული ჯავშნის პანელი ამარტივებს სხვადასხვა არხებიდან შემოსული ჯავშნების გაერთიანებას. ეს პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს ვებგვერდს და აგებულია მონაცემა დამუშავების საფუძველზე.



სურ. 1 სასტუმროს მართვის მრავალფუნქციური პროგრამა FINA

სასტუმროს მართვის სისტემა Check-in. იგი მოიცავს სასტუმროს ყოველდღიური მართვის ფუნქციებს. სისტემა აერთიანებს ფუნქციებს: რესეფშენის, რეზერვაციების, მარკეტინგის და გაყიდვების, ბუღალტერიისა და გენერალური მენეჯერისათვის. სისტემა ნათარგმნია 22 ენაზე, მათ შორის ქართულად და გამოიყენება 1500-ზე მეტ სასტუმროში მსოფლიოში, მათ შორის 35-ზე მეტ სასტუმროში საქართველოში.



სურ. 2 სასტუმროს მართვის პროგრამა check-in.

ასევე საკმაოდ წარმატებულია დღეს საქართველოში სასტუმროს მართვის ავტომატიზირებული სისტემა Stayflex, რომელიც ახდენს სასტუმროს მართვის პროცესების ავტომატიზაციას და ზრდის ოთახების დაჯავშნის რაოდენობას.



სურ. 3 სასტუმროს მართვის ავტომატიზირებული სისტემა Stayflex

ყველა ზემოთ მოცემული სასტუმროს მართვის სისტემები და პროგრამები შექმნილია ვებ-პროგრამირების პრინციპების საფუძველზე და ძირითადად წარმოადგენს ვებ-გვერდებს, ლამაზად შექმნილი მოქნილი დიზაინით და ფუნქციებით, რომლებიც სთავაზობს კლიენტს სახლიდან გაუსვლელად, ონლაინ რეჟიმში დაჯავშნონ, შეუკვეთონ და მიიღონ სხვადასხვა მომსახურეობები დამკვეთისგან. სტატიაში მოცემული სასტუმროს მართვის პროგრამის ჩვენეური ხედვა კი განსხვავდება იმით რომ იგი შექმნილია ძირითადად სასტუმროს რისეფშენისთვის.

სასტუმროს მართვის ძირითადი ეტაპები და სტრუქტურა Python ენის გამოყენებით

მომსახურეობის პროცესი ყველა კატეგორიისა თუ სტილის სასტუმრო შედგება შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან:



დიაგ 3. სასტუმროს მომსახურეობის ძირითადი ეტაპები.

შექმნილია მრავალი თანამედროვე, მრავალფუნქციური სასტუმროს მართვის აპლიკაცია და სისტემები კლიენტთან მომსახურების სფეროში. სასტუმროს მართვის სისტემის, კლიენტთან მომსახურეობის პროექტი Python-ში კი არის ზოგადი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შემუშავებულია სასტუმროს ოპერაციების გასამარტივებლად მათი ავტომატიზაციის გზით. იგი მოიცავს სასტუმროს მენეჯმენტის ერთ-ერთი მიმართულების, კერძოდ დაჯავშნის ძირითად ასპექტებს.

კლიენტების მომსახურეობის დამუშავებული ამოცანა, როგორც სასტუმროს მართვის სისტემის ერთი რგოლი, არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ კლიენტის შესახებ ინფორმაციის მომზადება;
- ✓ სასტუმროში შესვლისა და გასვლის თარიღების ასახვა;
- ✓ სასტუმროს ოთახების შესახებ ინფორმაციის ასახვა;
- ✓ სასტუმროს კვების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ✓ ანგარიშსწორება და ჩანაწერების შენახვა.



სურ. 4. სასტუმროს მომსახურეობის აპლიკაცია

ქვემოთ სურათზე(სურ.5), მოცემულია ყველა შესაძლო ვარიანტი პროგრამის, რომელიც განხორციელდება აპლიკაციის გამოყენების შედეგად.



სურ. 4. პროგრამის შესაძლო ვარიანტები

აპლიკაციას გააჩნია სასტუმროს დაჯავშნის ფორმა, სადაც რეგისტრაციას გაივლის კლიენტი. პროგრამა ფილტრავს არასასურველ ინფორმაციას და გამოიტანს მხოლოდ მისთვის საჭირო ველებს, როგორიცაა: სახელი, მისამართი შესვლის და გასვლის თარიღი:



სურ. 5. სასტუმროს დაჯავშნის ფორმა

რაც შეეხება ღილაკებს, ერთი მათგანი წარმოადგენს სასტუმროს ოთახების არჩევანს:



სურ. 6. სასტუმროს ოთახების დაჯავშნა

მეორე ღილაკი განკუთვნილია კვების მენიუს არჩევისთვის:



სურ. 7. კვების მენიუ

პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი კი, რომელიც განასხვავებს მას ყველა სხვა სისტემისგან თუ აპლიკაციისგან არის ის, რომ აგენერირებს ავტომატურად ყველა შესულ

ინფორმაციას და ქვითრის მსგავსად თვალსაჩინოდ ადგენს საბოლოო ხარჯს მომხმარებლისთვის.



სურ. 8. საბოლოო ხარჯი კლიენტისთვის.

დასკვნა. თითქმის ყველა სასტუმროს მართვის სისტემები და პროგრამები შექმნილია ვებ-პროგრამირების პრინციპების საფუძველზე და ძირითადად წარმოადგენს ვებ-გვერდებს. სტატიაში მოცემული სასტუმროს მართვის აპლიკაციის ჩემებური ხედვა კი განსხვავდება იმით, რომ იგი შექმნილია Python ენის ბაზაზე კლასებისა და მეთოდების საშუალებით. Tkinter ბიბლიოთეკის გამოყენებით, რომელიც გაამარტივებს ურთიერთობას კლიენტებთან და ამავდროულად დაეხმარება „რისეფშენში“ დასაქმებულ მომსახურე პერსონალს, სწრაფად და მარტივად მოემსახურონ სტუმრებს დაწყებული ნომრების დაჯავშნით საბოლოო ანგარიშსწორების ჩათვლით.

აპლიკაციის უპირატესობაა, რომ მისი კოდი მარტივია და მოქნილი, ამდენად მისი მოდერნიზება და სხვა სისტემებთან დაკავშირება არ წარმოქმნის პრობლემებს Python ენის მრავალფუნქციურობიდან გამომდინარე .

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.marketer.ge/6-revolutionary-trends-hospitality/
2. https://otelms.com/ka/hotel-automation/-
3. https://hoteloperations.com/hotel-automation/#Research_on_automation_in_the_hotel_industry_today
4. https://www.polarismarketresearch.com/industry-analysis/hotel-management-software-market
5. [https://www.openpr.com/news/1964176/hospitality-management-software-market-trends-and-operational]
6. https://stayflexi.com.ge/
7. https://dokumen.tips/documents/-vetgewp-contentuploads201508studentis-saxelmzgvanelo.html?page=15

განათლება - აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ინტელექტის განვითარებისთვის
Education is a necessary but insufficient condition for the development of intelligence

გუგული ყურაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
g.kurashvili@gtu.ge
Guguli Kurashvili - Georgian Technical University
Professor
g.kurashvili@gtu.ge
თამარი ბერიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
t.beridze@gtu.ge
Tamari Beridze - Georgian Technical University
Professor
t.beridze@gtu.ge
ლიკა ბერიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
l_beridze@gtu.ge
Lika Beridze - Georgian Technical University
Professor
l_beridze@gtu.ge

აბსტრაქტი. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი ეტაპია განათლების მიღება, რომელიც ასევე ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ინტელექტის განვითარებისათვის.

ინტელექტი მოიცავს აკადემიური ცოდნის მიღმა არსებულ ისეთ დამატებით უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაწყვეტა, კრეატიულობა, ემოციური ინტელექტი და ადაპტირება. განათლებას შეუძლია შექმნას ჩარჩო ამ უნარების განვითარებისათვის, მაგრამ ამ უნარების გამომუშავება ძირითადად დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ინდივიდუალური ცნობისმოყვარეობა, თანდაყოლილი შესაძლებლობები, ცხოვრებისეული გამოცდილება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განათლება გადამწყვეტი კომპონენტია ინტელექტის განვითარებისათვის, ის არ არის მისი ცალსახად განმსაზღვრელი.

საკვანძო სიტყვები. განათლება, ინტელექტი, პიროვნება.

Abstract. Education is important for developing intelligence, it alone isn't enough to guarantee it. Intelligence encompasses a range of abilities beyond academic knowledge, such as critical thinking, problem-solving, creativity, emotional intelligence, and adaptability. Education can provide a framework for developing these skills, but they also depend on factors like individual curiosity, innate abilities, life experiences, and exposure to diverse perspectives. So, while education is a crucial component in nurturing intelligence, it's not the sole determinant.

Keywords. Education, intelligence, personality.

შესავალი. განათლების მიღების ძირითადი გზა არის სწავლა, ცოდნის მიღება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც თავისთავად მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტულ, კულტურულ-აღმზრდელობით პროგრამებს, საზოგადოებრივ-შრომით საქმიანობას.

„ინტელექტუალობა“ გულისხმობს ინტელექტუალურობის ხარისხს ან მდგომარეობას, რომელიც მოიცავს აბსტრაქტული აზროვნების, მსჯელობისა და რთული ცნებების გაგების შესაძლებლობას. ის ასევე გულისხმობს ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზების, პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრის და ღრმა, რეფლექსურ აზროვნებაში ჩართვის უნარს.

ინტელექტუალობა ხშირად თან ახლავს ისეთ თვისებებს, როგორიცაა ცნობისმოყვარეობა, გონებაგახსნილობა და ცოდნის წყურვილი. მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალობა ხშირად ასოცირდება ინტელექტთან, ის ასევე მოიცავს ემოციური ინტელექტის, სოციალური ინტელექტის და კულტურული ცნობიერების ასპექტებს. ინტელექტუალურობის მაღალი დონის მქონე პირები ხელს უწყობენ წინსვლას სხვადასხვა სფეროში.

განათლებულ ადამიანს ინტელექტის განვითარებამდე სხვა მრავალი უნარის გამომუშავებაც სჭირდება. განათლება აუცილებელია პიროვნების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ინტელექტის განვითარება გულისხმობს სხვადასხვა უნარების შეძენას და დახვეწას ფორმალური განათლების მიღმა.

ძირითადი ტექსტი. განათლებულ ადამიანად მოიხსენიებენ როგორც მეცნიერს, ასევე სწავლულ ან ზოგადად, განათლებულ პიროვნებას. განათლება გადამწყვეტ როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში რამდენიმე მიმართულებით:

- ცოდნის შეძენა
- ღირებულებები და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა
- საკუთარი თავის აღმოჩენა
- სოციალური უნარები
- თავდაჯერებულობა და თვითშეფასება
- ადაპტაცია და მდგრადობა

განათლება, ცოდნის ეს ფართო ბაზა ეხმარება ახალგაზრდებს უფრო მეტად განავითარონ ინფორმირებული მსოფლმხედველობა და კრიტიკული აზროვნების უნარი. საგანმანათლებლო გარემო ნერგავს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა თანაგრძნობა, შემწყნარებლობა და მრავალფეროვნების პატივისცემა. თანატოლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის საშუალებით, ახალგაზრდებს უვითარდებათ სოციუმში ზნეობრივი კომპასი.

განათლება იძლევა საკუთარი თავის შესწავლისა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობებს. აკადემიური მოღვაწეობის, კლასგარეშე აქტივობების და მენტორების საშუალებით, ახალგაზრდებს შეუძლიათ აღმოაჩინონ თავიანთი ინტერესები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც ხელს შეუწყობს მათი, როგორც პიროვნების განვითარებას.

საგანმანათლებლო დაწესებულებები გვთავაზობენ პლატფორმებს სოციალური ინტერაქციისა და თანამშრომლობისთვის, რაც აუცილებელია ინტერპერსონალური უნარების განვითარებისთვის. ჯგუფებში მუშაობა, დისკუსიებში მონაწილეობა, გუნდური მუშაობა და სხვა აქტივობები ეხმარება სტუდენტებს ისწავლონ ეფექტიანი კომუნიკაცია და გამოიმუშავონ უნარები.

განათლებაში წარმატებები, აკადემიური მიღწევები ხელს უწყობს კომპეტენციისა და თვითშეფასების გაზრდას. გამოწვევების გადალახვით და მიზნების მიღწევით ახალგაზრდები რწმუნდებიან საკუთარ შესაძლებლობებში, რაც დადებითად აისახება მათი პიროვნებებად ჩამოყალიბების პროცესში.

განათლება ეხმარება ადამიანებს იყვნენ ადაპტირებულნი და გამძლეები დაბრკოლებების წინაშე, აკადემიური გამოწვევების დაძლევით მათ უვითარდებათ პრობლემის გადაჭრის და წარუმატებლობისგან თავის დაღწევის უნარები, რაც პიროვნების განვითარების გადამწყვეტი ასპექტებია.

ინტელექტის განსაზღვრა საკმაოდ სერიოზული და რთული ამოცანაა, თუმცა მეცნიერთა არც თუ ისე მცირე ნაწილი მაინც თანხმდება დეფინიციაზე, რომელიც არსებულ ვერსიებს შორის შედარებით სრულყოფილია. ამ განსაზღვრების მიხედვით, ინტელექტი ძალზე ზოგადი გონებრივი შესაძლებლობაა და სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავს ლოგიკური მსჯელობის, აბსტრაქტული აზროვნების, რთული იდეების წვდომის, სწრაფად დასწავლისა და გამოცდილების მიღების უნარს.

ინტელექტუალურ მონაცემებს შორის გვხვდება განსხვავებები. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ დიდი ალბათობით, ერთი ტიპის ინტელექტუალური ამოცანის წარმატებით ამოხსნა არ განაპირობებს ასეთივე წარმატებით სხვა ტიპის ინტელექტუალური დავალებების გადაჭრას. შესაბამისად, მას, ვისაც კარგი დამახსოვრების უნარი აქვს (მაგალითად, რიცხვების), ასევე კარგად ვერ გაართმევს თავს ვერბალური ანალოგიების ამოცანებს.

ინტელექტუალური დავალებებისა და ამოცანების განსხვავებული ტიპები დადებით კავშირში არიან ერთმანეთთან. ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ ადამიანის ინტელექტი რაოდენობრივად გაზომვადია ქულათა სისტემით, ხოლო მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ინტელექტი მრავალი კომპონენტისგან შედგება, რომელიც ცალცალკე უნდა გაიზომოს. მესამე ნაწილი კი ფიქრობს, რომ სინამდვილეში ინტელექტის რამდენიმე განსხვავებული სახე არსებობს, რაც გამოცდილების სხვადასხვა სფეროს შეესაბამება.

ინტელექტის გასაზომად გამოიყენება ტესტები, რომელთა ავტორია ალფრედ ბინე. 1905 წელს, იმისათვის, რომ ეფექტიანი სასწავლო პროგრამის შექმნაში დახმარებოდა სახელმწიფოს, მან ბავშვების ინტელექტუალური უნარების გაზომვა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ა. ბინემ ინტელექტის გაზომვა საფრანგეთში დაიწყო, ძალიან მალე ამ სფეროში წამყვანი პოზიციები აშშ-ის მეცნიერებმა დაიკავეს. სწორედ მათ ეკუთვნით IQ ანუ ინტელექტის კოეფიციენტის ცნება. IQ არის ინდექსი, რომელიც მიღებულია ინტელექტის სტანდარტიზებული ტესტებიდან.

საწყის ეტაპზე, IQ-ს ითვლიდნენ გონებრივი ასაკის ქრონოლოგიურ ასაკზე გაყოფით და შემდეგ 100-ზე გამრავლებით, ხოლო ამჟამად პირდაპირ გაიანგარიშება. IQ-ს ავტორად ვ. შტერნი

ითვლება, თუმცა დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება IQ ტესტების ორი ჯგუფი: სტენფორდ-ბინესა და ვექსლერის სკალები.

ინტელექტი, ვ. შტერნის გაგებით, აზროვნებისადმი განწყობაა, ინტელიგენტობა კი - აზროვნების უნარი. ვ შტერნის მიხედვით, ინტელიგენტური ეწოდება ისეთ ადამიანს, ვისაც შეუძლია აზროვნების საშუალებით ახალი სასიცოცხლო ამოცანები გადაჭრას. ამის უნარი კი ყველას თანაბრად არ გააჩნია. ვ. შტერნი სწორედ ამ კუთხით იკვლევდა ინტელიგენტურობას – დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მიდგომით. იგი თვლიდა, რომ ადამიანთა აზროვნების უნარის განსხვავებულობა სწორედ დიფერენციალური ფსიქოლოგიის საგანია და არა ზოგადის.

დ. ვექსლერი ინტელექტს განსაზღვრავს, როგორც „ჰიპოთეტურ ცნებას“, რომელიც ასახავს ინდივიდის მიზანმიმართული მოქმედების, რაციონალური აზროვნების და გარემოსთან ეფექტიანი ურთიერთქმედების გლობალურ უნარს.

სტენფორდ-ბინეს სკალა მოიცავს მთელ რიგ სუბტესტებს, რომლებიც კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფზეა მორგებული, ხოლო ვექსლერის ტესტში 6 სუბტესტია მოცემული: ინფორმირებულობა, ლექსიკური მარაგი, გაგება, არითმეტიკული უნარები, მსგავსებები (განსაზღვრა, თუ რატომ არის ორი საგანი მსგავსი) და რიცხვების რიგი.

ორივე ტიპის ტესტისათვის არსებობს ქულათა დიაპაზონი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ინტელექტუალური შესაძლებლობა. მაგალითად, სტენფორდ-ბინეს ტესტში საშუალო IQ 90-110 ქულების ფარგლებში მერყეობს. 90-ს ქვემოთ მიღებული ქულა შესაძლოა გარკვეული ხარისხის გონებრივ ჩამორჩენილობაზე მიგვითითებდეს, ხოლო 110-ს ზემოთ მიღებული ქულების გრადაცია კი, გონიერიდან უმაღლეს ინტელექტამდე მერყეობს.

ზოგადად, განათლება ემსახურება პიროვნების ჩამოყალიბებას სწავლის, ზრდისა და საკუთარი თავის აღმოჩენისთვის სტრუქტურირებული გარემოს უზრუნველყოფით, რაც აუცილებელია ცხოვრების სირთულეებში ნავიგაციისა და საზოგადოებაში პოზიტიური წვლილისთვის.

განათლება აუცილებელია პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ინტელექტის განვითარება გულისხმობს სხვადასხვა უნარების შეძენას, მათ შორისაა:

- კრიტიკული აზროვნება
- კრეატიულობა
- ემოციური ინტელექტი
- ადაპტაცია
- კომუნიკაციის უნარი
- პრობლემების გადაჭრის უნარები
- გამძლეობა

- ცნობისმოყვარეობა
- ღია გონება
- თვითრეფლექსია

ინტელექტი მოიცავს ახალი იდეების გენერირების უნარს, აზროვნების მიღმა და პრობლემების სხვადასხვა პერსპექტივიდან მიდგომის უნარს. საკუთარი ემოციების გაგება და მართვა, ისევე როგორც სხვების თანაგრძნობა, ინტელექტის მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომლებიც ხელს უწყობენ წარმატებულ ინტერპერსონალურ ურთიერთობებს და ეფექტურ კომუნიკაციას.

ინტელექტი მოიცავს ახალ სიტუაციებთან ადაპტაციას და სტრატეგიების შესაბამისად მათზე მორგების უნარს, აზრების მკაფიოდ და დამაჯერებლად გამოხატვის უნარს, პრობლემების იდენტიფიცირების, გადაწყვეტილებების ფორმულირებისა და გამოწვევების ეფექტიანად დაძლევის უნარს. ასევე, ინტელექტი გულისხმობს თვითშემეცნებას და საკუთარი აზრების, ქმედებებისა და შეხედულებების კრიტიკულად ასახვის უნარს, ინფორმაციის კრიტიკულად ანალიზის, შეფასების და ინტერპრეტაციის უნარს, რაც აუცილებელია ინტელექტუალური გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის გადაჭრისთვის.

ინტელექტის გაზომვის მიზნით ჩატარებული კვლევების საფუძველზე აღმოჩნდა: 1. არ არსებობს მკვეთრი ზღვარი ნორმასა და პათოლოგიას შორის; 2. არსებობს განვითარების დონის ფართო დიაპაზონი; 3. გონებრივად ჩამორჩენილ პირთა დადგენა დამოკიდებულია იმ სტანდარტზე, რომელსაც მიიჩნევენ ნორმად ან იმ კრიტერიუმებზე, რითაც განსაზღვრავენ გონებრივ ჩამორჩენას.

ჩატარებული კვლევის თანახმად (Lynn and Vanhanen), მსოფლიო რეიტინგით საშუალო IQ-ს მიხედვით, საქართველო მე-13 ადგილს იკავებს 183 გამოკვლეულ ქვეყნებს შორის, რაც არც თუ ისე ცუდი შედეგია.

დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ განათლება უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ ჩარჩოს ინტელექტუალური უნარების განვითარებისთვის, ადამიანებს შეუძლიათ განავითარონ თავიანთი ინტელექტი მთელი ცხოვრების მანძილზე - სწავლის, გამოცდილების და მიზანმიმართული პრაქტიკის მეშვეობით, თავიანთი მოღვაწეობის თითოეულ ეტაპზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნათაძე რ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1980

2. Gabriel, Cle-Anne (2022). Why Teach with Cases?: Reflections on Philosophy and Practice. Emerald Group Publishing. ISBN 978-1-80382-399-7

3. Gingell, John; Winch, Christopher (2002). Philosophy of Education: The Key Concepts. Routledge. ISBN 978-1-134-69031-2

4. Grigorenko, Elena L. (2008). "Multiple Intelligences Theory". International Encyclopedia of the Social Sciences. Macmillan Reference USA. ISBN 978-0-02-865973-2

ეროვნული იდენტობის ძირითადი მახასიათებლები სხვადასხვა თეორიტიკოსთა შეხედულებებზე დაყრდნობით

The main characteristics of national identity based on the views of different theoreticians

სალომე გიორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი.
giorgadzesalome1995@gmail.com
Salome Giorgadze – Akaki Tsereteli State University.
Doctor of International Relations
giorgadzesalome1995@gmail.com

„ჩვენ ახლა ვცხოვრობთ... ღია სივრცე-დროში, რომელშიც აღარ არის იდენტობები, მხოლოდ გარდაქმნებია“ (ზიგმუნტ ბაუმანი)

აბსტრაქტი. იდენტობის განცდას უდიდესი წვლილი შეაქვს როგორც საზოგადოებრივ, ასევე სახელმწიფოთა ურთიერთობების დაახლოებასა და გაძლიერებაში. იდენტობა შეიძლება მოვიაზროთ, როგორც კოლექტიური პროდუქტი, სადაც სოციალიზაციის გზით ჯგუფის წევრებს გადაეცემა რწმენათა, ღირებულებების, ვარაუდებისა და მოლოდინების სისტემა. ეროვნული იდენტობის კოლექტიური ელემენტები შეიძლება მოიცავდეს ეროვნულ სიმბოლოებს, ტრადიციებს და მოგონებებს ეროვნული გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ექვემდებარება ინდივიდი ამ სისტემაში სოციალიზაციას. ადამიანები აერთიანებენ ეროვნულ იდენტობას თავიანთ პიროვნულ იდენტობაში სხვადასხვა ხარისხითა და გზით, ხოლო ეროვნული იდენტობის კოლექტიური ელემენტები შეიძლება გახდეს ინდივიდის მიერ საკუთარი თავის განსაზღვრის ფუნდამენტური ნაწილი. ეროვნული იდენტობა, ისევე როგორც სოციალიზაციის სხვა ფორმები, იწვევს დადებით ემოციებს, როგორიცაა სიამაყე და სიყვარული საკუთარი ერის მიმართ. ეროვნული სიამაყის სოციალიზაცია და ქვეყნის განსაკუთრებულობის განცდა კი ხელს უწყობს ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობებს.

საკვანძო სიტყვები: იდენტობა, ეროვნული იდენტობა, ნაციონალიზმი, ერი, ეთნოსი.

Abstract. The sense of identity makes a great contribution to the rapprochement and strengthening of both public and state relations. Identity can be thought of as a collective product, where a system of beliefs, values, assumptions, and expectations is transmitted to group members through socialization. Collective elements of national identity may include national symbols, traditions, and memories of national experiences and achievements, and depending on the extent to which an individual is socialized into this system, people incorporate national identity into their personal identity in varying degrees and ways, and collective elements of national identity may become A fundamental part of self-definition. National identity, like other forms of socialization, evokes positive emotions such as pride and love for one's nation. The socialization of national pride and the feeling of the country's uniqueness promotes harmonious relations between ethnic groups.

Key word: Idenity, national identity, nationalism, nation, ethnos

იდენტობის კონცეფციის ისტორიული ევოლუციის ფარგლებში არსებობს მრავალი მოსაზრება იმ საკითხებთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს იდენტობა და რა ძირითად მახასიათებლებს ფლობს. იდენტობის განცდას უდიდესი წვლილი შეაქვს როგორც საზოგადოებრივ, ასევე სახელმწიფოთა ურთიერთობების დაახლოებასა და გაძლიერებაში. თავდაპირველად წარმოგიდგენთ სხვადასხვა თეორეტიკოსთა შეხედულებებს იდენტობის ირგვლივ.

სტიუარტ ჰოლს მიაჩნდა, რომ გავრცელებულ ტრადიციულ მიდგომებში, განსაკუთრებით ინდუსტრიულ რევოლუციამდე, იდენტობა განისაზღვრებოდა როგორც კონსტიტუცია, რომელიც დაფუძნებული იყო ნაცნობი და საერთო წარმოშობის აღიარებაზე, მაგრამ არ შემოიფარგლება ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური, ისტორიული, ტერიტორიული, კულტურული და პოლიტიკური ატრიბუტებით სხვა ადამიანებთან, ასევე განსაზღვრავს კულტურულ იდენტობებს, როგორც „სახელებს, რომლებსაც ჩვენ ვაძლევთ წარსულის ნარატივების განსხვავებულ გზებს და განვსაზღვრავთ საკუთარ თავს“. ამ თვალსაზრისით,

კულტურული იდენტობა არ არის წარსულში ფესვგადგმული ფიქსირებული არსი. იდენტობები „გადის მუდმივ ტრანსფორმაციას“ მთელი ისტორიის განმავლობაში, რადგან ისინი „ექვემდებარებიან ისტორიის, კულტურისა და ძალაუფლების უწყვეტ „თამაშს“.[31]

ერნესტ გელნერი აძლიერებს ეროვნულ-კულტურულ განსხვავებას იმის მტკიცებით, რომ დასავლური სამოქალაქო ერები იკრიბებიან მაღალ კულტურაზე დაყრდნობით. [32]

მაიკლ იგნატიეფი ამის საპირისპიროდ მიიჩნევდა, რომ აღმოსავლური სამოქალაქო საზოგადოებები გაერთიანებულია ადგილობრივი, პოპულარული და ტრადიციული კულტურის საფუძველზე [33] და მიაჩნდა, რომ ეთნიკური ნაციონალიზმი არის გაუნათლებელი მასების ნაციონალიზმი, სადაც საზოგადოება განსაზღვრავს ინდივიდს და არა პირიქით. ეროვნული იდენტობა შეიძლება წარმოიშვას ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში „საერთო წერტილებიდან“ ელემენტების არსებობის პირდაპირი შედეგით: ეროვნული სიმბოლოები, ენა, ერის ისტორია, ეროვნული ცნობიერება და კულტურული არტეფაქტები. [34]

ფილოსოფოს ავიშაი მარგალიტ-ის აზრით, „ცხოვრების ნაციონალურ ფორმას მიკუთვნება ნიშნავს იმ ჩარჩოში ყოფნას, რომელიც აზრს აძლევს ადამიანებს არჩევანის ალტერნატივებს შორის, რითაც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ იდენტობა“ (Avishai Margalit, 1997, 83)

ჩეხი მიროსლავ ჰროშის (ისტორიკოსი და პოლიტიკის თეორეტიკოსი) მიხედვით, იდენტობის ფორმირებისას ერმა სამი საფეხური (ფაზა) უნდა გაიაროს, რომელიც ძალზე წააგავს „ოვერტონის ფანჯარას“, თავდაპირველად ინტელექტუალთა მცირე ნაწილი ეროვნულ იდეებზე იწყებენ ფიქრს, შემდეგ საფეხურზე პრესა ერთვება და საზოგადოება ეცნობა ინტელექტუალთა ახალ თაობას, რომელიც საკუთარი იდეების გავრცელებას ბეჭდური მედიის გამოყენებით იწყებს, ხოლო საბოლოო, მესამე ფაზაში წარმოგვიდგება ერი, როგორც ერთი მთლიანობა, რომელიც იაზრებს საკუთარ ინდივიდუალურ იდენტობას.

ენტონი სმითი გამოყოფს ნაციის სტანდარტულ მოდელს, რომლის ძირითად კომპონენტებად ასახელებს ტერიტორიას. მისი თვალსაზრისით „ადამიანები და ტერიტორია, უნდა ეკუთვნოდეს ერთმანეთს“. ეს ტერიტორია არ უნდა იყოს უბრალოდ მიწა, ეს უნდა იყოს ისტორიული მიწა, სამშობლო, რომელიც ადამიანთა ცნობიერებაში ადრეული შუა საუკუნეებიდან მიმდინარეობდა.

აქედან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ თეორეტიკოსების მიერ გამოყენებული ცნებები იდენტობაზე მოიცავს სულ მცირე შემდეგ ასპექტს: იდენტობა მოიცავს არსებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მახასიათებლებს.

ინდივიდუალური იდენტობისაგან განსხვავებით, კოლექტიური იდენტობა მრავალი მახასიათებლითა და მარკერით ხასიათდება. „ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ნაციონალიზმი ყველაზე უფრო მძლავრი და გავრცელებული იდეოლოგია იყო. პატრიოტული სულისკვეთების მქონე მილიონობით ადამიანმა ნაციონალურ იდეებს, ერს, სამშობლოს, ეროვნულ თავისუფლებას შესწირა თავი. ნაციონალიზმის როგორც სოციალური ფენომენის არსებობა ღრმად არის დაკავშირებული ერებთან, რომელიც მოიცავს ცალკეულ ადამიანსა და სამშობლოს შორის წარმოქმნილ ურთიერთობას. ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ერის იდენტიფიკაცია აქვთ, ნაციონალურ რწმენებსა და ღირებულებებს თვლიან, როგორც პიროვნულ მნიშვნელობას და ამ ღირებულებებს ყოველდღიურ პრაქტიკაში

[31] Stuart hall, Cultural Identity and Diaspora, (1990). (რედ.). იდენტურობა: საზოგადოება, კულტურა, განსხვავება, ლონდონი: ლოურენსი და ვიშარტი. გვ 222–237. დაარქივებულია ორიგინალიდან, 24.10.2018 (უკანასკნ. ნანახია 09.05.2023)

[32] Ernest Gelner, Nations and Nationalism, 1983, pp. 99–100

[33] Michael Ignatief, ‚Blood And Belonging: Journeys into the New Nationalism Paperback, 1994, p. 7–8

[34] Kelman, Herbert (1997). Nationalism, patriotism and national identity: socio-psychological dimensions, Nelson-Hall Publishers. pp. 171–173

აქცევენ. ბევრი მკვლევარი ნაციონალიზმს ასახელებს როგორც სამოქალაქოსა და ეთნიკურის ერთგვარ ერთობლიობას. ეთნიკური ნაციონალიზმი ორიენტირებულია საერთო წინაპრების მითების რწმენაზე, ბიოლოგიურ მემკვიდრეობაზე, სისხლით ნათესაობაზე, მსგავსებაზე ენასა და რელიგიაში. ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო ნაციონალიზმი მიდრეკილია საერთო ტერიტორიულ სამშობლოზე და მის საზოგადოებაში ჩართვაზე, სადაც აყალიბებს გამორჩეულ საერთო კულტურას.

ნაციონალიზმი შეიძლება იყოს დემოკრატიის ძლიერი შემცვლელი, რადგანაც იერარქიული და ინკლუზიურია. ავტორიტარულ სახელმწიფოებს შეუძლიათ მისი იარაღად გამოყენება, ასევე შეიძლება ის იყოს ახალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ძალა, რომლებიც სეპარატისტული მოძრაობების შთაგონების წყაროა. ნაციონალიზმით გამწვავებული სეპარატისტული მოძრაობის კიდევ ერთი მაგალითია ესპანეთის მდიდარი ტერიტორია, კატალონია, რომელსაც განსაკუთრებული ავტონომიის ისტორია აქვს. კატალონიას აქვს საკუთარი ენა და გამორჩეული ტრადიციები. მოსახლეობა თითქმის ისეთივე დიდია, როგორც შვეიცარია (7,5 მილიონი). კატალონია არის ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონი, რომელიც შეადგენს ეროვნული მოსახლეობის 16%-ს. ისეთ ქვეყანაში, როგორიც შეერთებული შტატებია, ამერიკელები არ არიან განცალკევებულნი თავიანთ ერსა და სახელმწიფოს შორის, სადაც ამ სახელმწიფოს ყველა ან უმეტესი ხალხი ეკუთვნის ერთ ერს. ეროვნული სახელმწიფოების სხვა მაგალითებია ცენტრალური ევროპის ქვეყნები, პოლონეთი და უნგრეთი, ასევე მრავალეროვნული სახელმწიფოები რუსეთი და ინდოეთი. ამ დეფინიციებიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა მოქალაქეთა სიამაყე თავისი ერით და არა სახელმწიფოთი? ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ კატალონია შესანიშნავი მაგალითია. კატალონიელები ამაყობენ თავიანთი ერით, მაგრამ არა თავიანთი ,,შტატით“. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მოქალაქეობა ავტომატურად არ ხდის ადამიანს იმ ქვეყნის პატრიოტად, სადაც ცხოვრობს. ეთნიკური, რასობრივი და/ან რელიგიური უმცირესობები, რომლებიც ჩაგრულნი იყვნენ ან არ იყვნენ ჩართულნი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, ხშირად ებრძვიან პატრიოტიზმის გარეგნულ გამოხატვას და უვითარდებათ ნაციონალიზმის გრძნობა ისეთ გეოგრაფიულ და კულტურულ ერთეულებს, როგორიცაა ზემოთ ხსენებული კატალონია, ასევე გალიცია და ბასკეთი. სუვერენული სახელმწიფოები, ასევე ერები და ქვეყნები კოლონიურ ან სხვა დამოკიდებულების მდგომარეობაში, ინტეგრაციაში ან თუნდაც ეთნოკულტურულ საზოგადოებაში, რომელიც განიხილებიან როგორც ,,ეროვნებად" და ერთიანდებიან ეროვნული სიმბოლოებით, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის გაერთიანებას ეროვნული, ღირებულებების, მიზნების ან ისტორიის ვიზუალური, სიტყვიერი ან ხატოვანი წარმოდგენების შექმნით.

ქართველ ახალგაზრდებში ეთნიკური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებაზე ერთგვაროვან პასუხი რთულია მოიძებნოს. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ, ხოლო ნაწილს კი პირიქით. მაგ., ამას წინათ საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა აფხაზმა ახალგაზრდამ, დადგა მეტრო რუსთაველთან ხელში ბანერით, რომელზეც წარწერა იყო: „მე აფხაზი ვარ, თუ თვლი რომ ძმები ვართ, მოდი ჩამეხუტე!“ ფსიქოლოგი ელიზავეტა სოლოღაშვილი ნეგატიური დამოკიდებულების განმაპირობებელ ფაქტორად ქვეყნის პოლიტიკურ ფონს მიიჩნევს და წერს, რომ "აფხაზებისა და ოსების მიმართ პოლიტიკური საკითხია ჩართული. ხოლო ზემოთა ექსპერიმენტმა საპირისპირო რამ აჩვენა, აბსოლუტურად ყველამ დადებით ფაქტორად ჩათვალა აფხაზთან ჩახუტება. აზერბაიჯანელებისა და ქურთების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება შესაძლოა, რელიგიური განსხვავების, ტრადიციების, კულტურით იყოს განპირობებული. აღწერის შედეგად საქართველოში 205 ეროვნების წარმომადგენელი დაფიქსირდა. ჩვენ ყოველთვის ვიყავით ლოიალურები სხვა ერების მიმართ. თუ დღეს საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა მიერ ნეგატივიზმია წინა პლანზე წამოწეული, ჩვენი სუბიექტური მოსაზრებით, ეს წმინდა

პოლიტიკური ფაქტორის შედეგია. ისე კი - ქართველის ბუნება, ზოგადად, ტოლერანტულია. საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებს საქმიანობის საკუთარი სფერო აქვთ რჩეული, რომელსაც არ ვეცილებით".[35] ეროვნული ცნობიერების გაღვიძებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. იდენტობა შეიძლება მოვიაზროთ, როგორც კოლექტიური პროდუქტი, სადაც სოციალიზაციის გზით ჯგუფის წევრებს გადაეცემა რწმენათა, ღირებულებების, ვარაუდებისა და მოლოდინების სისტემა. ეროვნული იდენტობის კოლექტიური ელემენტები შეიძლება მოიცავდეს ეროვნულ სიმბოლოებს, ტრადიციებს და მოგონებებს ეროვნული გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ექვემდებარება ინდივიდი ამ სისტემაში სოციალიზაციას, ადამიანები აერთიანებენ ეროვნულ იდენტობას თავიანთ პიროვნულ იდენტობაში სხვადასხვა ხარისხითა და გზით, ხოლო ეროვნული იდენტობის კოლექტიური ელემენტები შეიძლება გახდეს ინდივიდის მიერ საკუთარი თავის განსაზღვრის ფუნდამენტური ნაწილი. ეროვნული იდენტობა, ისევე როგორც სოციალიზაციის სხვა ფორმები, იწვევს დადებით ემოციებს, როგორიცაა სიამაყე და სიყვარული საკუთარი ერის მიმართ. ეროვნული სიამაყის სოციალიზაცია და ქვეყნის განსაკუთრებულობის განცდა კი ხელს უწყობს ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობებს. მაგალითად, შეერთებულ შტატებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრირებით ამერიკელების ყოვლისმომცველ იდენტობაში, ხალხს აერთიანებს ეროვნული სიამაყის საერთო ემოცია და კუთვნილების გრძნობა, რაც შესაბამისად ეთნიკური კონფლიქტების შერბილებისკენაა მიდრეკილი. თუ ეროვნული ერთობა იბრძვის საკუთარი ინტერესების განხორციელებისათვის, საკუთარი ტერი-ტორიული და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვისათვის, ასეთ შემთხვევაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის ეროვნული იდეოლოგები პოზიტიურ როლს თამაშობენ ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, მეორეს მხრივ, თუ საკუთარი ეროვნული ინტერესების რეალიზაციისკენ მისწრაფება ხდება სხვა ერთობის ინტერესების ხარჯზე, მაშინ ეროვნულ იდეოლოგიებს დიდი ზიანი შეუძლიათ მოუტანონ თვით ამ ერის წარმომადგენლებს.[36] აქედან გამომდინარე, ეთნიკური ჰეგემონიზმის, სეპარატიზმისაკენ მისწრაფება ყოველთვის შექმნის დაძაბულობასა და არასტაბი-ლურობის სხვადასხვა კერებს. მაშასადამე, ეროვნული იდენტობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც დამოკიდებულებები, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების ჩვეულ გამოწვევებს. კაცობრიობის მიზანი, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოზე დაფუძნებული იდენტობის ლეგიტიმაცია უნდა იყოს, რადგანაც ეს არის ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია მსოფლიოს გადაარჩინოს ძალაუფლების აპარატებსა და ფუნდამენტალისტურ კომუნებში ცხოვრებისგან.

[35] თ. სხულუხია, სტატია, ეთნიკური უმცირესობები თავს საქართველოს მოქალაქეებად ვერ გრძნობენ http://www.tavisupali.ge/sazogadoeba/64-ethnikuri-umciresobebi-thavs-saqarthvelos-moqalaqeebad-ver-grdznoben.html?lang=ka-GE (17.12.2022)

[36] ვ. ჭანია, ,პოლიტოლოგიის საფუძვლევი, გამომცემლობა „ბედია“, თბ., 1998, გვ. 64

გამოყენებული ლიტერატურა

1. Stuart hall, Cultural Identity and Diaspora, (1990). (რედ.). იდენტურობა: საზოგადოება, კულტურა, განსხვავება, ლონდონი: ლოურენსი და ვიშარტი. გვ 222–237. დაარქივებულია ორიგინალიდან, 24.10.2018 (უკანასკნ. ნანახია 09.05.2023)

2. Ernest Gelner, Nations and Nationalism, 1983, pp. 99–100

3. Michael Ignatief, ‚Blood And Belonging: Journeys into the New Nationalism Paperback, 1994, p. 7–8

4. Kelman, Herbert (1997). Nationalism, patriotism and national identity: socio-psychological dimensions, Nelson-Hall Publishers. pp. 171–173

5. ვ. ჭანია, ‚პოლიტოლოგიის საფუძვლევი, გამომცემლობა „ბედია“, თბ., 1998, გვ. 64

6. თ. სხულუხია, სტატია, ეთნიკური უმცირესობები თავს საქართველოს მოქალაქეებად ვერ გრძნობენ http://www.tavisupali.ge/sazogadoeba/64-ethnikuri-umciresobebi-thavs-saqarthvelos-moqalaqeebad-ver-grdznoben.html?lang=ka-GE (17.12.2022)

მნიშვნელოვანი ნაშრომი ბიზნესის რელიგიურ ასპექტებზე[37]

მსოფლიოს ხალხთა ზნეობაზე, ჩვევებსა და ქცევაზე რელიგია ყოველთვის უდიდეს გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს. ყოველივეს ამას განაპირობებს ის, რომ: ჯერ-ერთი, რელიგიაში მოცემულია ადამიანთა უძველესი ზნეობრივი ნორმები; მეორე, მასში განმტკიცებულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ქცევის წესები; დაბოლოს, რელიგიური მცნებები კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის მრავალ ისეთ მითითებასა და აკრძალვას შეიცავს, რომლებიც ამოსავალია ადამიანთა საქმიანი ურთიერთობის (ბიზნესის) სფეროში.

რელიგია არის კულტურა - ზნეობრივი, ეთიკურ-მსოფლმხედველობითი კულტურა, თავისებური უნიკალური ფენომენი, რამაც გაანათლა ადამიანთა თაობები. იგი მრავალი უხილავი ძაფით არის დაკავშირებული ჩვენ ყოველდღიურ ყოფასთან. პრაქტიკულად, ნებისმიერი რელიგიური მოძღვრება არა მარტო განიხილავს სამყაროს შექმნის, ინდივიდების არსებობის აზრის, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობის საკითხებს, არამედ საკუთარ ზნეობრივ კონცეფციას ანუ ადამიანთა ქცევისა და საქმიანი ურთიერთობის (ბიზნესის) წესებსაც აყალიბებს.

ბიზნესის რელიგიური საწყისები 21-ე საუკუნის ბიზნესის არსებით მახასიათებლად იქცა. დღეს მსოფლიო რელიგიებმა – იუდაიზმმა, ქრისტიანობამ, ისლამმა და სხვებმაც თავიანთ მოქმედების არეალში რეალურად დაადასტურეს ბიზნესში რელიგიის კანონიკური წესების რეალიზაციის ფაქტი. ამასთან, გამოიკვეთა სრულიად ახალი მოცემულობა: ბიზნესში ყოველი წარმატება სულ უფრო დამოკიდებული ხდება იმ ფაქტორებზე, რომელზეც ბატონობა არავის ხელეწიფება; უშუალოდ წარმატების პირობა კი უფლისადმი დამოკიდებულებით არის ზღვარდებული.

თანამედროვე ცივილიზაციამ მთელი რიგი ფასეულობები გადააფასა და ორიენტაცია სრულიად ახალ ღირებულებებზე აიღო. ამ ფონზე კი, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების „ტრადიციული“ შეცნობის გვერდით, ამ მოვლენათა ახლებურად გააზრების აუცილებლობა წარმოიშვა. სწორედ ასეთ სიტუაციას ვაწყდებით ბიზნესის რელიგიური ასპექტების კვლევა-ძიებისას. დღეს თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხი არათუ სასურველი, კიდევ მეტი – მოთხოვნადიც გახდა. ამიტომ ბიზნესის რელიგიური ასპექტები ძალზე დამაინტრიგებელ გარემოს ქმნის იმისათვის, რომ მეცნიერები პერიოდულად დაუბრუნდნენ ამ მეტად მგრძნობიარე და სრულიად ფასეულ საკითხს.

[37] ზურაბ ჯორბენაძე, ბიზნესის რელიგიური ასპექტები; იუდაიზმი და მართლმადისებელი ქრისტიანობა (მეორე გადამუშავებული გამოცემა). - თბილისი: საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023. – 198 გვ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მისასალმებელია ქართული ეკონომიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ბატონ ზურაბ ჯორბენაძის მიერ შესრულებული მონოგრაფიული კვლევა, რომელიც წარმოაჩენს თუ როგორ უნდა იმოქმედოს უზენაესის მოყვასმა ადამიანმა თანამედროვე ბიზნესში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების წყალობით, დღევანდელი ადამიანი უკვე აღარ არის ტერიტორიულად შეზღუდული თავის ქმედებაში. იგი მსოფლიო მოქალაქეა და იმავდროულად სხვა რელიგიური კონფესიების მიმდევართა პოტენციური საქმიანი პარტნიორიც. შედეგად, ჩვენ წინაშე დგება საყურადღებო კითხვა: რამდენად ვიცნობთ როგორც ჩვენი, ისე სხვა რელიგიური კონფესიების მიმდევართა მორალურ-ზნეობრივ ასპექტებს და როგორ ვითვალისწინებთ მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ბიზნესში.

უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა ავტორის მიერ, ჯერ-ერთი, ბიზნესის, როგორც ადამიანის საქმიანობის და რელიგიის, როგორც რწმენის ურთიერთისადმი მიმართების ე.წ. სიენერჯის ეფექტის ფონზე განხილვა, და მეორე, პოზიციის დაფიქსირება იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესის და რელიგიის სიენერჯი ყველაზე ნათლად და „ეფექტიანად“ იუდაიზმის და ებრაული ბიზნესის ურთიერთმიმართების ფონზე გვაქვს (გვ. 13-14).

განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მინიშნება იმაზე, რომ იუდაიზმსა და ქართულ მართლმადიდებელ ქრისტიანობას ახასიათებთ მკვეთრი „კონტრასტები“ ბიზნესთან მიმართებაში, კერძოდ, იუდაიზმი მეწინავეა, მართლმადიდებელი ქრისტიანობა კი - „აუტსაიდერი“. მაშინ, როდესაც მათ ბევრი რამ აქვთ საერთო - ებრაელისა და ქართველის მშვიდობიანი თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი ისტორია, ორივე რელიგიის თანხვედრილი მონოთეისტობა (ისინი ერთ ღმერთს ეთაყვანებიან), „დაბადების“ ერთი ადგილი (მცირე აზია) და „წმინდა“ წიგნების (ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა) უხილავი კავშირები (გვ. 21-23).

ბიზნესისადმი ორი ძირძველი მსოფლიო რელიგიის - იუდაიზმისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობის მიმართების საკითხის სრულფასოვნად შეცნობას ავტორი ბიზნესის მორალურ-ზნეობრივი ალგორითმის გაანალიზებით იწყებს, და არკვევს ამ ალგორითმის ისეთ არსებით ნიშნულებს, როგორიცაა ბიზნესის მიზანი და მისი დათვლადობა (გვ. 25), ბიზნესის თვითმყოფადობა და მისი მორალურ-ეთიკური სახე (გვ. 26), სიმდიდრის ცნება (გვ. 29), სამართლიანობა (გვ. 31-47), სიკეთის კეთება და მოწყალება (გვ. 48-66), სულგრძელობა და დიდსულოვნება (გვ. 67-78). ამასთან დაკავშირებით, იგი გამოყოფს და აქცენტს აკეთებს ბიზნესის რელიგიურ ბურჯებზე (მორალის კონკრეტულ სახეებზე) - შემწყნარებლობაზე, სიმშვიდეზე, სიბრძნეზე და ა.შ. (გვ. 83-96).

ღირებულია ავტორის მეცნიერული მსჯელობა დროის, როგორც მარადიული და უცვლელი კატეგორიის, მისი ყაირათიანად გამოყენების თაობაზე („დრო ფულია“, ანუ „სანამ სანთელი ანთია“): „დროში არ არის წარსული, ის მხოლოდ იგულისხმება. დროში არ არის აწმყო, ეს არის სხივი, რომელსაც არც სიგრძე აქვს, არც სიგანე. ამიტომაც იგი შეუმჩნევლად მისრიალებს უკვე დაკარგული წარსულიდან არარსებული მომავლისაკენ“. ამ მსჯელობის საფუძველზე ავტორი ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანის ცხოვრების ჰარმონია „ეფექტურობის მრუდზე“ გასვლის პროცესს აადვილებს. ამ ვითარებაში მან უფლისგან ნაბოძები სიკეთე - დრო - ფუჭად არ უნდა გახარჯოს, სხვისი დრო უნდა დააფასოს, და წესი - „სანამ სანთელი ანთია...“ - სრულად გაითავისოს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სათნოდ ყოფნა და პატიოსნად ცხოვრება „ამა ქვეყანასა შინა“ (გვ. 97-115).

ავტორი საინტერესოდ განიხილავს „არ იცრუო" მცნებას, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს ბიზნესის რელიგიური საწყისების სისტემაში (გვ. 116-134). როგორც ბიზნესში, ასევე ზოგადად ცხოვრებაში ამ წესის აღსრულება ტყუილისა და ქურდობის, პარვის დაძლევის მოცემულობაზე გადის. ამ კუთხით მიღწეული ყოველი წარმატება ბიზნესს ღია და ნათელ ფერებს სძენს და იგი ზნეობრივ საქმიანობად ყალიბდება. მისი მტკიცებით, თანამედროვე ბიზნესი სრულიად „მიწიერია“ და მისი მოთხოვნებით შედის რელიგიურ სივრცეში. აქ ბიზნესი რაციონალური და ირაციონალური სახით ამაღლებულად უნდა წარიმართოს. ორივე მოცემულობაში ბიზნესი მოვალეა დაიცვას წესი - „არ იცრუო“ და უზრუნველყოს პატიოსანის და სათნოს ფასეულობათა რეალიზება ბიზნესსივრცეში.

ხაზგასასმელია ავტორის მეცნიერული მიდგომა ადამიანთა ცხოვრებაში ისეთი ამაღლებული მცნებისადმი, როგორიც არის „გიყვარდეს მოყვასი შენი“ (გვ. 135-158). ეს უკანასკნელი, არსობრივად როგორც ვალდებულების, ისე პასუხისმგებლობის სივრცეშია მოქცეული და მასში რეალიზდება. ბიზნესში ამ მცნების მოთხოვნის დაცვა განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეა, რამდენადაც სწორედ აქ და ამ დროს ყალიბდება ბიზნესის შემდგომი წინსვლის მაპროვოცირებელი ძალა. ავტორის აზრით, თანამედროვე ბიზნესს პასუხისმგებლობისა და ვალდებულების მთელი სისტემა წარმოეშვება. ამ მოცემულობას მოყვასის სიყვარულის ფენომენი სასურველობის ნიშნულს ანიჭებს, ხოლო თვით ბიზნესის მიმდინარეობის პროცესს ამაღლებული ზნეობით შემოსავს.

მონოგრაფიის ავტორი საგანგებოდ დიდ ყურადღებას უთმობს წონასწორობის დაცვის საკითხს და ადამიანის ცხოვრების წონასწორობის დაცვას თანამედროვე ბიზნესის არსებით მოთხოვნად მიიჩნევს (გვ. 159-190). მისი სამართლიანი მტკიცებით, თანამედროვე ბიზნესს როგორც არასდროს, ისე ესაჭიროება რელიგიურად გაბრწყინებული რეპუტაცია. ამ

მოცემულობის მიღწევა კი მხოლოდ წონასწორობის დაცვით და მისი რეალიზების პროცესით არის შესაძლებელი.

ბიზნესის მორალურ-ზნეობრივი ალგორითმისა და მისი არსებითი ნიშნულების გაანალიზების საფუძველზე ავტორი აკეთებს ფასეულ დასკვნებს ბიზნესისადმი ორი ძირძველი მსოფლიო რელიგიის - იუდაიზმისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობის - მიმართების საკითხის თაობაზე:

1. თანამედროვე ბიზნესის რელიგიური „სამოსი“ მისი ერთ-ერთი გამორჩეული ნიშნულია. აღნიშნული მოცემულობა ყველაზე მეტად იუდაიზმის რელიგიას ეხება – მან ბიზნესთან დაახლოების ყველა გზა თავდაჯერებულად მოიძია, ბიზნესის სულის რეალიზაციის ყველა შესაძლო რესურსი მოიპოვა და შექმნილი რეალობის ფონზე ბიზნესში წარმატებით ჩაჯდა. თუმცა, ყოველივე ეს მხოლოდ და უშუალოდ იუდაიზმის პირდაპირი დამსახურება არ არის – ამ პროცესში სოლიდური „კაპიტალი“ ებრაელმა ერმა ჩადო.

2. ბიზნესისადმი იუდაიზმის თვისებრივად განსხვავებული და სრულიად განუმეორებელი დამოკიდებულება ებრაელი ერისგან მომდინარეობს. ებრაელმა ერმა თავისი თავის გადარჩენის ფენომენი ბიზნესში აღმოაჩინა – ცხოვრების მატერიალური მხარე მთლიანად რელიგიურ სამყაროს დაუქვემდებარა და იუდაიზმი სრულიად ერის სახედ წარმოაჩინა. თავის მხრივ, თვით რელიგიამაც ბიზნესის ებრაელთა ღირსების საქმედ გადაქცევის პროცესს სრული ძალით გაუკეთა პროვოცირება. კერძოდ, იუდაიზმა წარმატებით შეძლო ბიზნესის ზნეობრივი „რეკონსტრუქცია“ და ბიზნესის მორალურ-ზნეობრივ მსაზღვრელად იქცა. აქ კი შედეგმაც არ დააყოვნა: ყალიბდება და ვითარდება ებრაული ბიზნესი – იუდაიზმის კანონიკურ წესებზე მყარად მდგარი ბიზნესი.

3. იუდაიზმის კანონიკურმა წესებმა ებრაული ბიზნესის ოქროს წესების ჩამოყალიბების პროვოცირება მოახდინა. ბიზნესის ოქროს წესები ბიზნესის კულტურის მსაზღვრელია, ისინი ებრაული ბიზნესის კულტურას ასახიერებს. ამ ფონზე ებრაული ბიზნესი მსოფლიო ბიზნესის ერთ-ერთი ძალზე წარმატებული სახეა. იუდაიზმის დამსახურებით ებრაული ბიზნესი ზოგადისა და განსაკუთრებულის ჰარმონიული სინთეზია. შესაძლოა, ამ გარემოებების გამოც, იგი ამქვეყნიურად „იდეა-ლისტურია“, ხოლო იდეურად – „მატერიალისტური“.

4. იუდაიზმის მიერ „ზღვარდებული“ ებრაული ბიზნესი მართლმადიდებელი ქრისტიანის „პროვოცირებას“ ახდენს – მას ერთგვარად აიძულებს, რომ ბიზნესს სულ სხვა სახის დამოკიდებულებით და პრინციპებით მიუდგეს. თუ ეს პირობა აღსრულდება, მაშინ, როგორც იტყვიან, „ახალი ველოსიპედის გამოგონება“ აღარ იქნება საჭირო: შეიცვლება ამ ბიზნესის არსებობის ფორმა, შინაარსი კი – უცვლელი დარჩება. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ ებრაული ბიზნესის რელიგიური მოცემულობა სრულიად

განუმეორებელი, მისი კოპირება კი შეუძლებელია. ამასთან, შესაძლოა რელიგიურად გაჯერებული ე.წ. ნიშნულების „დაჭერა“ და სხვა რეალობაში მიზნობრივად გამოყენება. აქ საქმე არ გვაქვს „სხვა დაფაზე“ ახალი წესებით თამაშთან – მთავარია მოქმედების პრინციპი აღმასვლის წესს არ აცდეს. აქ კი მისანიშნებელია, რომ იუდაიზმსა და მართლმადიდებელ ქრისტიანობაში ბიზნესის რელიგიური საწყისები სრულიად თანასწორი და რეალიზებადია.

5. ბიზნესისადმი ორი ძირძველი რელიგიის ტოლფასოვანი მიმართება რეალური დაშვებაა. ამ მოსაზრების თეორიული მხარე მეტნაკლებად ნათელია, რაც შეეხება მის პრაქტიკულ მხარეს, აქ საყურადღებოა რეალურ სინამდვილეში საკითხის „სიცოცხლე“ და რეალიზაციის ალგორითმი. ეს მოცემულობა საკმაოდ მწვავდება იმ რეალობით, რომ თეორია და პრაქტიკა სინამდვილეში ერთმანეთს არასდროს არ ემთხვევა. და, პლუს ახალი რეალობა: ორივე რელიგიის ბიზნესისადმი მიმართება თეორიული კუთხით სრულიად ერთგვაროვანია; რაც შეეხება ბიზნესისადმი მიმართების პრაქტიკის მხარეს, აქ რელიაგიათა ქმედების ე.წ. ერთგვაროვნება აღარ გხვდება – პრაქტიკული კუთხით იუდაიზმი მეტადრე აღმატებულია, მართლმადიდებლი ქრისტიანობა კი ბიზნესის პრაქტიკულ მხარესთან ჯერ კიდევ „მწყრალადაა“ და იუდაიზმს აშკარად ჩამორჩება. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ბიზნესთან ორივე რელიგიის თანხვედრის საკითხის განხილვისას ეფექტიანია პარალელიზმის პრინციპით მოძრაობა. სწორედ ამ პრინციპის მეშვეობით რელიგიათა შორის შედარებითობა არც ერთ შემთხვევაში ერთი რელიგიის მეორეზე მაღლა დგომას, ან მეორის მუდმივად ჩამორჩენილად ყოფნას არ გულისხმობს – პირიქით, ამ დროს საკითხის მრავალფეროვნებასთან მივდივართ.

6. ბიზნესისადმი ორივე მსოფლიო რელიგიის – იუდაიზმის და მართლმადიდებლი ქრისტიანობის ტოლფასი მიმართება ვერ ფარავს იუდეველის და მართლმადიდებელის მიღწევებს შორის სხვაობას, რაც ბიზნესში რეალურად არსებობს. აქ არანაირად არ გამოდგება, ადამიანში ებრაული საწყისის არაებრაული საწყისთან განსხვავება. მთავარი აქ არის იუდეველის და მართლმადიდებელის მიერ ბიზნესის ხელოვნების სულიერი ღირებულებების აღქმის დონე და ხარისხი. თუ იუდეველისთვის რელიგია მისი თვითმყოფადობა, მისი ისტორია და ხვალინდელობა, მისი იმედი და გამარჯვებაა, მართლმადიდებლისთვის რელიგია მართლაც შორეულ წარსულში ბრძოლისა და სიამაყის, მიუღწეველის მისაღწევად „ალესილი ხმალი“ იყო, დღეს მისი გონი ფალსიფიცირებულია – უფლისმოყვასეობა მწირი და ღარიბულია, საქმიანობა მამონათია ცდუნებელი, ქცევა კი – მერკანტელიზმითაა „გაჯერებული“.

7. ბიზნესში მართლმადიდებელი ქრისტიანი საინტერესო დილემის წინაშე დგას: ბიზნესსაქმიანობაში იუდეველთა წარმატების დარად რა უნდა იყოს მისი ორიენტირი? როგორ უნდა წარმართოს საქმე ისე, რომ ამა ქვეყანასა შინა პირნათელი, ხოლო, უზენასის წინაშე – ზნეობრივად ამაღლებული იყოს? პასუხი მარტივია: ყოველივე მხოლოდ უფლისმოყვასს, ანუ

იმას ხელეწიფება, ვისაც უფლის უსაზღვრო სიყვარულის ძალით ყველა სახის სირთულის დაძლევა ძალუძს. ამდენად, თუ მართლმადიდებელ ქრისტიანს მისი ბიზნესსაქმიანობით მატერიალური კეთილდღეობის და ზნეობრივი „ტკბობის“ მიღება განუზრახავს, მაშინ მან სისხლხორცეულად უნდა გაითავისოს და სრულად აღასრულოს მართლმადიდებელი ქრისტიანობის ზნეობრივი ფასეულობები.

8. ბიზნესისადმი იუდაიზმისეული მიმართების სისტემის გაცნობიერება მართლმადიდებელისთვის რთული ამოცანაა. მიუხედავად ამისა, მისი ამოხსნა და სასურველი შედეგის მიღება მას ძალუძს, ოღონდ ერთი პირობით: იგი უსათუოდ ქრისტეს მოძღვრების მიხედვით სისტემურად უნდა ჩაწვდეს ბიზნესს, და, მართლმადიდებლობის კანონიკური წესებითი იმოქმედოს. მთელ ამ მოქმედების როგორც მასაზრდოებელი ისე ესაჭიროება „გაწერილი“ მართლმადიდებელი ქრისტიანის გულმხურვალება და სრულად მომართული ნება. ყველა მოცემულობით, ორივე დასახელებული რელიგია რელიგიური ზნეობის კოდექსია. ბიზნესთან მათი მიმართების მთელი დატვირთვა უთუოდ ზერელიგიურ წესებში უნდა იქნეს რეალიზებული. ამ კანონზომიერების ფარგლებში მართლმადიდებელი ქრისტიანობა სრულად აღიქვამს და ეთანხმება ბიზნესის ოქროს წესებს. ბიზნესის ოქროს წესები მართლმადიდებლის მთლიანი ცხოვრების ორივე მხარეს – ბიზნესს, ანუ მის მატერიალურ სივრცეს, და, რელიგიას, ანუ მის სულიერ სივრცეს უთუოდ სჭირდება. ეს მოცემულობა თავის სივრცეში ნათლად დაადასტურა იუდაიზმმა, როცა ის ბიზნესის რელიგიურ საწყისებს ქმნიდა. ამდენად, მართლმადიდებელი ქრისტიანობისთვის ყოველივე ახლოსმდგომი რეალობაა.

საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი. წარმოდგენილი მონოგრაფია არის მეორე გადამუშავებული გამოცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ავტორი საკვლევ საკითხზე კი არ წყვეტს მუშაობას, არამედ დროდადრო ავსებს და სრულყოფს მას. ყოველივე კი იმას გვაფიქრებინებს, რომ იგი კვლავ გააგრძელებს ამ უაღრესად რთულ და ფაქიზ თემაზე შემართებით მუშაობას, უფრო გააფართოებს მეცნიერული კვლევის არეალს (მხედველობაში გვაქვს სხვა რელიგიური კონფესიები) და შექმნის უფრო სრულყოფილ ქართულენოვან მონოგრაფიას.

ამ ეტაპზე კი, აღნიშნული მონოგრაფია, მისი კომპლექსური ხასიათის, თეორიული დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქართული ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ იგი სამაგიდო წიგნი უნდა იყოს არამარტო აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისათვის, არამედ მათთვისაც, ვინც ჩვენს ქვეყანაში დაკავებულია ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და რეალიზებით. მონოგრაფიის გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში რიგი სასწავლო დისციპლინების (ბიზნესის საფუძვლები, მეწარმოება, მენეჯმენტი და სხვ.) სწავლებისას.

დაბოლოს, დარწმუნებული ვართ, რომ აღნიშნულ ნაშრომს ხანგრძლივი და წარმატებული მომავალი, მკითხველთა გარანტირებულად დიდი დაინტერესება და გათვალისწინება ელის!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი /მერაბ ვანიშვილი/
საქართველოს უნივერსიტეტის
პროფესორი /ზვიად შანავა/

12.12.2023